

გედევან ხელაია

ფული, ბანკები და ბირჟები

გამომცემლობა სამთავისი

თბილისი – 1996

ბ. 65.9(2)262

336.74/77

6392

აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელოში გადმოცემულია: ფულადი, საბანკო და საბირჟო სისტემების დახასიათება; ფულის არსი, ფუნქციები და როლი; ფულადი სისტემები; ეროვნული ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკების დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების პრინციპები, ფორმები და მეთოდები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში; აქციონერული საზოგადოება და ფასიანი ქაღალდები, საფონდო ბირჟა და საბირჟო ოპერაციები.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **შ.ლ. ჭისტაური**

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **რ.შ. კაპაშელია**

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **ნ.ბ. საზანდრიშვილი**

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
თავი I. ფულის არსი, ფუნქციები და როლი.....	7
1. ფული არსი.....	7
2. ფულის ფუნქციები.....	15
3. ფულის როლი.....	30
თავი II. ფულის მიმოქცევა და ფულადი სისტემები. ქალაქ- ლისა და საკრედიტო ფული. ინფლაცია.....	34
1. ფულის სისტემების ცნება და სტრუქტურა.....	34
2. ქალაქის ფული და მისი მიმოქცევის კანონ- ზომიერებანი.....	42
3. ბანკოტა და მისი მიმოქცევის კანონზომიერებანი.....	47
4. საბანკო ემისიის სისტემები.....	52
5. ფულადი სისტემის ძირითადი ტიპები.....	58
6. ინფლაცია როგორც მრავალფაქტორიანი პროცესი.....	64
7. 1995 წლის ფულის რეფორმა საქართველოში.....	76
თავი III. საკრედიტო ურთიერთობათა არსი, ფორმები, ფუნქციები და როლი.....	85
თავი IV. ბანკები და მათი ოპერაციები.....	108
1. ბანკების წარმოშობა.....	108
2. საბანკო სისტემა და მათი ოპერაციები.....	111
3. სპეციალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება- ნი.....	125
4. ბანკები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში	131
თავი V. საბაზრო მეურნეობის დაკრედიტება და ანგარიშსწო- რება.....	158
1. საბაზრო მეურნეობის დაკრედიტების წესი.....	158
2. უნაღლო ანგარიშსწორების ორგანიზაცია.....	181

თავი VI. ფასიანი ქაღალდები, სააქციო საზოგადოება და ბირჟები.....	201
1. სასაქონლო–ფულად ურთიერთობათა განვითარება და ფასიანი ქაღალდების გაჩენა.....	201
2. ფასიანი ქაღალდების სახეობანი და მათი გამოშვების მექანიზმი.....	205
3. აქციონერული საზოგადოებები.....	219
4. ბირჟები, მათი ჩამოყალიბება და განვითარება.....	222
გამოყენებული ლიტერატურა.....	251

შ ე ს ა ე ა ლ 0

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ამჟამად საქართველოს წინაშე დგას, ეს არის ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება, მისი კრიზისიდან გამოყვანა. ეს კი პირველ რიგში დამოკიდებულია ფულის, ბანკების, ბირჟების სწორ და ორგანიზებულ ფუნქციონირებასთან. საკუთარი ეროვნული ვალუტის—ლარის—შემოღება არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხიც გახლავთ. იგი ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია.

ფულთან ერთად ბანკები და საფონდო ბირჟები საბაზრო ურთიერთობის ისეთი ცენტრალური რგოლებია, რომელთა გამართული საქმიანობა საბაზრო მექანიზმის რეალური შექმნის აუცილებელი პირობაა. ეკონომიკური რეფორმების განხორციელება დაიწყო საბანკო სისტემისა და ფულის რეფორმებით. მათი ფუნქციონირების სფერო დღესაც თანდათანობით, მაგრამ დინამიურად ვითარდება.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბანკები სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენდა, სასაქონლო და საფონდო ბირჟები საერთოდ არ არსებობდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს არ გააჩნდათ საკუთარი ეროვნული ვალუტა.

ამჟამად სხვადასხვა უამრავ სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი ეკონომიკური ხანწავლებლები და სპეციალური ეკონომიკური ფაკულტეტებია, სადაც სავალდებულო და შერჩევითი საგნებისა და დისციპლინების ხაზით ისწავლება: ფულის მიმოქცევა და კრედიტი, საბანკო საქმე, ფასიანი ქაღალდები და ბირჟები.

ასეთ საკითხებზე დღევანდელ რთულ პერიოდში სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა უაღრესად საჭიროა.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოში—„ფული, ბანკები, და ბირჟები“—თემები და საკითხები განხილულია 5 ძირითადი მიმართულებით:

პირველი, ფულის წარმოშობა, ღირებულების ფორმების განვითარება, ოქრო როგორც ფულადი მასალა, ფულის ბუნება,

მისი ფუნქციების დახასიათება და მათ შორის ურთიერთკავშირი, ფულის როლი სამეურნეო ცხოვრებაში, ოქროს დამოკიდებულება საკრედიტო ფულთან, ფულის მიმოქცევისთან და ოქროს მარაგები.

მეორე, სავაზმო კრედიტი, მისი თავისებურებანი და როლი, თავისუფალი სახსრების შექმნის წყაროები და საკრედიტო ურთიერთობის აუცილებლობა, კრედიტის ფორმები, ფუნქციები და როლი.

მესამე, ფულის სისტემის ცნება, ელემენტები და სტრუქტურა, მონეტა და მისი მიმოქცევის კანონზომიერებანი, ქალაქის ფული, ბანკნოტები და მათი მიმოქცევის კანონზომიერებანი, ფულადი სისტემის ძირითადი ტიპები—ოქრომონომეტალიზმი და ბიმეტალიზმი, ოქრო—ზოლდური და ოქრო—დევოზური სისტემები, ინფლაცია, ფულის რეფორმის დახასიათება, ინფლაციური პროცესები საქართველოში და ფულის რეფორმა, ვალუტის კონვერტირება.

მეოთხე, ბანკების წარმოშობა, საემისიო და კომერციული ბანკების ფუნქციები და როლი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

მეხუთე, ფასიანი ქაღალდების თავისებურებანი, მათი სახეები და როლი, აქციის კურსი, აქციონერული საზოგადოების შექმნა, მათი ფუნქციები და როლი, სასაქონლო და საფონდო ბირჟები, მათი ოპერაციები და როლი.

აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელოს ამოცანას შეადგენს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, იგი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისათვის და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

ფულის არსი, ფუნქციები და როლი

1. ფულის არსი

/ ფული წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების აღმოცენების გარიერაზე. ეს ის პერიოდია, როცა ადგილი აქვს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, საქონელგაცვლის პროცესის განვითარებას, საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის ფორმირების პროცესს. სწორედ ამ პერიოდში, წარმოიშვა ფული, როგორც ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტი, როგორც განსაკუთრებული საქონელი, როგორც საქონელთა საქონელი, საქონლიდან ფულზე გადასვლა—ეს არის საქონლის განვითარება, სასაქონლო ურთიერთობის განვითარების განსაკუთრებული საფეხური, ეს არის სტიქიური, მაგრამ ობიექტურად აუცილებელი პროცესი. ამდენად, ფული სტიქიური ობიექტური კანონზომიერებაა.

მთავარი სიძნელე ფულის ანალიზში გადაილახა იმ მომენტიდან, როცა შუქი მოეფინა ფულის წარმოშობას, აგრეთვე იმ საზღვრების დადგენას, რომელიც საქონელსა და ფულს შორის არსებობს./საქონელმა ფული წარმოშვა იმიტომ, რომ თავის-თავში არსებული წინააღმდეგობა გადაეღობა. საქმე ისაა, რომ საქონელი წინააღმდეგობაა კონკრეტულ და აბსტრაქტულ შრომას, სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას, კერძო და საზოგადოებრივ შრომას შორის.

კონკრეტულ შრომასა და აბსტრაქტულ შრომას შორის წინააღმდეგობა გამოიხატება იმაში, რომ კონკრეტული შრომა თვისებრივად სხვადასხვაგვარია, რაოდენობრივად—გაუზომავი; ხოლო ღირებულება თვისებრივად ერთსახოვანია, რაოდენობრივად გაზომვადია.

სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის წინააღმდეგობა გამოიხატება იმაში, რომ ვერც ერთი საქონელი ვერ შექლებს თავისი სახმარი ღირებულების გამოხატვას საკუთარი ღირე-

ბულებით. მართლაც, როცა საქონელი გამოიყენება როგორც ღირებულება, მაშინ უარი უნდა ითქვას მის სახმარ ღირებულებაზე, ხოლო როცა საქონელი გამოიყენება მხოლოდ როგორც სახმარი ღირებულება, მაშინ უარი უნდა ითქვას მის რეალიზაციაზე.

შრომის ორადი ხასიათი ავლენს საქონლის შესამე წინააღმდეგობას—ეერძო და საზოგადოებრივ შრომას შორის. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე ვითარდება ინდივიდუალურ მწარმოებელთა საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულება. საქონლის წარმოება იძენს უშუალოდ საზოგადოებრივ ხასიათს. ეერძო საკუთრება კი აცალკევებს ერთმანეთისაგან საქონელმწარმოებლებს, რადგან ყოველი მათგანი საქონელს ამზადებს საკუთარი რისკით, რომლის დროსაც მათ უმთავრესად პირადი ინტერესები ამოძრავებთ.

საქონელში მოცემული. ყველა ეს წინააღმდეგობა ხანგრძლივი განვითარების შედეგად ბოლოსდაბოლოს მთავრდება იმით, რომ საქონელს გამოეყოფა ფული, ამით საქონელთა სამყარო იყოფა ორად: საქონლად და ფულად. ამიერიდან საქონელში არსებული წინააღმდეგობის გადაჭრა გაცვლის პროცესში ხდება ფულის მეშვეობით, მაგრამ ეს წინააღმდეგობის საბოლოო გადაჭრას მაინც არ ნიშნავს, იგი მხოლოდ საქონლის მოძრაობის ახალი ფორსაა.

სასაქონლო წარმოების განვითარების საფუძველზე ისტორიულად ყლიბდება ღირებულების შემდეგი ფორმები:

ღირებულების მარტივი ანუ შემთხვევითი ფორმა. ღირებულების ამ ფორმას ადგილი ჰქონდა უკვე პირველყოფილი თემური წყობილების დროს, როცა საქონელგაცვლა გვაროვნულ თემებს შორის წარმოებდა, ამ დროს თემი თავის ნამეტ საქონელში სხვა თემისაგან ღებულობდა იმ ნამეტ საქონელს, რომელიც მას სჭირდებოდა. მაგ., მარილს ცვლიან მხოლოდ თამბაქოზე, ხორბალს მხოლოდ ყავაზე და ა.შ. მაშასადამე, ერთმანეთზე იცვლება ორი ისეთი საქონელი, რომელშიც მოცემულია ერთი და იმავე რაოდენობისა და თვისების შრომა, აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი გაცვლის დროს ერთი საქონელი შეფარდებით ფორმაშია, ხოლო მეორე—ეკვივალენტურში. ასეთ შეფარდებას ჯერ კიდევ შემოახვევითი, ცალკეული ხასიათი აქვს.

შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ /მიწათმოქმედებიდან მეჭოგეობის გამოყოფა/ გამოიწვია რეგულარული გაცვლა მიწათმოქმედ და მეჭოგე ტომებს შორის. შრომის მეორე დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ /მიწათმოქმედებიდან ხელოსნობის გამოყოფა/ კიდევ უფრო განავითარა გაცვლა, რასაც შედეგად მოჰყვა ღირებულების მარტივი ანუ შემთხვევითი ფორმიდან ღირებულების ახალ გაშლად ფორმაზე გადასვლა. აქ უკვე ერთი საქონელი იცვლება არა მხოლოდ წინასწარ გაპროცენტებულ ერთ საქონელზე, არამედ მთელ რიგ სხვადასხვა საქონელზე. მაგალითად, მარილი აქ შეიძლება გაიცვალოს არა მარტო თამბაქოზე, არამედ ყავაზე, ჩაიზე, ტყავზე, ბეწვეულზე და ა.შ. მაშასადამე, აქ უკვე რამოდენიმე საქონელი გამოდის ეკვივალენტური ფორმით.

ღირებულების სრული ფორმა დროთა განმავლობაში თანდათანობით გადადის ღირებულების საყოველთაო ფორმაში. ამ ეტაპზე სხვადასხვა საქონლის ჯადაცვლა ხდება რომელიმე ერთ განსაზღვრულ საქონელზე, თუმცა აქ ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი ისეთი საქონელი, რომელიც მუდმივად ასრულებს საყოველთაო ეკვივალენტის როლს. ამ როლში ხან ერთი, ხან მეორე სახის საქონელი გამოდის. ასეთი საყოველთაო ფორმა არსებობდა მანამ, ვიდრე საქონელთა სამყაროს არ გამოეყო ისეთი საქონელი, რომელიც უკვე მუდმივად ასრულებს საყოველთაო ეკვივალენტის როლს, ასე თანდათანობით საყოველთაო ფორმაც გადადის ღირებულების ფულად ფორმაში. ფულად ფორმაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა საქონელი გამოდის:

მაგალითად, ფულის როლში ისტორიულად გვევლინებოდა: პირუტყვი, ტყავი, ბეწვეული, მარილი, ნიჟარა, ყავა, ჩაი, კაკაოს მარცვალი, თამბაქო, თუთიყუშის ფრთები, ხმელი თევზი და სხვა. ბევრ ძველ ხალხში „ფული“ და „პირუტყვი“ ერთი და იმავე სიტყვას ნიშნავდა. მაგალითად, ლათინურად „პეკუს“ ნიშნავდა პირუტყვს. დღესაც ესპანეთსა და იტალიაში შემორჩენილია სიტყვა „პეკუნია“, რაც ფულს ნიშნავს. ინდოეთში ძველად ერქვა ჰირუტყვს „რუპი“. რუპი კი ამჟამად ინდოეთის ფულის ერთეულის სახელწოდებაა; ძველ სლავურ ხალხებში უმთავრესად გავრცელებული იყო ბეწვი. მაგალითად, ფულს უწოდებდნენ

„კუნის“, რაც „კუნციდან“ /კვერნა/ არის წარმოშობილი. ფულის ერთეულად მიღებული იყო აგრეთვე „ბელკა“ ანუ ციყვის ბეწვი. კიევის რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ XII საუკუნიდან იქ ლითონის ფულია ხმარებაში, იმ შენობას, სადაც ლითონის ფული ინახებოდა მაინც „სკოტნიკას“, ფულს კი—„სკოტნიკს“ უწოდებდნენ. საქართველოშიც უმთავრესად პირუტყვია ცნობილი, როგორც ფული¹. მონღოლებში მიღებული იყო ჩაი, აფრიკის ხალხებში—ლუკოკინას ნიჟარა, ამერიკის ხალხებში—კაკაო, აზიის ზოგიერთ ხალხში თუთიყუშის ფრთები. საინტერესოა ეს ფაქტი, რომ აფრიკის ხალხში ღირებულების საზომს მტრის ბანაკიდან ტყვედ წამოყვანილი ადამიანები წარმოადგენდნენ. ყელაზე უფრო ძვირფას ფულად ითვლებოდა ლამაზი ყმაწვილი და ლამაზი ასული. შემდგომში, ხელოსნობის მიწათმოქმედებიდან გამოყოფისა და ლითონის ფულის შემოღების შედეგად მიმოქცევაში სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა წონითი სისტემა. თავდაპირველად იგი გვევლინება ზოდის სახით. მაგალითად, დღესაც ბევრ ქვეყანაში ფულის ერთეული წონითი ერთეულის გამოხმატველია. ასეთია მაგალითად, ინგლისის გირვანქა სტერლინგი და საფრანგეთის ლივრი (ანუ გირვანქა). ძველ რომში ფულად იყენებდნენ სპილენძის ნატეხებს, რომელიც ასევე განსაზღვრულ წონას გამოხმატავდნენ. შემდეგ უკვე დამკვიდრდა სპილენძის სხვადასხვა ფორმები—კვადრატული, ფირფიტების მაგვარი და ა.შ. და ბოლოს ლითონის ფულმა მრგვალი ფორმა მიიღო, რომლის ორჩვე მხარე მოხატული იყო, ასე წარმოიშვა მონეტა². საუკუნეთა მანძილზე ფული მუდმივ ცვლილებას განიცდის, შეიძლება ითქვას, მისი დღევანდელი მდგომარეობაც (საბოლოო ფაზის თვალსაზრისით) არაა დამთავრებული.

¹ ნ.ჭიავეა, კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, თბილისი 1956 გვ. 9.

² პირველი მონეტები წარმოიშვა ჩინეთში, ძველი ლიდის სამეფოში, ეგვიპტეში VII საუკუნეში ჩვენს ერამდე. დაახლოებით 500 წელს (ჩვენს ერამდე) სპარსეთის მეფემ დარიამ თავის სახელმწიფოში ნოახდინა რა ცომომიკური რევოლუცია, მიმოქცევაში შემოიღო მონეტები ბარტერის ნაცვლად.

ლი.

ფულის მონეტური ფორმა ფართოდ გავრცელდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შიდალ საფეხურზე. კერძოდ, როცა წარმოიშვა ვაჭართა კლასი და როცა უკვე ფულის ნიშნად ძირითადად ოქროს იყენებდნენ.

ისმის კითხვა, რა სპეციფიკურმა თვისებებმა განაპირობეს ოქროს გამოყენება ფულის მასალად?

აქ ასახელებენ ოქროს შემდეგ სპეციფიკურ თვისებებს:

1. თანაბარი რაოდენობით აღებული ოქრო თავისი შინაარსით სავსებით ერთნაირი ლირებულებისაა;

2. შესაძლებელია ოქროს დაყოფა ან შეერთება ისე, რომ არ დაიკარგოს მისი ლირებულება;

3. ოქროს გააჩნია მაღალი საცვლელი ლირებულება; იგი უფრო მეტ ლირებულებას შეიცავს, ვიდრე მისი წონა და მოცულობა.

4. ოქროს გააჩნია უნიკალური ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ხელსაყრელია ოქროს გამოყენება განძის სახით, რადგან იგი მაგარია, არ იჟანგება და კარგად ინახება; ოქროს მონეტები და ოქროს ნაკეთობანი, რომლებსაც ადამიანები პოულობენ მიწაში და წყლის ქვეშ ხშირად ისე გამოიყურებიან თითქოს გუშინ გამოვიდა სახელოსნოდან, სადაც იგი დაამზადეს;

5. ასევე ადვილად შეიძლება ოქროს ზოდის გარდაქმნა ფუფუნების საგნად, ხოლო ოქროს ნივთისა—მონეტად¹.

ამრიგად, ოქრო თავისი თვისებით ყველა ლითონზე უფრო მეტად პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რასაც საერთოდ ფულს უყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოქრო თავისი ბუნებით ფული არ არის, იგი მაინც ფულად იქცეოდა ადამიანთა ურთიერთობის შედეგად. ამ დროს მის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს—იგი ფულია, როგორც მონეტის, ისე ზოდისა და ნივთის სახითაც. ოქრო, სინამდვილეში პირველი ლითონია, რომელიც ადამიანმა აღმოაჩინა. ეს აიხსნება იმით, რომ ბუნება მას მზა სახით იძლევა. სხვა ლითონის მიღებას რთული ტექნოლოგიური პროცესები სჭირდება. ოქროს მისაღებად ნაკლები შრომა იხარჯება, ვიდრე სხვა ლითონზე. ამიტომ, ოქრო უფრო ნაკლებად ფასობდა.

¹ А.В. Аникши, Золото, М., 1984, с. 38-39.

მაგალითად, სტრამბონის მიხედვით იყო ისეთი პერიოდი, როცა ერთი გირვანქა რკინაში 10 გირვანქა ოქროს იძლეოდნენ, ხოლო 2 გირვანქა ოქროში—ერთი გირვანქა ვერცხლს. ოქრომ თავისი უპირატესობა საუკუნეების მანძილზე მოიპოვა დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შედეგად. ოქროს ყველა სხვა საქონელთან ერთად აქვს ერთი უმნიშვნელოვანესი საერთო თვისება: იგი ადამიანთა შრომის პროდუქტია. შრომა ქმნის როგორც ყველა სხვა ჩვეულებრივ საქონლის ღირებულებას, ისე ოქროს ღირებულებასაც. ღირებულების სიდიდე განისაზღვრება შრომის რაოდენობით, რომელიც აუცილებელია წარმოების ჩვეულებრივი პირობების დროს საქონლის ერთეულის დამზადებისათვის, მოცემულ შემთხვევაში კი ოქროს უნციის ან გრამის მოპოვებისათვის. აქედან გამომდინარე, ოქრო იმიტომ იქცა ფულად, რომ იგი საქონელია, ისტორიულად განსაკუთრებული, საყოველთაო ეკვივალენტის როლს ასრულებდა სხვა საქონელთან ერთად, და დიდხანს ეს საყოველთაო ეკვივალენტის როლი მტკიცედ შერჩა მას. როდესაც ოქრომ საქონელთა ღირებულების გამოხატულებაში ამ ადგილის მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა, იგი ფულად საქონლად იქცა. ფული და ოქრო გაიგივებული იყო.

დიდია ფულის ძალაუფლება. ფულით შეიძლება ყოველგვარი საქონლის ყიდვა, ამ მხრივ იგი უსაზღვროა. ცხადია, აქედან გამომდინარე, ფულის დაგროვებისადმი მისწრაფებაც დიდია.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში გავრცელებული იყო მითი იმის შესახებ, რომ ფრიგიის მეფის ხელში ყოველი ნივთი (მათ შორის საქმელ—სასმელიც) ოქროდ (ე.ი. ფულად) იქცევა. ეს მითი მოწმობს დიდ სიხარბეს ოქროსა და ფულისადმი. ლიდიის მეფის კრეზოს სახელს, რომელიც ასევე ოქროზე და ფულზე დახარბებული იყო, უწოდებდნენ ყველა იმ პირს, რომელთაც დიდი სიმდიდრე ჰქონდათ დაგროვებული. სოფოკლე თავის ცნობილ „ანტიგონიაში“ წერდა: „ადამიანთა შორის არაფერს არ შეუქმნია ისეთი ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც ფულს. იგი ანადგურებს ქალაქებს, აძევებს ხალხს სახლებიდან და რყვნის მის გონებას.

კეთილ აღმზიანებს ცულ საქმეზე აქეზებს და ყოველ მოქმედებაში უპატიოსნება შეაქვს“¹.

გენიალური პოეტი შოთა რუსთაველი წერდა:

„ნახე თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა,

ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა...“²

ქრისტეფორე კოლუმბი ერთერთ თავის წერილში (1503 წ.) ოქროს შემდეგნაირად აღმერთებს: „ოქრო საოცარი ნივთია! ვისაც იგი აქვს: ყველაფრის ბატონია, რასაც კი მოისურვებს. ოქრო სულსაც კი სამართხეში მიმავალს გზას უხსნის“³.

აქვე მოვიყვან ოქროს შესახებ უ.შექსპირის „ტიმონ ათინელი-დან“ სიტყვებს:

„ოქრო! ყვითელი, მოელვარე, ძვირფასი ოქრო!..

ამდენი ოქრო, თავმოყრილი, შავს გაათეთრებს,

გონჯს დაამშვენებს, მდაბალს აქცევს კეთილშობილად,

ბებერს—ჭაბუკად, ქალაქუნას—მხნედ და მამაცად⁴.

საქონელმომოქცევისა და ფულის მიმოქცევის საწყის პერიოდში ფულის დაგროვება თვითმიზნად იქცევა. ფულზე დახარბებული კაცი ყოველთვის და ყველანაირად ცდილობს ბევრი გაყიდოს და ცოტა იყიდოს, რათა ფული დააგროვოს. აქ საქმე გვაქვს ფულის დაგროვების გულუბრყვილო ფორმასთან, ე.ი. როდესაც ფულს იყენებენ არა წარმოებრივი მოხმარებისათვის, არამედ ფული ინახება ყულაბებში და ზოგჯერ მიწაშიც კი, მაშინ ცხადია ასეთი დაგროვება გულუბრყვილო ფორმას ღებულობს. რაც შეეხება კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას, აქ გულუბრყვილო ფორმა მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, ფული უმთავრესად ბანკებშია დაბანდებული.

ოქროს მსყიდველობითი უნარიანობა როგორც ყველა საქონლის საცვლელი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მიეკუთვნება ოქროს ერთეულის წარმოებაზე შრომის დასახარჯები

¹ კ. მარქი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954 წ.

² შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი 1953, გვ. 282.

³ კ. მარქი, კაპიტალი, ტ. I, ვვ. 169.

⁴ კ. მარქი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 170.

სხვა საქონლის წარმოებაზე შრომის დანახარჯებს. აქედან ცხადია, იმ შემთხვევაში თუ ოქროს მოპოვებაზე შრომის დანახარჯები უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე სხვა საქონლის წარმოებაზე, მაშინ ოქროს მსყიდველობითი უნარიანობა სხვა თანაბარ პირობებში შემცირდება. პირიქით, თუ შრომის ნაყოფიერება სწრაფად იზრდება ოქროს მოპოვებულ მრეწველობაში, ვიდრე სხვა დარგებში, მაშინ ოქროს მსყიდველობით უნარიანობას ზრდის ტენდენცია ექნება. საქმე რამდენადმე რთულდება იმით, რომ ოქროს მოპოვებელი მრეწველობა განეკუთვნება იმ დარგების რიცხვს, სადაც შრომის ნაყოფიერებაზე გადამწვეტ გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორი—საბადოს სიმდიდრე. ამავე დროს ოქროს მოპოვება უფრო მდიდარი და ნაკლებად მდიდარ საბადოებშიც ხდება და ასეთი საბადოების რიცხვი შეზღუდულია ლითონის ხელმისაწვდომი გეოლოგიური მარაგების ოდენობით.

ფულს გააჩნია სახმარი ღირებულება და ღირებულება, ფულის სახმარი ღირებულება ნიშნავს, იმას, იგი ფულია და ემსახურება საქონელმიმოქცევას, რომ ფულით შეიძლება ყველა საქონლის ყიდვა, ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც ჩვეულებრივ საქონელს არ ახასიათებს.

რაც შეეხება ფულის ღირებულებას, იგი, როგორც ყოველი საქონლის ღირებულება, განისაზღვრება იმ სამუშაო დროის რაოდენობით, რაც საზოგადოებრივად აუცილებელია მისი დამზადებისათვის.

ფულს ფასი არა აქვს, ვინაიდან ფასი სხვა არაფერია თუ არა საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულება, ხოლო ფულის ღირებულების გამოსახვა ფულით შეუძლებელია. ცალკეული მწარმოებლის მიერ დამზადებული საქონელი, როგორც წესი, მიდის ბაზარზე გასაცვლელად. აქ მწარმოებელს ფულის საშუალებით შეუძლია მიიღოს სხვის მიერ მიწოდებული საქონელი. ვაცვლის ამ პროცესში მონაწილე ორივე სახის საქონელი აღირიცხება როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად. /

2. ფულის ფუნქციები

1. ა) ფული როგორც ღირებულების საზომი

ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქციაში შედის მოვალეობა საქონელთა სამყაროს მიაწოდოს მასალა საქონლის ღირებულების გასაზომად.

საქონელში მოცემული კონკრეტული შრომა რომ აბსტრაქტულ შრომაში გამოიხატოს, სახმარი ღირებულება-ღირებულებაში, ხოლო კერძო შრომა საზოგადოებრივ შრომაში, საქონელმა აუცილებლად უნდა გაიაროს ბაზარი და უნდა მონახოს ისეთი მასალა, რომელიც მის ღირებულებას გამოსახავს. ასეთი მასალაა ფული; მაგრამ ფული საქონელს კი არ გადააქცევს საზომად, არამედ საქონელი თვითონ პოულობს ფულს თავისი ღირებულების გასაზომად. ფულს იმიტომ აქვს უნარი გაზომოს სხვა საქონლის ღირებულება, რომ თვითონ მას გააჩნია ღირებულება. ამ დროს აუცილებელი არაა ფულის ნაღდად გამოყენება, საკმარისია იგი მხოლოდ აზრიბრივად, იდიალურად გამოისახოს. დავეშვათ, რომ ეკონომიკურ სისტემას არ გააჩნია ღირებულების საზომი. ამ შემთხვევაში იმის ნაცვლად, რომ ყოველ ცალკეულ საქონელში ერთსახოვნად გამოვსახოთ ფასები დოლარებში, მოგვიხდება ყოველი ცალკეული საქონლის (მომსახურების) გაცვლის პროპორციების დადგენა ყოველი ცალკეული მეორე საქონელზე (მომსახურებაზე). ასეთი რაოდენობის საცვლელი პროპორციების დროს საქონლის (მომსახურების) ღირებულების განსაზღვრა მეტად რთული საქმეა. მაგალითად, ეკონომიკურ სისტემაში წარმოებული 5000 სხვადასხვა საქონლის (მომსახურების) ყიდვა-გაყიდვისთვის საჭირო იქნება გამოყენებული იქნეს არა 5000 ფასი, რაც ღირებულების საზომის მეშვეობით არის გამოსახული, არამედ 12.497.500 საცვლელი პროპორციები!

ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქცია ბორცი-

¹ Эввин Дж. Долан. Цены, банковское дело и денежно-кредитная политика. Москва-Ленинград, 1991, стр. 28.

ელდება ფასის მეშვეობით. ფასი ეს არის საქონლის ღირებულების ფულადი გამოსახვა, როგორც აღნიშნეთ, ფულს ფასი არა აქვს, იგი ვერ გამოვა თავისითავის ღირებულების გამომხატველად, იგი მხოლოდ სხვა საქონლის ღირებულებას ზომავს. /ფასები გამოსახულია რა ფულის ერთეულებში, მოქალაქეს შეუძლია იგი შეუფარდოს სხვადასხვა სახის სქონლის (მომსახურების) ღირებულებას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. თუ ერთი საქონელი ღირს 10 დოლარი, ხოლო მეორე 5 დოლარი, მაშინ ამ საქონელთა შეფარდებით ღირებულება გარკვეულია.

/ფულის ის რაოდენობა, რომელიც გამოიღველმა თავისი საქონლის სანაცვლოდ მიიღო, დამოკიდებულია როგორც ამ საქონელში განავთებულ შრომაზე, ისე ფულში მოცემულ შრომაზე. მაგალითად, თუ 20 კგ. მარცვლის წარმოებაზე დაიხარჯა 10 წუთი საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, ხოლო თითოეულ დოლარში ასეთი შრომის 5 წუთია განსახიერებული, მაშინ ამ 20 კგ. მარცვლის ფასი იქნება 2 დოლარი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობაში ტექნიკის გაუმჯობესების შედეგად 20 კგ. მარცვლის წარმოებაზე იხარჯება არა 10 წუთი, არამედ 5 წუთი საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, მაშინ მისი ფასი ერთი დოლარი იქნება. თუმცა ამ 20 კგ. მარცვლის ფასი შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაშიც, როცა მარცვლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა უცვლელ დონეზეა.

/არც ისაა გამორიცხული, რომ საქონელზე ფასები, ზემოთ აღნიშნული ორი, ე.ი. როგორც საქონლის ღირებულებების ისე ფულის ღირებულების მიზეზით შეიცვალოს ერთსა და იმავე დროს; ასეთ შემთხვევაში ამ ორი მიზეზის სხვადასხვაგვარი შეფარდების მიხედვით საქონლის ფასი შეიძლება ერთ შემთხვევაში შემცირდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში—გადიდდეს. როცა ფასებს ვეხებით, ვგულისხმობთ, რომ საქონლის ფასი მისი ღირებულების ტოლია. მაგრამ ასეთი ტოლობა რეალურია მხოლოდ იმ პირობებში, თუ საქონლის მოთხოვნა—მიწოდება ურთიერთშესაბამისი იქნება. ასეთი შესაბამისობა კი გამორიცხულია, და თუ მოხდება გამონაკლისი, მას მხოლოდ დროებითი ხასიათი ექნება. მოქმედი ფასების ფორმა უშვებს ღირებულებასა და ფასებს შორის რაოდენობრივ დაშო-

რებას.

ამრიგად, საქონლის ფასი ჩვეულებრივ არ შეესაბამება ზუსტად მის ღირებულებას, იგი რამდენადმე მეტი ან ნაკლებია. მაგრამ მოთხოვნა—მიწოდებიდან გამომდინარე, ღირებულება მაინც რჩება იმ წონასწორობის წერტილად, რომლის გარშემოც ფასები მერყობენ. ფასმა ყოველთვის უნდა ასახოს საქონლის ღირებულება. საქმე ისაა, რომ არ არსებობს ისეთი საქონელი, რომელიც ფასში არ იყოს გამოსახული. პროდუქტი, თუ იგი საქონელია, შეუძლებელია ფასში გამოსახვის გარეშე არსებობდეს. ჯერ კიდევ საქონლის დამზადების პროცესში მისი ღირებულება წინასწარ იდეალურად გააზრებულია ფასში. აქ საქმე იმას კი არ ეხება, თუ რა დონის ფასი ექნება საქონელს, არამედ, საერთოდ, იგი როგორც საქონელი აუცილებლად ფასში გამოისახება; ასევე არ არსებობს ისეთი ფასი, რომელიც საქონლის ღირებულებას არ ასახავდეს. ფასი—სხვა არაფერია, თუ არა საქონლის ღირებულების გამოსახვა. ამიტომ არის, რომ ფასი ღირებულების გარეშე არ არსებობს. ცალკეული სახის საქონლის ფასებს შორის შინაგანი კავშირია. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში კ.მარქსს, როდესაც აღნიშნავდა, რომ: პურზე ფასების ზრდა უთანაბრდება სხვა საქონელზე ფასების შემცირებას და პირიქით.

ფულმა, როგორც ღირებულების საზომის ფუნქციამ აუცილებლობით წარმოშვა ფასების მასშტაბი. ფასების მასშტაბი განისაზღვრება ფულის ერთეულში მოცემული ლითონის გარკვეული წონითი რაოდენობით. ღირებულების საზომის ფუნქციასა და ფასების მასშტაბს შორის არსებობდა არსებითი განსხვავება, რაც რაც გამოწვეული იყო ისტორიული განვითარებით. როდესაც პირველად მონეტების მოჭრა დაიწყო, მაშინ ფასების მასშტაბი ზუსტად ემთხვეოდა მის წონით მასშტაბს. გირვანქა სტერლინგი პირველად მართლაც გირვანქა ვერცხლს წარმოადგენდა, მაგრამ ისტორიულმა განვითარებამ ფასების მასშტაბი თანდათანობით გამოაცალკევა წონით მასშტაბისაგან. ამის მიზეზი იყო მონეტის წონითი მასშტაბის შემცირება, კაცობრიობა თანდათან გადაიოდა მცირე ღირსების ლითონიდან უფრო მაღალი ღირსების ლითონზე, მაგალითად, სპილენძიდან ვერცხლზე, ვერცხლიდან ოქროზე.

ისტორიულად სწორედ ამან განაპირობა წინააღმდეგობა მონეტის ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის.

ერთი და იმავე საქონლის ფასი გამოისახებოდა სხვადასხვა ერთეულებში, ამ ერთეულებში კი ლითონის სხვადასხვა წონითი რაოდენობა იყო მოცემული. მიუხედავად ამისა, ოქროს საერთო მასა, რომლითაც საერთოდ საქონლის ღირებულება გაიზომებოდა ოქროს ერთეულის სხვადასხვა შემცველობისას, მაინც ყოველთვის ერთი და იგივე რჩებოდა. მაგალითად, ერთი და იმავე საქონლის ღირებულების ფასი შეიძლება გამოისახულიყო როგორც 50 ფრანკით, ისე ერთი დოლარით და მაინც ოქროს მასა ორივე ფულად ერთეულში ერთნაირი იყო. ოქროს ღირებულების შეცვლა არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა ფასების მასშტაბზე. ოქროს ღირებულების შეცვლას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ხელი შეეშალა ფასების მასშტაბის ფუნქციის შესრულებაში, როგორც არ უნდა შეცვლილიყო ოქროს ღირებულება, მისი განსაზღვრულ რაოდენობათა ღირებულებანი ერთმანეთს შორის ერთსა და იმავე დაშოკიდებულებაში იყვნენ. მაგალითად, თუ ოქროს ღირებულება 100%-ით შემცირდებოდა, მაშინ 2 გრ. ოქრო ძველებურად ორჯერ მეტი ღირებულების მატარებელი იქნებოდა.

ამრიგად, ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის გამოსახვის ერთ-ერთ ნაცად ხერხს წარმოადგენდა ფულის ერთეულის ოქროს შინაარსის დადგენა, მაგალითად, ვშშ-სტატების დოლარის ოქროს შინაარსი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეადგენდა: 1 დოლარი 0,888 გრამ წმინდა ოქროს. თეორიულად ეს ნიშნავდა, რომ ერთი დოლარის ფასად წარმოებელი საქონელი და 0,888 გრამი წმინდა ოქროს მოპოვება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის თანაბარ დანახარჯებს მოითხოვდა. მოცემული შეფარდებიდან გამომდინარე ყალიბდებოდა საქონელზე საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების კონკრეტულ შეფარდებაზე ორიენტირებული ფასების მასშტაბი, რომელიც ოქროს კონკრეტული წონითი რაოდენობის მოპოვებაზე ანალოგიური დანახარჯების თანაბრად იყო. პრაქტიკულ ცხოვრებაში მოთხოვნა-მიწოდების

გავლენით, ღირებულებიდან ფასების დონის გადახრების მიუხედავად, ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის საფუძველს მაინც ოქროს ოფიციალური შინაარსი წარმოადგენდა. მაგრამ დროდადრო ოქრომ, როგორც საქონლის ფასმა, მევეთრად იწყო ზრდა, რის შედეგად დასავლეთის ქვეყნების შავ ბაზარზე ოქროს ფაქტიურმა ფასმა რამდენადმე გადაამეტა საკანონმდებლო გზით დადგენილ ვალუტის ოქროს შინაარსს. მართლაც, 70-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებმა უარი თქვეს ვალუტის ოფიციალური ოქროს შინაარსზე და ვალუტების მსყიდველობითი უნარიანობის განსაზღვრა დაიწყო უცხო ვალუტებთან შედარების გზით.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ 30-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე ყოფილი საბჭოთა მანეთის ოფიციალური ოქროს შინაარსი ასევე არ იყო რეალური, იგი მსყიდველობით უნარიანობასთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლებული აღმოჩნდა შინაგან ბაზარზე, ხოლო საგარეო ბაზარზე, როგორც ცნობილია, 70-იან წლების ბოლოდან საბჭოთა მანეთი საერთოდ არ ფუნქციონირებდა.

ბ) ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება. ეს ფუნქცია უშუალოდ საქონელმიმოქცევასთან არის დაკავშირებული. საქონელი, რომ საქონელმწარმოებლიდან მყიდველის ხელში გადავიდეს. ამისათვის საქონლის ღირებულების მხილოდ ფულადი ფორმით გამოხატვა, ე.ი. მის მიერ მხოლოდ ღირებულების საზომის ფუნქციის განხორციელება საკმარისი არ არის. საჭიროა აგრეთვე საქონელი რეალიზებული იქნეს ფულზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ფულმა უნდა შეასრულოს მიმოქცევის საშუალების ფუნქცია.

მიმოქცევის საშუალების ფუნქცია არსებითად განსხვავდება ღირებულების საზომის ფუნქციისაგან: ჯერ ერთი, ღირებულების საზომის ფუნქციას ფული ასრულებს იდიალურად, მხოლოდ როგორც წარმოდგენაში არსებული ფული. მიმოქცევის საშუალების ფუნქციის შესრულებისას ფული რეალურად, ნაღდი ფულის სახით უნდა არსებობდეს; მეორე, ღირებულების საზომის ფუნქცია შეიძლება შესრულდეს მხოლოდ სრულფასოვანი ფულით, ხოლო მიმოქცევის საშუალების ფუნქცია — არასრულფასოვანი, ქალაღის ფულითაც.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე ეს ფუნქცია, ქმნის ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობას, ე.ი. ერთი ფუნქცია აპირობებეს მეორეს. ლითონის ფულის მიმოქცევის დროს ფული ვერ შეასრულდებდა ღირებულების საზომის ფუნქციას, თუ იგი რეალურად არ იქნებოდა ბრუნვაში. როგორც სასურველი ღირებულება. მაგრამ, ასევე ლითონური სრულფასოვანი ფულიც ვერ გახდებოდა მიმოქცევის საშუალება, თუ ის არ იქნებოდა ღირებულების საზომი.

თავდაპირველად საქონელგაცვლა უშუალოდ საქონლის საქონელზე /ს-ს/ გაცვლით ხორციელდება. ფულის წარმოშობის შემდეგ ამ გაცვლის ფორმა შეიცვალა: 1/ ახლა უკვე ჯერ საქონელი იყიდება ფულზე და იგი ფულად გადაიქცევა /ს-ფ/; 2/ შემდეგ ფულით ყიდულობენ საქონელს და ფული ისევ საქონლად გადაიქცევა /ფ-ს/. მაგრამ თუ ეს ყიდვა /ფ-ს/ ამავე დროს გაყიდვაც არის, მაშინ ორივე ეს ფაზა მთლიანობაში ერთ წრებრუნვას შეადგენს /ს-ფ-ს/. ე.ი. წარმოქმნება სასაქონლო ფორმა. ამ ფორმულაში /ს-ფ-ს/ ფული შუამავლის როლში გამოდის, აქ ყიდვა-გაყიდვის აქტები ერთმანეთს შორდებიან, დამოუკიდებელი ხდებიან ისე, რომ არ ემთხვევიან დროსა და სივრცეში. ასე მაგალითად, საქონელმწარმოებელს შეუძლია თავისი საქონელი გაყიდოს დღეს, ხოლო იყიდოს იმავე დღეს ან ერთი კვირის, ერთი თვის და ა.შ. ასევე მას შეუძლია საქონელი გაყიდოს ერთ ბაზარზე, ხოლო შეიძინოს სხვა ბაზარზე. ამგვარად, ფული როგორც მიმოქცევის საშუალება არ არის შებოქილი უშუალო გაცვლის ინდივიდუალური, დროისა და სივრცის საზღვრებით. საქონელგაცვლის დროს, მართალია, საქონლისა და ფულის მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება, მაგრამ იგი მაინც ერთდროულად ხდება. ერთი შეხედვით ჩანს, რომ თითქოს საქონელ-მიმოქცევის წრებრუნვაში ფული პირველადია, ე.ი. თითქოს იგი იწვევს საქონლის მიმოქცევას, ვინაიდან ფული ყოველთვის დევნის საქონელს მიმოქცევიდან და მის ადგილს იჭერს, ხოლო შემდეგ ფულიც გამოდის მიმოქცევიდან. სწორედ ეს გარემოება ქმნის იმის მოჩვენებითობას, რომ თითქოს ფულია პირველადი, ხოლო საქონელი-მეორადი, სინამდვილეში კი პირიქითაა. მაგრამ ეს სრულებით

არ ამცირებს ფულის ზემოქმედებას საქონელმომოქცევაზე.

მიმოქცევის საშუალების ფუნქციაში ფული უბრალო ტექნიკური საშუალება კი არ არის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი არსებითი მხარეა, რომელიც ასახავს საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის მოძრაობის პროცესს. ფულის გამოყენება მიმოქცევის საშუალების ფუნქციაში ხელს უწყობს მიმოქცევის ხარჯების შემცირებას, მიმოქცევის ეკონომიას. ფულადი გაცვლა მოითხოვს საკმაოდ მცირე ძალასა და დროს, ვიდრე ბარტერული გაცვლა. ფული ამცირებს რა მიმოქცევის ხარჯებს, ამავე დროს ხელს უწყობს საზოგადოების საერთო კეთილდღეობის ზრდას. ფული ამ ფუნქციაში მის მფლობელს ანიჭებს საყოველთაო მსყიდველობით უნარს, ამასთან, იგი შესაძენი საქონლის ასორტიმენტის, რაოდენობის, ყიდვის ადგილისა და დროის შერჩევის მეტად მოქნილი საშუალებაა. მართალია, ფულის გამრეკება ჩვეულებრივ ამცირებს მიმოქცევის ხარჯებს, მაგრამ ბარტერული გაცვლა მაინც შენარჩუნებულია, ზოგჯერ თანამედროვე პირობებში მისი მოცულობა გაზრდილია კიდევ. მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაციის მაღალი დონეა, ვაჭრობა ბარტერის დახმარებით შეიძლება უფრო უკეთესი იყოს, ვიდრე ფულის გამოყენება!

გ) ფული, როგორც გადახდის საშუალება, საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის განვითარებასთან ერთად ვითარდება ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია.

ფულის მიმოქცევა იყოფა ორ სფეროდ: შემოსავლის ხარჯვად და კაპიტალის ხარჯვად. პირველ სფეროში, სადაც სდება ნაღდი ფულის ბრუნვა, ფული ფუნქციონირებს უმთავრესად როგორც მიმოქცევის საშუალება; ხოლო მეორე სფეროში, სადაც წარმოებს უნაღდო ფულადი ბრუნვა, ფული უმთავრესად ფუნქციონირებს როგორც გადახდის საშუალება. ორივე სფერო ურთიერთკავშირშია. ერთი საქონელმფლობელი საქონელს მიჰყიდის მეორეს, ეს მეორე არის მყიდველი, რომელიც ამავე დროს უბრალო წარმომადგენელია მომავალი ფულისა, აქ მყიდველი საქონლის მიღებისთანავე გამყიდველს ფულს ვერ უხდის, ნისიად იძენს მას, რაც

1. Эдвин Дж. Долан. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика, Москва-Ленинград, 1991, стр. 28.

გარკვეული დროით მყიდველს აქცევს მევალედ, ხოლო გამყიდველს—კრედიტორად. მაშასადამე, აქ საქონლის გაყიდვა და ყიდვა სცილდება იან ერთმანეთს დროში, ამას კი იწვევს შემდეგი გარემოება:

ცნობილია, რომ საქონლის ერთი ჯგუფის წარმოების დრო მოკლეა, მეორესი—ხანგრძლივი. მაგალითად, ხორბლის წარმოებისათვის ფერმერს სჭირდება რამოდენიმე თვე, იგი ფულს მიიღებს მხოლოდ მოსავლის აღებისა და მისი რეალიზაციის შემდეგ. იმისათვის, რომ ფერმერმა შესძლოს წარმოების პროცესის განხორციელება, იგი იძულებულია კრედიტით იყიდოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები, თესლი და სხვა. ფერმერი კრედიტს მოითხოვს მაშინ, როცა მისი ფერმა დაშორებულია ბაზართან და საქონლის ტრანსპორტირებასა და გასაღებასთან დაკავშირებითი სიძნელეები ექმნება. ყოველივე სწორედ მსგავსი გარემოებანი წარმოშობენ საკრედიტო ურთიერთობებს მხარეთა შორის.

ასევე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სეზონურობა მთელ რიგ დარგებში, პროდუქციის რეალიზაციამდე, საწარმოთა მიერ სეზონურ დანახარჯებს მოითხოვს. მაგალითად, გადამამუშავებელ მრეწველობაში საჭირო კრედიტის მეშვეობით შეიძლება შექმნილი იქნეს ნედლეული, რომლის რეალიზაციაც ხდება თანდათანობით მათი გადამამუშავების კვალობაზე.

ფული, როგორც გადახდის საშუალება, ფუნქციონირებს წარმოების გარეშეც, მაგალითად, ხელფასის გაცემისა და ფინანსური ვალდებულებების დაფარვის /სესხები, გადასახადები, გადასახდევები, მიწისა და შენობის იჯარა და სხვა/ დროს.

ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია განსხვავდება მიმოქცევის საშუალების ფუნქციისაგან. მიმოქცევის საშუალების ფუნქციაში ფული გამოდის როგორც შუამავალი საქონელგაცვლაში, ხოლო გადახდის ფუნქციაში—როგორც საქონელგაცვლის პროცესის დამამთავრებელი.

საკრედიტო ურთიერთობის არსებობა განაპირობებს დაშორებას საქონლის გასხვისების აქტსა და ფულის გადახდის აქტს შორის. საქონლის გაყიდვის დროს ფასის განმსაზღვრელად გამოდის ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქცია, ხოლო გადახ-

დის ვადის დადგომისას, — ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია. აქ გამორიცხულია შემხვედრი და ერთდროული მოძრაობა საქონელსა და ფულს შორის, როგორც ამას მიმოქცევის საშუალების ფუნქციის დროს აქვს ადგილი. ფული, როგორც გადახდის საშუალების მოძრაობა, სავალო ვალდებულების არსებობის გამომხატველია.

დ) ფული, როგორც დაგროვების საშუალება. ფულის ეს ფუნქცია შეიძლება გამოისახოს ფორმულით: ს-ფ. აქ საქონლის გაყიდვა ხორციელდება არა ყიდვისათვის, არამედ ფულის მიღებისათვის. მაგრამ საქონელმწარმოებელს არ შეუძლია მხოლოდ გაყიდოს და არ იყიდოს. ამიტომ ფორმულა ს-ფ არის ფორმულის ს-ფ-ს არა მარტო ლოგიკური, არამედ პრაქტიკული ნაწილიც. ფულის დაგროვებას ადგილი აქვს იქ, სადაც საქონელმწარმოებელი თავის საქონელს ყიდის უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე ყიდულობს. ამიტომ დაგროვების ფორმულა შეიძლება გამოისახოს ასე: ს-ფ-ს¹, სადაც ს¹ ს-ზე უფრო ჰცირავს.

ფორმულაში ს-ფ ფული-შუამავალი კი არ არის, არამედ გაყიდვის მიზანია. სწორედ ამაში გამოიხატება ამ ფუნქციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

ფულის დაგროვება „წმინდა განძის“ ფორმით დამახასიათებელი იყო როგორც მონათმფლობელური, ისე ფეოდალური საზოგადოებისათვის. დაგროვების ასეთი ფორმა ამუხრუჭებდა ეკონომიკის განვითარებას, მეურნეობის კაპიტალისტურმა სისტემამ კი, პირიქით, სტიმული მისცა, რომ დაგროვებული ფული კაპიტალად გადაქცეულიყო.

მიმოქცევაში ფულადი მასის ცვლილებას იწვევს საქონლის რაოდენობა და ამ საქონელზე არსებული ფასის შეცვლა. ამიტომ ფულად მასას მიმოქცევაში ყოველთვის უნდა ჰქონდეს როგორც გაფართოების, ისე შეკუმშვის უნარი.

ლითონის ფულის მიმოქცევის დროს აუცილებელია ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა ქვეყანაში აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რომელიც ფაქტიურად სამონეტო ფუნქციის შესრულებისათვის არის საჭირო. ამის მიღწევა კი ფულის განძად გადაქცევის საშუალებით შეიძლებოდა. ფულს, საჭიროების შემთხვევაში,

შეედლო გამოსულიყო განძის მდგომარეობიდან და გაეფართოებინა ფულის მიმოქცევა ანდა, პირიქით, გამოსულიყო მიმოქცევიდან და განძად გადაქცეულიყო.

თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში დაგროვების ფუნქცია რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მაგალითად, იგი აღარ გვევლინება სტიქიური რეგულატორის როლში, მაგრამ ბანკო-ტების სახით კვლავინდებურად რჩება დაგროვების ფუნქციის შემსრულებლად, როგორც საბელმწიფოს, ისე კერძო პირების ხელში.

ფულს თავისი ფორმით არა აქვს საზღვარი, ე.ი. წარმოადგენს საყოველთაო სიმდიდრის მატერიალიზაციას, რომელიც, ამასთანავე, ყოველთვის შეიძლება გადაიქცეს ყოველგვარ საქონლად, მაგრამ, ამავე დროს, ყოველი რეალური ფულადი თანხა რაოდენობრივად შეზღუდულია.

კაპიტალიზმის განვითარება ძირს უთხრის ამ ფუნქციის ეკონომიკურ საფუძველს: ეს განპირობებულია ორი ფაქტორით: ჯერ ერთი, კაპიტალიზმი წარმოებისათვის უფრო მქალაქრ მამოძრავებელ სტიმულს იძლევა ვიდრე განძის დაგროვებაა. დაგროვებული ფული უძრავად დევს, და ეს მაშინ, როცა ფული, როგორც კაპიტალი, რეალური დაგროვებაა; განძის შექმნისა და დაგროვების საშუალებებს. ფუნქციის რღვევის მეორე ეკონომიკური საფუძველია ქალაქის ფულის მიერ მიმოქცევიდან ოქროს განდევნა.

ზემოთ აღნიშნულ ფულის ფუნქციებთან დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განსაზღვრა.

ყოველი საქონელი მიმოქცევაში შედის განსაზღვრული ფასითა და რაოდენობით. საქონლის რეალიზაცია ფასის მეშვეობით ხორციელდება. დაუშვათ, რომ ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილია 10,0 ათასი დოლარის საქონელი. კითხვა ისმის, საქონელბრუნვა ნორმალურად რომ წარიმართოს მხოლოდ 10,0 ათასი დოლარი იქნება საჭირო ბრუნვაში?

ცხადია, არა. ცნობილია, რომ ყოველ დოლარს ერთ დღეს შეუძლია მრავალჯერ მოემსახუროს ბრუნვას და საქონელთა შორის შუამავლის როლი შეასრულოს უფრო მეტი თანხის რაოდენობით, ვიდრე დოლარია. ვთქვათ, ფერმერმა ერთ დოლარად გაყიდა ხილი

და იქვე იმ დოლარით იყდა ქსოვილი, ხოლო ქსოვილის მეპატრონემ—მატყლი. გამოვა, რომ ერთი დოლარი დღის განმავლობაში სამჭერ მონაწილეობდა საქონელბრუნვაში და მოემსახურა 3 სხვადასხვა საქონელს, ე.ი. მან სამი ბრუნვა გააკეთა.

მაგრამ ყველა დოლარი გააკეთებს ამდენივე ბრუნვას? ცხადია არა. დღის განმავლობაში სხვადასხვა დოლარის ბრუნვა და მოძრაობა განსხვავებულია. ამიტომ საქიროა გავიანგარიშოთ ის საშუალო სისწრაფე, რომლითაც დოლარი საშუალოდ ბრუნვავს მიმოქცევაში.

ცნობილია, რომ მიმოქცევისათვის საქირო ფულის რაოდენობა უდრის მიმოქცევაში არსებული ყველა საქონლის ფასების ჯამს გაყოფილს ფულის ერთეულის /ამ შემთხვევაში დოლარის/ ბრუნვის საშუალო რიცხვზე. თუ თითოეული დოლარი დღეში საშუალოდ 5 ბრუნვას გააკეთებს, მაშინ ჩვესი მაგალითის მიხედვით ბაზარზე საქირო იქნება არა 10,0 ათასი, არამედ 10,0x5, ე.ი. 20 ათასი დოლარი.

მაგრამ ვიცით, რომ ფული ყოველთვის არ არის ბრუნვაში და მიმოქცევაში საქონელთან ერთად, ჩვენ ისიც ვიცით, რომ საქონლის რაოდენობა ბაზარზე ასევე ყოველთვის ერთ დონეზე არ არის. მაგალითად, თუ ხვალ ბაზარზე ნაკლები საქონელი იქნება, ანდა ფული უფრო სწრაფად იტრიალებს, მაშინ მიმოქცევისათვის საქირო ფულის რაოდენობა აუცილებლად შემცირდება, ხოლო ბრუნვიდან გამოსული ზედმეტი ფული დაგროვების სახეს მიიღებს. მაგრამ ფულის ასეთი დაგროვება შეიძლება მოხდეს არა მარტო მაშინ, როცა ფულის რაოდენობა მეტია, ვიდრე ეს მიმოქცევისათვის არის საქირო, არამედ მაშინაც, როცა თვით საქონლის ხასიათი ანდა საბაზრო პირობები იძულებულს ხდის ფულის დაგროვებას. მაგალითად, კაპიტალისტს სურს შეიძინოს ტექნიკურად უფრო სრულყოფილი მანქანა-იარაღები, მაშინ იგი ფულს მანამდე დააგროვებს, ვიდრე მის საქირო რაოდენობას არ შექმნის.

არც ისაა გამორიცხული, საქონელბრუნვის პირობები ისე მოეწყოს, რომ მყიდველმა მისთვის საქირო საქონელი უფრო ადრე შეიძინოს, ვიდრე მასში ფულს გადაიხდიდეს, ე.ი. მიმართოს

კომერციულ კრედიტს საქონლის ნისიად შექმნის მიზნით. ამიტომ, თუ დღეს საქონლის გარკვეული ნაწილი არა ნაღდ ფულზე, არამედ ნისიად გაიყიდა, მაშინ ამ საქონლის ფასის გადასახდელად დღეს ფული უკვე საჭირო აღარ იქნება და ამიტომ ნისიად გაყიდული საქონლის ფასების ჯამი უნდა გამოაკლდეს დღეისათვის ბრუნვის საჭირო ფულის რაოდენობას.

მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან აღვილი შესაძლებელია დღეს სწორედ ამ საქონლის ფასის გადახდის ვადა დადგეს, რომლის რეალიზაციაც ნისიად მოხდა რამდენიმე ხნის წინათ. ამიტომ ფულის იმ რაოდენობას, რომელიც დღეს არის ბრუნვაში, უნდა მივმატოვებ ფულის ის რაოდენობა, რომელიც სხვადასხვა გადასახდელებისა და გადასახადების დასაფარავად არის საჭირო.

მაგრამ ასეთი ვალდებულებები შეიძლება დაიფაროს ნაღდი ფულის გარეშეც, სავალო ვალდებულებათა ურთიერთანგარიშსწორების გზით. ამიტომ აუცილებელია ურთიერთდამფარავ გადასახდელთა ჯამი გამოაკლდეს მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობას.

ამრიგად, მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა დამოკიდებულია:

1. მიმოქცევაში არსებულ საქონელთა ფასების ჯამზე;
2. ნისიად გაყიდულ საქონელთა რაოდენობაზე;
3. ვადიან გადასახდელთა ჯამზე;
4. ურთიერთდამფარავ გადასახდელთა ჯამზე;
5. ფულის ერთეულის ბრუნვის საშუალო რიცხვზე.

ზემოაღნიშნული შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით: მიმოქცევაში საჭირო ფულის რაოდენობა = $(A+B+V-G):D$, სა-

დაც:

A—არის საქონელთა ფასების ჯამი;

B—ნისიად გაყიდული საქონლის რაოდენობა;

V—ვადიან გადასახდელთა ჯამი;

G—ურთიერთდამფარავი გადასახდელთა ჯამი;

D—ფულის ერთეულის ბრუნვის სისწრაფე. /

ე) ფული როგორც მსოფლიო ფული. ამ ფუნქციის წარმოშობა და განვითარება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობასთან, პირველ რიგში კი მსოფლიო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ოქროს მონომეტალიზმის სისტემის არსებობის პერიოდში, ე.ი. მიმოქცევის სფეროში ოქროს მონეტებისა და ოქროზე გადახურდავებული საკრედიტო ფულის (ბანკნოტების) ტრიალის დროს, ფული შეუფერხებლევ ფუნქციონირებდა მსოფლიო ფულად ბაზარზე. მაგრამ, თანამედროვე ეტაპზე, იმასთან დაკავშირებით, რომ მიმოქცევაში არ არის ოქროს მონეტები და საკრედიტო ფული (ბანკნოტები) არ ხურდავდება ოქროზე, მსოფლიო ფულის როლში გამოდის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტები. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, გადახდების ხასიათებიდან გამომდინარე, მსოფლიო ფულს შეიძლება ჰქონდეს სამი ფორმა: 1 გადახდის საშუალების; 2. მსყიდველობითი საშუალების და 3. საზოგადოებრივი სიმდიდრის აბსტრაქტული მატერიალიზაციის საშუალების ფორმა.

მსოფლიო ფული, როგორც გადახდის საშუალება, მონაწილეობს ქვეყნის საგადახდებლო ბალანსის გათანაბრებაში. მსოფლიო ფული, როგორც მსყიდველობითი საშუალება, გამოიყენება საქონლის ცალმხრივი შესყიდვის დროს, როცა დარღვეულია ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა მოუსავლიანობის ანდა სხვა სტიქიური უბედურების გამო. საზოგადოებრივი სიმდიდრის აბსტრაქტული მატერიალიზაციის ფორმაში კონვერტირებადი ვალუტების გამოყენება წარმოებს ქვეყნის ოქრო-სავალუტო რეზერვების შევსებისა და სხვა ქვეყნებზე კრედიტების გაცემის დროს.

ახალ პირობებში, მსოფლიო ფულის მიმოქცევის დარგში, ახალი მოვლენები წარმოიშვა. აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, როდესაც მსოფლიო ფულის სახით მიმოქცევის სფეროში გვევლინებიან რიგი ქვეყნების ფულის ნიშნები (ვალუტები). მაგალითად, მსოფლიო ბაზარზე მიმოქცევა აშშ-ტატიების დოლარი, ინგლისის გირვ. სტერლინგი, საფრანგეთის ფრანკი, გერმანიის მარკა, შვეიცარიისა და ბელგიის ფრანკები და ა.შ.

ქალაქის ფულის ნიშნის (ვალუტის) მსოფლიო არენაზე გა-

მოჩენა ნიშნავს იმას, რომ ჯერ ერთი, მსოფლიო ყოველგვარ ფორმებში გამოიყენება ქალაქის ფულიც (ვალუტა); მეორე, ამ სფეროში ქალაქის ფულის ნიშანი ვალდებული არ არის მოიშოროს თავისი „ნაციონალური მუნიციპალიტეტი“, და მესამე, თანდათან იკვეთება ქალაქის ფულის ნიშნის შედარებითი თავისთავადობა და მიმოქცევის საშუალების ფორმაში მისი გამოყენების შემდგომი გაძლიერება.

ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ქალაქის ფულის ნიშნის გამოსვლა მსოფლიო არენაზე?

საქმე ისაა, რომ კაპიტალიზმში ჩამოყალიბდა მსოფლიო სისტემა, რამაც განაპირობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების არსებული გაძლიერება. ადგილი აქვს შრომის უზარმაზარ განზოგადებას, წარმოების ინტერნაციონალიზაციას, შრომის საერთაშორისო დანაწილების გაძლიერებას. ახალ პირობებში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი მსოფლიოს ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ვაჭრობისა და ეკონომიკურ სახესღებულობს, ამასთანავე ეს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა გაფართოებული კლავწარმოების აუცილებელ პირობად გვევლინება.

ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ვითარებაში არსებული ვალუტების ერთი ნაწილი კონვერტირებული ვალუტებია საერთაშორისო ბაზარზე. ვალუტის კონვერტირება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის, არის არა მარტო ამა თუ იმ კურსით მისი გადაცემა მეორე ვალუტაზე, არამედ საგარეო ეკონომიკური კავშირების განსაზღვრული რეჟიმიც, რომელიც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას ემყარება. კონვერტირების მთავარი პირობაა—დინამიურად განვითარებადი შინაგანი ბაზარი, ეფექტიანი ეროვნული წარმოება, კონკურენტუნარიანი ექსპორტი, აქტიური სავაჭრით დაკავშირებული ბალანსი, სავალუტო რეზერვების საკმარისი დონე, ფასებისა და სავალუტო კურსის შეფარდებითი სტაბილურობა, აგრეთვე საკმარისად განვითარებული სავალუტო ბაზარი.

ფულის ფუნქციებს შორის მჭიდრო კავშირი და ერთიანობა არსებობს. შინაარსობრივად ისინი ერთმანეთს განაპირობებენ.

ფულის როგორც ღირებულების საზომის ფუნქციისა და მიმოქცევის საშუალების ფუნქციას შორის კავშირი მდგომარეობს შემდეგში: როცა ფული ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს, მაშინ ხდება ცალკეული მწარმოებლის შრომის გარდაქმნა საზოგადოებრივ შრომად. მაგრამ ასეთი გარდაქმნა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმის დასაბუთებისათვის, რომ მწარმოებლის შრომა ნამდვილად ესაჭიროება საზოგადოებას. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე ფული ასრულებდეს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას. ამდენად საქონელში გამოხატული კერძო და საზოგადოებრივი შრომა მიათხოვს ამ ორი ფუნქციის არსებობას. საქონლის ფულადი გარდაქმნისათვის აუცილებელია ღირებულების საზომის ფუნქციისა და მიმოქცევის საშუალების ფუნქციის ერთიანობა.

ამ ორ ფუნქციასთან მჭიდრო კავშირშია დაგროვების ფუნქციაც: დაგროვება იქმნება საკრედიტო ფულის სახით. ფული კი გამოიყენება ყველა საქონლის ღირებულების საზომად. ამიტომ ფული მიმოქცევიდან გასულიც რომ იყოს და დაგროვებაში მოხვდეს, იგი პოტენციურად მაინც მიმოქცევის საშუალებად რჩება. ფულით ხომ ყოველთვის შეიძლება იყიდო ყოველნაირი საქონელი.

ფული როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია, ისტორიულადაც და ლოგიკურადაც მოითხოვს სამივე ფუნქციის განვითარებას. ვიდრე ფული გადახდის საშუალების ფუნქციას შეასრულებდეს, მან ჯერ უნდა შეასრულოს ღირებულების საზომის ფუნქცია. სწორედ ამის საფუძველზე ხდება საეალო ვალდებულების თანხის დადგენა და კრედიტის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაფარვა. ფული როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია, ისტორიულად სხვა არაფერია თუ არა მიმოქცევის საშუალების ფუნქციისა და დაგროვების ფუნქციის განვითარება. მართლაც, კომერციული კრედიტი წინ უსწრებდა საბანკო კრედიტს, საქონლის ნისიად გაყიდვა—ნაღდ ფულზე გაყიდვას, ხოლო კრედიტორისა და მგვალეს შორის ურთიერთობა—ფულად დაგროვებას.

მსოფლიო ფულის ფუნქციაც, როგორც ისტორიულად, ისე ლოგიკურად ასევე აუცილებლობით მოითხოვს ფულის ყველა სხვა დანარჩენი ფუნქციის არსებობას. მსოფლიო ფული ვერ შეასრულებდა საყოველთაო მყოფელობით ფუნქციასა და საყოველთაო

გადახდის ფუნქციას, რომ იგი ამასთანავე არ ასრულებდეს ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, გადახდისა და დაგროვების საშუალებების ფუნქციებს ქვეყნის შიგნით. თავის მხრივ, მსოფლიო ფულს საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლა და საზოგადოებრივი სიმდიდრის აბსტრაქტული მატერიალიზაციის გამომხატველად გარდაქმნა შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ყველა ქვეყანაში სიმდიდრის საყოველთაო გამომხატველი იქნება.

3. ფულის როლი

დიდია ფულის როლი სამეურნეო ცხოვრებაში. ფული მომსახურეობას უწევს საქონელწარმოებასა და საქონელმიმოქცევას. ფულის მოძრაობა საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში განპირობებულია საქონელთა მოძრაობით.

ფულადი ფორმით გამოიხატება საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის სიდიდე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპები, დაგროვებისა და მოხზარების ფონდები, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ოდენობა, ფულით აღირიცხება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დანახარჯები, განისაზღვრება თვითღირებულება, მოგება და სხვა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები.

ფულის მეშვეობით ხდება საკრედიტო ურთიერთობა ბანკებსა და საწარმოებს შორის. ეროვნული შემოსავლის ჩამოყალიბება, მისი განაწილება—გამოყენება, სახელმწიფო ბიუჯეტის, გადასახადების, სესხების, ინფლაციის რეგულირება, აგრეთვე საწარმოებისა და მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობაზე ზემოქმედება და კონტროლი. კვლავწარმოებაც, რომლის ფესვები წარმოების სფეროში ძევს, უშუალოდ მაინც ფულად სფეროში გვევლინება. ფული გამოიყენება აგრეთვე ომების მომზადებისა და წარმართვის დაფინანსებისათვის.

ფული ასევე დიდ როლს თამაშობს საქონელმწარმოებელთა დიფერენციაში. ის საქონელმწარმოებელი, რომელიც ფლობს უფრო სრულყოფილ წარმოების საშუალებებს, საქონელს საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან შედარებით ნაკლები

დანახარჯებით აწარმოებს და, მაშასადამე, უფრო მეტი ოდენობით ფულს ლებულობს, ვიდრე ის მწარმოებელი, რომელიც საქონელს ამზადებს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების დონეზე ან მასზე მეტი დანახარჯებით. ყოველი ინდივიდუალური კაპიტალი თავის წრებრუნვაში თანმიმდევრულად ლებულობს ჯერ ფულად, ხოლო შემდეგ საწარმოო და სასაქონლო ფორმას. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ფულადი კაპიტალის მნიშვნელობას. მართლაც თუ საქონელმწარმოებელს არ ექნება ფულადი კაპიტალი, მაშინ იგი ვერც წარმოების საშუალებებსა და ვერც სამუშაო ძალას ვერ შეიძენს. მხოლოდ ფულით შეიძლება წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის შეიძენა.

ამრიგად, ფულის მიმოქცევა მთელი მეურნეობრივი პროცესის სარკეა, ეკონომიკის ბარომეტრია. იგი მწვავედ რეაგირებს მისი პროპორციებისა და მიმოქცევის ყოველგვარ დარღვევაზე. ასევე უშუალოდ ფულით გამოისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის როგორც ზრდის, ისე შემცირების პროცესები.

თუ გვსურს უზრუნველყოთ ფულის მიმოქცევის სიმტკიცე, მისი მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლება და მთელ სამეურნეო ცხოვრებაში აქტიური გამოყენება, ქვეყნის ფულადი ბრუნვა უნდა შეეუსაბამოთ კვლავწარმოების ობიექტურ პირობებს, ფულის მიმოქცევის კანონის მოთხოვნებს.

ოქროს სტანდარტის სისტემის არსებობის დროს ოქროს გაყიდვა უბრალოდ ნიშნავდა ზოდის გაცვლას მონეტებზე ანდა ბანკნოტებზე, აგრეთვე ზურდა მონეტებზეც. ოქროს ყიდვა-გაყიდვა არსებითად ნიშნავდა მხოლოდ მისი ფორმის ცვლილებას. მაგრამ საკრედიტო (ქალაღის) ფული, რომელიც დღეს ოქროზე არ ზურდავდება, იგი ფულის ერთადერთი რეალური ფორმაა მიმოქცევაში. ოქროს ფასი ამ ფულში უკვე პრინციპულად არ განსხვავდება სხვა საქონლის ფასებისაგან, ყვითელი ლითონის ყიდვა-გაყიდვა სხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვის ანალოგიურია.

კითხვა ისმის, ამჟამად ოქრო როგორ დამოკიდებულებაშია ფულთან ქვეყნის შიგნით?

არცერთ უცხოეთის ქვეყანაში, როგორც ზემოდ აღინიშნა, ოქრო როგორც ფული, თავისი ფიზიკური სხეულით არ მიმოქ-

ცევა. ფუნქციონირებს მხოლოდ ცენტრალური საემისიო ბანკების საკრედიტო ფული (ქალაქის ფულის ნიშანი-ვალუტა), ამასთან ფართოდ გამოიყენება უნაღლო ანგარიშსწორება. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია აქ უნაღლო ანგარიშსწორების დონე და მით უფრო დიდ როლს ასრულებს იგი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ფულადი ბრუნვის უმთავრესი ნაწილი (96%- აშშ-ში, 80%- ინგლისში, 73%-შვედიაში და სხვა) ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით. ის გარემოება, რომ ოქრო თავისი ფიზიკური სხეულით მიმოქცევაში არ ტრიალებს და გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკრედიტო ფულს, რომლის გადახურდაცვა ოქროზე არ წარმოებს, ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ ქვეყნის შიგნით ამ საკრედიტო ფულს გარკვეული კავშირი არ ჰქონდეს ოქროსთან. საქმე ისაა, რომ ოქრო სარეალიზაციო საქონელია და მას სახელმწიფო ცენტრალური ბანკები ყიდნიან და ყიდულობენ ფულის სიმტკიცის შესანარჩუნებლად.

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, დღეს მონეტებისა და ზოდების სახით რამდენი ოქროს მარაგია მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ოფიციალური წყაროების მიხედვით ეს მარაგი შეადგენს 100,0 ათას ტონას. აქედან 36 ათასი ტონა ცენტრალური საემისიო (ეროვნული) ბანკების განკარგულებაშია, 20 ათასი ტონა ტრეზავრირებულია (ანუ კერძო დაგროვებაშია), ხოლო დანარჩენი გამოიყენება საიუველირო ნაკეთობათა დასამზადებლად და რიგი სხვა საქიროებისათვის. ცხადია, ამ მონაცემებში არ იგულისხმება ყოფილი სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ოქროს მარაგები. ოფიციალური მონაცემების საფუძველზე საყოველთაოდ ცნობილია ნებისმიერი უცხო ქვეყნის ოქროს მარაგის ოდენობა, მაგრამ სამწუხაროდ არ ვიცით ყოფილი სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ოქროს მარაგის შესახებ მონაცემები, თავის დროზე მისი მკაცრად დასაიდუმლოების გამო. ასეთ ციფრს ვერცერთი პრესის, სტატისტიკურ კრებულებსა და სხვა წყაროებში ვერ დავინახავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ყოფილ სსრ კავშირს ოქროს საკმაო მარაგი ეაჩნდა. ეს ფაქტი არ უნდა იწვევდეს ეჭვს იმის გა-

მო, რომ ყოფილი სსრ კავშირი თავის ბუნებრივი პირობებით და მდიდარი წიაღისეულით, როგორც ოქროს მომპოვებელი ქვეყანა, მეორე ადგილზე იყო მსოფლიოში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემდეგ. საერთოდ კი ოქროსთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია სსრ კავშირში 30-იანი წლებიდან დაწყებული გამოქვეყნებას არ ექვემდებარებოდა. ამიერიდან იმედი უნდა კიქონიოთ, რომ ოქროს მარაგის შესახებ მონაცემები ამ მიმართებაშიც საქვეყნოდ ცნობილი გახდება.

ოქროს დიდი მარაგის მქონე ქვეყნიებიდან შეიძლება გამოვყოთ აშშ-ს ქვეყნები.

ამჟამად ოქრო უდიდეს როლს ასრულებს სახალხო მეურნეობაში. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ოქრომ განსაკუთრებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი ელექტრონიკაში. მაგალითად, იაპონიაში ამ მიზნით ოქროს ყოველწლიური მოხმარება 50 ტონას შეადგენს, თანაც ამგვარი ტენდენცია განუხრელი ზრდით ხასიათდება. ამავე დროს მთელ რიგ ქვეყნებში არსებული საიუველიერო წარმოების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება კიდევ უფრო მოთხოვნებს უყენებს ოქროს წარმოებრივი გამოყენების თვალსაზრისით. ცნობილია ის ფაქტი, რომ ოქრო საიუველიერო ნაწარმის სახით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე წმინდა ზოდის სახით. არის ისეთი ქვეყნები, რომლებიც არ ითვლებიან ოქროს მომპოვებელ ქვეყნებად, მაგრამ საიუველიერო ნაწარმის ექსპორტიდან საკმაოდ დიდი შემოსავალს ღებულობდნენ.

დღეს ოქრო მსოფლიო ბაზარზე უმთავრესად იყიდება სტანდარტული სავალუტო ზოდების ფორმით, რომელიც სპეციალურ კალაპოტში გამოყვანილ 12,5 კილოგრამამდე წონის ფილებს წარმოადგენს, რომელიც შეიცავს არანაკლებ 995 სინჯის ანუ 99,5 პროცენტ წმინდა ოქროს.

ოქროს ფასი მსოფლიო ბაზარზე უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია წარმოების ხარჯებზე, აგრეთვე ოქროს მსოფლიო ბაზარზე ოქროს მიწოდება-მოთხოვნაზე. უცხოეთის ქვეყნების ოქროს მომპოვებელ მრეწველობაში ადგილი აქვს ინტენსიურ ტექნიკურ პროგრესს, რომელიც დღენიადავ ამცირებს წარმოების ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე. /

**ფულის მიმოქცევა და ფულადი სისტემები.
ქაღალდისა და სპირიტის ფული. ინფლაცია.**

1. ფულის სისტემის ცნება და სტრუქტურა

ფულის მიმოქცევა—ეს არის ფულის მოძრაობა ნაღდი და უნაღდო ფულადი ბრუნვის ფორმით, რასაც აიგივლი აქვს საქონელმომოქცევის, მომსახურების გაწევისა და სხვა გადახდების პროცესში.

ფულის მიმოქცევა ყოველთვის კონკრეტული ისტორიული პირობებით არის განპირობებული, მონათმფლობელური საზოგადოების ფულის მიმოქცევა, არსებითად განსხვავდება ფეოდალური ფულის მიმოქცევისაგან, ხოლო კაპიტალისტური ფულის მიმოქცევა მის წინ არსებულ ორივე საზოგადოების ფულის მიმოქცევისაგან. ფულადი სისტემა—ეს იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლითაც განისაზღვრება ფულის დამზადება, ემისია, მიმოქცევა და მიმოქცევიდან ამოღება.

ყოველ ქვეყანას გააჩნია თავისი ეროვნული ფულადი სისტემა, რომელიც მოცემულ ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული და კანონით განმტკიცებული ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმაა. ფულადი სისტემა პირველად XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა მეურნეობის კაპიტალისტური წესის წარმოშობისა და განვითარების შედეგად, თუმცა მისი ზოგიერთი ელემენტი უფრო ადრინდელ პერიოდს განეკუთვნება. ფულადი სისტემა ყოველთვის განპირობებულია კონკრეტული ისტორიული გარემოცვით, კლასთა ბრძოლითა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობათა განვითარებით, ამიტომ, არის რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფულადი სისტემა მოქმედებს, მათ თავიანთი საკუთარი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული ფორმა და შინაარსი აქვთ.

ფულადი სისტემის ელემენტებია:

1. ფულის ერთეული. ყოველ ქვეყანას თავისი ფულის ერთეული გააჩნია¹. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ფულის ერთეულია დოლარი, რომელიც 100 ცენტად იყოფა, ინგლისისა—გირვანჯა სტერლინგი (100 პენსი), საფრანგეთის—ფრანკი (100 სანტიმი), გერმანიის—მარკა (100 პფენინგი), იაპონიისა—იენა (100 სენამი), იტალიისა—ლირა (100 ჩენტიზიმო) და ა.შ.

ფულის ერთეულის სახელწოდებას სახელმწიფო ადგენს. თავდაპირველად ფულის ერთეულის სახელწოდება წონით ერთეულს გამოხატავდა. მაგალითად, შუა საუკუნეებში ინგლისის „გირვანჯა სტერლინგი“, საფრანგეთის „ლივრი“ ან გერმანიის „მარკა“ ეს მხოლოდ წონის გამოხატველი სახელწოდება იყო. შემდეგში, ავი, მართლაც ფულად სახელწოდებად გადაიქცა, მაგრამ მას თავისი თავდაპირველი სახელწოდება მაინც ძველებური შემორჩა. ერთი გირვანჯა სტერლინგი თავდაპირველად მართლაც ერთი გირვანჯა ვერცხლი იყო. შემდეგში, როდესაც ღირებულების საზომის ადგილი ოქროს დაიკავა, უკვე ერთი გირვანჯა სტერლინგი დაერქვა ოქროს ისეთ წონას, რომელიც ვერცხლის გირვანჯა სტერლინგის 1.15 შეადგენდა.

2. ფასების მასშტაბი. ეს იგივე ფულის ერთეულში მოცემული ძვირფასი ლითონის გარკვეული წონითი რაოდენობაა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი შეიცავდა 0.736701

¹ ე. წ. „ოქროს ხანაში“ საქართველოს სპილენძის ფული ჰქონდა. XVII ს. საქართველოში ფულის ერთეული იყო თეთრი (ვერცხლის მონეტა) 0,035 გრ. ვერცხლის შემცველიაბით. ერთი ვერცხლის შაური 50 თეთრს შეიცავდა, უზალთუნი—100 თეთრს, აბაზი—200 თეთრს, თეთრი შაური 2,5 ბისტისაგან შედგებოდა, ბისტი კი—4 ფულისაგან. ბისტი და ფული სპილენძის მონეტები იყო, კვალაზე: მცირე მონეტა იყო „ერთი ფული“ (ე) სპილენძის მონეტა, რომელიც ორჯერ მეტს იწონიდა. იყო „ორი ფული“ (ი), მონეტა, რომელიც ოთხჯერ მეტს იწონიდა. იყო ბისტი (კ), ვერცხლის შაური (ნ), უზალთუნი—(რ), აბაზი—(ს), მარჩელი—(ქ), მინალთუნი—(ჩ), და ა.შ. (ნ.ჭოიავა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, მოაზნე, III, ნ.ჭოიავა, საქართველოს ფულის მიმოქცევა, XVIII საუკუნეში, თბილ., 1941 წ. XXIII, XXIX).

გრამ წმინდა ოქროს, ინგლისის სტერლინგი—2.13281 გრამ წმინდა ოქროს, საფრანგეთის ფრანკი—0,160000 გრამ წმინდა ოქროს, გერმანიის მარკა—0,242806 წმინდა ოქროს, იაპონიის იენა—0,00246853 გრამ წმინდა ოქროს, ხოლო იტალიის ლირა 2,00142167 გრამ წმინდა ოქროს!

3. სახელმწიფოს ფულადი ნიშნები როგორც გადახდის კანონიერად საშუალებები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ნიშანი არსებობს ფედერალური სარეზერვო ბილეთები 10.000, 5.000, 1.000, 500, 100, 50, 20, 10, 5, 1 დოლარის სახით (500 დოლარის ან მეტი კუპიური ფაქტიურად მიმოქცევაში არ გამოიყენება)?

4. სახელმწიფო აპარატი, რომელიც მართავს ფულის მიმოქცევას ქვეყანაში.

არჩევნ ფულის ორ სახეს—ნამდვილ ანუ სრულფასიან ფულს, ოქროს ან ვერცხლის მონეტების სახით და არასრულფასიან ხურდა (ბილონურ) მონეტებს, ქალაქის ფულს (სახაზინო ბილეთებს, საკრედიტო ფულს, თამასუქს, ბანკნოტას, ჩეკს).

ნამდვილი ანუ სრულფასიანი ფულის ნომინალური ღირებულება ძირითადად შეესაბამება მონეტაში მოცემულ ლითონის ღირებულებას...

ნამდვილი ფულის ძირითადი სახეა მონეტა¹

¹ Билеты стран мира, справочник, М., 1976, с. 57, 222, 248, 255, 287.

“მე-“

² პირველი მონეტა მოიპრა სახელმწიფო ლიდიაში დაახლოებით VII-VI საუკუნეში ჩვენს ერამდე. სახელწოდება „მონეტა“ წარმოიშვა რომში, ქალღმერთი იუნონა—მონეტას სახელისაგან. ამ ღმერთის სახელობის ტაძრის მახლობლად მდებარეობდა ზარაფხანა, სადაც იჭრებოდა მონეტები. მონეტამ განვითარების დიდი გზა გაწვლია. საუკუნეების განმავლობაში შეიცვალა მონეტის ფორმა. წინათ მონეტა სხვადასხვა ფორმით არსებობდა. ცნობილია ხმლის, თევზის, ფრინველას, გულის და სხვა ფორმის მონეტები. მონეტები იყო კვადრატული, ოვალური, სწორკუთხიანი, დისკოს ფორმის, ძველ საქართველოშიც გვხვდება ასეთი ფორმის მონეტები. დროთა განმავლობაში განმარტვა დისკოს ფორმის რაფგანაც ამ ფორმის მონეტა წაყლიბად ცვდება: (ნ.ჭოიავა,

მონეტა არის ლითონიდან დაშვადებული ფულის ნიშანი, რომლის წონა და სინჯი დამოწმებულია კანონით. უძველეს მონეტას თავისი გარეგანი ფორმა და წონითი შინაარსი გააჩნია. ფული მონეტაზე ადრე წარმოიშვა. მონეტის წარმოშობა დაკავშირებულია წონითი ფულის გაქრობასთან. უძველესი ფიდა-გაყიდვის დროს აუცილებელი იყო ფულის აწონვა და მისი სინჯის დადგენა. მონეტის სახით წარმოიშვა საანგარიშო ფული, რამდენადაც მონეტის წონა და სინჯი ცნობილი იყო, ამან გააადვილა მონეტების დათვლა. სასაქონლო წარმოების განვითარების კვალობაზე ღირებულების ქალაქის ნიშანი მიმოქცევიდან დევნის სრულფასიან ოქროს მონეტებს, რომლებიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში საბოლოოდ გავიდნენ მიმოქცევიდან.

მონეტის წონის შერჩევის დროს სახელმწიფო ჩვეულებრივ სპეციალურად შექმნილ საზომს იყენებს. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში წონის საზომი ხშირად იცვლებოდა. მაგალითად, რომაული გირვანქა უდრიდა 327 გრამს, რუსული გირვანქა—417 გრამს, ტროას გირვანქა—273 გრამს და სხვა. XVIII საუკუნის საქართველოში წონის საზომად მიღებული იყო ლიტრი, ჩარეჟი, სტილი, მისხალი, რომელიც 4.436 გრამს უდრიდა!.

ცნობილია მონეტის ორი სახე: ძირითადი მონეტა და ნაკრები მონეტა. ძირითადი მონეტა ეს იგივე ფულის ერთეულია, ხოლო მონეტა, რომელიც ფულის რამდენიმე ერთეულს შეიცავს ნაკრები მონეტაა. ძირითადი მონეტის ნაწილს წილადი მონეტა ეწოდება. მაგალითად, ინგლისში, ლითონური ფულის მიმოქცევის დროს ძირითადი მონეტა იყო გირვანქა სტერლინგი, რომელიც მართლაც გირვანქა ვერცხლს შეიცავს, ხოლო ნაკრები მონეტები იყო 50, 10, 5, 2 და 1 პენსიანი მონეტები.

კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ნ.წ. I. თბ., 1956, გვ. 145-146).

ნ.ჭოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963, გვ. 32-33.

მონეტა არის იდეალური (საანგარიშო) და რეალური. იდეალური მონეტა არ იჭრება, იგი მხოლოდ საანგარიშო ერთეულია, ხოლო რეალური—იჭრება, და ბრუნვაში რეალური სახით მიმოიქცევა.

ცნობილია ძირითადი მონეტის დაჯდვის შემდეგი წესი: ევარტალური, ე.ი. 1:2:4:8:16. და ა.შ., დუოდეციმალური 1:3: 6:12 და ა.შ., დეციმალური—1:10:100 და ა.შ. აქედან ყელაზე უფრო ვავრცელებული იყო დეციმალური წესი (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, მეფის რუსეთი, XVIII საუკუნის საქართველო და სხვა). ინგლისში გავრცელებული იყო დუოდეციმალური წესი. მაგალითად, 1 გირვანქა სტერლინგი შეიცავს 20 შილინგს, შილინგი, თავის მხრივ, აყოფა 12 პენსად, ე. ი. ერთი გირვანქა სტერლინგი შეიცავს 240 პენსს.

ცნობილია, რომ მონეტა მიმოქცევის პროცესში ცვდება, მისი გაცვეთა ადგება როგორც ბუნებრივად, ისე ხელოვნურად. ბუნებრივად ჰმარებით ვამოწვეული ცვეთა, ხოლო ხელოვნური—მონეტის წონის განზრახ შემცირება. ცნობილია, რომ ევროპაში ოცი წლის მანძილზე (1809-1829 წწ.) 19 მილიონი გირვანქა სტერლინგი სრულიად გაქრა გახეხვის გამო, ეს მაშინ, როცა მიმოქცევაში სულ 380 მილიონი გირვანქა სტერლინგი იყო.

მონეტა, როგორც წესი, არასდროს არ იჭრება წმინდა ძვირფასი ლითონისაგან, მას ურევენ უფრო მდარე ხარისხის, მავარ ლითონს. მონეტაში მოცემულ ძვირფას ლითონს ფინი, ხოლო უბრალო ლითონს—ლიგატურა ეწოდება. ძვირფასი ლითონის ნაწილების რიცხვს სინჯი ეწოდება. ამიტომ ყოველ მონეტაში არჩევენ: მონეტის საერთო წონას; ძვირფასი ლითონის წონას; უბრალო მონეტის წონას. ძირითადად გაბატონდა შეფარდება 9:10 (ანუ 900:1000), ე.ი. მონეტაში 900 ნაწილი ძვირფასი ლითონია და 100—უბრალო ლითონი. ინგლისმა შეინარჩუნა ისტორიულად ჩამოყალიბებული სინჯი—11:12, ე.ი. 11 ნაწილი ძვირფასი ლითონი

12 ნაწილი—უბრალო ლითონი. ამის გამო, რომ მონეტაში არსებული წესით დადგენილი წონისა და სინჯის დაცვა შეუძლებელია, ამდენად ნებადართულია ერთგვარი გადახრა კანონით დადგენილი წონისა და სინჯისაგან. ამ გადახრას რემედიუმი და

ტოლერანსი ეწოდება. მაგალითად, მეფის რუსეთის ოქროს ერთი მანეთიანი მონეტის სინჯში გადახრა დაშვებული იყო 0,001 გრამის ოდენობით, ოქროს 5 მანეთიანში—0,003, ხოლო ათმანეთიან მონეტაში—0,002 გრამის ოდენობით. მიმოქცევაში მყოფი მონეტის ცვათასთან დაკავშირებულია კანონით დადგენილი წონის მინიმუმის შენარჩუნება. თუ კი მონეტა დაკარგავს კანონით დადგენილი წონის მინიმუმზე მეტს, ასეთი მონეტა ამოღებულ უნდა იქნეს მიმოქცევიდან. ამ ფულად ღონისძიებას დემონეტაცია ეწოდება.

სახელმწიფო კრის ორი სახის მონეტებს—სრულფასიან და არასრულფასიან მონეტებს. სრულფასიან მონეტას, რომლის ნომინალური და რეალური ღირებულება ერთმანეთის ტოლია, ხოლო არასრულფასიანი მონეტა, რომლის ნომინალური და რეალური ღირებულება ერთმანეთს არ ემთხვევა, კერძოდ, როგორც წესი რეალური ღირებულება უფრო ნაკლებია ნომინალურზე. არასრულფასიან მონეტას ბილონური მონეტა, ხურდა ან წვრილი მონეტა ეწოდება. იგი ჩვეულებრივ ვერცხლის, სპილენძის, ნიკელის, ბრინჯაოსა და ალუმინისაგან იჭრება.

ისპის კითხვა, რით აიხსნება ბილონური მონეტების მოჭრა?

საქმე ისაა, რომ ძვირფასი ლითონის სრულფასიანი წვრილი მონეტების მოჭრა, ჯერ ერთი, ტექნიკურად ძნელია და, მეორე, მიმოქცევისათვის არაა ხელსაყრელი, რადგანაც ემსახურებიან რა წვრილ მიმოქცევას, ხშირად გადადიან ხელიდან ხელში და ადვილადაც ცვდებიან. სწორედ ამიტომ მათი მოჭრა უფრო ადვილია და მიმოქცევისათვის უფრო ხელსაყრელი.

ბილონური მონეტები (ხურდა ფული) გადახდის კანონიერი საშუალებაა¹, თუმცა, საბანკო ბილეთებისაგან განსხვავებით, მათი გადახდის სფერო რამდენადმე შეზღუდულია, ეს იმატომ, რომ ისინი წვრილ მიმოქცევას ემსახურებიან და ამდენად საქმე წვრილ თანხებთან აქვს. მეფის რუსეთში სპილენძის მონეტები და ვერცხლის წვრილი მონეტები (5, 15 და 20 კაპიკიანი) გადახდის კანონიერ საშუალებას წარმოადგენდა 3 მანეთის ფარგლებში, ხოლო

¹ გადახდის კანონიერი საშუალება ეწოდება ფულის სახეს, რომლის მიღებაც ყველასათვის საფალღებელია და რომლისაც ყველგან იგი ვალდებულია იფარება.

ვერცხლის უფრო მსხვილი მონეტები (25, 50 კაპიკიანი და 1 მანეთიანი) — 25 მანეთის ფარგლებში¹

ფულის ერთეულში მოცემული ძვირფასი ლითონის წონითი რაოდენობის შეფარდებას სამონეტო დოსტი ეწოდება.

ფულის ერთეულში წმინდა ლითონის წონასა და სინჯს, როგორც წესი სახელმწიფო აღგენს. მაგალითად, მეფის რუსეთში დადგენილი იყო შემდეგი სამონეტო დოსტი, 1 მანეთი შეიცავდა ოქროს 17.424 წილს, ხოლო სინჯი უდრიდა 900/1000. არსებობდა მორე წესიც, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ფულის ერთეულის ის რაოდენობა, რომელიც უნდა მოჭრილიყო წმინდა ლითონის წონითი ერთეულისაგან. მაგალითად, გერმანიაში ერთი კილოგრამი წმინდა ოქროდან იჭრებოდა 900/100 სინჯის 2790 მონეტა. მესამე წესის თანახმად წინასწარ განისაზღვრებოდა ფულის ერთეულის ის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრული იყო სინჯის ლითონის წონითი ერთეულისაგან. მაგალითად, საფრანგეთში ერთი კილოგრამი ოქროდან, რომლის სინჯი 900/1000 იყო, 3100 ფრანკი იჭრებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად ფულის ერთეულის სახელწოდება ეს იგივე მისი (მონეტის) წონითი ერთეულის ნაწილების სახელწოდება იყო. მაგალითად, ძველ საბერძნეთში ტალანტი, ზეკელი, დრახმა, ობოლი წონითა ერთეულებს გამოხატავდნენ. დროთა განმავლობაში ფულადი სახელწოდება სცილდება თავდაპირველ წონითა სახელწოდებას. ფასი იქცევა ფულად სახელწოდებად, ხოლო ფული — საანგარიშო ფულად.

ფულადი სახელწოდების დაცილება წონითი სახელწოდებისაგან ისტორიულად განპირობა ისეთმა გარემოებებმა, როგორიც იყო:

განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში უცხო მონეტების შემოღება;

2. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად მარშკეტეში დაბალი ღირებულების ლითონის ნაცვლად უფრო მაღალი ღირებულების ლითონის დამკვიდრება;

¹ ნ. ს. სეიფი, კავკასიისტური ტიფნების ფულის მიმოჭრეა და კრედიტა. ნაწ. 1-ე ტომი, 1956, გვ. 149.

3. მონეტის გაფუჭების პრაქტიკის ფართოდ დანერგვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მისი წონა და სინჯი¹.

ცნობილია მონეტის მოჭრის ორი სისტემა - ფაფისუფალო და დაბურჯული, თავისუფალია ნამდვილი, სრულფასიანი მონეტების მოჭრა, ხოლო დაბურჯულია არასრულფასიანი მონეტების მოჭრა. ეს რომ ასე არ იყოს მიმოქცევა გაივსებოდა ბილანური, არა-სრულფასიანი მონეტებით, იგი დაიკავებდა სრულფასიანი მონეტების ადგილს მიმოქცევაში და მოშლიდა ფულის მიმოქცევას. ბილანური ფულის შეზღუდვა უზრუნველყოფს მიმოქცევაში ხერხა ფულის მხოლოდ საჭირო რაოდენობით გამოშვებას.

მონეტის გაფუჭება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი ფინანსური ღონისძიება, მნიშვნელოვნად ამცირებდა მშრომლების შემოსაჯალს, ზღვს უწყობდა საქონლის იმპორტს და აბრკოლებდა მის ექსპორტს, ამუხრუჭებდა როგორც შინაგან, ასე საერთაშორისო ვაჭრობას, იგი ხელსაყრელი იყო მევალეებისათვის და არა კრედიტორებისათვის. იმის გამო, რომ მიმოქცევაში უამრავი გაფუჭებული მონეტა ტრიალებდა, საჭირო ხდებოდა მონეტების წონისა და სინჯის მუდმივად შემოწმება.

ცნობილია მონეტის გაფუჭების სამი სახე:

1. მონეტის გაფუჭება მისი მოცულობის შემცირებით;
2. მონეტის გაფუჭება მისი სინჯის შემცირებით, ამ დროს მონეტას უხვად ურეკდნენ უბრალო ლითონს, რითაც საგრძობლად ამცირებდნენ მის რეალურ ღირებულებას;
3. დაბალი ღირებულების ლითონის ზედაპირის უფრო მაღალი ღირებულების ლითონით დაფარვა.

მონეტის გაფუჭების შედეგად ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის შიღობული განსხვავება სახელმწიფოს შემოსავალს შეადგენს. მონეტის გაფუჭება იწვევს ფასების ზრდას, აუქმცავს ზრდა კოველთვის არ ეითხვევა მონეტის გაფუჭების ოდენობას.

¹ ნ. ჯიბიაძე, კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრუნიკი, ნაწ. 1 თბ., 1956, გვ. 149.

.. ქალაქის ფული და მისი გიგანტების კანონმდებლობა

ქალაქის ფულის წარმოშობა დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან. კაპიტალიზმამდელი კლასობრივი ფორმაციებისათვის უცნობი იყო ქალაქის ფული, მათ მხოლოდ ლითონური ფული ჰქონდათ.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში წმინდა ლითონის ფულის მიმოქცევა შეუძლებელია. წარმოებისა და საქონელბრუნვის ზარდა წინ უსწრებს ოქროს მოპოვების ზრდას. წმინდა ლითონური ფულის მიმოქცევა აღიღებს მიმოქცევის ხარჯებს, მაშინ, როდესაც არსებობს ხარჯების შემცირების შესაძლებლობა.

გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოსდა ქალაქის ფული უშუალოდ სახელმწიფოს მიერ იყოს შექმნილი. სინამდვილეში იგი თვით ლითონური ფულის მიმოქცევამ წარმოშვა. ვინაიდან მონეტის ნომინალური ღირებულება თანდათანობით დაშორდა მის რეალურ ღირებულებას და მიმოქცევიდან ოქროსი და ვერცხლის ფულიც თანდათანობით განიღვენა, ბუნებრივად განვითარდა ქალაქის ფულის ზრდის კანონზომიერი პროცესი. ამრიგად, კაპიტალისტურმა სახელმწიფომ კი არ შექმნა ქალაქის ფული, არამედ იგი მან ემისიისათვის გამოიყენა, როგორც იძულებითი ღონისძიება. /

ცნობილია სრულფასიანი ლითონური ფულის ქალაქის ფულად (ღირებულების ნიშნად) გადაქცევის სამი ეტაპი:

1. მონეტის, როგორც სრულფასიანი ფულის წარმომადგენლის, მიმოქცევის პროცესში წაშლა, ცვეთა;

2. სახელმწიფოსა და კერძო პირების მიერ არასრულფასიანი ფულის გამოშვება მონეტების გაფუჭების გამო.

მონეტის გაფუჭებას ჯერ კიდევ მონათმფლობელური საზოგადოება იცნობდა. მაგალითად, საბერძნეთში მონეტის გაფუჭებას ახდენდნენ ორი ხერხით: სპილენძის მოვერცხლითა და სინჯის შემცირებით. ორივე ხერხის გამოყენების დროს მონეტის ნორმა და წონა უცვლელი რჩებოდა, რაიმე ცნობილია მონეტის გაფუჭების შესახებ ხერხიც—მონეტის წონის შემცირება. მონათმფლობელურმა საზოგადოებამ დაგვიტოვა მრავალი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ

იქ მონეტის გაფუჭება ფართოდ იყო გავრცელებული. საკმარისია აღვნიშნოთ, საბერძნეთის ტირანი პიპი (VI საუკ. წ.წ. აღ.) რომელმაც მონეტის შინაარსი ნახევარჯერ შემცირა. რომის იმპერატორმა სეპტიმ სევერმა 198 წელს ვერცხლის მონეტაში სპილენძის შენარევის ოდენობა 50-60%-ით გაზარდა.

მონეტის გაფუჭება ყველაზე ფართოდ მაინც ფეოდალურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში გავრცელდა. მონეტის გაფუჭებას მიმართავენ ომთან და დიდი სასახლეების შენახვის ხარჯებთან დაკავშირებით. ინგლისური ვერცხლის პენის წონა 1290-1611 წლებში სამჯერ შემცირდა, გერმანიაში 1280 წლიდან XIV საუკუნის ბოლომდე ბენიგის წონა 17-ჯერ შემცირდა. საფრანგეთში პარიზის ღენეს ოქროს რეალური შინაარსი XIV საუკუნის ბოლოდან (15 გრ. ვერცხლი) XV საუკუნის დასაწყისამდე (0,022 გრ. ვერცხლი) 60-ჯერ შემცირდა. მონეტის გაფუჭებას ფართოდ მიმართავდა ფილიპე IV, რომელსაც ზედმეტ სახელად მონეტის გამყალბებელი შეარქვეს. მან მონეტების ლითონური შინაარსის შემცირების შესახებ 35 წესდება გამოსცა.

არასრულფასიანი მონეტები მეფის რუსეთშიც იჭრებოდა. ალექსი მიხეილის ძის დროს (1654-1662 წწ.) გირვანქა სპილენძიდან, რომლის საშუალო საბაზრო ღირებულება 12 კაპიკს შეადგენდა, 10 მანეთიან მონეტებს კრიდნენ.

ფეოდალურ საზოგადოებაში მონეტების მოჭრა მსხვილი ფეოდალების მონოპოლია იყო. ფეოდალები ფართოდ იყენებდნენ სამონეტო რეგალიას თავისი შემოსავლის გასაღიდეზღად. ისინი ერთი მხრივ თვითნებურად აწესებდნენ შეფარდებას ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის, ხოლო მეორე მხრივ, ფართოდ მიმართავდნენ მონეტის გაფუჭებას. კ.მარქსი წერდა: "უღუარდ III მეფობიდან დაწყებული გეორგ II დრომდე ინგლისური ფულის მიმოქცევის ისტორია წარმოადგენს იმ დარღვევათა განუწყობებელ მწყობრს, რომელთაც იწვევდა კოლიზია ოქროსა და ვერცხლის ღირებულებების კანონით დაწესებულ თანათარდობასა და მათი ღირებულებების და ნამდვილ რეკვათა შორის. ხან ოქრო იყო ჩეტად შეფასებული და ხან ვერცხლი. ძალიან დაბლა შეფასებული

ლითონი ამოიღებოდა მიმოქცევიდან, გადაიდნობოდა და უცხოეთში იგზავნებოდა, მაშინ ორივე ლითონის ღირებულების შეფარდება სელაბლა იცვლებოდა კანონმდებლობითი გზით, მაგრამ სულ შალე ახალ ნომინალურ ღირებულებასა და ღირებულებათა ნამდვილ თანაფარდობას, შორის წამოიჭრებოდა ხოლმე იგივე კონფლიქტი, რაც ძველი ნომინალური ღირებულების დროს¹ .

მონეტის გაფუჭებამ გაცვლის პროცესის მოშლა გამოიწვია. ეს მეტად ალელვებდა ხალხს, რომელიც ფულის გაუფასურების გამო ბევრს ზარალობდა.

3. ქალაქის ფულადი ნიშნების გამოშვება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად.

კაპიტალიზმის დროს პირველი ქალაქის ფული შვეიციაში— 1444 წელს, ჩრდილოეთ ამერიკაში (მასაჩუსეტის შტატი)— 1690 წელს, საფრანგეთში— 1701 წელს, რუსეთში 1709 წელს გამოუშვა.

ქალაქის ფული—ეს არის წარმომადგენლობით ღირებულების მქონე ფულადი ნიშანი (ღირებულების ნომინალური ნიშანი), რომელსაც სახელმწიფო უშვებს მიმოქცევაში იძულებითი კურსით თავისი ხარჯების დასაფარავად.

ქალაქის ფულის ეკონომიკური ბუნებისათვის ნიშანდობლივია ის, რომ მას საკუთარი ღირებულება არა აქვს, თუ რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ იმ უმნიშვნელო ღირებულებას, რომელიც მას, როგორც ქალაქის ნაჭერს, გააჩნია. ჩვეულებრივი საქონლის მსგავსად, ქალაქის ფულსაც აქვს სახმარი ღირებულება გამოხატული იმ საზოგადოებრივ ფუნქციაში, რომელსაც იგი მიმოქცევის პროცესში ასრულებს².

ქალაქის ფულს იძულებითი კურსი აქვს, სახელმწიფო ქალაქის ფულს მხოლოდ თავისი ხარჯების, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად უშვებს. საინტერესოა, რამდენი ქალაქის ფული უნდა იქნეს გამოშვებული ბრუნვაში, რომ მან ოქროს კურსი შეინარჩუნოს? ეს დამოუკიდებელია იმაზე ქალაქის ფულის რაოდენობა გადაამეტებს თუ არა ოქროს ფულის იმ რაოდენ-

¹ კ. მარტინი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 83. ქალაქის ფულის შესახებ საკითხი შეეხება უმთავრესად ბანკოტების ოქროზე გადახურდავების პერიოდს.

ნობას, რომელიც მიმოქცევისათვის არის საჭირო. სინამდვილეში პირიქით ხდება. ქალაქის ფულის მიმოქცევის დროს ოქროს ფულის მიმოქცევის ყველა კანონი შებრუნებულად გვევლინება:

ჩერ ერთი, ოქროს რაოდენობა მიმოქცევაში დამოკიდებულია მისი ღირებულებაზე, ხოლო ქალაქის ფულის ღირებულება—მის რაოდენობაზე;

მეორე, ოქროს ფულის რაოდენობის ცვლილება დამოკიდებულია საქონლის ფასზე, ხოლო ქალაქის ფულის მიმოქცევა—მიმოქცევაში მყოფ მის რაოდენობაზე.

მესამე, სასაქონლო მიმოქცევას შეუძლია შთანთქოს მხოლოდ ოქროს განსაზღვრული რაოდენობა (ზედმეტი ოქრო მანამდე გადაიქცევა), ხოლო ქალაქის ფულის გამოშვება მიმოქცევაში განუსაზღვრელად შეიძლება.

ქალაქის ფულის გადახურდავება ოქროზე, როგორც წისი. არ ხდება, მაგრამ ქალაქის ფულს მტკიცე კავშირი აქვს ოქროსთან, რადგან იგი მიმოქცევაში ოქროს წარმომადგენელია. რაც უფრო მეტი ოქრო იდევნება მიმოქცევიდან, მით უფრო რთულდება ურთიერთობა ქალაქის ფულსა და ოქროს შორის, ამ დაშორების კვალობაზე მათ შორის კავშირი სუსტდება, იზრდება ქალაქის ფული მიმოქცევაში და მცირდება მისი ოქროს წარმომადგენლობითი ღირებულება.

იმის გამო, რომ ქალაქის ფულს საკუთარი ღირებულება არ გააჩნია, იგი მიმოქცევაში ოქროს წარმომადგენლობით ღირებულებას იძენს. ამასთანავე სახელმწიფოს მიერ დაწესებული იძულებითი კურსის გამო მას მოცემული ქვეყნის ფარგლებში საზოგადოებრივი ხასიათი ენიჭება. მართალია, სახელმწიფოს თავისი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით შეუძლია სურვილისამებრ დააწესოს ქალაქის ფულის ერთეულის ნომინალური ღირებულება, განუსაზღვრელად გამოუშვას იგი მიმოქცევაში კუპონურების ნომინალური ღირებულების მიუხედავად, მაგრამ შემდგომში ქალაქის ფული უკვე არა სახელმწიფოს სურვილებს, არამედ მიმოქცევის შინაგან ობიექტურ კანონზომიერ პროცესებს, ღირებულებისა და ფულის მიმოქცევის კანონების მოახოვნებს ექვემდებარება.

ქალაქის ფული შინაგან კავშირშია ოქროს ღირებულებასთან. ეს განაპირობა იმან, რომ იგი ისტორიულად წარმოიშვა როგორც ოქროს ნიშანი, წარმომადგენლობითი ღირებულება იხსება. ქალაქის ფული მხოლოდ იმდენად არის ღირებულების ნიშანი, — წერს კ. მარქსი, — რამდენადაც იგი წარმომადგენელია ოქროს რაოდენობისა, რომელიც, როგორც ყველა სხვა საქონლის რაოდენობა, ღირებულების რაოდენობაც არის. ქალაქის ფულის კავშირი ოქროსთან ელინდება, იმით რომ ოქრო ასრულებს ღირებულების საზომის ფუნქციას, დაგროვებისა და მსოფლიო ფულის ფუნქციას, ბაზარზე ოქროს ოპერაციების მეშვეობით იზომება ფულადი საქონლის ღირებულება და ოქროს შემცვლელის — ქალაქის ნიშნის — წარმომადგენლობითი ღირებულება. იმის გამო, რომ ქალაქის ფულს საკუთარი ღირებულება არა აქვს, ამდენად, ბუნებრივია, დამოუკიდებლად ვერ შეასრულებს ღირებულების საზომისა და მსოფლიო ფულის ფუნქციებს. ქალაქის ფული ყოველთვის მხოლოდ 'ორ' ფუნქციას — მიმოქცევის საშუალების ფუნქციასა და გადახდის საშუალების ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ ოქრომონომეტალიზმის სისტემის გაუქმების შემდეგ ქალაქის ფული გარკვეულ ფარგლებში, მისი შედარებით სტაბილიზაციის დროს, პერიოდულად იწყებს დაგროვების ფუნქციის შესრულებას. თუმცა პრაქტიკაში ქალაქის ფული ყოველთვის მაინც გაუფასურებას დაქვემდებარებული ფულია.

ქალაქის ფულის მიმოქცევის დროს შეუძლებელია მისი სიმტკიცის შენარჩუნება.

ჩერ ერთი, ქალაქის ფული თავისი ბუნებით არამყარია, რადგან მას საკუთარი ღირებულება არა აქვს.

მეორე, ქალაქის ფულის ემისიის რეგულირება ფულზე რეალური მოთხოვნის მიხედვით არ ხდება.

მესამე, ქალაქის ფული არ ასრულებს განძის შექმნის საშუალების ფუნქციასა და ამიტომ მიმოქცევაში არ მოქმედებს ფულის რაოდენობის სტიქიური რეგულირების მექანიზმი.

აღვნიშნავთ ქალაქის ფულის გაუფასურების სამ მიზეზს:

1. ქალაქის ფულის ქარბად გამოშვება. ქალაქის ფული, როგორც წესი, ყოველთვის მეტი გამოდის მიმოქცევაში. ვიდრე ეს

რეალურად ათის საჭირო. საქმე ისაა, რომ ქალაქის ფულს ძირითადად ბიუჯეტის დეფიციტის ან სახელმწიფო ვალდების დასაფარავად იყენებენ. განსხვავება გამოწვებულ ქალაქის ფულის ნორმალურ ღირებულებასა და მისი დაბეჭდვის ხარჯებს შორის ეს არის სახელმწიფო საემისიო შემოსავალი.

2. მონახლეობის უნდობლობა სახელმწიფოს ან მთავრობისადმი;

3. ოქროზე, როგორც მსოფლიო ფულზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა. /

3. ბანკოტა და მისი ეფექტების ბანკოტოვანიერობა

კომერციული კრედიტის განვითარების პირველ ეტაპზე, ადგილობრივი ვაჭრებისა და მრეწველების შედარებით ვიწრო წრეებში, თამასუქებს თავისი ფუნქციონირების გაშლის ფაოთო შესაძლებლობა ჰქონდა. მაგრამ საკრედიტო ურთიერთობის განვითარებამ კომერციული საკრედიტო ურთიერთობანი საგრძნობლად გააფართოვა საერთაშორისო მასშტაბით, რამაც ერთგვარად შეზღუდა თამასუქების მიმოქცევის სფერო. უკვე ყოველთვის ვეღარ ხერხდებოდა თამასუქებით გადახდა. აუცილებელი გახდა კერძო გარანტიის (თამასუქის) შეეგლა საზოგადოებრივი გარანტიით ანუ ბანკოტით. კაპიტალისტური წარმოების განვითარება ბუნებრივად ზღუდავდა თამასუქების შემდგომ ზრდას. ადრე მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტების ხელში თავმოყრილი თამასუქების რაოდენობა განსაზღვრავდა მათ სიმდიდრეს, სარეზერვო კაპიტალსა და მის უკუშემატებლობას. აუცილებელი გახდა ბანკის დახმარება, რათა თამასუქი საზოგადოებრივ გარანტიად გადაქცეულიყო.

ბანკოტა — ეს არის ბანკის თამასუქი, რომლითაც წარმდგენელს ყველგანს შეუძლია მიიღოს ფული და რომელსაც ბანკი შეუნაცვლებს კერძო თამასუქს.

ბანკოტის წარმოშობის საფუძველი კომერციული თამასუქია. ბანკი, როგორც წესა, ცალკეულ პირთა თამასუქების ცალკედ იძლევა საკუთარ თამასუქებს — ბანკოტებს, არადა უკვე თამასუქის

ნაკვლად ბრუნვაში ბანკოტა გამოდის. სწორედ ეს აკმაყოფილებს მიმოქცევის მოთხოვნილებას ფულზე. თამასუქი გაციემა საქონლის რეალიზაციამდე, ხოლო რეალიზაციის შემდეგ ხდება ვალის დაფარვა და ბანკოტების ბანკში დაბრუნება. ამრიგად, კერძო თამასუქი უბრალო სავაჭრო მიმოქცევიდან საყოველთაო მიმოქცევაში გადადის და მოქმედებს როგორც ფული. ბანკოტა უკვე ჰველასათვის ცნობილი ხდება როგორც მეტი გარანტის მქონე და ზოგჯერ გადახდის კანონიერი საშუალება. როგორც ვხედავთ, თამასუქის მიმოქცევის პროცესში თანდათანობით წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ ეს ჩვეულებრივი თამასუქი შეიცვალოს განსაკუთრებული სახის თამასუქით (ბანკოტით), რომელსაც საყოველთაო მიმოქცევადობის უნარი გააჩნია. მაშასადამე, ბანკოტები მაშინვე ვუძღვან მიმოქცევიდან, როგორც კი საჭირო აღარ იქნება ბრუნვისთვის, მართალია, სათამასუქო ბრუნვის საფუძველზე აგებული ბანკოტების ემისია საქონლის ყიდვა-გაყიდვისა და მიმოქცევის რეგულირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ საბანკოტო მიმოქცევა იდეალური იყოს. მასაც გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობანი გააჩნია, ბანკები ბანკოტებს: არა მარტო თამასუქების გასანაღდებლად, არამედ კრედიტის გაცემის საშუალებადაც იყენებენ.

ბანკოტების გადახურდავება ოქროზე ფულადი მიმოქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. სწორედ ამის მეშვეობით ხდება მიმოქცევაში არსებული ბანკოტების რაოდენობის სტიქიური რეგულირება. თუ მიმოქცევაში მყოფი ბანკოტების რაოდენობა საჭიროზე მეტია, მაშინ ისინი მიმოქცევიდან ბანკში ბრუნდებიან და აქ ოქროზე გადახურდავების შემდეგ კვლავ მიმოქცევაში ექცევიან. ამის შედეგად მიმოქცევაში ყოველთვის ბანკოტების ის რაოდენობა იქნება, რაც მიმოქცევისათვის არის საჭირო.

ბანკოტა მრავალმხრივ განსხვავდება კომერციული თამასუქისაგან:

1. ბანკოტებს მიმოქცევაში უშვებენ საემისიო ბანკები, ხოლო თამასუქებს — შეწარმები, ვაჭრები.

2. თამასუქი, როგორც სავალო ვალდებულება, გადახდის გარკვეულ ვადას ექვემდებარება, ხოლო ბანკნოტა, როგორც საემისიო ბანკის სავალო ვალდებულება, ყოველთვის შეიძლება გადასახდელად იქნეს გამოყენებული.

ბანკნოტას ქალაქის ფულთან საერთო ის აქვს, რომ ორივე ოქროს წარმომადგენელია, ორივე ღირებულების ნიშანია, ორივე მხოლოდ ორ ფუნქციას—მიმოქცევის საშუალებისა და გადახდის საშუალების ფუნქციას ასრულებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ბანკნოტა მაინც არსებითად განსხვავდება ქალაქის ფულისაგან და აი რატომ:

1. ბანკნოტების წარმოშობა ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციასთან არის დაკავშირებული, ხოლო ქალაქის ფული—ფულის როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციასთან;

2. ბანკნოტები მათი ეკონომიკური ხასიათით, უშუალოდ საკრედიტო ფულია, როცა ქალაქის ფულის გამოშვება უშუალოდ ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვასთან არის დაკავშირებული;

3. ბანკნოტების ემისიის საკრედიტო ხასიათის გამო რეგულარულად ხდება მისი უკუმოქცევა საემისიო ბანკებში, ქალაქის ფულს კი საბელმწიფო უშვებს არა მეურნეობის დაკრედიტების, არამედ უმთავრესად ვალების დაფარვისა და ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით;

4. ბანკნოტები, როგორც წესი, მისი წარმოდგენისთანვე უნდა იქნეს გადახურდავებული ოქროზე, მაშინ, როდესაც ქალაქის ფულის გადახურდავება საერთოდ არ ხდება, მას იძულებითი კურსი აქვს;

5. ბანკნოტების ოქროზე თავისუფალი გადახურდავების დროს მიმოქცევაში ბანკნოტების ზედმეტი ოდენობით არსებობა და ოქროსთან შედარებით მისი გაუფასურება არ შეიძლება, რამდენადაც ბანკნოტებს დაკრედიტების მიზნით უშვებენ. ამ მხრივ ქალაქის ფული მოკლებულია ყოველგვარ გარანტიას, რომ იგი მიმოქცევაში იმ ოდენობით გამოვიდეს, რასაც ოქროთი უზრუნველყოფა მოითხოვს. ამიტომ არის, რომ ინფლაცია ყოველთვის ქალაქის ფულის მიმოქცევის თავისებური ქრონიკული თანამგზავრია.

ამრიგად, ბანკნოტების ოქროზე გადახურდავება ხდება მიმოქ-

ცევის სპეციალური კანონების მიხედვით, რაც მას ქალაქის ფულის მიმოქცევის კანონებისაგან პრინციპულად განასხვავებს. ვადაუხურდავებელ ბანკნოტებს რაც შეეხება, ისინი ნორმალური ტიპისანი არ არიან. ვადაუხურდავებელი ბანკნოტები მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიქცეს მიმოქცევის საყოველთაო საშუალებად, თუ ფაქტიურად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო კრედიტებით ან ბანკის სხვა აქტივებით.

მართალია, ბანკნოტა ოქროს წარმომადგენელი და ოქროს ნიშანია მიმოქცევაში, მაგრამ ამავე დროს იგი კრედიტის ნიშანიც არის, საჭმე ისაა, რომ ბანკნოტა ეს იგივე ბანკის სავალო ვალდებულებაა და მიმოქცევაში მყოფი საკრედიტო ნიშანია. კმარაქის განმარტებით, ბანკნოტა ეს არის მსხვილი ვაჭრებისათვის ვამიზნული მონეტა, რომელიც ჩვეულებრივ მსხვილი კუპიურებით გამოდის და ამდენად წვრილ მიმოქცევაში ვერ შეიჭრება.

თანამედროვე პირობებში ფულის ევოლუციის შედეგად ფართო გავრცელება პოვა საკრედიტო ფულმა, რომელიც წარმოადგენს საემისიო ბანკების მიერ გამოშვებულ ფასიან ქალაქებს—თამასუქს, ბანკნოტას, საბანკო ჩეკს, ობლიგაციას და სხვა.

საკრედიტო ფული—ეს არის ღირებულების ქალაქის ნიშანი, რომელიც ოქროს ნაცვლად აღმოცენდა კრედიტის საფუძველზე და შეიცავს ვალდებულებებს განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდისათვის. საკრედიტო ფული, გადალახავს რა ლითონური ფულის მიმოქცევის შეზღუდულობას, დიდ მოქნილობას ანიჭებს ფულის მიმოქცევას. მისი მასა დიდდება მეურნეობის მოთხოვნების შესაბამისად, იგი ამცირებს მიმოქცევის ტარჯებსა და ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. ქალაქის ფულსაგან განსხვავებით საკრედიტო ფული წარმოშობის მომენტიდანვე კრედიტის ნიშნად გამოდის. იგი ასახავს სასიესო კაპიტალის მოძრაობას მსხვილებსა და გამსესებლებს შორის და იძენს საკუთარ ფორმებს.

ფულის მიმოქცევათან უშუალოდ არის დაკავშირებული ჩე-

პი.
ჩეკი არის მისი მფლობელის ბრძანება ბანკისადმი მასში აღნიშნული თანხის გადახდის შესახებ. ჩეკის მფლობელს ბანკში გაზსნილი აქვს მიმდინარე ანგარიში. ამ ანგარიშის მფლობელი

ბანკში ლებულობს ე.წ. საჩეკო წიგნაკს და მისი მეშვეობით მიმდინარე ანგარიშზე არსებულ თანხებს სურვილისამებრ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყენებს.

ცნობილია სახელობითი და უსახელო ჩეკები. ჩეკი სახელობითია იმ შემთხვევაში, როცა მასზე აღნიშნულია ფულის მიმღების გვარი, მისი გაცემა სხვა პირზე არ შეიძლება. ფულს მხოლოდ ის პირი მიიღებს, ვისი გვარიც აწერია მას. უსახელო ჩეკს ფულის მიმღების გვარი არ აწერია. ფულის მიღება შეუძლია ყველას, ვინც მას წარადგენს ბანკში. ასეთი ჩეკი ხელიდან ხელში გადადის და მას ამიტომ წარდგინებითი ჩეკი ეწოდება. არსებობს კიდევ ე.წ. ორდერული ჩეკი: ამ ჩეკის ხელიდან ხელში გადაცემა, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მასზე არსებობს გადასაცემი წარწერა, მისი მიმღების გვარის აღნიშვნით. არსებობს აგრეთვე ე.წ. ხაზგადასმული ჩეკიც. ამ ჩეკით მართალია არ შეიძლება ნაღდი ფულის გაცემა, მაგრამ ჩეკის წარმდგენს ბანკში მიმდინარე ანგარიშზე ჩაერიცხება მასში აღნიშნული თანხა.

ჩეკის წარმოშობის საფუძველი ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშია. აქ საქმე გვაქვს ორ შემთხვევასთან:

1. კლიენტმა მართლაც შეიძლება შეიტანოს თანხა ბანკში მიმდინარე ანგარიშზე და 2. ბანკმა შეიძლება ეს თანხა სესხად გასცეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბანკი კლიენტს აძლევს საჩეკო წიგნაკს, თითქოს მას მართლაც აქვს შეტანილი ბანკში თანხა მიმდინარე ანგარიშზე. აქ საქმე გვაქვს ე.წ. ვითომურ ანაბართან. ასეთი ანაბარი აფართოებს საჩეკო მიმოქცევას.

ჩეკსა და თამასუქს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე წარმოადგენს ბრძანებას გადახდაზე, მათ შორის არსებობს განსხვავებაც, მაგალითად, თამასუქი შეიძლება გამოწერილ იქნეს როგორც ბანკზე, ისე ცალკე ფირმაზე, ხოლო ჩეკი—მხოლოდ ბანკზე.

ასეთი მსგავსება და განსხვავება ჩეკსა და ბანკნოტას შორისაც არის. მაგალითად, ბანკნოტებს გასცემენ დაკრედიტებისათვის, ხოლო საჩეკო წიგნაკს—კრედიტების გახსნისას, ორივე შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გასცეს ბანკნოტები. მათ შორის განსხვავებაც არის. ბანკნოტა აღმოცენდება კომერციული თამასუქის საფუძველზე და იგი გადახდის კანონიერი საშუალებაა, ჩეკი კი არა.

ბანკოტების ემისია განსაზღვრულია, ჩეკისა კი—არა, ბანკოტას ვადა არა აქვს, ჩეკი კი ვადიანია.

ჩეკი ასრულებს მიმოქცევისა და გადახდის საშუალების ფუნქციებს, იგი ცვლის ფულს მიმოქცევაში და ამდენად ნაღდი ფულის დიდ ეკონომიას იძლევა. როდესაც ჩეკი ხელიდან ხელში გადადის ადგილი აქვს ფულის ეკონომიას. ფულის ეკონომიას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ჩეკის მეშვეობით ხდება ერთი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა და მისი მეორე ანგარიშზე ჩაწერა.

ჩეკების გავრცელებამ ხელი შეუწყო უნაღდო ანგარიშსწორების წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებას. აქ მხედველობაში გვაქვს ურთიერთ-მოთხოვნათა ჩათვლის განვითარება. კაპიტალისტურ ქვეყნებში უამრავი ბანკია, ყველა ისინი აწარმოებენ უნაღდო ანგარიშსწორებას, ყოველ ბანკს თავისი კლიენტურა ჰყავს. ამ კლიენტებს კომერციული კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ყოველ ბანკში ყოველდღე ჩნდება მოთხოვნა სხვა ბანკზე, ვალდებულება სხვა ბანკის წინაშე. ამ ურთიერთმოთხოვნათა დაფარვა ხდება უნაღდო—ურთიერთჩათვლის საფუძველზე. ასეთი უნაღდო ანგარიშსწორებას აწარმოებენ სპეციალური ინსტიტუტები—ანგარიშსწორების პალატა. უნაღდო ანგარიშსწორების მთელ სისტემას კლირინგი ეწოდება. ანგარიშსწორების პალატა ეწყობა ცენტრალურ საემისიო ბანკთან ან დამოუკიდებლად—ამ შემთხვევაში პალატის დამაარსებელი მსხვილი ბანკებია. ეს პალატა დიდად უწყობს ხელს ნაღდი ფულის ეკონომიას. ასეთი პალატა პირველად დაარსდა ლონდონში 1775 წ., ნიუ-იორკში—1853 წ., პარიზში—1879 წ. ანგარიშსწორების პალატები შექმნილია არა მარტო დედაქალაქებში, არამედ ჩვეულებრივ მსხვილ ქალაქებშიც და ისინი ადგილობრივ საქაროებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან.

4. სავაჭრო ვაჭრობის სისტემები

ბანკოტების გადახურდავება ოქროზე—ეს ფულის ნორმალური მიმოქცევის აუცილებელი პირობაა. ბანკოტები, როგორც ოქროს წარმომადგენლები მიმოქცევაში, იგივე ოქროს საკრედიტო ნიშანია. მის კავშირს ოქროსთან ხელს უწყობს ბანკოტების ოქ-

როზე გადახურდავების მექანიზმი, ბანკოტის კავშირი ოქროსთან იმასაც ნიშნავს, რომ საემისიო ბანკებს ბანკოტების გამოშვების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ოქროს მარაგი გააჩნიათ. გარდა ამისა ოქროს მარაგს სხვა დანიშნულებაც აქვს, კერძოდ:

1. ოქროს მარაგი აუცილებელია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებისათვის;

2. ცენტრალური საემისიო ბანკების ოქროს მარაგი, განსაზღვრულ პირობებში, გამოიყენება შინაგანი ფულადი მიმოქცევისათვის;

3. ოქროს მარაგი აუცილებელია საემისიო ბანკების შეუფერხებელი მუშაობისათვის, რათა შესძლონ ანაბრებისა და ბანკოტების მიხედვით თავიანთი ვალდებულებების დროულად დაფარვა.

შესაბამისობა, რომელიც ბანკოტების ემისიასა და საემისიო ბანკის ოქროს მარაგს შორის უნდა არსებობდეს, მყარდება ბანკის წესდებით, იმის მიხედვით, თუ როგორი შეზღუდვებია ბანკოტების ემისიის საქმეში და როგორი შეფარდება არსებობს ემისიასა და ბანკის ოქროს მარაგს შორის, ერთმანეთისაგან ანსხვავებენ საბანკოტო ემისიის სისტემებს: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ამერიკულ სისტემებს.

ბანკოტების ემისიის ინგლისური სისტემა შემოღებულ იქნა 1844 წელს რობერტ პილის საბანკო აქტის საფუძველზე. მან 1931 წელს ოქროს სტანდარტის გაუქმებამდე იარსება. 1844 წლის კანონით დაწესდა ბანკოტების ემისიის განსაზღვრული მაქსიმალური კონტიგენტი, რომელიც ოქროთი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი; 1844 წლის საბანკო აქტის მიხედვით ინგლისის ბანკისათვის მაქსიმალურ კონტიგენტად დაწესდა 14 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა როგორც სახელმწიფო ვალი, განთავისუფლებული იყო ოქროთი დაფარვისაგან, თანაც სხვა ბანკების მიერ ემისიის შეწყვეტის შემთხვევაში ეს თანხა შეიძლება გარკვეული ოდენობით გადიდებულიყო.

პირველი მსოფლიო ომის წინ ინგლისი ბანკის ოქროთი დაუფარავ ბანკოტების საემისიო კონტიგენტს 18,5 მილიონ გირვანქა სტერლინგი შეადგენდა. ომის შემდეგ, როცა ბანკოტების გადახურდავება ოქროზე შეწყდა და მიმოქცევაში ბანკოტებისა და

სახაზინო ბილეთების დიდი რაოდენობა გამოშვებულ იქნა, 1928 წლის კანონით ინგლისის ბანკისათვის დაწესდა, ოქროთი დაუფარავი ბანკნოტების ახალი კონტიგენტი 260 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

კანონით დაწესებული კონტიგენტის ზევით ბანკნოტების გამოშვებისათვის საჭირო იყო 100%-ით ოქროთი დაფარვა, თანაც ოქროთი დაფარული და ოქროთი დაუფარავი ბანკნოტების ემისიის საერთო თანხა კანონით არ იზღუდებოდა.

საბანკოტო ემისიის ფრანგული სისტემა, რომელიც 1870 წელს იქნა შემოღებული, პირველ მსოფლიო ომამდე გაუქმდა, იგი არსებითად განსხვავდებოდა საბანკოტო ემისიის ინგლისური სისტემისაგან. ეს სისტემა განსაზღვრავდა ბანკნოტების ემისიის საერთო მაქსიმუმს (ოქროთი დაფარვისა და დაფარვის გარეშე). მაგრამ იმის გამო, რომ ემისიაზე მოთხოვნილება ხშირად იცვლებოდა, ამდენად პერიოდულად ხდებოდა ამ საერთო მაქსიმუმის გადასინჯვა. დადგენილი წესის მიხედვით, მაგალითად, ბანკნოტების ემისიის საერთო მაქსიმუმში, რომელიც 1870 წელს 4,8 მილიარდი ფრანკის ოდენობით იყო დაწესებული, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ 6,8 მილიარდი ფრანკი შეადგინა.

საერთო მაქსიმუმის ფარგლებში ბანკი თვითონ არეგულირებდა შეფარლებას ბანკნოტების ემისიის ფაქტიურ ოდენობასა და თავის ოქროს მარაგს შორის. ამასთან, კანონით ოქროთი დაფარვის ნორმები გათვალისწინებული არ იყო და ამდენად საემისიო ბანკი ემისიის თვალსაზრისით შეზღუდული არ ყოფილა. იგი საერთო მაქსიმუმის ფარგლებში არეგულირებდა ბანკნოტების განაწილებას.

1928 წელს საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომელმაც გააუქმა საფრანგეთის ემისიის საერთო კონტიგენტი და ისიც, თუ რამდენი ბანკნოტი უნდა ყოფილიყო დაფარული ოქროთი და რამდენი არა, ამის ხაცულად შემოღებული იქნა ბანკნოტების ემისიის ოქროთი 35%-იანი სავალდებულო დაფარვის წესი.

ბანკნოტების ემისიის გერმანული სისტემა შემოღებულ იქნა 1875 წელს, იგი ერთგვარად ინგლისური სისტემის მსგავსი იყო. აქაც მტკიცედ იყო დადგენილი ბანკნოტების ოქროთი უზრუნველ-

ყოფის ნორმები. სხვაობა იყო ამ ნორმების განსაზღვრის წესში. მაგალითად, ჯერ ხდებოდა ბანკნოტების ემისიის ოქროთი უზრუნველყოფის განსაზღვრა, მაქსიმალური კონტიგენტი, 1875 წლის კანონით რაიხსბანკისათვის დაწესებული იყო 250 მილიონი მარკის ოდენობით. მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა დანარჩენი საემისიო ბანკების საერთო კონტიგენტის განსაზღვრა 135 მილიონი მარკის ოდენობით. 1911 წლისათვის ამ დანარჩენი ბანკების საემისიო კონტიგენტი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო რეიხსბანკისა პირიქით, — 550 მილიონ მარკამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მაქსიმალური კონტიგენტი რაღაც მკაცრად განსაზღვრული აბსოლუტური ზღვარი არ იყო, იგი ზოგჯერ იცვლებოდა კიდევ, მაგალითად, დაშვებული იყო ოქროთი დაუფარავი ბანკნოტების გამოშვება დადგენილი მაქსიმუმის ზევით. ყოველი დამატებითი ემისია 5%-ის ოდენობით იბეგრებოდა, ამასთანავე გამოშვებული ბანკნოტების საერთო თანხის არა ნაკლებ 1,3 ოქროთი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. სწორედ ამ შესამედი ნაწილის დაფარვაში მდგომარეობდა გერმანული სისტემის ერთ-ერთი თავისებურება.

ბანკნოტების ემისიის ამერიკულ სისტემაში შემოღებულ იქნა უზრუნველყოფის მინიმალური ნორმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ამ ნორმის შემცირება. ყოველი დამატებითი ემისია იბეგრებოდა გადასახადით, მისი განაკვეთები ოქროთი დაუფარავი ნორმის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა, მაგალითად, თუ ბანკნოტების ოქროთი უზრუნველყოფა 32,5%-მდე შემცირდებოდა, მაშინ დამატებითი ემისია 1%-ით იბეგრებოდა, 30%-მდე შემცირებისას — 2,5%-მდე და ა.შ.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების საბანკნოტო ემისიის სისტემებს, ისინი ან ზემოაღნიშნული სისტემების ყაიდაზე იყო აგებული, ან რამდენაღმე განსხვავებულ ეროვნული ფულის მიმოქცევის თავისებურებებიდან გამომდინარე.

ყველა ამ სისტემისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია მათი საბანკნოტო ემისიის მკაცრი რეგლმენტაციისადმი მისწრაფება მათ შორის განსხვავება მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის მეთოდებში გამოიხატებოდა. ყველაზე უფრო მკაცრი ხასიათის მაინც

ინგლისური სისტემა იყო, სწორედ ეს სისტემა ზღუდავდა ყველაზე მეტად ბანკოტების ემისიას. ინგლისის ბანკოტების ემისიის სისტემა არ იყო მოქნილი, იგი ბანკოტების გამოშვებას არა საკონტროლოდ უშვებდა, არამედ ბანკის ოქროს მარაგს, მის შემცირებასა და გადიდებას უკავშირებდა. ცხადია, რომ საბანკოტო ემისიის რეგლამენტაცია ფულის მიმოქცევის გეგმურ რეგულირებას არ ნიშნავს. სახელმწიფო ადგენდა მხოლოდ ბანკოტის ოქროთი უზრუნველყოფის ნორმებსა და ოქროთი დაუფარავი ემისიის გარკვეულ ზღვარს. ცხადია, ამით იგი ვერც საქონლისა და ფასების დონეს და ვერც სასაქონლო და ფულადი მასის. დინამიკას ვერ განსაზღვრავდა. სინამდვილეში ბანკოტების ემისიის ოდენობა განისაზღვრებოდა არა სახელმწიფოს სურვილებით, არამედ წარმოების წესის დამახასიათებელი სასაქონლო და ფულადი მიმოქცევის კანონებით. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ საბანკოტო ემისიის არცერთ სისტემას არ შეეძლო ყოფილიყო ფულის მიმოქცევის აბსოლუტური გარანტია.

ბანკოტებისა და მათი ემისიის საკითხებთან დაკავშირებით ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი) ცნობილია ორი მიმართულება—ფულადი სკოლა (რ.ტორენსი, ჯ.ნორმანი და სხვა) და საბანკო სკოლა (ტ.ტუკი, ჯ.ფულარტონი, ჯ.სტიურტ მილი). მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა შემოიღებდა დავიწყანოთ სამ საკითხამდე, 1. რა როლს ასრულებს ფული ეკონომიკაში—აქტიურს თუ პასიურს; 2. არის თუ არა განსხვავება ლითონურ ფულსა და ქაღალდის. ღირებულების ნიშანს შორის; 3. როგორი უნდა იყოს ემისიის პრინციპები—ავტომატური თუ ცენტრალური ბანკების მიერ რეგულირებადი.

ფულადი სკოლა დაჟიდ რიკარდოს ფულის რაოდენობით თეორიას ემყარება, იგი თვლიდა, რომ სწორედ ფულადი მასის სიდიდე ეკონომიკაში ცვლილებების უპირველესი მიზეზი. მას ლითონური ფულის მიმოქცევა უნიკალურად მიაჩნია მიმოქცევის სხვა საშუალებებთან შედარებით და უარყოფითად—ბანკოტების საკრედიტო უზრუნველყოფა ოქროთი. ამ სკოლის წარმომადგენლები ასაბუთებენ, რომ სწორედ ბანკოტების ემისიის გაფართოება ოქროს მარაგზე ზევით, განაპირობებს საქონლის ფასების

ზრდასა და წარმოების გაფართოებას, ხოლო შემცირება—ფასების შემცირებასა და ეკონომიკურ კრიზისებს. აქედან გამომდინარე, ამ თეორიის მომხრეები ასკვნიდნენ, რომ მხოლოდ ოქროთი უზრუნველყოფილი ბანკოტები შეიძლება ყოფილიყო ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილების საშუალება.

ფულადი სკოლის იდეა იყო რობერტ პილის საბანკო აქტის თეორიული საფუძველი, სწორედ მისი მიხედვით შემოიღეს მიმოქცევაში 14 მილიონი გირვანჯა სტერლინგზე ზევით გამოშვებული ბანკოტების 100%-იანი ოქროთი უზრუნველყოფა.

ფულადი სკოლის თეორია უსაფუძვლო იყო, ვინაიდან მას, 1) ეკონომიკური კრიზისების მიზეზად მიაჩნდა ფულადი მიმოქცევა და კრედიტის დინამიკა; 2) იგი საჭიონლის ფასების მოძრაობას ხსნიდა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ცვლილებებით; 3) იგი უარყოფდა ბანკოტების საკრედიტო უზრუნველყოფას და ოქროთი დაუფარავ ბანკოტებს ქაღალდის ფულად ივლიდა. ფულადი სკოლა გამოხატავდა და იცავდა ფულადი კაპიტალისტებისა და ბანკირების ინტერესებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ფულზე მოთხოვნილებისა და სესხებზე სარგებლის ზრდით მაღალი მოგება მიეღოთ.

საბანკო სკოლას რაც შეეხება, იგი ფულადი სკოლისაგან განსხვავებით უარყოფდა ფულის დამოუკიდებელ როლს ეკონომიკის განვითარებაში, ასაბუთებდა საკრედიტო ფულის განსაკუთრებულ როლს; ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით ბანკოტები გამოშვებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ თამასუქების უზრუნველყოფით, ისინი არ იზიარებდნენ ბანკოტების ოქროთი უზრუნველყოფის პრინციპს. ეს სკოლა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ინტერესებს იცავდა. ისინი იაფ კრედიტს და ბანკოტების მიმოქცევის მოქნილ სისტემას მოითხოვდნენ. საბანკო სკოლა მეტისშეტად აზვიადებდა ბანკოტის საკრედიტო ბუნებას და სათანადოდ ვერ აფასებდა ოქროთი უზრუნველყოფას როლს.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში არსებითად იცვლებოდა ბანკოტების უზრუნველყოფის ხასიათი. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ვაშალგზულმა შეიარაღებამ, სახელმწიფო სესხების გამოშვებამ, ბიუჯეტის დეფიციტის უზარმაზარმა ზრდამ, ოქრო-

უთანაბროდ განაწილების გაძლიერებამ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და საემისიო ბანკების ოქროს მარაგის საგრძნობლად შემცირებამ ფულად-საკრედიტო კრიზისები გამოიწვია. ამით საგრძნობლად შეირყა ბანკნოტების სიმტკიცე, რაც საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ საერთოდ შეწყდა ბანკნოტების ოქროზე გადახურდავება და იგი ქალაქის ფულად გადაიქცა. /

5. ფულადი სისტემის ამრიტადი ტიპები

ლითონური ფულადი სისტემისათვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ტიპი—ბიმეტალიზმი და მონომეტალიზმი.

ბიმეტალიზმი—ეს ისეთი ფულადი სისტემაა, როდესაც საყოველთაო ეკვივალენტის სახით ორი ძვირფასი ლითონი—ვერცხლი და ოქროა დაკანონებული. ორივე ლითონიდან თავისუფლად იჭრება სრულფასიანი მონეტები, ორივე გადახდის კანონიერი საშუალებაა მიმოქცევაში, ბიმეტალიზმის სისტემის დროს იჭრება არასრულფასიანი ვერცხლისა და სპილენძის მონეტებიც, რომლებიც აგრეთვე გადახდის კანონიერი საშუალებებია მიმოქცევაში, მაგრამ მხოლოდ კანონით დაწესებულ ფარგლებში.

არსებობს ბიმეტალიზმის სამი სხვადასხვა სახე:

1. პარალელური ვალუტის სისტემა; 2. ორმაგი ვალუტის სისტემა და 3. კოჟლი ვალუტის სისტემა.

პარალელური ვალუტის სისტემის დროს ორივე ლითონის—(ჩვეულებრივ ოქროსა და ვერცხლის) მონეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმოიქცევა; ორივე ლითონის მონეტას თავისი ღირებულება გააჩნია მიმოქცევაში; ოქროსა და ვერცხლის მონეტების ფასი ბაზარზე ორნაირია. ორივე ლითონის ღირებულება ცვალებადია და ამიტომ მათი ფასიც ცვალებადია. ეს გარემოება ართულებს მიმოქცევას, ამიტომ სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს თავიდან აიცილოს ეს გარემოება ოქროსა და ვერცხლის შორის შეფარდების დაწესების გზით.

ორმაგი ვალუტის სისტემის დროს საქმე გვაქვს ფულის ისეთ მიმოქცევასთან, როდესაც ოქროსა და ვერცხლს შორის ღირებუ-

ლების შეფარდება სახელმწიფოს მიერაა დაწესებული. ამ სისტემის დროს ოქროსა და ვერცხლის მონეტებიც სახელმწიფოს მიერ დაწესებული ღირებულებითი შეფარდების მიხედვით იჭრება, რის გამოც ორივე ფულზე ფასები ერთნაირია, და მაინც სახელმწიფო ღირებულებით ასეთი შეფარდების დადგენა მაინც რიგ სიძნელეებს აწყდება ეკონომიკური კანონების ზეგავლენით.

ის ლითონი, რომლის ფასი ბაზარზე უფრო მაღალია, ვიდრე ამას ეკონომიკური კანონები კარნახობს, იგი მიმოქცევიდან გადის. დაეუშვათ, რომ სახელმწიფომ ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის დააწესა შეფარდება 1:15, ე.ი. აღიარა რომ ოქროს ფასი თხუთმეტჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ვერცხლისა. ამავე დროს ბაზარზე ფაქტიურად მყარდება შეფარდება 1:16, ე.ი. ოქროს ფასი თექვსმეტჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ვერცხლისა. მაშასადამე, ბაზარზე ოქრო უფრო ძვირია, ვიდრე ეს დაწესებულია სახელმწიფოს მიერ. ასეთ შემთხვევაში ოქროს გამოყენება მონეტის სახით ხელსაყრელი არ არის, იგი გადის მიმოქცევიდან და განძად გადაიქცევა, არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთ შემთხვევაში ოქრო იქნეს საზღვარგარეთ გატანილი ვერცხლის მეტ რაოდენობაზე, ვთქვათ 16 ერთეულზე გადაცვლის მიზნით.

ამრიგად, მსგავს შემთხვევებში ოქროს მონეტები გადის მიმოქცევიდან და მათ ადგილს ვერცხლის მონეტები იკავებს, ე.ი. ვერცხლი განდევნის ოქროს მიუხედავად იმისა, რომ ვერცხლი უფრო იაფი ლითონია, ვიდრე ოქრო. თუ ამ ორ ლითონს შორის ღირებულებათა შეფარდება ბაზარზე ვერცხლის სასარგებლოდ შეიცვლება, მაშინ პირიქით, — ოქრო განდევნის მიმოქცევიდან ვერცხლს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორმაგი ვალუტის დროს სინამდვილეში მოქმედებს ღირებულების არა ორი საზომი, როგორც ეს სახელმწიფოს მიერაა დაკანონებული, არამედ ერთი საზომი — ვერცხლი ან ოქრო.

ორმაგი ვალუტის სისტემა უმთავრესად ფეოდალურ საზოგადოებაში გამოიყენებოდა. ფეოდალები ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის ისეთ შეფარდებას აწესებდნენ, რაც მოცემულ მომენტში (მათივის) უფრო ხელსაყრელი იყო.

ორმაგი ვალუტის მიმოქცევასთან დაკავშირებულ მოვლენები-
დან გამომდინარეობს კოპერნიკ-გრეშამის კანონი იმის შესახებ,
რომ “ცუდი ფული მიმოქცევიდან დევნის კარგ ფულს”. სხვათა
შორის ეს კანონი პირველად, პოლონელმა მეცნიერმა ნიკოლოზ
კოპერნიკმა აღმოაჩინა 1526 წელს. მისი საბოლოო გაფორმება
წილად ზედა ინგლისელ ფინანსისტსა და დიპლომატს თომას
გრეშამს 1560 წელს. ამიტომ ეს დებულება ეკონომიკურ მეცნი-
ერებაში “კოპერნიკ-გრეშამის” კანონის სახელწოდებით შევიდა.

“კოჭლი” ვალუტის სისტემის დროს როგორც ოქროს, ისე
ვერცხლის სრულფასიანი მონეტები გადახდის კანონიერი საშუა-
ლებაა. ამ სისტემის სპეციფიურობაა, რომ აქ ოქროს მონეტების
მოქრა თავისუფალია, ხოლო ვერცხლისა—არა, იგი დახურული
ანუ შეზღუდულია. /

XIX საუკუნის მთელ პერიოდში ადგილი ჰქონდა ოქროს სა-
ბადოების აღმოჩენას. ოქროს მდიდარი საბადოები ჯერ აღმოაჩინეს
კალიფორნიაში, ხოლო შემდეგ სამხრეთ აფრიკის კავშირში, ამის
შედეგად ოქროს მოპოვებამ 1899 წლისათვის სარეკორდო ციფრს
14,838 ათას უნციას მიაღწია. რაც შეეხება ვერცხლს, მისი მოპო-
ვება მართალია 1801-1830 წლებში, დაბალი იყო, მაგრამ შემდ-
გომში შესამჩნევად გაიზარდა. ამასთან ერთად ვერცხლის წარმოე-
ბაში შრომის ნაყოფიერების ზრდამ საგრძნობლად შეამცირა
ვერცხლის ღირებულება, ასე მაგალითად, 1801-1830 წლებში შე-
ფარდება ოქროსა და ვერცხლს შორის ასეთი იყო: 1:15,61; 1841-
1850 წლებში— 1:15,83; 1851-1855 წლებში—1:15,41; 1856-1860
წლებში—1:13,30; 1861-1865 წლებში—1:15,40; 1896-1900
წლებში—1:33,54.

ამრიგად, ხანგრძლივი ისტორიულ განვითარების პროცესში
ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის შეფარდება მრავალ-
ჯერ შეიცვალა, მაგრამ ეს შეცვლა უმთავრესად ოქროს სასარ-
გებლოდ წარიმართებოდა.

კაპიტალიზმის ეპოქაში როგორც ცნობილია ფართოდ იშ-
ლება საერთაშორისო საქონელბრუნვა, დიდი როლი ენიჭება ოქ-
როს, როგორც მსოფლიო ფულს, ოქროსა და ვერცხლის ღირებუ-
ლებას შორის შეფარდებაში ცვლილებებს მთელ რიგ ქვეყნებში

შედგად მოჰყვა ოქროს მონომეტალიზმის სისტემის გავრცელება. ოქროს მონომეტალიზმის სისტემა პირველად შემოღებულ იქნა ინგლისში 1816 წელს, გერმანიაში—1871-1873 წლებში, საფრანგეთში—1876-1878 წლებში, სკანდინავიის ქვეყნებში—1872 წელს, რუსეთში—1895-1897 წლებში, იაპონიაში—1899 წელს და ამერიკის შეერთებულ შტატებში—1900 წელს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რომ ყველაზე გვიან შემოიღო ეს სისტემა, ეს იმიო აიხსნება, რომ აქ, როგორც ვერცხლის მომწოდებელ ქვეყანაში, მძლავრი იყო ვერცხლის მწარმოებელია ინტერესები და გავლენა სახელმწიფოზე.

ოქროს მონომეტალიზმის ინტენსიური ზრდის მიუხედავად ბევრ ქვეყანას (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, მექსიკა და სხვა), მაინც შემორჩა ვერცხლის მონომეტალიზმი. ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ ქვეყნების ბირებზე ხშირად ამბობდნენ: “ყითელ ადამიანს თეთრი ფული აქვს, თეთრ ადამიანს ყითელი”.

მონომეტალიზმი ეს ისეთი ფულადი სისტემაა, რომლის დროსაც საყოველთაო ეკვივალენტის როლს ერთი რომელიმე ლითონი—ვერცხლი ან ოქრო ასრულებს.

ვერცხლის მონომეტალიზმის დროს ნებადართულია სხვა ლითონების (სპილენძის ან ოქროს) მონეტების მოჭრა. სპილენძის ფული როგორც ხურდა ფული მხოლოდ ვიწრო ფარგლებში გამოიყენებოდა, ხოლო ოქროს მონეტებით გადახდა სავალდებულო იყო და არსებული წესის მიხედვით არავის არ ჰქონდა უფლება ოქროს მონეტები მოეთხოვა. თავის დროს ვერცხლის მონომეტალიზმი მრავალ ქვეყანას ჰქონდა.

ოქროს მონომეტალიზმი ეს ფულის ისეთი სისტემაა, როდესაც საყოველთაო ეკვივალენტის როლს ასრულებს ერთი ლითონი—ოქრო, არსებობს ამ სისტემის სამი სახე: 1. ოქრო-მონეტური; 2. ოქრო-ზოდური და 3. ოქრო-დევიზური.

ოქრო-მონეტური სისტემის დროს გადახდის კანონიერი საშუალება ოქროა. ამავე დროს ხდება როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტების მოჭრა, მაგრამ ისინი ხურდა ფულის როლს ასრულებენ და მხოლოდ ვიწრო ფარგლებში ფუნქციონირებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოქროს მონეტების მოჭრა და მიმოქცევა

სრულიად თავისუფალია, ასევე თავისუფალია ქალაქის ფულის ნიშნების გადახურდავება ოქროს მონეტებზე, ოქრო თავისთავად მოძრაობს ქვეყნებს შორისაც.

ოქრო-ზოდური სისტემის დროს მონეტები არ იჭრება, მიმო-
იქცევა მხოლოდ ლითონის ოქროთი უზრუნველყოფილი ხურდა
მონეტები და ბანკნოტები. ბანკნოტები გადახდის კანონიერი
საშუალებებია, ხოლო ხურდა მონეტები მხოლოდ ვიწრო სფეროს
ემსახურებიან. ბანკნოტების გადახურდავება ოქროს ზოდებზე
რეგლამენტირებულია. ოქრო-ზოდური სისტემის დროს მიმოქცე-
ვაშია მხოლოდ ბანკნოტები და ვერცხლისა და სპილენძის ხურდა
მონეტები. ბანკნოტები, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება
უზრუნველყოფილია ნაწილობრივ ოქროთი და ნაწილობრივ ისეთი
შუბო ვალუტით, რომელიც შეიძლება ოქროზე გადახურდავდეს.
ასეთი ვალუტის მონაწილეობა უზრუნველყოფაში ოქროს მარაგის
სიმცირეს ნიშნავს.

ოქრო-დევზური სისტემის დროს ყოველ პირს უფლება აქვს
საემისიო ბანკში გადახურდავოს თავისი ბანკნოტები აღსანიშნავია
ის გარემოებაც, რომ მოცემული ქვეყნის ფულადი სისტემა დამო-
კიდებულა იმ ქვეყნის ფულად სისტემაზე, რომლის ვალუტაც
ბანკნოტების უზრუნველსაყოფად არის აღებული.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთში შემო-
იღეს ოქროს მონომეტალიზმის სისტემა ოქროს მიმოქცევის გა-
რეშე. აქ საემისიო ბანკი, მართალია, მიმოქცევაში უშვებდა ოქრო-
თი უზრუნველყოფილ ბანკნოტებს, მაგრამ მათი გადახურდავება
ოქროზე არ წარმოებდა. ამავე პერიოდში გერმანიამ თავის ერთ-
ერთ კოლონიაში გამოაშუვა ბანკნოტები, რომელთა 1,2 ოქროთი,
ხოლო 2,3-გერმანიის რეისხბანკის ბანკნოტებითა და ფასიანი ქა-
ღალდებით დაფარული იყო. ანალოგიური კოლონიური ტიპის
ოქრო-დევზური სისტემა შექმნა აგრეთვე ინგლისმაც. მაგალი-
თად, ინდოეთში დამყარდა განსაზღვრული შეფარდება რუპიასა და
გირვანქა სტერლინგს შორის. ამ შეფარდების მიუხედავად ხდებოდა
რუპიის გადახურდავება ინგლისურ დევზებზე, რის შემდეგაც
რუპია გირვანქა სტერლინგზე მიჭაქვეული აღმოჩნდა, ეს ხელს უწყ-
ობდა ინგლისის მონოპოლიების მიერ ინდოეთის კოლონიური

ძარცვის გაძლიერებას. ასევე მოხდა ალჟირში, ინდო-ჩინეთსა და სხვა კოლონიურ ქვეყნებშიც.

კიდევ უფრო გაძლიერდა ქვეყნებს შორის უთანაბრო განვითარება, რამაც, თავის მხრივ, გააძლიერა ოქროს მარაგის უთანაბრო განაწილება. უკვე 1913 წლისათვის მთელი კაპიტალისტური სამყაროს ოქროს მარაგი შეადგენდა 4070 მილიონ დოლარს, იგი ასე ნაწილდებოდა ცალკეული ქვეყნების მიხედვით: ინგლისზე—279; იტალიაზე—267; ამერიკის შეერთებულ შტატებზე—1290 მილიონი დოლარი. მაშასადამე, ამ სამი ქვეყნის ხელში იყო თავმოყრილი კაპიტალისტური მსოფლიოს ოქროს მარაგის უდიდესი ნაწილი.

მართალია, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში შედარებით განმტკიცდა ოქრო-მონეტური სტანდარტი, მაგრამ ეს მოხდა მისი ზოგიერთი პრინციპის დარღვევით. ამის მაგალითია მონეტების მოჭრის შეზღუდვა, რამაც შიმოქცევადან ოქროს მონეტების გასვლა გამოიწვია. 1913 წლისათვის ოქროსა და ვერცხლის მონეტები კაპიტალისტური ქვეყნების შიმოქცევის 16 ნაწილს შეადგენდა, მათ შორის ოქროსი—1.10 ნაწილს. მიუხედავად ამისა ქვეყნების ფულადი სისტემა, ფულადი რეფორმების ჩატარების გზით, მაინც შედარებით სტაბილური რჩებოდა. რეფორმების შედეგად ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთში, შემოღებულ იქნა ოქრო-ზოლური სისტემა, ხოლო უმრავლეს ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია, დანია, ნორვეგია და სხვა)—ოქრო-დვეიზური სისტემა. და მაინც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მეტად ძლიერი დარტყმა მიაყენა ოქროს მონეტალიზმის სისტემის ყველა ფორმას, თითქმის ყველა ქვეყანამ შეწყვიტა ბანკნოტების გადახურდავება ოქროზე. ოქროს სტანდარტი გაუქმდა. კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფდა ჭალადის ფულის შიმოქცევა. მეორე მსოფლიო ომში კაპიტალისტური ქვეყნები უკვე გაუფასურებული ფულით ჩაებნენ.

თანამედროვე ეტაპზე ფულად სისტემისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: 1. ოქროსთან უშუალო კავშირის შეწყვეტა. 2. გადაუხურდავებელი საკრედიტო ფულის ბატონობა, რომელიც

თავისი ბუნებით ქალაქის ფულს უახლოვდება; 3. ფულის გამოშვება მეურნეობისა და სახელმწიფოს დაკრედიტების, აგრეთვე ოფიციალურ ოქროსავალუტო რეზერვების უზრუნველყოფა დაკრედიტების გზით; 4. უნაღლო ბრუნვის ფართოდ განვითარება და ნაღდი ფულადი ბრუნვის შემცირება; 5. ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირება.

საკრედიტო ფულის ოქროზე გადაუხურდავებელი სისტემა არსებითად განსხვავდება ოქროს ფულის მიმოქცევისაგან. ოქროს შემცველი ფულის ნომინალური ღირებულება აღემატება მათ, საკუთარ ღირებულებას. ასეთი განსხვავების მხარდაჭერისათვის მთლიანად დაიჭვემდებარა სახელმწიფომ ცენტრალური ბანკებისა და ხაზინის მეშვეობით ნაღდი ფულის ემისია. იმის გამო, რომ სადებოზიტო ოპერაციებს უმთავრესად კომერციული ბანკები და სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტები აწარმოებენ, ცენტრალური საემისიო ბანკებს უადვილდებათ კონტროლი მათი საქმიანობაზე.

6. ინფლაცია რეპორტ მრავალშაქტიანი ბრძოლაში

ინფლაცია არის საზოგადოებრივი კლავწარმოების პროცესში დისპროპორციით გამოწვეული ფულის მიმოქცევის კანონის დარღვევა, რაც ფულის გაუფასურებაში ვლინდება, ქალაქის ფულის გაუფასურების პროცესი მიმოქცევაში ზედმეტი ფულის გამოშვებით იწვება. ინფლაცია ორგანულად არის დაკავშირებული ფასების ზრდასთან. რაოდენობრივად ფულის გაუფასურება აისახება ფასების ზრდაში, რაც უფრო იზრდება ფასები, მით უფრო სწრაფად მცირდება ფულის მყიდველობითი უნარი.

ინფლაციის დამახასიათებელი ფენგები, პირველ რიგში კლავწარმოების პროცესის დარღვევაში უნდა ვეძიოთ. ინფლაციის მექანიზმი მჭიდროდ უკავშირდება ისეთ მოვლენებს, როგორცაა: ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში ქარბი ქალაქის ფულის ემისია; სამომხმარებლო საქონლის წარმოების დონის მკვეთრი ჩამორჩენა მოსახლეობის

გადახდისუნარიანი მოთხოვნებისაგან; აგრეთვე სახელმწიფო ვალების ზრდა, საკრედიტო ექსპანსია, მილიტარიზმი, სავალუტო, ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისი, სასურსათო პრობლემების გამწვავება და სხვა.

ისტორიაში ცნობილია ინფლაციის მრავალი შემთხვევა. ადრე ინფლაციას შედარებით დროებითი ხასიათი ჰქონდა და იგი, როგორც წესი, ძირითადად ომებთან, კრიზისებთან, სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებული იყო. დაფინანსების მიზნით მათ უშვებდნენ ძვირფას ლითონზე გადაუხურდავებელ ქალაქის ფულს. ამერიკას შეერთებულ შტატებში ცნობილია ორი დიდი ინფლაციური ეტი გაშოწვეული ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებით 1775-1887 წლებში და, მეორე, სამოქალაქო ომით 1861-1869 წლებში¹. სწორედ ამ პერიოდში იხმარეს პირველად ტერმინი ინფლაცია, რაც ფულის მიმოქცევის გაბერვას ნიშნავს. ინფლაციის დროს ბაზარი დიდი რაოდენობის ქალაქის ფულით არის გავსებული.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული მრეწველურად

¹ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1766 წელს შეიქმნა მანამდე იგი ინგლისის კოლონია იყო. როდესაც ინგლისთან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო ამ ბრძოლის დაფინანსება ძირითადად ქალაქის ფულის (კონტინენტალური ფული) ხარჯზე ხდებოდა. ამ პერიოდში ქალაქის ფული 60-ჯერ და შეტადაც გაუფასურდა, სამოქალაქო ომის დროს კი მთაყრობა ქალაქის დოლარების ("გრინბეკების") გამოშვებას მიმართა, გამოუშვეს 450 მილიონი დოლარი ქალაქის ფული, რომლის მყიდველობითი უნარიც ორი წლის შემდეგ 40%-მდე დაეცა. საფრანგეთში 1789-1794 წლებში ინფლაცია ასიგნაციების გამოშვებასთან იყო დაკავშირებული. საფრანგეთის დიდ რევოლუციის პერიოდში ასიგნაციები იმდენად გაუფასურდა, რომ იმუღუნებულნი გახდნენ 1796 წელს იგი ახალი ქალაქის ფულზე გადაეცვალათ შეფარდებით 30:1, შემდგომში ეს შეფარდება 100:1-მდე გაიზარდა. ფულის გაუფასურების აბსოლუტური რეკორდი მაინც გერმანიას ეკუთვნის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიმოქცევაში იყო 496 კვინტალიონი ქალაქის მარკა. 1923 წლის ფულის რეფორმის დროს ერთ ახალ რეიხსმარკაზე 1 ტრილიონი ძველი მარკა გადაეცვალეს.

ყელაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში ბაზონობდა ოქრო-
მონეტური სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფდა ფულის
მიმოქცევისა და ფასწარმოქმნის სიმტკიცეს. მაგრამ ფასწარმოქმნის
მექანიზმი, რომელიც დამყარებული იყო ლითონის ფულის
მიმოქცევაზე, საგრძობლად ზღუდავდა მათ შესაძლებლობებს
ნაციონალური შემოსავლის განაწილებაში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოქრო-მონეტური სტან-
დარტი შეცვალა საბანკო და ქალაქის ფულის მიმოცევის სის-
ტემამ. ამითვე იქნა შექმნილი თავიანთ პროდუქტებზე მონოპო-
ლიური ფასების გადიდების პირობებიც, აგრეთვე სახელმწიფო
ბიუჯეტის ხარჯების ზრდაც დეფიციტური დაფინანსების გზით.
ფასწარმოქმნისა და ფულის მიმოქცევის მექანიზმი დარღვეული
იქნა, რამაც გავლენა მოახდინა კვლავწარმოებისა და ფულის გაუ-
ფასურების ობიექტურ კანონზომიერებათა ფორმების გამოვლინე-
ბაზე.

ინფლაცია თავის განვითარებაში გაივლის სამ ძირითად ეტაპს.

პირველ ეტაპზე ფულის ემისიის ტემპი წინ უსწრებს ფულის
გაუფასურების ტემპს.

სახელმწიფო მიმოქცევაში უშვებს ზედმეტ ქალაქის ფულს,
იწყება ინფლაცია, ფულადი მიმოქცევის არხები ზედმეტი ფულით
ივსება, თუმცა ფასებს ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ დონისათვის,
როცა აშკარად ჩანს ინფლაციის სიმპტომები, პირველ ეტაპზე
ინფლაცია მალულ ფორმებში მიმდინარეობს, იგი თავს იჩენს
იმით, რომ ეცემა ფულის მიმოქცევის სისწრაფე, ამის ნიადაგზე
იზრდება მიმოქცევის ტევადობა, ზედმეტი ფული ძირითადად
(თანდათანობით) ილექება მოსახლეობაში, ანგარიშებზე ბანკებში
და ა.შ.

მეორე ეტაპზე, ფულის გაუფასურების ტემპი წინ უსწრებს
ფულის ემისიის ტემპს.

მიმოქცევაში გამოშვებული ზედმეტი ფული უკვე ისე
მასშტაბებს აღწევს, რომ ინფლაცია უკვე მალულიდან ლია მდგო-
მარეობაში გადადის. იწყება ფასების ზრდა. ეს ზრდა თავისი ტემ-
პებით წინ უსწრებს ფულის ემისიის ტემპს, ინფლაციის სოცია-
ლურ-კლასობრივი არსიც სრულიად ახალ თვისებას იძენს. მკვეთ-

რად ეცემა ხელფასი, რაც რეაგირებს მიმოქცევაში ზედმეტი ფულისა და ფასების ზრდაზე, შესაბამისად სულ უფრო უფასურდება ფული, ამავე დროს ფულის გაუფასურება მეტნაკლები ზომით წინ უსწრებს ფულის ემისიის ტემპს, ეს კი, თავის მხრივ განაპირობებს ახალ-ახალი ფულადი მასის გამოშვებას. ამას კი შედეგად მოსდევს ფულის ემისიის ტემპის გასწრება ფულის გაუფასურების ტემპზე. პროგრესულად გაუფასურებული ფულის არსებით ფაქტორად დამატებით გამოდის ფულის მიმოქცევის ტევადობის ზღმცირება, განსაკუთრებით მეორე და მესამე ეტაპზე.

მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელია ფართო ინფლაცია, რაც თავის მხრივ, გარდაუვალად იწვევს ღრმა ნეგატიურ მოვლენებს კვლავწარმოების პროცესში.

ინფლაციისათვის დამახასიათებელია ორი გადაშფვეტი ფაქტორი: 1) ზედმეტი ფულადი მასით მიმოქცევის არხების გაბერვა, რასაც შედეგად მოსდევს ფულადი მასის გაუფასურება და ჯასების ზრდა; 2) რეალური ხელფასის მკვეთრად დაცემა.

შედეგად, ინფლაცია—ეს არის ფულის მიმოქცევის განსაკუთრებული მდგომარეობა, ისეთი ფულადი ფენომენი, რომლის წარმოშობასაც განაპირობებს კვლავწარმოების პროცესი და მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და საქმიანობა. აღსანიშნავია ისიც, რომ არ შეიძლება ფასის ყოველი ზრდა ინფლაციურ პროცესად, ხოლო თვით ინფლაცია ფასების ზრდის ფენომენად ჩაითვალოს. სწორედ ეს არის ინფლაციის მრავალფაქტორიანობის ძირითადი პრინციპი.

ქაღალდის ფულის გაუფასურების საზომია:

1. ფულისა და ფასების პირდაპირი შედარება. მაგალითად, თუ რომელიმე პერიოდში, რომელიმე ქვეყანაში ფასების დონე ორჯერ გაიზარდა ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყნის ფული ორჯერ გაუფასურდა;

2. ერთი ქვეყნის ფასების გაზრდილი დონის შედარება მეორე ქვეყნის უფრო მტკიცე ფულით გამოხატული ფასების დონესთან;

3. ქაღალდის ფულსა და ლითონის ფულში გამოსასული ფასების დონეების ურთიერთ შეფარდება. ეს ხდება იმ პერიოდში, როდესაც მოცემული ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს

როგორც ქალაღდის, ისე ლითონის ფული. /

მაშასადამე, შეიძლება ფასების ზრდისა და გაუფასურებას შორის არსებობდეს ურთიერთ შექცევადი კავშირი ფასების ზრდის გამომწვევი მიზეზების მიუხედავად.

ფულის გაუფასურების ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ქალაღდის ფულის მყიდველობითი უნარის დაცემა.

მართალია, კვლავწარმოების ფესვები კვლავწარმოების სფეროში ძეგს, მაგრამ იგი უშუალოდ მაინც ფულად სფეროში გვევლინება. ფულადი ბრუნვა მთელი მეურნეობრივი პროცესის სარკეა. იგი მწვავედ რეაგირებს მისი პროპორციებისა და მიმოქცევის დარღვევების მიმართ. რომელ რგოლშიაც არ უნდა იყოს ინფლაცია, საბოლოო ჯამში მაინც ისეთ წრიულ რეაქციას მივიღებთ, სადაც კვლავწარმოების ყველა ელემენტი ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. /მიმოქცევის გადატვირთვა ქალაღდის ფულით მრავალფაქტორიანი პროცესია. მის წარმოშობას აპირობებს არა პართო ფულის ზედმეტი მასა, არამედ კვლავწარმოების პროცესში არსებული დისპროპორციებიც.

ფულის გაუფასურება ვლინდება საქონლის, ოქროსა და უცხო ვალუტების მიმართ.

საქონლის მიმართ იგი ვლინდება საბითუმო და საცალო ვაქრობაში საქონლის ფასების ზრდით, ზრეთვე ფულის მყიდველობითი უნარის დაცემით.

ოქროს მიმართ იგი ვლინდება ქალაღდის ფულის ოქროს საბაზრო ფასის ზრდით. ქალაღდის ფულის ყოველი ერთეული წარმოადგენს ოქროს უფრო ნაკლებ რაოდენობას, რაც უფრო დიდია გაუფასურება, მით უფრო მცირეა ოქროს ის რაოდენობა. რაც ქალაღდის ფულშია მოცემული, ე.ი. მიმოქცევაში ჩნდება უფრო მაღალი და უფრო დაბალი კურსის მქონე ფული. ამიტომ კარგი ფული, როგორც წესი მიმოქცევიდან გაღის და განძად იქცევა, ხოლო ცუდი—მიმოქცევაში რჩება. ლითონის ფულს რაც შეეხება, იგი მიმოქცევიდან ერთბაშად არ გაღის, ჯერ გაღის სრულფასიანი ვერცხლი, შემდეგ არასრულფასიანი ვერცხლი და ბოლოს—სპილენძის ხურდა მონეტები. ეს ხურდა მონეტები მიმოქცევიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გაღის, როდესაც გაუფასურება მეტად

ფართო მასშტაბებს ლებულობს. ინფლაციის დროს ყველა ცდილობს ფულის საჩქაროდ მოშორებას და ნამდვილი ღირებულების შექენას, ძლიერდება ოქროს ტენდენცია, ე.ი. სახლში შეინახვა, მეორე მხრივ, საქონლის მფლობელები ცდილობენ შეინახონ საქონელი და იგი ფასების ზრდის კვალობაზე მცირე ოდენობით გაყიდონ.

ფულის გაუფასურება უცხო ვალუტის მიმართ გამოიხატება ეროვნული ვალუტის კურსის დაცემით უცხო ფულის ერთეულისადმი, რომელსაც ძველებურად შენარჩუნებული აქვს რეალური ღირებულება, ანდა იგი ნაკლებადაა გაუფასურებული.

ინფლაციის ხასიათის მიხედვით ანსხვავებენ:

1) ლოკალურ ინფლაციას, ე.ი. როცა მას ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეულ ქვეყანაში; 2) მსოფლიო ინფლაციას, როცა იგი ყველა ქვეყანას მოიცავს; 3) "ქენებით" ინფლაციას, როცა ფასების ზრდა საოცრად სწრაფია, თანაც ნახტომისებურიც; 4) "სეოცაეი" ინფლაცია, როცა ფასები ნელა მაგრამ განუწყვეტლივ იზრდება; 5) შინაგანი ფაქტორებით გამოწვეულ ინფლაციას; 6) "იმპორტულ" ინფლაციას, რომელიც გარეგანი მიზეზებით არის წარმოშობილი და 7) "საფეხურებიან" ინფლაციას, რომელიც ინფლაციის პროცესის არათანაბრობასთან არის დაკავშირებული.

ინფლაცია თავდაპირველად კონიუნქტურის გამოცოცხლების ფაქტორის სახით გვევლინება. ბიუჯეტური ასიგნებანი და კრედიტები წარმოების გაფართოების დროებით სტიმულს წარმოადგენს. სახელმწიფო ქალაქის ფულის ემისიით აღიღებს თავის სამხედრო შეკვეთებს, სტიმულს აძლევს ძირითადი ფონდების გადიდებას, თავის თავზე იღებს სოციალ-ეკონომიკურ ხარჯების დაფარვას.

მაგრამ ინფლაციის განვითარების დიალექტიკა თავს იჩენს იმ ფაქტში, რომ იგი გაღრმავების კვალობაზე მამოძრავებელი ფაქტორიდან კვლავ წარმოების დამამუხრუჭებელ ფაქტორად გადაიქცევა ხოლმე. ინფლაცია უარყოფითად მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობაზე, ხელს უწყობს სავალუტო კრიზისის განვითარებას. ინფლაციის ხანგრძლივი ხასიათი ამწვავებს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ანგრევს მთელ მეურნეობას, ბადებს კაპიტალის წარმოების სფეროდან მიმოქცევის სფეროში გადასვლის

ტენდენციას, ვინაიდან მიმოქცევის სფერო ამ დროს უფრო დიდი მოგების მომტანია სპეკულაციის წყალობით. /

ინფლაცია იწვევს აგრეთვე საქონლის რეალიზაციის შეწყვეტას, ფასებში სხვაობა აძლიერებს საქონლის მოძრაობას, ყველა ცდილობს ფასებში განსხვავება დროისა და სივრცის მიხედვით გამოიყენოს, ხშირად ფასებში სხვაობას ხელოვნურად ქმნიან.

ამ დროს უდიდესი ძვრები ხდება მოხმარების სტრუქტურაშიც. ყველა ცდილობს გაუფასურებული ფულის მოცილებას და მის რეალურ ღირებულებად გადაქცევას.

ინფლაცია აძლიერებს დისპროპორციებს ეკონომიკაში. საქონლის ფასების არათანაბარი ზრდა აღრმავებს მოგების ნორმის არათანაბრობას სხვადასხვა დარგში. ამას მიეყვართ წარმოების გაფართოებამდე ერთ დარგში და წარმოების შემცირებასა და დაცემამდე მეორეში. ინფლაცია იძლევა იმპულსს სამხედრო მრეწველობის გაფართოების მიმართულებით და აფერხებს სამოქალაქო დარგის განვითარების ზრდას, იწვევს დისპროპორციას დარგებს შორის, რითაც დეზორგანიზაცია შეაქვს სამეურნეო კავშირებში.

ინფლაცია სავალუტო კრიზისის ერთ-ერთი ფაქტორია. იგი ქმნის ვალუტის ოფიციალურ და საბაზრო კურსს შორის შეუსაბამობას, უარყოფითად მოქმედებს მსოფლიო ფასებსა და ფირმების კონკურენტუნარიანობაზე.

/ ინფლაციის დროს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ეცემა, ამას განაპირობებს საქონელზე ფასების აწევა. რეალური ხელფასი მაშინაც კი ეცემა, როდესაც მისი ნომინალური ხელფასი ფორმალურად იზრდება. ეს იმიტომ, რომ ხელფასის ნომინალური ზრდა, როგორც წესი, ყოველთვის ჩამორჩება ინფლაციის ტემპს, ფასების ზრდას.

ინფლაციას გარკვეული ცვლილებები შეაქვს საკრედიტო ურთიერთობაში. მსესხებელი ვალდებულია ვალი მისი ნომინალური ღირებულების მიხედვით დაუბრუნოს გამსესხებელს. გაუფასურება აქ მხედველობაში არ მიიღება. ამის გამო გამსესხებელი მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს საკრედიტო ურთიერთობებს იმ მხრივაც, რომ ხდება კრედიტის შეკუმშვა, ვინაიდან ამ დროს ყველა გაურბის საქონლის- ნისიად გაყიდვას ან ფულის გასესხებას.

ინფლაციის დროს კრედიტორები აღიღებენ სარგებელს და ამით ნაწილობრივ იზღვევენ თავს ფულის გაუფასურებისაგან. ხდება ბანკის მიერ გაცემული კრედიტების გაუფასურებაც, ვინაიდან ამ დროს ბანკებს რეალურად უფრო ნაკლები უბრუნდება, ბანკის საკუთარი სახსრები მცირდება, ბანკი ცდილობს გააღიღოს სარგებლის დონე. /

ინფლაციის დროს ქრება ფულის მტკიცე ერთეული. გაძნელებულია კალკულაცია, ანგარიშსწორება, ყველა ცდილობს უარი თქვას გაუფასურებულ ფულზე და იგი უცხოეთის მტკიცე ვალუტად გადააქციოს.

ფასების ზრდაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, როგორც ფულის მიმოქცევის, ისე საქონლის მიწოდების მხრივ. ამიტომ ინფლაცია, როგორც გაუფასურების პროცესი, მრავალფაქტორიანი მოვლენაა, მათგან უნდა გამოვყოთ მუდმივმოქმედი და ფასების მოქარაობაში საერთო ტენდენციის განმსაზრვრელი ფაქტორები, როგორიცაა: 1) ფულად-საკრედიტო სისტემის თავისებური ფუნქციონირება და 2) უზარმაზარი სახელმწიფო ხარჯები.

ფულადი ფაქტორის როლი ინფლაციის განვითარებაში აქტიურია, მაშინ, როცა ხდება იმაზე მეტი ოდენობით ფულის ემისია, რასაც მიმოქცევა მოითხოვს, ხოლო პასიურია, მაშინ, როცა მიმოქცევაში არსებული ფულის მასა ინარჩუნებს ფულადი ფაქტორებიდან დამოუკიდებლად წარმოშობილ ფასების ზრდას, ფულადი ემისიის ორივე მომენტი მუდმივად იცვლება პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების მიხედვით. ინფლაციის პროცესში ფულადი ფაქტორების როლის დახასიათებისათვის აუცილებელია ფულადი მასის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინება.

ფულის მასა, რომელიც ბრუნვაში კერძო პირებს, ფირმებსა და სახელმწიფოს უწევს მომსახურებას ნაღდი ფულის სახით, კერძოდ მისი ბანკნოტების წილი მიმოქცევაში მცირდება, ხოლო სამაგბეროდ მიმდინარე ანგარიშებზე ნაშთები ბანკებში იზრდება. ეს ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება საგადამხდელო-საანგარიშსწორებო მექანიზმის სრულყოფის კვალობაზე საბანკო ოპერაციებში და ელექტრონული გზავნილების განვითარებაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფულის მიმოქცევის სიჩქარის გა-
თვალისწინებაც, ე.ი. იმის ცოდნა, თუ ფული რამდენჯერ მოემსა-
ხურება ბრუნვას. ფულადი ფაქტორების როლს ინფლაციის განვი-
თარებაში განაპირობებს აგრეთვე ფულადი მასის ზრდის ტემპების
შენარჩუნება, რაც ანტიინფლაციური პოლიტიკის ერთ-ერთ მი-
მართულებად არის მიჩნეული. მაგალითად, გერმანიის ფედერა-
ციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკის შეერ-
თებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში ცენტრალური ბანკები პერი-
ოდულად ატარებენ მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის ლიმი-
ტირებას.

/ ინფლაციას თან სდევს სამმაგი გაუფასურება: ოქროს, საქონ-
ლისა და უცხო ვალუტების მიმართ. თანამედროვე პირობებში,
როცა მიმოქცევიდან ამოღებულია ოქრო და დიდი ხნის მანძილზე
(1934-1975 წწ.) შენარჩუნებული იყო ხელოვნურად შემცირ-
რებული ოქროს ოფიციალური ფასი, ინფლაციის გამოვლინების
ძირითადი ფორმა გახდა ფასების ზრდა საქონელზე, მათ შორის,
ფულად საქონელზეც. ეს კი გავლენას ახდენდა სავალუტო
კურსზე, 1976 წლამდე ოქროსა და უცხო ვალუტაში გამოსახული
პარიტეტი ჩვეულებრივ ვალუტის რეალურ მყიდველობით უნარს
არ ემყარებოდა, მაგრამ ოქროს ხელოვნური ფასის გაუქმების
შემდეგ (ერთ უნციაში 42,22 დოლარი) ფულის ინფლაციური
გაუფასურება კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, თუ 1980
წელს ოქროს საბაზრო ფასმა (ერთმა უნცია ოქრომ) 850
დოლარი შეადგინა, 1981 წელს იგი 500 დოლარამდის შემცირდა.
და მაინც ოქროს საბაზრო ფასი დამოკიდებულია არა მარტო
ინფლაციის დონეზე, არამედ აგრეთვე ეკონომიკის, სავადაბხედლო
ბალანსის, სავალუტო კურსის მდგომარეობასა და სუბიექტურ და
სპეკულაციურ ფაქტორებზე. /

მართალია, ფულის გაუფასურებას (ინფლაციურ გაუფასურე-
ბას) ზღვარი არა აქვს, რასაც კიპერინფლაციის მაგალითებიც მეტ-
ყველებენ, მაგრამ, ამავე დროს ინფლაციას, როგორც სოციალ-
ეკონომიკურ პროცესს, მაინც გააჩნია ობიექტური საზღვრები,
რასაც კვლავწარმოების კანონები განსაზღვრავენ.

/ ინფლაცია და მისი შედეგები აიძულებს ქვეყნებს მიმართონ

ფულის რეფორმას, ფულის რეფორმა არის ფულის სისტემის სრული, ხაწილობრივი და შეფარდებითი გარდაქმნა, რომელსაც ანხორციელებს სახელმწიფო ფულის მიმოქცევის მოწესრიგებისა და განმტკიცების მიზნით. ფულის რეფორმა ტარდება სხვადასხვა მეთოდებით, გამომდინარე იქიდან, თუ როგორია მოცემული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ფულის გაუფასურების დონე, სახელმწიფოს წინაშე მდგარი პოლიტიკური ამოცანები და სხვა.

ანსხვაებენ რამდენიმე სახის ფულის რეფორმას: ჭერ ერთი, ახალი ფულის სისტემის შექმნა (ასეთ ღონისძიებას მიეკუთვნება ბიმეტალიზმიდან მონომეტალიზმზე გადასვლა, მონომეტალიზმის საკრედიტო ფულით შეცვლა, აგრეთვე სახელმწიფო წყობილების შეცვლა); მეორე, ფულის სისტემის ნაწილობრივი შეცვლა (მაგალითად, ფულის სახელწოდების შეცვლა, ფულის ემისიისა და ბანკოტების უზრუნველყოფის ახალი წესების შემოღება, ფასების მასშტაბის შეცვლა); მესამე, ფულის მიმოქცევის შეფარდებითი სტაბილიზაცია (ინფლაციის არსებული დონის შეჩერება, რაც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის ფული უმნიშვნელო რაოდენობით არის გამოშვებული და მისი გაუფასურება უმნიშვნელოა, შესაძლებელია ეკონომიკის განვითარებამ, საქონელბრუნვის გაფართოებამ შთანთქოს ეს ზედმეტად გამოშვებული ფული).

ანსხვაებენ ფულის სტაბილიზაციის რამდენიმე სახეს: დეფლაცია, დევალვაცია, რეველვაცია, ნულიფიკაცია.

დეფლაცია არის მიმოქცევაში არსებული ზედმეტი ქალაქის ფულის ამოღება, ამ ღონისძიების ჩატარებისას პირველ რიგში საჭიროა ფულის ემისიის შეწყვეტა, ხოლო შემდეგ ზედმეტი ფულის თანდათანობით ამოღება. ამისათვის საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გადიდება და ხარჯების შემცირება, რისთვისაც სახელმწიფო მიმართავს საგარეო და საშინაო სესხებს, არსებული გადასახადების განაკვეთების გადიდებას, ახალი გადასახადების შემოღებას, სოციალ-კულტურული ხარჯების შემცირებას. მაშასადამე, დეფლაციის დროს ადგილი აქვს ინფლაციის მოვლენების საწინააღმდეგო ღონისძიებებს. დეფლაცია ხელსაყრელია გამსესებლისათვის და არა მსესხებლისათვის, ვინაიდან ამ დროს ადგილი

აქვს მიღებული ვალის რეალურ ზრდას. აქედან გამომდინარე, ცხადია, დეფლაცია ხელსაყრელია იმპორტიორებისათვის და არა ექსპორტიორებისათვის.

დეფლაცია ხშირად წინ უძღოდა ფულის რეფორმის გატარებას. მაგალითად, ინგლისში 1925 წელს ჩატარებულ რეფორმას წინ უძღოდა დეფლაციური ღონისძიება, რითაც მიმოქცევიდან ამოღებული იქნა 514 მილიონი გირვანქა სტერლინგი. თანამედროვე პირობებში სახელმწიფო პერიოდულად ატარებს დეფლაციის პოლიტიკას, იგი მიმართულია ფულადი მასის ზრდის ტემპების შეჩერებისადმი და საგადამხდლო ბალანსის გაუმჯობესებისათვის.

დეფლაცია არის ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რაც გამოიხატება მისი კურსის შემცირებაში უცხო ვალუტების ან ოქროს მიმართ. დეფლაციას იწვევს ინფლაცია, მისი უთანაბრო განვითარება ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე საგადამხდლო ბალანსის დეფიციტურობა. ამიტომ დეფლაცია არის ფულის გაუფასურების ოფიციალური აღიარება მთავრობის მიერ.

დეფლაციის ჩატარება მოითხოვს ფულის კურსის განმტკიცებას, კონკრეტულად კი ზედმეტი ფულის ემისიის შეწყვეტას, გაუფასურების შეჩერებას, ამავე დროს საკითხი დეფლაციის შესახებ, თუ რა დონეზე უნდა მოხდეს დეფლაცია, აქვე დადგენილ უნდა იქნეს შეფარდება ქალაქის ფულის ერთეულისა და ოქროს შორის.

არსებობს დეფლაციის ორი სახე—აშკარა და ფარული. პირველის დროს ქალაქის ფული იცვლება ისეთ ბანკნოტებზე, რომლებიც თავისუფლად გადახურდავდებიან ოქროზე. ხოლო მეორე ხერხის დროს ხდება ფულის ერთეულის ოქროს შინაარსის შემცირება. ამ ხერხის გამოყენების დროს ფულის რაოდენობა მიმოქცევაში არ მცირდება.

დეფლაცია ოქრო მონომეტალიზმის დროს ნიშნავდა სახელმწიფოს მიერ ქალაქის ნიშნის ოქროს შინაარსის ოფიციალურ შემცირებას და ქვეყნის შინაგანი ფულის მიმოქცევის გაუმჯობესების ერთ-ერთ მეთოდად გამოიყენებოდა. ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგ მის ნაცვლად შემოღებული იქნა სახელმწიფოთა

სავალუტო პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მიხედვით სახელმწიფო ამცირებდა ეროვნული ვალუტის კურსს უცხო ვალუტების მიმართ.

რევალვაცია არის ეროვნული ფულის კურსის ამოღება უცხოური ვალუტების მიმართ. თუ კი მოცემულ ქვეყანაში ინფლაცია უფრო ნელი ტემპით ვითარდება, ვიდრე უცხოეთის ქვეყნებში, მაშინ მისი საგადამხდელი ბალანსი აქტიურია და კრედიტორებისა და იმპორტიორებისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მსესხებლებისა და ექსპორტიორებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე რევალვაცია წარმოადგენდა ეროვნული ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის მეთოდს. მაგრამ ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგ რევალვაციამ დაკარგა ეს უნარი და იგი გამოიყენება მხოლოდ ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ რიგ ქვეყნებში (მაგალითად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, შვეიცარიაში), განხორციელებულ იქნა 10-მდე რევალვაცია, რომელმაც გაზარდა ვალუტის ღირებულება მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში, ხოლო რაც შეეხება შინაგან ბაზარს, აქ ინფლაციის ზეგავლენით ვალუტის მყიდველობითი უნარი მცირდება.

ნულიფიკაცია არის სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გამოცხადებული გაუფასურებული ქაღალდის ფულის მთლიანად მიმოქცევიდან ამოღება და გაუქმება. სახელმწიფო ამ ღონისძიებას მიმართავს მაშინ, როცა ფულის გაუფასურება მიაღწევს უკიდურეს ზღვარს.

ასეთი მეთოდი გამოყენებული იქნა საფრანგეთში 1789 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში—1780 და 1799 წლებში, გერმანიაში—1924 წელს, საბერძნეთში—1944 წელს. ნულიფიკაციას ადგილი ჰქონდა ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

ფულადი სისტემის სტაბილიზაციის წინამძღვრებია შემდეგი:

1 წარმოებისა და საქონელბრუნვის ზრდა, მომსახურეობის სფეროს გაფართოება;

2 უზრუნველყოფის გარეშე ფულადი ნიშნების ემისიის შეწყვეტა და ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია;

3. ხელფასის ზრდის დროებით შეჩერება და სოციალური გადასახადების დროებით შემცირება./

7.1995 წლის ფულის რეფორმა საქართველოში

ფულის მიმოქცევის სიმტკიცის, მისი მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლების მიღწევისა და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში მისი აქტიური გამოყენებისათვის აუცილებელია ქვეყნის ფულადი ბრუნვის შესაბამისობა კვლავწარმოების ობიექტურ პირობებთან, ფულის მიმოქცევის კანონის მოთხოვნებთან.

ფულის ინფლაცია, რომელიც მრავალფაქტორიანი მოვლენაა და მიზეზთა კომპლექსით წარმოიქმნება, ხასიათდება მიმოქცევაში ზედმეტი ფულით, ფასების ზრდით, ფულის მსყიდველობითი უნარიანობის დაცემით, ბიუჯეტის დეფიციტურობით, წარმოების ხარჯების ზრდით, საგადამხდლო ბალანსის პასიურობით, რეალური ხელფასის შემცირებით და სხვა.

საქართველოში უაღრესად გამწვავდა ფულის მიმოქცევის პრობლემა, რაც ეკონომიკაში ინფლაციური მოვლენების გაძლიერებამ გამოიწვია. კუპონის ინფლაცია დიდი ჭირი გახდა ჩვენი ქვეყნისათვის. უკიდურესად ღრმა კრიზისმა, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა მოიცვა, თავისი გარეგანი გამოხატულება კპოვა სასაქონლო და ფულადი მასების სრულ მოშლაში. მიმოქცევის სფერო გადავსებული იქნა ნაღდი ფულის ნიშნებით. უდიდეს გადამხდელუნარიან მოთხოვნას დაუპირისპირდა უაღრესად მცირე რაოდენობის საქონელი, რომელიც ოდნავადაც არ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას. ამის შედეგი გახდა ფასების დაუსრულებელი ზრდა, ცხოვრების პირობების უკიდურესად გაუარესება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველო იმყოფებოდა კრიტიკულ წერტილზე, მძინვარებდა ღრმა ინფლაციური პროცესები, რომლის ტემპი განუწყვეტლივ მატულობდა. ამ ფონზე ეკონომიკის გარდაქმნა მეტად რთული და მტკივნეული პროცესი გახდა, რომელსაც თან მრავალი წინააღმდეგობა ახლდა. გაუფასურებული კუპონის მიმოქცევის არეალი საქართველოში ძალზე მცირე იყო და იგი ამ და

სხვა მიზეზების გამო ვერ ასრულებდა ფულის ძირითად, — დაგროვებისა და გადახდის ფუნქციებს. კუპონმა, თავისი თავი ბოლომდე ამოწურა. კუპონის ძლიერი გაუფასურების დროს გარკვეულწილად შეღავათი იყო მოქალაქეების და თვით სახელმწიფოს ღირსება იმით, რომ ანგარიშსწორება ხდებოდა უცხო სახელმწიფოების ვალუტით.

კითხვა ისმის, რამ მიგვიჯვანა ასეთ მდგომარეობამდე? მიზეზი ბევრია. მაგრამ აქ გამოვყოფდი ყველაზე მთავარს:

ჩერ ერთი, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან და განსაკუთრებით რუსეთთან არსებული სამეურნეო კავშირების სრული მოშლა, ერთიან საწარმოო-ეკონომიკური კომპლექსების ნგრევა და ერთიანი ეკონომიკური სტრუქტურების დენინტეგრაცია. თანაც ყოველივე ეს ისე მოხდა, რომ ამ კავშირების, კომპლექსებისა და სტრუქტურების ალტერნატიული ვარიანტები წინასწარ არც ყოფილა გათვლილი. ამას მოჰყვა წარმოების სრული დაცემა, ფასების ზრდა, სოციალური დაძაბულობა და კონფლიქტები. მეორე, ფასების ლიბერალიზაცია, ე.ი. ქაოსი ფასწარმოქმნაში, ფასების თავისუფლად აწეობა, სახელმწიფოს სრული უკონტროლობა. მრავალგზის მომატებულმა ფასებმა თავდაპირველად ერთგვარად გააწონასწორა მოთხოვნა-მიწოდება, მაგრამ ასეთი გაწონასწორების შედეგად მთელი სიმძიმე დააწეა მოსახლეობის დაბალხელფასიან ფენებს, შემდეგში მაღალხელფასიან ფენებსაც. პარადოქსია ის, რომ ფასების ამ ზრდას ამართლებდნენ 3-მოტივით: 1. ფასების ზრდა ასტიმულირებს საბაზრო ეკონომიკას; 2. ხელს უწყობს სასაქონლო დეფიციტის ლიკვიდაციას და 3. წარმოშობს ფისკალურ საშუალებებს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. არცერთი ეს არ შესრულებულა. პირიქით, ფასების ზრდამ კიდევ უფრო გაამწვავა ინფლაციის პროცესები, ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ არსებობს თავისუფალი ბაზარი, სადაც სახელმწიფოს არაფერი ესაქმება, ბაზრის მონაწილე თავისუფალია, ხოლო ბაზრის ყველა პრობლემას თვითონ ბაზარი გადაწყვეტს. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა. სინამდვილეში დღეს ასეთი ბაზარი არ არსებობს არა თუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაშიც კი. საქმე ისაა, რომ თავისუფ-

ფალი ბაზარი, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვარწმუნებს, ვერ გაეჭყვევა ძლიერების მიერ სუსტების თანდათანობით გამოდევნას, მონოპოლიურ ფასებს, კრიზისებს, მასობრივ უმუშევრობას, ქვეყნის მასშტაბით დიდი სტრუქტურული ძვრების განუბორციელებლობას. ისტორიაში ერთი შემთხვევაც არაა ცნობილი, რომ ღრმა ეკონომიკური კრიზისებისაგან თავის დაღწევა შესაძლებელი ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალი ბაზრის შექმნის გზით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. დღესაც რუსეთში ცხარე კამათი მიმდინარეობს არა ისეთი ბაზრის შექმნაზე, სადაც სახელმწიფო არ მონაწილეობს, არამედ იმაზე, თუ რა დონით უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფომ ბაზრის რეგულირებაში (გაიდარი, აბალკინი, შატალინი, პეტრაკოვი და სხვა).

შესაძებ, ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია უზარმაზარი საკრედიტო რესურსების უკონტროლო გაცემა. დიდი სახსრები გამოეყო სახელმწიფო საწარმოებს ხარჯების დასაფარავად, სახელმწიფო ბიუჯეტს დეფიციტის დასაფარავად, კომერციულ ბანკებს, კერძო კომპანიებს, ფირმებსა და კერძო პირებს—სურსათის შემოტანისათვის. მაგრამ ამ რესურსების უდიდესი ნაწილი არა დანიშნულებსამებრ, არა მიზნობრივად იქნა გამოყენებული.

მეოთხე, ინფლაციური პროცესი გაამწვავა უზარმაზარმა სამხედრო ხარჯებმა, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტი ქრონიკულად დეფიციტური გახადა. ყოველდღიურმა სამხედრო ხარჯებმა დაახლოებით 20 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველო, დამლუპველი გამოდგა.

მაშასადამე, რეფორმის წინა პერიოდში ქვეყნის საფინანსო ბაზარზე მიმდინარე პიპერინფლაციურმა პროცესებმა, რაც საფინანსო სისტემის დაუხვეწაობის, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ეკონომიკური კრიზისისა და სამოქალაქო ომის შედეგია, უმძიმესი ზეგავლენა იქონია მთელი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ზემოაღნიშნული ვარემოების გამო აუცილებელი გახდა ფულის რეფორმის გატარება ეროვნული ვალუტის შემოღების მიზნით. მაგრამ რეფორმამდე საჭირო იყო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება რეფორმისათვის. აუცილებელი წინამძღვრების შექმ-

ნისათვის. /

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და, რაც მთავარია, მის რეალურ დამოუკიდებლობას სწორი საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემა განსაზღვრავს. საკუთარი მტკიცე ვალუტა აუცილებელი ატრიბუტია. მისი შემოღება არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხიც გახლავთ.

საქართველო არ არის ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთდერთი რესპუბლიკა, რომელიც განიცდიდა წარმოების დაცემას, ჰიპერინფლაციას და პრობლემებს სახელმწიფო გადასახადების ამოღებაში.

ფულის რეფორმა ნებისმიერ ქვეყანაში მტკივნეული და რთული პროცესია, რომ იგი თავისი სტრატეგიული ამოცანითა და საბოლოო მიზნით ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების საკითხს ემსახუროს. ფულის რეფორმა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთდროული აქტი, რომელიც მოიცავს ერთი სახის კუპონის მეორეზე შეცვლას. ეს მხოლოდ ეტაპია და უფრო მექანიკური ხასიათისაა. გაცილებით რთული და საკმაო ძნელად მისაღწევი ამოცანაა ფულის რეფორმის არსში ჩადებული პრობლემის გადაწყვეტა, რასაც სახელმწიფოსა და ბანკების ზხრიდან ყოველდღიური ხელშეწყობა და მხარდაჭერა სჭირდება.

ფულის რეფორმამდე საქართველოში ხელისუფლების მიერ გატარდა ქმედითი ღონისძიებები, რომლის შედეგად მიღწეული იქნა ფინანსური სფეროს გარკვეული სტაბილიზაცია. რეფორმამდე ერთ წელზე მეტი დროის მანძილზე უკვე არ ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ფულადი ემისიის ხარჯზე დაბალანსება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფასების ლიბერალიზაციამ, საგადასახადო, საბაჟო სისტემის სრულყოფამ, პრაქტიკის პროცესის დაჩქარებამ. რადიკალურად შეიცვალა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. გადაღებული იქნა ფულადი ემისიის ხარჯზე რეფინანსირების გზით მეურნეობის ცალკეული დარგების გაუმართლებელი დაკრედიტება. ბანკებს შორის ანგარიშსწორება დაეფუძნა მათ ანგარიშზე ფაქტიურად რიცხულ ფულად სახსრებს. ამოქმედდა ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონი, რომელმაც

უზრუნველყო რეალური საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბება. ეროვნულმა ბანკმა ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო ქვეყნის ცენტრალური ბანკისათვის დამახასიათებელი, აუცილებელი ფუნქციების შესრულება და, პირველ რიგში, მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მართვა. ბიუჯეტის ყველა ანგარიშის ეროვნულ ბანკში გადმოტანამ მოახსნა იმის საშუალება, რომ საბიუჯეტო არხებიდან დამატებითი ფული მიმოქცევაში გასულიყო, თანაც უკონტროლოდ, ამასთანავე ეროვნულ ბანკს არც ემისია დაუშვია, რაც უდაოდ მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგია. ეროვნულმა ბანკმა შექმნა საჯალუტო რეზერვი, რამაც შესაძლო გახდა მოქნილი საკურსო პოლიტიკის გატარება თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე. მკვეთრად დაეცა ინფლაციის თეიური ტემპი, ამ პერიოდის მანძილზე სტაბილური გახდა კუპონის კურსი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტების მიმართ. ბოლო 8 თვის განმავლობაში, კუპონის კურსი დოლართან მიმართებაში სტაბილური გახდა. ეს მაშინ, როდესაც 1994 წელს ინფლაცია წლიურად 8500 პროცენტს შეადგენდა. 1993 წელს კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო. გატარებული ღონისძიებების შედეგად ინფლაციის ტემპი 1995 წლის იანვარში—9 პროცენტი, თებერვალში, მარტსა და აპრილში—3 პროცენტი, მაისიდან დაწყებული, ერთ პროცენტამდე შემცირდა, ე.ი. საფინანსო სისტემის მართვის პროცესი დაიწყო, მოხდა ფულადი მასის რეგულირება რაც ეროვნული ბანკის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების და მთავრობის ეკონომიკური ბლოკის მუშაობის შედეგია. ეკონომიკურმა სტაბილიზაციამ არსებითად შეცვალა ქვეყნის აგეორიტიკი სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სარეზერვო და სარეაბილიტაციო კრედიტების გამოყოფაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ცალკეული სექტორალური პროგრამების დაფინანსებაში. ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებას თან სდევდა ხელისუფლების უკომპრომისო მტკიცე კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებისა და ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენისათვის.

ზემოთ აღნიშნულმა ღონისძიებებმა ფულის რეფორმის გატარებისა და ეროვნული ვალუტის—ლარის შემოღებისათვის რეალური პირობები შექმნა, რამაც თავის მხრივ უნდა შექმნას წარმოების აღდგენისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობა.

1995 წლის 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში გამოშვებული იქნა 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ღირებულების საბანკო ბილეთები, აგრეთვე 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის ღირებულების მონეტები. ამავე წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფულის ერთეული—“ლარი”, რომელიც იყოფა 100 თეთრად, გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ საგადასხდელო საშუალებად.

ლარის გადაცვლა კუპონზე განხორციელდა 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე. კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1000.000 (ერთი მილიონი) : 1 (ერთი) ლართან. აღნიშნულ პერიოდში ბანკებში შეწყდა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ანგარიშებიდან არსებული ყველა სახის ფულადი ნიშნის გაცემა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები. 2 ოქტომბრამდე ეროვნული ბანკის კუპონმა ლართან ერთად შეინარჩუნა კანონიერი საგადასხდელო საშუალების ფუნქცია.

25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიეცათ გარანტია თანხის შეუზღუდავად მოხდინათ მათ ხელზე არსებული კუპონების ახალ ეროვნულ ვალუტაზე—ლარზე გადაცვლა. მოსახლეობის ხელზე არსებული კუპონის ლარზე გადაცვლა განხორციელდა გაერთიანებული ქართული ბანკის ფილიალების მეშვეობით, ხოლო იმ დასახლებულ ადგილებში სადაც არ ფუნქციონირებდა აღნიშნული ბანკის ფილიალები, გადაცვლა მოხდა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ დროებით გადამცვლელ პუნქტებში.

კატეგორიულად აიკრძალა ერთი სახეობის უცხოური ვალუტის კურსის გამოცხადება მეორე სახეობის უცხოური ვალუტის მიმართ. ერთი სახეობის უცხოური ვალუტის გადაცვლა მეორე სახეობის უცხოურ ვალუტაზე უნდა განხორციელდეს ეროვნულ

ვალუტასე-ლარზე უცხოური ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის საკუთარსო-საინფორმაციო სტენდზე გამოცხადებული კურსებიდან გამომდინარე კრისკურსული გადაანგარიშების საფუძველზე. ზემო-აღნიშნული რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი დაუყოვნებლივ აუქმებს საბანკო დაწესებულებათა კუთვნილი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზიას.

ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად შემოღების პირველ ეტაპზე, სამომხმარებლო ბაზრებში და არა მარტო იქ სასაქონლო პროდუქტოზე ფასები საგრძნობლად გაზარდა. ამ ფაქტმა, რაღა თქმა უნდა, სილატაკის ზღვრამდე მისული მოსახლეობის ცხოვრების დონე კიდევ უფრო დაბლა დასწია და ამით უფრო მასების უკმაყოფილება გამოიწვია.

ეს იყო ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად შემოღებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ. ამ პერიოდში ფასები დაახლოებით 22-23 პროცენტით იყო მომატებული. შემდეგ ზანებში კი სურათი თანდათან შეიცვალა და უკვე ყველასათვის ნათელი გახდა სამომხმარებლო ბაზარზე ფასების თანდათანობითი სტაბილიზაცია. ეს პროცესი დღემდე არ შენელებულა და თუმცა ყოველდღიურად ძნელად შესამჩნევია, მაინც გამოკვეთილია ფასების შემცირების ტენდენცია.

ფულის რეფორმა უკვე შესულია იმ ფაზაში, როცა აუცილებელია ლარმა შეასრულოს ყველა ის ძირითადი ფუნქცია, რომელიც ფულისათვისაა დამახასიათებელი. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლარის დაგროვების ფუნქციის შესრულება, რათა მოსახლეობამ, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა ირწმუნონ ქართული ვალუტის ძალა, საკუთარი დანაზოგები განათავსონ ბანკებში და არა უცხოური ვალუტის, არამედ ეროვნული ვალუტის სახით. ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნესმენებს, საქმიან წრეებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მოქალაქეებს არ შეექმნათ პრობლემები ლარის უცხოურ ვალუტაში მტკიცე კურსით გადაცვლაში, რათა არ მოხდეს მისი დისგრედიტაცია. ამას კი მხოლოდ და მხოლოდ ლარის განმტკიცებისათვის მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კრედიტების საფუძველზე ვერ ვუზრუნველყოფთ, უნდა ამოქმედდეს ეკონომიკა, აი რა არის ყვე-

ლაზე უმთავრესი.

საქართველომ ლარის შემოღებით შეიძინა ძირითადი სახელმწიფოებრივი ატრიბუტი—ეროვნულ ფულს ნიშანი. ეს ნამდვილად ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტია. მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის—ლარის დამკვიდრების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის მოქმედი პროგრამა, რომლის უპირველეს პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა მატერიალური წარმოების სფეროს სწრაფი აღდგენა.

სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული დაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავარი შედეგითაა კრედიტის მისაღებად, საქიროა მოხდეს შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ღრმავდება კონტაქტები მსოფლიო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან შემდგომი დამატებითი კრედიტების გამოყოფის მიზნით.

დასახულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი. მიზანდასახული მუშაობა უნდა წარიმართოს ქვეყანაში ფულადი ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების საბანკო სისტემაში მიმოქცევისათვის; უზრუნველყოფილ იქნეს სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და განთავსება ბიუჯეტის დეფიციტის შევსებისა და ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისათვის; არსებული რეზერვების მობილიზაციის ხარჯზე თანდათანობით უნდა მოხდეს საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელფასის მომატება და პენსიების გაზრდა; ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომსახურების მიზნით ეროვნულმა ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს მოქმედი კომერციული ბანკების რეკაპიტალიზაციასა და წკრილი საბანკო დაწესებულებების გამსწავლებას; ეროვნული ფულადი ერთეულის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ბანკს დაეკისრა ქვეყნის ოქროსა და სავალუტო რეზერვების საიმედო შენახვა და ეფექტიანი მართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; აუცილებელია სათანადო ღონისძიებების განხორციელება ანაბრების სავალდებულო დაზღვევის ერთიანი სისტემის შესაქმნელად; სასწრაფოდ უნდა დაინერგოს უნაღდო ანგარიშსწო-

რების პრაგრესული ფორმები და მეთოდები, დასაჩქარებელია ნორმატიული ბაზის შექმნა ანგარიშსწორებათა: ისეთი ფორმების დანერგვისათვის, როგორცაა აკრედიტივი, ჩეკი, თამასუქი და სხვა, ვინაიდან მათი არ არსებობა ხელოვნურად ზრდის მოთხოვნილებას ნაღდ და უნაღდო ფინანსურ რესურსებზე, აგრეთვე სტიმულატორის როლს ასრულებს ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობის ზრდაზე; ინტენსიური მუშაობაა საჭირო ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორცაა ქვეყანაში საფონდო ბირჟის ფორმირებისათვის ხელშეწყობა და მასში ფეხის მტკიცედ მოკიდება.

საქონლო კრედიტი, ბრედიტი
ახ(ბილ)მგ(ბ)ბ, ფ(ბ)რ(ბ)მ(ბ)ბ, ფ(ბ)მ(ბ)ც(ბ)მ(ბ)ს და
რ(ბ)ლ(ბ)

კრედიტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სესხს, რომელიც გაიცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით, დაბრუნების პირობით და სარგებლის (პროცენტის) გადახდით, კრედიტი გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას კრედიტორსა და მსესხებელს შორის.

კრედიტი წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური წყობილების აღმოცენების პერიოდში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და საზოგადოების ქონებრივი დაყოფის ნიადაგზე.

კრედიტს გასცემდნენ საზოგადოების ყველაზე უფრო მდიდარი ფენები წერილ მწარმოებლებზე, თავდაპირველად ნატურალური ფორმით (მარცვალი, პირუტყვი, ბეწვეული და სხვა), ხოლო შემდეგ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, ფულადი ფორმით.

კაპიტალიზმამდე ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში კრედიტი სავაზშო ფორმით არსებობდა.

სავაზშო კრედიტი—ეს არის სარგებლის მიღების მიზნით-სესხად გაცემული ფულადი სახსრები. სავაზშო კრედიტის წარმოშობის ისტორიული პირობებია: 1 შრომის საზოგადოებრივი დანაწილება; 2 წარმოების საშუალებებზე და პროდუქტებზე კერძო საკუთრების გაჩენა; 3. საქონელგაცვლის განვითარება; 4. ფულის წარმოშობა; 5. ქონებრივი დიფერენციაცია პირველყოფილ საზოგადოებაში.

სავაზშო კრედიტს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: 1 სავაზშო კრედიტი არსებობდა ორი ძირითადი ფორმით: ა) სესხები უპირატესად მსხვილი მიწათმფლობელებისათვის და ბ) სესხები წვრილმწარმოებლებისათვის.

მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ მონათმფლობელები და ფეოდალები, ხოლო წვრილი მიწათმფლობელები—გლეხები და ხელოსნები. მევახშეები იყვნენ ვაჭრები, მსხვილი მიწათმფლობელები,

ტაძრები, წარათები. მსესხებელთა შორის ზემოაღნიშნულის გარდა ეხედებით ქალაქებს და ზოგჯერ თვით სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც ამ ფულს არმიის შესანახად და ომების საწარმოებლად იყენებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საეკსპო კრედიტი უმთავრესად ფულადი სესხები იყო.

2. სესხად გაცემულ ფულს მოგება მოჰქონდა მხოლოდ კრედიტორისათვის, რაც შეეხება მსესხებელს (მევალეს), იგი ამ თანხას იყენებდა არა მოგების მიღებისათვის, არამედ თავისი მეურნეობის საარსებო საშუალებების შესავსებად. მაგალითად, თუ გლესს დაეღუპებოდა პირუტყვი, რომელიც მისი მარჩენალი იყო, ანდა მოუსავლიანი წლის გამო მეურნეობა დაზარალდებოდა, ძალაუვნებურად უნდა მიემართა მევახშისათვის, რათა ზარალი აენაზღაურებინათ. წვრილი მწარმოებლები—გლეხები და ხელოსნები, მევახშეებისაგან სესხულობდნენ უმთავრესად საგადამხდლო მიზნით, კერძოდ, რათა გადაეხადათ რენტა მფლობელისათვის ანდა გადასახადი—სახელმწიფოსათვის. ამიტომ, ეს გარემოება საშუალებას აძლევდა მევახშეებს ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეარდნით მსესხებლებზე სარგებლის მაღალი განაკვეთები დაეწესებინათ.

3. მევახშის სარგებლის წყაროს წარმოადგენდა მონებისა და წვრილი მწარმოებლების შრომა. მევახშე სარგებლის ფორმით ზოგჯერ ითვისებდა როგორც ზედმეტ პროდუქტის ნაწილს, ასევე აუცილებელი პროდუქციის ნაწილსაც. მსხვილი მონათმფლობელები მევახშეს უხდიდნენ სარგებელს იმ პროდუქციიდან, რომელსაც მონები და წვრილი მწარმოებლები ქმნიდნენ.

4. სარგებლის მეტად მაღალი განაკვეთები (100, 200, 300% და ზოგჯერ მეტიც) ხშირად იწვევდა დიდ წინააღმდეგობას და ბრძოლებს, როგორც მონათმფლობელურ, ისე ფეოდალურ საზოგადოებაში. მაგალითად, ძველ საბერძნეთში ცნობილია კანონმდებელ სოლონის რეფორმა 594 წელს ჩ.წ.ა. როდესაც კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის ისეთი დაძაბული ვითარება შეიქმნა, რომ სოლონი იძულებული გახდა გაეუქმებინა არსებული სავალო ვალდებულებანი და ამით მეტად აღელვებული მევალეები დაეშოშმინებინა. მიუხედავად ამისა, მევახშეები ათასგვარი გზებით მაინც ახერხებდნენ ამგვარი კანონებისათვის გვერდის ავლასა და

პროცენტის მაღალი განაკვეთების შენარჩუნებას.

სამართალი თავგამოდებით იცავდა მევახშეთა ინტერესებს. მაგალითად, ჩვენს ერამდე 451-450 წწ. გამოცემული რომის სამართლის მე-12 მუხლის თანახმად, „თუ მევალები თავის დროზე არ გადაიხდიან ვალს, კრედიტორს შეუძლია იგი, ბაზრობის დღეებში, დასჭრას ნაწილებად, თუ ზოგიერთი დიდი ზომის და ზოგიერთი პატარა ზომის აღმოჩნდება, არაფერი უშავს, ამისათვის კრედიტორები პასუხს არ აგებენ“¹.

სავაჭრო კრედიტის დროს მაღალ სარგებელს ადგილი ჰქონდა ფეოდალურ საქართველოშიც. მაგალითად, ვახტანგ VI კანონში წერია, რომ სესხის საკითხს საქართველოში არასოდეს არ ექცეოდა ყურადღება, რის გამოც ახლო წარსულშიც კი ფული სესხად გაიცემოდა 120, 96, 72, 60, 48, 30, 24, 18 და 12%-იან სარგებელზე. ზოგჯერ პურის გასესხება ხდებოდა 100%-ით, ხოლო ღვინისა 200, 300%-ითაც კი. რათა აღეკვეთა ესოდენ დიდი სარგებელი, ვახტანგის სამართალი ადგენდა: მხოლოდ თავის სულის მოძულეს შეუძლია გაასესხოს ფული 30%-ად, ოდნავ ვისაც მაინც უყვარს სული თავისი—24%-ად, ვისაც კიდევ უფრო უყვარს—18%-ად, ხოლო ვისაც ნამდვილად უყვარს სული—12%-ად უნდა ასესხოს, მაგრამ ყველაზე უმჯობესია სულის ცხოვრებისათვის, სავსებით რომ არ აიღებოდეს სარგებელი. ვახტანგ VI, აკანონებს რა ვალზე სარგებლის ნორმას, წერს: თუ მევალე ისე გაღარიბდა, რომ ვალის გადახდა არ ძალუძს, მაშინ მას არამცთუ სარგებელი, არამედ თავნიც არ მოეთხოვება. თუ საკმაო შეძლება აქვს გადახდება მხოლოდ თავნი, თუ მევალე ტყვეობაშია, მისი ცოლი და მცირეწლოვანი შვილები ვალდებული არიან მხოლოდ შეძლებისამებრ გადაიხადონ ვალი, თუ ისინი უსახსროა, მაშინ კრედიტორი იძულებული ხდება დაუტადოს მევალეს, რომელმაც ტყვეობიდან ჭაბრუნების შემდეგ უნდა დაფაროს ვალი, თუ მევალე მოკვდა, მაშინ მევალეს არ აქვს უფლება ვალი მოითხოვოს მის მცირეწლოვან შვილთა მომწიფებამდე² /

¹ С.Сergeev, История древней Греции, М., 194., стр. 169-171.

² ნ.ჭიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბილისი, 1963, გვ. 82-86.

საეხსშო კრედიტმა ასეთი კაბალური ფორმის მიუხედავად, მაინც დიდი როლი შეასრულა მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში, მან ასევე დიდი გავლენა მოახდინა ანტიკურ სამყაროსა და საშუალო საუკუნეების ეკონომიკაზე, კერძოდ, საეხსშო კრედიტმა ხელი შეუწყო ნატურალური მეურნეობის დაშლასა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას. საეხსშო კრედიტმა ძირითადად არა რევოლუციური, არამედ კონსერვატიული როლი შეასრულა. /...მევახშეობა, ერთის მხრივ, არღვევს და ანადგურებს ანტიკურ და ფეოდალურ სიმდიდრეს და ანტიკურ და ფეოდალურ საკუთრებას; მეორეს მხრივ, იგი არღვევს და ანადგურებს წვრილ საგლეხო და წვრილ-ბურჟუაზიულ წარმოებას... მევახშეობა არ სცვლის წარმოების წესს, მაგრამ მას მიეკვრის როგორც პარაზიტი და მას საბრალოდ ხდის. იგი სწოვს მას, სისხლიდან სცლის და კვლავწარმოებას აიძულებს უფრო და უფრო უბადრუკ პირობებში სრულდებოდეს... ყოველი წინააპიტილისტური წარმოების წესის არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს ..."¹.

თანამედროვე კაპიტალიზმის დროს, განვითარებული კრედიტის ფორმების არსებობის მიუხედავად, მევახშეობა მაინც შემორჩა მისი როგორც აშკარა, ისე ფარული ფორმით.

მართალია, კოლონიური სისტემის დაშლის შემდეგ, განთავისუფლებულ ქვეყნებში შეიქმნა ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მევახშეობა მაინც არსებობს ფეოდალური გადმონაშთების შენარჩუნების ბაზაზე.

ფარული ფორმით მევახშეობა შენარჩუნებულია არა მარტო განვითარებად ქვეყნებში, არამედ მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებშიც. აქ საეხსშო კრედიტი ასრულებს ორმაგ როლს, ერთი მხრივ, იგი ამცირებს დაგროვებას და ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას, რამდენადაც მაღალი სარგებლის განაკვეთები აფერხებს საეხსშო კაპიტალის მწარმოებლურ გამოყენებას, მეორე მხრივ, მევახშეობა ძირს უთხრის წარმოებისა და საკუთრების ძველ

¹ კ. მარქი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 127-128.

ფორმებს და აძლიერებს ქონებრივ დაფერენციაციას. მევახშეობა ანადგურებს წვრილმწარმოებლებს და ზრდის დაქირაავებულ შრომას.

საკრედიტო ურთიერთობის განვითარება ეს იყო რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ და ნიშნადა მხოლოდ სარგებლის მომცემი კაპიტალის დაქვემდებარებას კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებისა და მოთხოვნებისადმი.

კრედიტის აუცილებლობა განპირობებულია კვლავწარმოების პროცესში ფულადი სახსრების წრებრუნვის კანონზომიერებით. საქმე ისაა, რომ ფულადი სახსრების წრებრუნვა, ერთი მხრივ გარდაუვლად იწვევს დროებითი თავისუფალი სახსრების წარმოქმნასა და, მეორე მხრივ, მოთხოვნილებას ამ თავისუფალი ფულადი სახსრების გამოყენებაზე.

თავისუფალი ფულადი სახსრების შექმნის წყაროებია:

ფულადი სახსრების გამოთავისუფლების ერთ-ერთი მიზეზია ძირითადი ფონდების ბრუნვის თავისებურებანი. როგორც ვიცით შრომის იარაღებისა და საშუალებების ღირებულება (საფაბრიკო-საქარხნო შენობები, მანქანები, მოწყობილობანი და სხვა) წარმოებულ პროდუქციაზე გადაიტანება ნაწილ-ნაწილ, ამორტიზაციის კვალობაზე, ძირითადი ფონდების განახლება კი ხდება მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა შრომის იარაღები და საშუალებები მთლიანად გაცვდება. ამიტომ ძირითადი ფონდების ნაწილობრივ ამორტიზაციისა და მთლიან სრულ განახლებას შორის შუალედში მისი ღირებულების ნაწილი დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სახით ილექება, მაგალითად, თუ მანქანა ღირს 5 ათასი დოლარი და ცვდება 10 წლის მანძილზე, მაშინ იგი ყოველწლიურად პროდუქციის რეალიზაციის პროცესში აგროვებს 500 დოლარს სარეზერვო ფულადი ფონდის სახით.

თავისუფალი ფულადი სახსრების შექმნის მეორე მიზეზთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მზა პროდუქციის რეალიზაციის პერიოდი არ ემთხვევა საწარმოო მარაგების შექმნის პერიოდს. საქმე იმაშია, რომ სამრეწველო ფონდების წრებრუნვის პროცესში ს¹ - ფ¹ -ის აქტის შემდეგ მაშინვე ერთბაშად არ ხდება წარ-

მოების საქმეებების შექმნა, ე.ი. აქტი ფ-წ-ს. საწარმო, როგორც წესი, ნედლეულს (განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულს—ბამბას, შალს, ტყავეულს, და ა.შ.) იძენს უმთავრესად არა თანდათანობით და რეგულარულად მთელი წლის განმავლობაში, არამედ განსაზღვრულ სეზონში (მაგალითად, შემოდგომაზე) თანაც ერთბაშად, მსხვილ პარტიებად, რაც უზრუნველყოფს წარმოების უწყვეტელობას შედარებით უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამიტომ საწარმოს ყოველი მზა პროდუქციის პარტიებად გაყიდვის შემდეგ, არ სჭირდება ნედლეულისა და დამხმარე მასალების შესყიდვა რეალიზებული პროდუქციის ამონაგების ნაწილი მასთან გროვდება სარეზერვო ფონდის სახით, რომელიც ნედლეულისა და მასალების ახალი პარტიის შექმნამდე, რგი როგორც ფულადი რესურსი, თავისუფალი სახით არსებობს. ასეთი თავისუფალი ფულადი სახსრები წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, რომ საწარმო ნედლეულს ყიდულობს პატარა-პატარა პარტიებით ან რეგულარულად მთელი წლის განმავლობაში.

თავისუფალი ფულადი სახსრების შექმნის მიზნს შეადგენს აგრეთვე შრომის ანაზღაურების მიზნით პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების თანდათანობითი გამოყენება. პროდუქციის რეალიზაციის პერიოდი და ხელფასის გასტუმრება, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა დროში, ამიტომ ამ შუალედში ხელფასისათვის გათვალისწინებული სახსრები დროებით თავისუფალია.

დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების წარმოშობის მეტად მნიშვნელოვანი მიზეზია იმ რაოდენობის მოგების დაგროვება, რაც შესაძლებელს გახდის მის გამოყენებას გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. წარმოების ფართო მასშტაბით გაფართოების დროს საჭირო ხდება დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვაც. ამიტომ თუ კი მოგების ნაწილი ახალი მანქანების მოწყობილობებისა და წარმოების სხვა საშუალებების შექმნისთვის არის გამოიზნული, მაშინ საწარმო იძულებული ხდება ყოველწლიურად გადადოს თავისი ფულადი თანხები მანამდე, ვიდრე საერთო თანხა იმ რაოდენობას არ მიაღწევს, რომ მოგება ნამდვილად დამატებით ფულად სახსრებად გადაქცევისათვის იყოს

საქირო.

მაგალითად, თუ თავისი წლიური მოგებიდან საწარმო შეძლებს წარმოების გაფართოებისათვის გამოყოს მხოლოდ 100 ათასი დოლარი, ხოლო მისი საწარმოს გაფართოება 500 ათასი დოლარის ოდენობით დამატებითი ფულადი თანხების დაბანდებას მოითხოვს, მაშინ მას 5 წლის მანძილზე მოუხდება ფულად ფორმაში მოგების ნაწილის დაგროვება.

თავისუფალი ფულადი რესურსების ერთ-ერთი აქტიური წყაროა აგრეთვე სახელმწიფოს ფულადი დაგროვება, მისი რეზერვბა, რომლის ოდენობაც სახელმწიფო საკუთრების მასშტაბებითა და ეროვნული შემოსავლის სიდიდით განისაზღვრება. იმ ფულადი შემოსავლების ნაწილი, რომელიც საბოლოო ჯამში მოხმარებისათვის არის გამიზნული, ერთბაშით კი არ იხარჯება მისი მიღებისთანავე, არამედ გარკვეული პერიოდი მისი მფლობელის ხელში რჩება. ეს გარემოება იწვევს მოსახლეობის შემოსავლის გარკვეული ნაწილის დროებით გამოთავისუფლებას.

კრედიტის დახმარებით ეს დროებითი თავისუფალი სახსრები კვლავ შედის წარმოებაში კვლავწარმოების პროცესის მომსახურების მიზნით.

დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მიმართულებათა მიხედვით არჩევენ კრედიტებს, რომელიც გაიცემა: სამრეწველო საწარმოებზე, სოფლის მეურნეობაზე, სავაჭრო ორგანიზაციებზე, უძრავი ქონების გირაოზე, კერძო პირებზე, სახელმწიფო ორგანოებზე, საფინანსო დაწესებულებებზე, ლიზინგის დებიტორულ დავალიანებებზე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ორგანოებზე, საზღვარგარეთის ბანკებზე.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში საკრედიტო ოპერაციებმა ისეთი მასშტაბები და მნიშვნელობა მიიღო რომ საქირო გახდა მათი სახელმწიფო რეგულირების გააქტიურება. ახლად მიღებული საკანონმდებლო აქტები უმთავრესად მიმართულია კლიენტების ეკონომიკური ინფორმაციის დონის ამაღლების, მათი სამოქალაქო უფლებების დაცვისა და კრედიტების გაცემის დროს ბანკების უფლებების ბოროტად გამოყენების ყოველგვარ შესაძლებლობების გამორიცხვის უზრუნველსაყოფად.

✓ კრედიტი გველინება ორი ძირითადი ფორმით: კომერციული კრედიტისა და საბანკო კრედიტის ფორმით. არსებობს აგრეთვე სამომხმარებლო კრედიტი, სახელმწიფო კრედიტი, საერთაშორისო კრედიტი, სალომბარდო კრედიტი.

კომერციული კრედიტი—ისეთი კრედიტია, რომელსაც მეწარმეები კვლავწარმოების პროცესში აძლევენ ერთმანეთს საქონელს, ნივთს, კომერციული კრედიტი საკრედიტო სისტემის საფუძველს შეადგენს.

მთელი რიგი მიზეზების გამო, როგორცაა ზოგიერთი საქონლის სეზონური ხასიათი, საქონლის დამზადების სხვადასხვა პერიოდი, მათი მიმოქცევა, გასაღება და სხვა, მეწარმეთა ერთ ნაწილს საქონელი მზად აქვს გასაყიდად სწორედ იმ მომენტში, როდესაც მეწარმეთა მეორე ნაწილს ჯერ კიდევ არ მიუღია ნაღდი ფული იმის გამო, რომ მათი საქონელი ჯერ არ გაყიდულა ან არ გაუტანიათ ბაზარზე გასაცვლელად. საქონლის მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე გაყიდვის შემთხვევაში ყოველი მეწარმე იძულებული გახდებოდა მოეცადა მისი საქონლის გაყიდვამდე, რომ მიღებული ნაღდი ფულით შეეძინა მისთვის საჭირო სხვა საქონელი; ხოლო ის მეწარმეები, რომელთა საქონელი ჯერ კიდევ არ გაყიდულა ბაზარზე, ვერ შეძლებენ შეიძინონ წარმოების საშუალებები.

მაშასადამე, საქონლის ნაღდ ანგარიშზე გაყიდვამ შეიძლება გამოიწვიოს შეფერხება. აი, სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოიწვევა ხოლმე კომერციული კრედიტი. საქონლის განვადებით გაყიდვისას მეწარმეებს საშუალება ეძლევათ მანამდე შეიძინონ მათთვის საჭირო ნედლეული, მასალები, მანქანები და ა.შ. ვიდრე საკუთარი საქონელი გაიყიდებოდეს ბაზარზე მეორე მხრივ, საქონლის განვადება აჩქარებს მისი რეალიზაციის პროცესს, ვინაიდან მეწარმე უკვე აღარ ელოდება თავისი საქონლის ნაღდ ფულზე მყიდველს.

კომერციული კრედიტის აუცილებლობა დამოკიდებულია არა მარტო მეწარმეთა ფულადი სახსრების წრებრუნვაზე, არამედ მეწარმეებისაგან გამოცალკევებული სავაჭრო ფულადი სახსრების წრებრუნვაზე. სავაჭრო ფირმებს არ გააჩნიათ თავიანთი საკუთარი ფულადი რესურსები იმ ოდენობით, რომ იგი საკმარისი იყოს ყველა სამრეწველო საქონლის შესაძენად, ამიტომ ისინი იყენებენ

კომერციულ კრედიტს.

კომერციული კრედიტი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. კომერციული კრედიტის ობიექტია საქონელი, რომელიც უწყვეტ კავშირშია ყიდვა-გაყიდვასთან. ამ დროს არ ხდება ნაღდი ფულის მაშინვე გადახდა. ასე, რომ აქ გამოიღველი ყოველთვის კრედიტორია, ხოლო მყიდველი ყოველთვის მსესხებელი, ე.ი. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გარიგებას, როგორც წესი, თან სდევს საქრედიტო გარიგება (ურთიერთობა).

მაგალითად, მანქანათმშენებელი ქარხანას შეუძლია თავისი საქსოვი მანქანა კრედიტში მისცეს საფეიქრო ქარხანას. ასევე ბამბით მოვაჭრე ფირმას შეუძლია თავისი ბამბა კრედიტში მისცეს საფეიქრო ქარხანას. და ბოლოს, საფეიქრო ქარხანას თავის მხრივ შეუძლია კომერციული კრედიტი მისცეს ბამბის მოვაჭრე ფირმას. პირველ შემთხვევაში როგორც გამსესხებლის, ისე მსესხებლის როლში მეწარმეები გამოდიან, მეორეში—გამსესხებელია მხოლოდ სავაჭრო ფირმა, ხოლო მესამეში—გამსესხებელია მეწარმე, ხოლო მსესხებელია—სავაჭრო ფირმა. ამასთანავე, ნიშანდობლივია, ისიც, რომ ყველა ამ შემთხვევაში გამსესხებელიც და მსესხებელიც მეწარმეა.

2. კომერციული კრედიტის სუბიექტები არიან მეწარმეები. ეს ნიშანი მჭიდრო კავშირშია ზემოაღნიშნულ ნიშანთან, ვინაიდან კომერციული კრედიტი მხოლოდ საქონლის ფორმით არსებობს, ამდენად გამსესხებლისა და მსესხებლის როლში მხოლოდ ის მეწარმეები გამოდიან, რომლებსაც თავიანთი ფულადი სახსრები სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ფირმებში აქვს დაბანდებული.

3. კომერციული კრედიტის გაფართოება ან შემცირება უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებისა და საქონელბრუნვის გაფართოებასთან ან შემცირებასთან.

კრედიტმა თავისი განვითარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომერციული კრედიტით დაიწყო. კომერციული კრედიტი საერთოდ კრედიტის საფუძველია. საქმე ისაა, რომ კომერციული კრედიტი მომსახურებდას უწევს კვლავწარმოებაში ჩართულ სახსრების წრებრუნვას და სასაქონლო ფორმიდან ფულად ფორ-

მად გარდაქმნას. მიუხედავად ამისა. კომერციული კრედიტი გარკვეულწილად მაინც შეზღუდულია. კომერციული კრედიტის ოდენობა შეზღუდულია ჯერ ერთი, სამრეწველო წარმოებისა და სავაჭრო ფირმების ხელში არსებული ფულადი სახსრებით, ხოლო მეორე მხრივ, კომერციულ კრედიტს აქვს თავისი საზღვარი. ეს საზღვარია სარეზერვო ფულადი სახსრები და გასესხებული სახსრების უკან დაბრუნება.

კომერციული კრედიტი, როგორც წესი, ფორმდება სპეციალური საბუთების სახით, რომლებიც ადასტურებენ მსესხებლის ვალდებულებას გამსესხებლის წინაშე, რომ მან გამსესხებელს გარკვეულ დროში გარკვეული თანხა გადაუხადოს. კომერციული კრედიტის ტიპური სახეა თამასუქი, იგი წარმოადგენს წერილობით სავალო ვალდებულებას, რომლის გამოც მის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს იმ პირისაგან, რომელიც აქცეპტს უკეთებს მოცემულ ვალდებულებას, გარკვეულ დროში გადაუხადოს მას ფული.

თამასუქი განსხვავდება სხვა სახის სავალო ვალდებულებებისაგან: უპირველეს ყოვლისა, თამასუქი ხასიათდება აბსტრაქტულობით. ეს იმას ნიშნავს რომ მასში არ აღინიშნება, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია მოცემული სავალო ვალდებულება. მაგალითად, თუ მსესხებელმა კრედიტორისაგან მიიღო საქონელი ეს თამასუქში არ აღინიშნება. ერთადერთი, რაც მასში აღინიშნება—ის არის თანხის ოდენობა და გადახდის ვადა. მეორე, თამასუქი, როგორც სავალო ვალდებულება, უვადო, ქეშმარიტია. თამასუქას გადახდაზე უარის შემთხვევაში მის ხელმკერს შეუძლია მოითხოვოს იწ. პროტესტის აქტი, რომელიც დაამოწმებს თამასუქის გადაუხდელობას იმ პირისაგან, ვისაც ევალება მისი გადახდა. ამ დროს შეიძლება გადახდევისება მოხდეს იძულების წესით. მესამე, თამასუქი არის მიმოქცევალი. ეს იმას ნიშნავს, რომ თამასუქი, როგორც მიმოქცევის იარაღი, ფუნქციონირებს ნაღდი ფულის მაგივრად. თამასუქის ასეთი ფუნქცია დაკავშირებულია იმასთან, რომ კომერციული კრედიტით სარგებლობს არა ერთი რომელიმე, არამედ მრავალი პირი, მეწარმე, რომლებსაც რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან.

თამასუქის ისეთი თავისებურებანი განსაზღვრავს მის ხელსაყრელობას, ვინაიდან აადვილებს ფულის გადახდევინებას და იცავს კრედიტორის ინტერესებს. თამასუქს მეორე მხარეს უკეთდება გადასაცემი წარწერა, რასაც ინდოსამენტს უწოდებენ. პირი, რომელიც ასეთ წარწერას აკეთებს კარგავს უფლებას მასზე, თუმცა იგი ამ შემთხვევაში არ თავისუფლდება მთლიანად ვალდებულებისაგან. გადაუხდელობის შემთხვევაში თამასუქის თავდაპირველ გამცემს შეუძლია თამასუქის ხელშეკრისაგან მოითხოვოს გადახდა ინდოსამენტზე. ამას ინდოსამენტის პასუხისმგებლობა ეწოდება.

თამასუქი ორი სახისაა: მარტივი და გადაპირებული. მარტივი თამასუქი ისეთი სავალი ვალდებულებაა, რომელიც შეიცავს წერილობით ბრძანებას ერთი პირისა (გამსესხებლისა) მეორეზე (მსესხებელზე), რომ მან განსაზღვრული თანხა გადაუხადოს მესამე პირს. იმ პირს, რომელიც გადაპირებულ თამასუქს იძლევა ეწოდება ტრასანტი, იმას, ვინც ვალდებულია მოახდინოს გადახდა—ტრასანტი, ხოლო პირს, რომელზედაც გადადის ფულის მიღების უფლება—რემიტენტი ეწოდება.

გადაპირებულ თამასუქს, მარტივი თამასუქისაგან განსხვავებით გამოწერს არა მსესხებელი, არამედ გამსესხებელი. თამასუქი და აქედან გამომდინარე სათამასუქო მიმოქცევა წარმოიშვა საშუალო საუკუნეებში და იგი უმთავრესად საერთაშორისო ვაჭრობას ემსახურებოდა. სათამასუქო მიმოქცევამ ფართო განვითარება კპოვა კაპიტალიზმის დროს.

კომერციული თამასუქი წარმოიშვა უშუალოდ სავაჭრო გარიგების დროს, ხოლო მათი მიმოქცევის განვითარება საქონელბრუნვის ზრდას ასახავს. კომერციულ კრედიტებზე აღმოცენებული სათამასუქო მიმოქცევა გარკვეული ზომით აფართოებს კომერციული კრედიტის საზღვრებს.

საბანკო კრედიტი—ეს არის კრედიტის ძირითადი ფორმა, რომელიც გაიცემა უშუალოდ ბანკების მიერ დროებითი საჭიროებისათვის ფულადი ფორმით.

კრედიტის ფორმებს შორის საბანკო კრედიტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია; კრედიტს საბანკო იმიტომ ეწოდება, რომ მას ახორციელებენ ბანკები, რომლებიც, როგორც ცნობილია, პბლენენ,

ერის მხრივ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას, ხოლო მეორე მხრივ—სესხად იძლევიან ამ სახსრებს. მაშასადამე, ბანკები იშენენ როგორც ინსტიტუტები, რომლებიც ახდენენ ფულადი სახსრების ვაღანაწილებას დაბრუნებადობის პირობით. მაშასადამე, ბანკები საკრედიტო ოპერაციების გარდა ახორციელებენ სხვა ოპერაციებსაც. მაგალითად, ისეთებს, როგორც არის უნაღლო ანგარიშსწორება, ფულადი მასის რეგულირება ბრუნვაში, ბიუჯეტის საკასო შესრულება და სხვა. ამის შედეგად ბანკებს, რომლებსაც მიიჩნევდნენ მხოლოდ საკრედიტო ინსტიტუტებად, თანდათანობით იქცეოდნენ საქმიანობის უფრო ფართო დიაპაზონის მქონე დაწესებულებად და ისინი არ იფარგლებოდნენ მხოლოდ სახსრების მოპილიზაციით და დაბრუნების პირობით მათი სესხად მიცემათ.

საბანკო კრედიტი არსებითად განსხვავდება კომერციული კრედიტისაგან და აი, რატომ: საბანკო კრედიტს აქვს ფულადი ფორმა, ხოლო კომერციულ კრედიტს—სასაქონლო ფორმა. შემდეგ: კომერციული კრედიტის დროს სესხად გაიცემა იმ საქონლის დარეზულება, რომელიც დაკავებულია კვლავწარმოების პროცესში და ამ პროცესის განსაზღვრულ სტადიაზე იმყოფება. საბანკო კრედიტის დროს კი სესხად გაიცემა მხოლოდ ის თანხა, რომელიც კვლავწარმოების პროცესიდან გამოთავისუფლებულია. საბანკო კრედიტის სუბიექტები არიან, ერთი მხრივ, ბანკირები, ხოლო მეორე მხრივ—მეწარმეები. საბანკო კრედიტის ეს თავისებურება მჭიდრო კავშირშია მის პირველ თავისებურებასთან. რამდენადაც საბანკო კრედიტის ობიექტად გამოიჩნება ის თავისუფალი ფულადი სახსრები, რომელიც ბანკებში ინახება, ამდენად კრედიტის გამცემად გამოდის უშუალოდ ბანკები. საბანკო კრედიტი ხელს უწყობს თავისუფალი ფულადი სახსრების მოძრაობას. კრედიტები ეძლევა როგორც საწარმოებს, ფირმებს, საჯელმწიფოს, ასევე მოსახლეობასაც—შიმდინარე და კაპიტალური დანახარჯებისათვის. საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს: მოკლევადიანი (1-12 თვემდე), საშუალოვადიანი (1-5 წლამდე), გრძელვადიანი (5-ზე მეტი წლით).

ყურადღებას იპყრობს ის, რომ საბანკო ოპერაციების დიაპაზონი პირდაპირ არის დამოკიდებული სასაქონლო-ფულად ურთი-

ერთობათა განვითარების დონეზე. რაც უფრო მაღალია ამ უკანასკნელთა დონე მით უფრო ფართოა საბანკო ოპერაციების წრე ამიტომ გასაგები ხდება, რომ საბანკო ოპერაციების სექტორი ყველაზე დიდ განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღწევს.

ამ გარემოებამ (განხორციელებულ ოპერაციათა წრის გაფართოებამ) გამოიწვია ბანკების სპეციალიზაციის პროცესი. ზოგიერთი მათგანი მთელ ყურადღებას უთმობდა კლიენტის მომსახურების ოპერაციებს, ზოგი ბანკების მომსახურებას. ამის შედეგად ბანკების სფეროდან თანდათანობით გამოიყო ცენტრალური ბანკი — "ბანკთა ბანკი", დანარჩენი ბანკები ჩამოყალიბდნენ კომერციულ ბანკებად. თავის მხრივ, კომერციულ ბანკებს შორის გამოიყო მოკლევადიან ოპერაციებზე დასპეციალიზებული ბანკები და გრძელვადიან ოპერაციებზე დასპეციალიზებული ბანკები — საინვესტიციო და საინოვაციო ბანკები. კომერციული ბანკების შემადგენლობაში კი გამოიყო სალიზინგო და საფაქტორინგო განყოფილებანი, რომლებიც დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ საბანკო სტრუქტურად გადაიქცნენ.

გარდა ამისა, დაისახა კომერციული ბანკების დარგობრივი სპეციალიზაციის პროცესი. ზოგიერთი მათგანი ძირითად ყურადღებას უთმობდა მრეწველობის მომსახურებას, ზოგი — სოფლის მეურნეობის მომსახურებას, ზოგიერთი ქალაქების კომუნალურ მეურნეობას, ზოგი — მოსახლეობის დანაზოგთა მოზიდვას და ა. შ.

ყოველივე ეს ახასიათებს ბანკების ორგანიზაციული ფორმების უაღრესად დიდ მრავალფეროვნებას ოპერაციების ხასიათის მიხედვით. მაგრამ ბანკები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რესურსების შემადგენლობითაც, უწინარესად საწესდებო ფონდის (კაპიტალის) ფორმების წყაროების შემადგენლობით. ეს სახსრები, ან სახელმწიფო სახსრებია, ანდა დამფუძნებელთა საპაიო შენატანები, რომელთა შორის შეიძლება იყოს საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოები, ან ფასიანი ქაღალდების — ობლიგაციების, აქციების — გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები სახსრები და სხვა. ამ ნიშნით განასხვავებენ სახელმწიფო, საპაიო, კომერციულ, აქციონერულ და კერძო ბანკებს.

საწესდებო ფონდის (კაპიტალის) ოდენობისა და რესურსების საერთო მოცულობის მიხედვით ბანკების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს ტერიტორიული ნიშნით: ისინი ახორციელებენ ოპერაციებს კლიენტურასთან ან სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ანდა მოქმედებენ რომელიმე მისი ტერიტორიის (ქალაქი, რაიონი, ოლქი და ა.შ.) ფარგლებში.

ამრიგად, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშობა ბანკების სრულიად კონკრეტული ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ამ კონკრეტულ ეტაპს და შედგება ბანკების ცალკეული ჯგუფებისაგან, რომლებიც სპეციალდებიან ამა თუ იმ ოპერაციების შესრულებაზე მოზიდული რესურსების ხასიათისა და მოცულობის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხანგრძლივი ორგანიზაციული პროცესის შედეგად ყალიბდება საბანკო სისტემა, რომლის შემადგენლობა და ბანკების მიერ შესრულებულ ოპერაციათა შინაარსი საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური წყობილებით, ხოლო თუ უფრო დავაკონკრეტებთ—სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების დონით. /აი რატომ განსხვავდება მკვეთრად საბანკო სისტემა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების მქონე საზოგადოების საბანკო სისტემისაგან. მაგალითად, /განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს ორდონიანი (ორიარუსიანი) საბანკო სისტემა, რომელიც შედგება ცენტრალური ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკებისაგან, ხოლო საზოგადოებას, რომელშიც გაბატონებულია მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა, სასაქონლო ფულადი ურთიერთობანი დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ და ახასიათებს მკაცრად ცენტრალიზებული საბანკო სისტემა ერთიანი სახელმწიფო ბანკის და როგორც გამოჩაქისი, კაპიტალურ დაბანდებათა ერთი-ორი სპეციალური ბანკის სახით.

სამომხმარებლო კრედიტი—ეს არის კრედიტის ისეთი ფორმა, რომელიც გაიცემა საუკურო ფირმების მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებზე საქონლის სახით განვადების წესით. ამ კრედიტს მიეკუთვნება აგრეთვე გაწეული მომსახურების განვა-

დებით გადახდაც. სხვადასხვა საცალო სავაჭრო ფირმებიდან საქონლის კრედიტის სახით შექენას იწვევს მოსახლეობის ფართო ფენების ფულადი შემოსავლების უკმარისობა. დაკრედიტების ობიექტებია ძვირადღირებული და ხანგრძლივი მოხმარების ნივთები: ავეჯი, ავტომანქანა, მაცივარი, ტელევიზორი, აგრეთვე სხვადასხვა სახის მომსახურება. სამომხმარებლო კრედიტი შეიძლება იყოს მოკლევადიანი—ერთ წლამდე, საშუალოვადიანი 3—წლამდე და გრძელვადიანი 3-10 წლამდე. სამომხმარებლო კრედიტი არ არის კომერციული და საბანკო, ვინაიდან, ჯერ ერთი, საქონლის განვადებით გაყიდვა ხორციელდება საცალო სავაჭრო ფირმების მეშვეობით, ხოლო მეორე, სესხები გაიცემა სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების მიერ ხანგრძლივი ხმარების საგნებით მოვაჭრე საწარმოებზე. ამ კრედიტებზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდია.

სამომხმარებლო კრედიტი დაფარვის ფორმის მიხედვით იყოფა კრედიტის ერთჯერად დაფარვად და გადახდის განვადების წესით დაფარვად. პირველი განეკუთვნება მიმდინარე ანგარიშებს, რომელიც ეხსნება მყიდველებს სავაჭრო ფირმების მიერ. მიღებული კრედიტების ფარგლებში მსესხებლები ყოველთვის საქონელს თავიანთ დავალიანებათა ერთდროული დაფარვის ვადის გასვლამდე. სამომხმარებლო კრედიტი ერთჯერადი დაფარვით შეიცავს კრედიტებს გადახდის განვადების სახითაც (კომუნალური საწარმოების, ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებების მომსახურება), სამომხმარებლო კრედიტის ძირითადი ნაწილი განვადებითი გადახდის კრედიტებს ხმარდება. ამ ბოლო პერიოდში სამომხმარებლო კრედიტის გაცემა დაიწყო მიმდინარე ე.წ. "ავტომატურად განახლებადი კრედიტი"- ს სახით.

სამომხმარებლო კრედიტი სხვადასხვა ფორმით მომსახურეობას უწევს სულ უფრო მეტ საცალო საქონელბრუნვას. იზრდება ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების როლი სამომხმარებლო კრედიტის გაცემაში. სამომხმარებლო კრედიტს სპეციალურ ბანკებთან ერთად გასცემენ აგრეთვე ჩვეულებრივი კომერციული ბანკები და შეგნახველი საღაროები.

საკრედიტო დაწესებულებების სამომხმარებლო კრედიტს ძირითადად გააჩნია ორი ფორმა: 1. პირდაპირი კრედიტები მომხმარ-

რებლებზე სავაჭრო ფირმების შუამავლობის გარეშე. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნების ბანკები კლიენტ-მსესხებლებს აძლევენ საკრედიტო ჩეკებს დამრგვალებული სახით (10, 20, 50, 100 დოლარი), რომელიც გამოიყენება საქონლის გასანაღდებლად სავაჭრო ფირმებისათვის. ეს ფირმები თავის მხრივ ბანკებიდან ლებულობენ ნაღდ ფულს ანუ გადარიცხვას მიმდინარე ანგარიშებზე. ამ შემთხვევაში კრედიტორებად გვევლინებიან ბანკები, რომლებსაც მომხმარებლები უფარავენ კრედიტებს დადგენილ ვადებში. 2. კრედიტების გაცემა მომხმარებლებზე სავაჭრო ფირმების რწმუნებით. ამ შემთხვევაში ბანკები ხელშეკრულებას დებენ სავაჭრო ფირმებთან და ვალდებულებას იღებენ განსაზღვრული თანხის ფარგლებში დააკრედიტონ მყიდველები, ხოლო სავაჭრო ფირმები თავისთავზე იღებენ რწმუნებას ბანკისადმი მსესხებელთა სავალო ვალდებულების თავის დროულად დაფარვაზე და ამავე დროს დებს ხელშეკრულებას თავიანთ მყიდველებთან, სადაც განსაზღვრული არის კრედიტის თანხა, მისი პირობები და დაფარვის ვადები. ეს ხელშეკრულებები გადაეცემა ბანკებს, რომლებიც უხდიან ფირმებს: კრედიტის 80-90%-ს, ხოლო დანარჩენ ნაწილს ჩარიცხავს განსაკუთრებულ ბლოკირებულ ანგარიშზე. მყიდველები მიღებულ კრედიტებს ფარავენ ნაწილ-ნაწილ. მათ მიერ კრედიტში შექმნილი საქონელი გამოიყენება გადახდის უზრუნველსაყოფად. კრედიტების ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში შესაბამის თანხას ბანკები ახდევინებენ მყიდველებს ბლოკირებული ანგარიშებიდან. პირდაპირი დაკრედიტება გამოიყენება ძირითადად საფეიქრო ნაწარმის შექმნისას, ხოლო კრედიტები რწმუნებით—ხანგრძლივი ხმარების საქონლის შექმნისას. ამჟამად მთელ რიგ ქვეყნებში, გამოიყენება დაკრედიტების ისეთი წესი, როდესაც ხელშეკრულება იდება ბანკებსა და ფირმებს შორის და ამის საფუძველზე ფირმები გაყდიან საქონელს კრედიტში კლიენტ-ბანკებზე, თანაც ბანკები მაშინვე უხდიან ნაღდ სავაჭრო ფირმებს მათზე მიყიდულ საქონელს, ხოლო შემდგომში მყიდველები—თანდათანობით ბანკების კრედიტებს. რიგ შემთხვევაში ბანკები კომერციული თამასუქების განაღდებასთან ერთად ითვალისწინებენ აგრეთვე იმ თამასუქებსაც, რომლებიც გაცემულია საცალო სავაჭრო საწარმოების მიერ.

სახელმწიფო კრედიტი?—ეს არის კრედიტის ისეთი სახე, როცა სახელმწიფო და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოდიან გამსესხებლის ან მსესხებლის როლში. სხვადასხვა ობიექტური მიზეზებისა და გარემოებათა გამო სახელმწიფო მიმართავს სესხებს. სესხებს ღებულობს სახელმწიფო მოსახლეობიდან საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით ობლიგაციების გამოშვების გზით. სახელმწიფო კრედიტის ზრდის ან შემცირების კვალობაზე იზრდება ან მცირდება საპროცენტო განაკვეთების დონეც. სახელმწიფო კრედიტი არის სახელმწიფო შემოსავლის მობილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი.

სახელმწიფო კრედიტზე დავალიანება, როცა სახელმწიფოა მსესხებელი, სახელმწიფო კრედიტთან ერთად მოიცავს სახელმწიფო ვალის თანხებსაც. სახელმწიფო სესხი გამოიშვება ფულადი ფორმით, ზოგიერთ შემთხვევაში ნატურალური ფორმითაც. სახელმწიფო სესხი მოთავსების ხერხის მიხედვით შეიძლება დაიყოს თავისუფლად მიმოქცევად, ხელმოწერებით მოთავსებად და იძულებით სესხებად. სესხები არის მოკლევადიანი 1 წლამდე ვადით, საშუალოვადიანი—5 წლამდე ვადით და გრძელვადიანი 5—წელზე მეტი ვადით. შემოსავლიანობის მიხედვით იყოფა პროცენტულად (გამსესხებელი ყოველწლიურად ღებულობს მტკიცე შემოსავალს თანაბარი წლით დამტკიცებული განაკვეთების მიხედვით) და მომგებიანად (გამსესხებელს უხდის ან ტირაჟში ობლიგაციების გამოშვებისას—დაფარვის ტირაჟით ან მომგებიანი ტირაჟით). სესხების მოთავსების ადგილის მიხედვით განასხვავებენ საშინაო სახელმწიფო სესხს და საგარეო სახელმწიფო სესხს, რომელიც რეალიზებულია უცხოეთის ფულად ბაზრებზე (კრედიტორი ქვეყნის, მსესხებელი ქვეყნისა და მესამე ქვეყნის ვალუტებში). საშინაო სესხის ობლიგაციების შექმნა შეუძლია უცხოეთის მოქალაქესაც. სახელმწიფო სესხის ობლიგაციების სოციალურ-ეკონომიკური არსი, როგორც სახელმწიფო ხარჯების დაფარვისათვის ფულადი სახსრების მოზიდვის ფორმა, განისაზღვრება მისი გამომშვები სახელმწიფოს ბუნებითა და ფუნქციებით.

სახელმწიფო სესხი გამოიშვება როგორც ცენტრალური მთავრობის მიერ, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების

მიერ.

სესხი შეიძლება დაიყოს აგრეთვე საობლიგაციო სესხად და არასაობლიგაციო სესხად. საშინაო სახელმწიფო სესხი ჩვეულებრივ ფორმდება ობლიგაციური სესხის მთელი თანხით. არასაობლიგაციო სესხი—ეს არის მთავრობის სესხი შემნახველი სალაროებიდან ან მთავრობათაშორისო სესხი. განასხვავებენ აგრეთვე საბაზრო და არასაბაზრო ობლიგაციებს. სახელმწიფო სესხის საბაზრო ობლიგაციები თავისუფლად იყიდება და შეისყიდება ფულად ბაზარზე, მაგრამ არ შეიძლება ამ ობლიგაციების გადახდაზე წარდგენა სახელმწიფო სესხის გამოშვების დროს დადგენილ ვადამდე. სახელმწიფო სესხის არასაბაზრო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა არ ხდება და მათი გადახდაზე წარდგენა შეიძლება მენაბრის სურვილისამებრ ნებისმიერ დროს სესხის ვალის გასვლამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ობლიგაციებზე გადასახდელი პროცენტი მცირდება. სპეციალური სახელმწიფო სესხის გამოშვება თავსდება მთავრობებს, დაწესებულებებსა და ფონდებს (სადაზღვევო, საპენსიო და სხვა) შორის. მათი ობლიგაციები ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარებიან.

სახელმწიფო სესხის მოთავსება ხდება ბანკების შუამავლობით, რომლებიც სახელმწიფოს აკრედიტებენ სესხის მთელი თანხით და ამ ოპერაციისათვის ბანკები გასამრჯელოს იღებენ შედარებით დაბალი ნომინალური საემისიო კურსით, ხოლო შემდეგ მის რეალიზაციას ახდენენ ფულად ბაზარზე. გარდა ამისა, სესხის მოოჯახებისათვის მათ უხდინან განსაზღვრულ საკომისიო გასამრჯელოს. ასეთი მეთოდი ბანკებს საკმაოდ დიდ მოგებას აძლევს.

საერთაშორისო კრედიტი—ისეთი კრედიტია, რომელიც ერთი ქვეყნის მთავრობის, ბანკების, აგრეთვე სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გაიცემა მეორე ქვეყნის მთავრობაზე, ბანკებზე, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე ვალდინობის, დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის პირობით.

საერთაშორისო კრედიტის განვითარებას საფუძვლად დაედო წარმოებისა და ფულად-საკრედიტო რესურსების ინტერნაციონალიზაცია, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავება, მზარდი საერთო

პროდუქტის რეალიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე, ეროვნული და სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკის განვითარება.

საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობაში კრედიტორებისა და მსესხებლების სახით გამოდიან ცალკეული ბანკები, ფირმები, სახელმწიფო დაწესებულებები, მთავრობა და სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციები. საერთაშორისო კრედიტი დაკავშირებულია ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებთან, როგორცაა ფული, მოგება, ფასი, სავალუტო კურსი, საგადაშვდელი ბალანსი და ა. შ.

საერთაშორისო კრედიტი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის საშინაო კრედიტებთან. საგარეო ვაჭრობის დაკრედიტება ხორციელდება როგორც საშინაო, ასევე საგარეო სესხების ხარჯზე. საერთაშორისო კრედიტი იყოფა მოკლევადიანად 1-წლამდე ვადით, საშუალოვადიანი 1-დან 5-წლამდე ვადით (ზოგჯერ 7 წლამდე ვადით) და გრძელვადიანი 5-წელზე მეტი ვადით.

საერთაშორისო კრედიტი რეალიზაციის პირობების მიხედვით იყოფა იმ კრედიტად, რომელიც დარიცხულია კრედიტორზე მვეალის მიერ და სააქციებზე კრედიტად, რომელიც ემყარება მვეალის ან ბანკების აქციებზე. უზრუნველყოფის მიხედვით საერთაშორისო კრედიტი შეიძლება იყოს საქონლით უზრუნველყოფილი, სასაქონლო კომერციული დოკუმენტებით და საბანკო კრედიტებით. დაკრედიტების ობიექტების მიხედვით საერთაშორისო კრედიტი შეიძლება იყოს: კომერციული, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობის ოპერაციებთან; ფინანსური, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. ფორმის მიხედვით საერთაშორისო კრედიტი არის სასაქონლო და სავალუტო. იმის მიხედვით, თუ ვინ არის კრედიტორი, საერთაშორისო კრედიტი არის: 1. კერძო კრედიტები, რომელსაც გასცემენ კერძო ფირმები და ბანკები, 2. სახელმწიფო კრედიტები; 3. შერეული კრედიტები—კერძო საწარმოებისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; 4. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციების კრედიტები.

საერთაშორისო კრედიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მთავრობათაშორისო სესხები.

სალომბარდო კრედიტი—ეს არის სეზონური ხასიათის მოკლევადიანი ფიქსირებული სესხის სახით გაცემული თანხა, რომელიც

უზრუნველყოფილია ადვილად სარეალიზაციო მოძრავი ქონებით.

სალომბარდო კრედიტი წარმოიშვა შუა საუკუნეების ჩრდილოეთ იტალიაში ქ. ლომბარდიაში (სახელწოდებაც აქედან მოდის).

ამ სესხის გაცემის დროს გირაო ფასდება საკრედიტო ხელშეკრულების დადების დღეს დასაჭირავებელი ქონების არა სრული ღირებულებით, არამედ ღირებულების მხოლოდ ნაწილის გათვალისწინებით.

სალომბარდო კრედიტის ძირითადი სახეებია:

1. ფასიანი ქაღალდების გირაოში გაცემული სალომბარდო კრედიტი. ეს კრედიტი სალომბარდო გარიგების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფორმაა, იმიტომ, რომ მას საფუძვლად უდევს შედარებით მარტივი ხასიათის ოპერაცია—ფასიანი ქაღალდების გირაოში მიღება და შეფასება. გირაოს შენახვის ხარჯები უმნიშვნელოა, რადგან ფასიანი ქაღალდები, როგორც წესი, ინახება სპეციალურ ანგარიშზე ბანკში. ფასიანი ქაღალდების ღირებულების განსაზღვრა წარმოებს საფონდო ბირჟაზე მათი კოტირების გზით. შეფასება ხდება საბირჟო კურსთან შედარებით შემცირებულად. რაც შეეხება თამასუქს, რომელსაც მეტად ფართო ადგილი უკავია კომერციული ბანკების ოპერაციებში, გირაოს სახით იშვიათად გამოიყენება სალომბარდო ოპერაციებში.

2. საქონლის გირაოში გაცემული სალომბარდო კრედიტი. ამ კრედიტის დროს გირაოს სახით გამოიყენება მხოლოდ ისეთი საქონელი, რომელთა ფასები შედარებით მტკიცეა სასაქონლო ბირჟებზე. ასეთია მაგალითად: მარცვალი, შაქარი, ბამბა, ყავა, ამ საქონელთა ღირებულების განსაზღვრა და გირაოს შეფასება სირთულეს არ წარმოადგენს, მერყობს 50-66%-ის ფარგლებში. საქონელი, რომელიც გადაეცემა გირაოდ, გადაიტვირთება ბანკის სახელზე და მიეცემა შესაბამისი მოწმობა. ამ კრედიტის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კრედიტი გზაში მყოფ საქონელზე.

3. კრედიტი ძვირფასი ლითონების გირაოთი. გირაოში აქ იგულისხმება ოქრო, ვერცხლი, პლატინა.

4. კრედიტი მოთხოვნის გირაოთი. აქ გირაოდ შეიძლება გა-

მოყენებულ იქნას შემნახველი სალაროების ანაბრები, სადაზღვევო ხელშეკრულების მოთხოვნა, ხელფასის ანაზღაურებაზე მოთხოვნა, კიპოთეკა და რეესტრში ჩანაწერები უძრავი ქონების გირაოს შესახებ.

სალომბარდო კრედიტების ღირებულება ყალიბდება პროცენტებიდან და საკომისიო გადასახდევლებიდან გამომდინარე, ხოლო, თავის მხრივ, ეს საკომისიო გადასახდევლები ძირითადად დამოკიდებულია ქონების გირაოს შენახვის ხარჯებზე.

კრედიტი ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციას:

1. ხელს უწყობს თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილებას; 2. ეწევა მიმოქცევის ხარჯების ეკონომიას; 3. ხელს უწყობს თავისუფალი ფულადი სახსრების ცენტრალიზაციასა და კონცენტრაციას.

პირველი ფუნქციის არსი მდგომარეობს შემდეგში: რამდენადაც წარმოების განვითარების სტიმული მოგების მიღებაა, ამდენად კრედიტი ხელს უწყობს ფულადი სახსრების იმ დარგებში გადანაწილებას, სადაც მოგება შედარებით მაღალია. ფულადი სახსრების ასეთ გადანაწილებას კი, თავის მხრივ, საბოლოო ჯამში, წარმოების ყველა დარგში, მოგების გათანაბრებისავე მიყვარათ. კრედიტის გარეშე თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილება მთელ რიგ დაბრკოლებებს წააწყდებოდა, კერძოდ, საქონლის რეალიზაცია შეფერხდებოდა, ამასთან ადგილი არ ექნებოდა წარმოებრივი ფულადი სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა დარგებს შორის.

ყოველ მეწარმეს გააჩნია თავისუფალი ფულადი სახსრები, მაგალითად, ამორტიზაციის ფონდი, საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების სახით და სხვა. ვინაიდან ეს თანხები მეტად მცირეა იმისათვის, რომ მან ახალი წარმოება შექმნას სხვა დარგში, ხოლო დრო კი არ ითმენს დაელოდოს სანამ იგი საამისოდ საჭირო საკმარის თავისუფალ სახსრებს შექმნის, ამიტომ მიმართავს კრედიტს, ვინაიდან იცის, რომ ფულადი რესურსების ერთი დარგიდან თავისუფლად გადასვლა მეორე დარგში კრედიტის გარეშე შეუძლებელია. კრედიტი აჭ. ასე ვთქვათ, სასწრაფო დახმარების როლში გამოდის.

კრედიტი, როგორც ფულის ეკონომიის საშუალების ფუნქცია, მიმოქცევის ხარჯების შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაშასადამე, ამ ფუნქციის დახმარებით შეიძლება მიღწეულ იქნას ფულის ეკონომია. ეს შეიძლება სამი ხერხით: უნაღლო ანგარიშსწორებით, ფულადი ბრუნვის სიჩქარის გადიდებით, საკრედიტო ფულის ფართოდ გამოყენებით.

უნობილია, რომ კრედიტის საფუძველზე წარმოიშობა მიმოქცევის საკრედიტო იარაღები—თამასუქი, ჩეკი. საქონლის გაყიდვა არა ნაღდ, არამედ უნაღლო მიმოქცევის საკრედიტო იარაღების მეშვეობით, თავისთავად ფულის გადახდის განვადებას და ფულის ეკონომიას ნიშნავს კომერციული კრედიტის დროს ურთიერთ-გადახდა ხორციელდება ურთიერთჩათვლის გზით, მხოლოდ საღდა შეიძლება დაიფაროს ნაღდი ფულით. რამდენადაც მეტია ბანკში ფულადი სახსრები, რომელიც შემდეგ გადადის სესხის სახით და დიდდება ფულის მიმოქცევის სიჩქარე, იმდენად ნაკლებია ბრუნვაში საჭირო ფული.

მიმოქცევაში მყოფ საკრედიტო ფულს—ბანკნოტს უპირატესობა აქვს თამასუქთან შედარებით. თამასუქის მიმოქცევა შეზღუდულია, ხოლო ბანკნოტისა არა. ბანკნოტი, თამასუქისაგან განსხვავებით საყოველთაო ვალდებულებაა; თამასუქს ვადა აქვს, ბანკნოტს კი არა, იგი საემისიო ბანკების უვადო ვალდებულებაა და მუდმივად იმყოფება ბრუნვაში. /

დიდია კრედიტის როლი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფულის მიმოქცევის განმტკიცება და საკრედიტო ურთიერთობების გარდაქმნა-სრულყოფა.

ეკონომიკური რეფორმების მთავარი ამოცანაა ფულადი რესურსების ცენტრალიზებული გადანაწილების მაქსიმალური შემცირება და ამ რესურსების დეცენტრალიზებული მოძრაობა ფინანსურ ბაზარზე, სადაც არსებითად შეცვლილია კრედიტის როლი და დანიშნულება.

/ კრედიტი საბაზრო ურთიერთობის პირობებში წარმოადგენს

სასესხო კაპიტალის (ფულადი კაპიტალი) მოძრაობის ფორმას, რომელიც სესხის სახით გაიცემა. კრედიტი ხელს უწყობს ფულადი კაპიტალის მოძრაობას და გამოხატავს გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ურთიერთობას. კრედიტის მეშვეობით ხორციელდება კერძო კოოპერაციული და სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციების თავისუფალი ფულადი სახსრებისა და შემოსავლების მობილიზაცია და მათი გარდაქმნა სასესხო კაპიტალად, რომელიც შემდგომ დროებით გადაიცემა პროცენტის გადახდის პირობით.

კრედიტი ასტიმულირებს საწარმოო ძალთა განვითარებას, აჩქარებს კაპიტალის წყაროების ფორმირებას გაფართოებული კელაფწარმოების მიზნით, არეგულირებს გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ურთიერთობას სასესხო კაპიტალის ბაზარზე, სამთავრობო გარანტიების გაცემითა და სხვადასხვა სახის შეღავათების გამოყენებით სახელმწიფო მიმართულებას აძლევს ბანკებს უპირატესად იმ საწარმოებისა და დარგების დაკრედიტებაზე, რომელთა საქმიანობა შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საზოგადოებრივი პროგრამის განხორციელებას. სახელმწიფოს შეუძლია გასცეს კრედიტები კაპიტალურ დაბანდებაზე, საბანკო მშენებლობის განვითარებაზე, ახალი საწარმოების შექმნაზე, საქონლის ექსპორტისა და სხვათა სტიმულირებაზე. კრედიტის გამოყენების გარეშე შეუძლებელია დაქარდეს ფერმერული მეურნეობების, მცირე ბიზნესის საწარმოებისა და სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობის შექმნა-განვითარება. /

**ბანკები და მათი ოპერაციები.
საბანკო სისტემა**

1. ბანკების წარმოშობა

კაპიტალისტური ბანკების წარმოშობა დაკავშირებულია ფულად-საბანკო კაპიტალის განვითარებასთან. ფულად საბანკო კაპიტალის ოპერაციების განვითარებას თან მოჰყვა საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების განვითარება. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დაქუცმაცებულობის გამო, ფულადი სისტემა მეტად მოშლილი იყო. ამ პერიოდში ამასთანავე ფართოდ მოიკიდა ფეხი მონეტების გაფუჭების პრაქტიკამ, როდესაც იჭრებოდა ისეთი მონეტები, რომლის წონა და სინჯი მის ნომინალურ ღირებულებას არ შეესაბამებოდა. ეს გარემოება საერთაშორისო ვაჭრობით დაინტერესებულ პირებს ხშირად აიძულებდა ემოგზაურათ ერთი ქვეყნიდან მეორეში სამამულო მონეტის უცხოურ მონეტაზე, როგორც სრულფასოვან მონეტაზე გადაცვლის მიზნით, სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ვაჭრების ერთმა ნაწილმა მიატოვა საქონლით ვაჭრობა და ფულით ვაჭრობა დაიწყო, რათა ერთი სახის ფული მეორე სახის ფულად გადაექციათ. ფულით მოვაჭრე პირს ზარაფი ეწოდებოდა. ზარაფობა ფართოდ გაიშალა შუა საუკუნეებში. განსაკუთრებით იტალიის ძველ საბანკო ქალაქებში, მაგიდას, რომელზედაც ზარაფი ანზორციელებდა თავის ოპერაციებს „banca“, ხოლო ზარაფს „banclieri“ ეწოდებოდა. სწორედ აქედან წარმოიშვა სიტყვები „ბანკი“ და „ბანკირი“. სხვათაშორის ზარაფების გარდა ფულის შენახვის ოპერაციებს აწარმოებდნენ ტაძრებიც. ფულის ყიდვა-გაყიდვას ზარაფი ხშირად ოქრომჭედლობასაც უთავსებდა, ვინაიდან ამგვარი საქმიანობა მას მონეტის სრულფასოვნების შეუცდომლად განსაზღვრის საშუალებას აძლევდა, ბევრი ზარაფი მდიდარი ოქრომჭედელიც კი გახდა. გარდა ამისა, საქონლით მოვაჭრეები, რომლებიც ფულს შესანახად აძლევდნენ ზარაფებს, მათ იმასაც ავალებდნენ, რომ მათ

საპიროების შემთხვევაში თვითონვე ეწარმოებინათ ფულადი გადახდები და გადაგზავნები. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან იმ პერიოდში ოქროს ფულის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანა-გადმოტანა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. ვინაიდან იმ პერიოდში მოგზაურობა მეტად საშიში იყო გზის ყაჩაღების თარეშის გამო, ვაჭრები ფართოდ მიმართავდნენ ზარათების შუამავლობას, მაგალითად, ვაჭარი ფულს აძლევდა ზარათს, ხოლო ეს მეორე ქალაქში მყოფ ზარათს ავალებდა, რომ ეს თანხა ამ ვაჭრისათვის მიეცა. ამ ოპერაციების გაფართოებას შედეგად საკრედიტო ოპერაციების დაწყება მოჰყვა. სწორედ ზარათის მიერ კრედიტების გაცემის პერიოდიდან იწყება ბანკების შექმნა, ხოლო თვითონ ზარათები კი ბანკირები ხდებიან.

შუა საუკუნეების ზარათ-ბანკირებმა ფართოდ გაშალეს საბანკო ოპერაციები, კერძოდ, ისინი ასრულებდნენ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა:

ა) ფულადი ანაბრების მოზიდვა. მართალია, ბანკებს საკმაოდ დიდი ოდენობით გააჩნდათ საკუთარი კაპიტალი საბანკო ოპერაციების განხორციელებისათვის, მაგრამ, დამატებით ამასთან ერთად ისინი დიდძალ ანაბრებს იღებდნენ ვაჭრებიდან და მრეწველებიდან. ასრულებდნენ აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და რომის პაპის დავალებებს გადასახადებისა და გადასახდელების აკრეფის დარგში, რაც კიდევ უფრო აღიდებდა ბანკირთა ფულად სახსრებს.

ბ) საშუამავლო ოპერაციები. ეს ოპერაციები ხორციელდებოდა ვაჭრებსა და მრეწველებს, აგრეთვე თვით ვაჭრებს შორის. საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით უნაღდო ანგარიშსწორების გზით. წარმოიშვა საკრედიტო იარაღები—ბანკნოტები, ჩეკები. უნაღდო ანგარიშსწორების გაფართოებამ ხელი შეუწყო ნაღდ ფულის ეკონომიას მიმოქცევაში.

გ) ფულის გადაგზავნის ოპერაციები. ამ ოპერაციებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით დიდი ადგილი ეკავა საბანკო ოპერაციებში. სტემატურად ეს ოპერაციები ხორციელდებოდა შემდეგნაირად: ბანკირები კლიენტებისაგან ღებულობდნენ ადგილობრივ მონეტას და მის ნაცვლად

გაცემდნენ თამასუქებს იმ ქვეყნის ბანკის სახელზე, სადაც კლიენტს ფული უნდა მიეღო.

დ) საკრედიტო ოპერაციები, ბანკირები კრედიტს აძლევდნენ ვაჭრებს, მრეწველებსა და სახელმწიფოს. კრედიტების დიდი ნაწილი სახელმწიფოზე მოდიოდა, რომელსაც იგი უმთავრესად დიდგვაროვანთა და მსხვილ თავადაზნაურთა მიზნებისათვის იყენებდა.

ბანკირთა მიერ თავიანთი სახსრების დიდი ნაწილის სახელმწიფოს დაკრედიტებისათვის გამოყენებამ გამოიწვია წვრილი ბანკირების ვაკოტრება, ხშირად სახელმწიფო სესხად მიღებულ ფულს უკან არ აბრუნებდა, კიდევ მეტიც, კანონმდებლობის წესით წვრილ ბანკირებს საბანკო ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობასაც უზღუდავდა, სახელმწიფო ამის უფლებას მხოლოდ მსხვილ ბანკირებს აძლევდა. სახელმწიფოს ამგვარმა ზეგავლენამ ბანკირებზე მკვეთრად შეამცირა ვაჭრობისა და მრეწველების დაკრედიტება, ამასთან, მსხვილი ბანკები მევახშეებიც იყვნენ და, ამდენად, კრედიტზე სარგებლის განაკვეთებს სულ უფრო ადიდებდნენ.

ამ სიძნელეებიდან თავის დაღწევის მიზნით ვაჭრებმა შექმნეს განსაკუთრებული ტიპის ბანკი, ე.წ. ჟირო-ბანკი, რომლის მთავარი საქმიანობა უნაღდო ფულადი ბრუნვა და მისი რეგულირება იყო. ეს ბანკი მიმართავდა სესხის გაცემასაც. მსესხებლები უმთავრესად სახელმწიფო და ქალაქის მმართველობა იყო.

პირველი ჟირო-ბანკი დაარსდა გენუაში 1407 წელს და იტალიის ზოგიერთ სხვა ქალაქშიც. მაგალითად, 1587 წელს—ვენეციაში, 1593 წელს—მილანში. XVII საუკუნეში ასეთი ბანკები დაარსდა ამსტერდამში (1609 წ.), ჰამბურგში— (1619 წ.), ნიურნბერგში (1621 წ.).

საინტერესოა, აღინიშნოს ისიც, რომ ამ ბანკებმა გაფუჭებული და გაყალბებული მონეტების თავიდან აცილების მიზნით შემოიღეს საკუთარი მონეტები, მათი მოჭრა არ ხდებოდა, იგი მხოლოდ საანგარიშო ერთეული იყო და ძვირფასი ლითონის განსაზღვრულ წონით რაოდენობას შეიცავდა. ამ მონეტით გაიანგარიშებოდა ყველა მიღებული ანაბარი და უნაჟღო ანგარიშსწორების ოპერაციები.

ჟირო-ბანკები ვერ აკმაყოფილებდნენ განვითარების გზაზე

მდგომი კაპიტალიზმის მოთხოვნებს კრედიტებზე. საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ კაპიტალისტებს არ შეეძლოთ მევახშეთა კრედიტების გამოყენება, სარგებლის მეტად მაღალი განაკვეთების გამო, კაპიტალისტებმა ბრძოლაც კი გამოუცხადეს მევახშეებს სარგებლის დონის შემცირების მიზნით, მაგრამ მიზანს ყოველთვის მაინც ვერ აღწევდნენ, მევახშეებს ისევ სხვადასხვა მაქინაციებით თავისი გაჰქონდათ.

წმინდა კაპიტალისტური ბანკების შექმნა იწყება XVII საუკუნის ბოლოდან ინგლისში, ძველმოდური ზარაფი-ბანკირები, რომელნიც იმავე დროს მევახშეებიც იყვნენ, თანდათან ნამდვილ ბანკირებად გადაიქცნენ 1690 წელს ინგლისში. ეს იყო მევახშეობისაგან დამოუკიდებელი ბანკი, რომელიც უშვებდა ბანკოტებს და ახორციელებდა ფართო საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს. /

2. საბანკო სისტემა და გამოი ოპერაციები

/ ბანკი—ეს არის ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ძირითადად შექმნილია დროებით თავისუფალი სახსრების მოზიდვისა და ამ სახსრების დაბრუნების პირობით გაცემისათვის.

ბანკის ძირითადი დანიშნულებაა გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შუამავლობა ფულადი სახსრების კრედიტებად გაცემასთან დაკავშირებით.

ბანკებთან ერთად ბაზარზე ფულადი სახსრების სესხად გაცემა და დაბრუნება ხორციელდება სხვა საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციების მიერ.

საბანკო სისტემა მოიცავს ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებთანა კსელს. საბანკო სისტემაში შედის: ეროვნული (ცენტრალური) საემისიო ბანკები; კომერციული ბანკები, საპიპოთეკო ბანკები; საინვესტიციო ბანკები; შემნახველი ბანკები; დაზღვევის კომპანიები; საპენსიო ფონდები; საინვესტიციო კომპანიები, ფინანსური კომპანიები.

ეროვნული ბანკები—ეს არის ქვეყნის ცენტრალური ბანკები,

მათი საემისიო და სავალუტო ცენტრები. საემისიო (ცენტრალური) ბანკები ერთერთი მთავარი წამყვანი რგოლებია ქვეყნის საბანკო სისტემაში და დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. საემისიო ბანკი ეწოდება ისეთ ბანკს, რომელსაც მიმოქცევაში ბანკნოტების (ანუ ფულის) გამოშვების უფლება აქვს. საემისიო ბანკები თავიანთი საემისიო ოპერაციებით ბანკების ბანკებად იქცევიან. ისინი თავს უყრიან კომერციული ბანკების და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ფულად რეზერვებს, რომელსაც სესხად აძლევენ უშუალოდ ბანკებს და არა საწარმოებს. საემისიო ბანკი სახელმწიფო ბანკად რჩება მაშინაც კი, როცა იგი კერძო სააქციო ხასიათისაა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საემისიო ბანკები მხოლოდ სახელმწიფოსთან უშუალო კავშირში ანხორციელებენ სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელების მიღებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებას, სახელმწიფო სესხის ობლიგაციების რეალიზაციას, ფულის მიმოქცევის რეგულირებასა და ეროვნული ფულადი ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფას, დაკრედიტების, ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევისა და სავალუტო ურთიერთობის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის გატარებას.

საემისიო ბანკების ძირითადი ფუნქციებია:

1 ფულის ემისია და ფულის მიმოქცევის ორგანიზება. სწორედ ამ ბანკებს ეკუთვნის მიმოქცევაში ბანკნოტების (იგივე ფულის) გამოშვების მონოპოლიური უფლება და ბანკმა უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მყარი ფულადი მიმოქცევა. სწორედ ერთერთი ამ ფუნქციით განსხვავდებიან საემისიო ბანკები კომერციული ბანკებისაგან, რომელთა რესურსებიც საკუთარი და მოზიდული სახსრებისაგან იქმნება!

¹ საბანკო საქმის განვითარების ადრეულ სტადიაზე კომერციულ და საემისიო ბანკებს შორის ასეთ გამოიჭენას ადგილი არ ჰქონია. ბანკნოტებს კომერციული ბანკებიც უშვებდნენ, მაგრამ ამან მეტად უარყოფითი გავლენა მიახდინა მთელ ფულად-საკრედიტო სისტემაზე. კიდევ მეტიც. ზოგიერთი კომერციული ბანკი ამ უფლებას ბოროტადაც იყენებდა, კერძოდ იგი მიმოქცევაში უშვებდა ისეთ ბანკნოტებს, რაც ოქროთი არ იყო უზრუნველყოფილი. ამასთან, წარმოიშვა მოთ-

2. კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების სალაროს რეზერვების თავმოყრა და შენახვა. საემისიო ბანკები, როგორც წესი, სხვა საკრედიტო ინსტიტუტების ფულადი სახსრების აკუმულაციას ახდენენ. ამაში იგულისხმება სავალდებულო მინიმალური რეზერვებიც, რომლებიც ბანკების სპეციალურ ანგარიშებზეა.

3. ყველა სახეობის ბანკების დაკრედიტება. მიუხედავად იმისა, რომ საემისიო ბანკების ფუნქციები დროთა განმავლობაში საკმაოდ გამრავალფეროვანდა, კომერციული ბანკების ფუნქციებისაგან განსხვავებით, დაკრედიტება მაინც რჩება საემისიო ბანკების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად. საემისიო ბანკები აკრედიტებს მხოლოდ კომერციულ და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს და არა უშუალოდ საწარმოებს.

4. ქვეყნის ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება. ეს ფუნქცია გულისხმობს ქვეყანაში მტკიცე ფულადი მიმოქცევის უზრუნველყოფისა და საკრედიტო რესურსების რაციონალური ხარჯვისადმი საემისიო ბანკების განმსაზღვრელ მოვალეობას ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერების მიზნით.

5. ყველა სახეობის ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია. საემისიო ბანკები მომსახურებას უწევენ სახელმწიფოს საანგარიშსწორებო ოპერაციების სახით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.

6. სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება. საემისიო ბანკები მომსახურებას უწევენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოძრაობას ანგარიშებზე ჩარიცხვა-გადარიცხვის გზით.

7. ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება, სავალუტო და ძვირფასი

ხოვნილება ისეთ ბანკოტებზე, რომლებიც მიმოქცევის მთელ ეროვნულ სფეროს მომსახურებას გაუწყდა. ამიტომ ბანკოტების გამოშვების რეგულირების საქმეს უშუალოდ მოკიდა ხელი სახელმწიფომ და იგი მთლიანად მხოლოდ საემისიო ბანკებს დაეკისრა; ამის შედეგად კომერციული ბანკები წმინდა დეპოზიტურ ბანკებად გადაიქცნენ.

ლითონების რეზერვების მართვა. საემისიო ბანკების ხაზინაში სპეციალურად ინახება ოქროს და ვალუტის გარკვეული რაოდენობა. ოქროს ძირითადად იყენებენ ფულის ემისიის უზრუნველყოფისათვის, ხოლო უცხოურ ვალუტას სხვა სახელმწიფოებთან ანგარიშსწორებისათვის, აგრეთვე ეროვნული ვალუტის განმტკიცებასა და მისი საბაზრო კურსის რეგულირებისათვის.

8. ყველა სახეობის ბანკების საქმიანობაზე კონტროლი. კონტროლი ემსახურება სახსრების რაციონალურად გამოყენებას, მინიმალური დანახარჯების მიღწევას და მაქსიმალური მოგების მიღებას.

9. ყველა სახეობის ბანკებისათვის საბანკო ოპერაციებისა და უცხოური ვალუტის ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემა.

10. საინფორმაციო სისტემისა და საბანკო სტატისტიკის ორგანიზაცია. საემისიო ბანკები ფლობენ ეკონომიკური და ფინანსური ინფორმაციის უდიდეს პოტენციალს. ამ ინფორმაციებს ისინი იღებენ როგორც ქვეყნის შიგნიდან (ბირჟები, აუქციონები, ბაზრობები), ასევე საზღვარგარეთიდანაც და იყენებენ ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობისა და შემდგომი გაძლიერების მიზნით. ეს ბანკები ეწევიან აქტიურ საკონსულტაციო საქმიანობას სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებისათვის.

საბანკო დაწესებულებათა ოპერაციები, როგორც წესი, იყოფა ორ ძირითად ჯგუფად—პასიურად და აქტიურად. პასიური ოპერაციების დროს ხდება რესურსების შექმნა, ხოლო აქტიური ოპერაციების დროს რესურსების მოთავსება. პირველ შემთხვევაში ბანკები გამოდიან მსესხებლის როლში, ხოლო მეორე შემთხვევაში—კრედიტორის როლში.

საემისიო ბანკების პასიური ოპერაციებია:

1. ბანკნოტების ემისია, საემისიო ბანკების რესურსებში მთავარი წყარო ბანკნოტების ემისიაა, დანარჩენ წყაროებს (საკუთარი კაპიტალი, დეპოზიტები და გრძელვადიანი აქტივების დაბანდება) შედარებით მცირე ხვედრითი წონა უკავია საემისიო ბანკების საერთო რესურსებში მაგრამ იზის გამო, რომ საემისიო ბანკების პრივილიგებული მდგომარეობა მთელ საბანკო სისტემაში უმთავ-

რესად სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას ემყარება, ამდენად, საკუთარი კაპიტალისა და სხვა სახსრების სამცირეს ამ ბანკებისათვის გადამწვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

2. საბანკო ანაბარი, საემისიო ბანკებში ინახავენ თავიანთი ფულადი სახსრების ნაწილს კომერციული ბანკების დაკრედიტებისა და რეზერვის დანიშნულებით. რეზერვი ნაღდ ფულზე შენაბრეთა მოთხოვნების შეუფერხებელ დაკმაყოფილებასა და ანგარიშსწორებას ხმარდება.

3. სახელმწიფო ანაბარი, სახელმწიფო, როგორც წესი, თავის ნაღდ თავისუფალ სახსრებს საემისიო ბანკში ინახავს და საპროცენტების შემთხვევაში საკრედიტო ოპერაციებისათვის იყენებს.

4. უცხოური ბანკების ანაბარი, ყველა ქვეყნის საემისიო ბანკები თავიანთი სახსრების ნაწილს ინახავენ უცხოეთის საემისიო ბანკებში, ვინაიდან მათ მუდმივად ჰქონდეთ შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნებთან უცხო ვალუტით მოახდინონ შეუფერხებელი ანგარიშსწორება.

როგორც ცნობილია, საემისიო ბანკები მოზიდულ სახსრებზე სარგებელს არ იხდიან. ისინი თვითონ ახდენენ სარგებელს კომერციულ ბანკებს დაკრედიტების დროს.

საემისიო ბანკების აქტიური ოპერაციებია:

1. სახელმწიფოსა და კომერციული ბანკების დაკრედიტება, (საემისიო ბანკები, როგორც წესი, კრედიტს არ გასცემენ კერძო მეწარმეებზე).

თამასუქებთან დაკავშირებით კრედიტი, რომელიც კომერციულ ბანკებსა და სახელმწიფოს ეძლევა, სამი სახისაა: თამასუქების განაღდება; თამასუქების გადაგირაგება და ფასიანი ქაღალდების გადაგირაგება. კომერციული ბანკები სესხებს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა ფულადი რესურსების ნაკლებობას განიცდიან და თავიანთ საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციებს ვერ ახორციელებენ. რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი ბანკის კრედიტებს ბიუჯეტის დაბალანსებისათვის იყენებს.

2. ოპერაციები ღია ბაზარზე, ოქროზე და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა.

ოპერაციები, ღია ბაზარზე უმთავრესად არა ფასიანი ქაღალ-

დების მოთავსებისათვის გამოიყენება. ოქროსა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს საემისიო ბანკები სავალუტო კურსზე შემოქმედებისათვის იყენებენ.

ამ ოპერაციებთან ერთად საემისიო ბანკები იყენებენ აგრეთვე სადემოზიტო პოლიტიკასაც, ამ პოლიტიკის გატარებით საემისიო ბანკები ცდილობენ, რომ სახელმწიფოს ფულადი სახსრების დიდი ნაწილი ინახებოდეს მათ ანგარიშებზე და არა კომერციულ ბანკებში.

/საემისიო ბანკების მოგება ბანკოტების ემისიით. ე.ი. გაცემულ სესხებზე სარგებლის გადახდევინებით ყლიბდება და არა გაცემულ სესხებზე სარგებელსა და მიღებულ ანგარიშებზე სარგებელს შორის განსხვავებით, როგორც ამას კომერციული ბანკების სინამდვილეში აქვს ადგილი./

/ ბ.კომერციული ბანკები

თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება. ისინი მოქმედებენ როგორც უნივერსალური საკრედიტო დაწესებულებები და ახორციელებენ მრავალრი სახის ოპერაციებს.

კომერციული ბანკების საქმიანობა აგებულია ზემდეგ ძირითად პრინციპებზე:

1. კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების საფუძველზე. ისინი, როგორც წესი, გასცემენ კრედიტებს სხვა ბანკებზე, ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორებას სხვა ბანკების დავალებით და ლებულობენ ნაღდ ფულს თავიანთ საკორესპოდენტო ანგარიშებზე. მოზიდული სახსრები, როგორც კომერციული საქმიანობის საფუძველი, ზრდის ბანკების დაინტერესებას მოზიდულ დემოზიტებზე და ანვითარებს ნამდვილ კონკურენციას პასივებისათვის, თავის მხრივ, რაც საკრედიტო რესურსების თავისუფალი მოძრაობის საუკეთესო საშუალებაა.

2. კომერციულ ბანკებს გააჩნიათ სრული დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს ბანკების ეკონომიკურ პასუხისმგებლობას თავიანთი საქმიანობის შედეგებზე. ასეთი დამოუკიდებლობა საშუალებას აძლევს ბანკებს საკუთარი და მოზიდული სახსრები გამოი-

ყნონ თავიანთი შეხედულებებისამებრ, თავისუფლად აირჩიონ კლიენტები, შეანაბრებები და გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები ხარჯონ საკუთარი სურვილისამებრ.

3. კომერციული ბანკების ურთიერთდამოკიდებულება კლიენტებთან აგებულია საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე. ბანკები კრედიტების გაცემისას, პირველ რიგში, ყურადღებას აქცევენ მომგებიანობას, რისკსა და ლიკვიდობას.

4. კომერციული ბანკების საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს არა აღმინისტრაციული, არამედ მხოლოდ არაპირდაპირი ეკონომიკური მეთოდებით. შართალია, სახელმწიფო განსაზღვრავს საერთო მიმართულებებს კომერციული ბანკებისათვის, შაგრამ მას არ შეუძლია უბრძანოს

კომერციული ბანკები—ეს ისეთი საკრედიტო დაწესებულებებია, რომელთა საქმიანობა უმთავრესად აგებულია მოზიდულ სახსრებზე. საემისიო ბანკებისაგან განსხვავებით კომერციული ბანკების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ბანკოტების ემისიის გამოშვების უფლების უქონლობა. არსებობს კომერციული ბანკების ორი სხვადასხვა ტიპი—უნივერსალური და სპეციალური.

უნივერსალური კომერციული ბანკებია—უმსხვილესი კერძო ბანკები, რეგიონალური ბანკები, კერძო ბანკები, კერძო შემნახველი ბანკები, სახელმწიფო უმსხვილესი ბანკები, სახელმწიფო შემნახველი სალაროები, საადგილმამულო ბანკები, საკრედიტო შემნახველი სალაროები, საკრედიტო ამხანაგობანი, ხოლო სპეციალური კომერციული ბანკებია—საინვესტიციო, საპიპოთეკო, დარგობრივი ბანკები, აგრეთვე სამომხმარებლო კრედიტი და სპეციალური ფუნქციების მქონე საკრედიტო ინსტიტუტები./

უნივერსალური კომერციული ბანკები ახორციელებენ ყველა სახის საბანკო ოპერაციას, მაგალითად, მოკლევადიან და გრძელვადიან დაკრედიტებას, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს, სხვადასხვა სახის ანაბრების მიღებას, საშუაშაველო, საფალუტო და სხვა სახის ოპერაციებს. რაც შეეხება სპეციალურ კომერციულ ბანკებს—ისინი სპეციალიზდებიან ერთი ან რამდენიმე სახის საბანკო ოპერაციაზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს უნივერსალური ბანკები (შვე-

იცარია, გერმანია, ავსტრია), არსებობს აგრეთვე მრავალრიცხოვანი სპეციალური ბანკებიც, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც უმთავრესად სპეციალურ ბანკებს დომინირებულა მდგომარეობა უკავიათ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია), სულ უფრო უნივერსალიზაციისაკენ ტენდენციურობით ხასიათდებიან.

კომერციული ბანკების ძირითადი ფუნქციებია: 1. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება, დაგროვება და მათი გადაქცევა სასესხო კაპიტალად; 2. საწარმოების, სახელმწიფოს და კერძო პირების დაკრედიტება. 3. ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით; 4. ფულადი ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელება; 5. მიმოქცევის საკრედიტო იარაღების გამოშვება; 6. კონსულტაციები და ეკონომიკურ-ფინანსური ინფორმაციების მიწოდება; 7. საშუამავლო, საკომისიო ოპერაციები.

კომერციული ბანკების პასიური ოპერაციებია:

1. საკუთარი კაპიტალი. ეს კაპიტალი იქმნება ბანკის აქციების გამოშვებისა და მოთავსების გზით. საკუთარ კაპიტალში შედის ნომინალური სააქციო კაპიტალი და გადახდილი სააქციო კაპიტალი.

ნომინალური კაპიტალი ბანკის მიერ გამოშვებული საკუთარი აქციის საერთო ოდენობის ტოლია, ხოლო გადახდილი კაპიტალი — საერთო აქციის გადახდილი ნაწილის ტოლი. ზოგიერთ ქვეყანაში უშვებენ ე.წ. გადაუხდელ აქციებს, როდესაც ბანკის დაარსებისას ჯერ მხოლოდ აქციის ნაწილი შეაქვთ, ხოლო დანარჩენი ნაწილი შეაქვთ შემდეგში — განვადების წესით. აქედან გამომდინარე, გადახდილ კაპიტალს უწოდებენ ნაშდვილ კაპიტალს, ხოლო გადაუხდელს — ბანკისადმი აქციონერთა ვალდებულებას.

საკუთარ კაპიტალში შედის აგრეთვე სარეზერვო კაპიტალიც, რომელიც ბანკის მოგებიდან იქმნება. მართალია, საკუთარი და სარეზერვო კაპიტალები მოზიდულ სახსრებთან შედარებით მცირეა, მაგრამ ისინი მაინც დიდ როლს თამაშობენ ბანკის ოპერაციებში, ვინაიდან ეს სახსრები მოზიდული სახსრების საფუძველია. რაც უფრო მეტია საკუთარი სახსრები, მით უფრო მეტია მოზიდული სახსრებიც.

2. საბანკო ანგარიშები, ისინი ორი სახისაა: ვადიანი ანაბარი

და მიმდინარე ანაბარი (ანუ უვადო ანაბარი).

ანაბარი ვალიანია, როცა მისი ვადა წინასწარაა დადგენილი. რის გამოც შენაბრეს არ შეუძლია ფულადი სახსრები ვადის გასვლამდე მოითხოვოს.

მიმდინარე ანაბარი—ეს ისეთი ანაბარია, როცა შენაბრეს ყოველთვის ფულის მოთხოვნა შეუძლია.

ამ ორ ანაბარს შორის არსებობს სხვა განსხვავებაც მაგალითად, ვალიანი ანაბარი, მოკლევადიანი დაკრედიტების თვალსაზრისით, უფრო მყარია ბანკისათვის, ვიდრე მიმდინარე ანაბარი, და პირიქით, მიმდინარე ანაბარი ბანკისათვის უფრო მყარია გრძელვადიანი დაკრედიტების შემთხვევაში.

მიმდინარე შენაბრეს ბანკი აძლევს ჩეკს. ჩეკი ეს არის მისი მფლობელის განკარგულება ბანკისადმი ჩეკში აღნიშნული თანხის გადახდის შესახებ. ჩეკი საკრედიტო იარაღია, იგი გამოიყენება როგორც მესამე პირზე ნაღდი ფულის გადასაცემად, ისე უნაღდო ანგარიშსწორებისათვის.

ჩეკი და თამასუქი, როგორც საკრედიტო იარაღები, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან. მაგალითად, ჩეკის გამცემი ფულს კი არ იხდის არამედ ღებულობს, ხოლო თამასუქის გამცემი—ფულს იხდის; თამასუქი—ეს არის კომერციული კრედიტის, ხოლო ჩეკი საბანკო კრედიტის იარაღი. თამასუქი გამოიყენება მეწარმეთა შორის ურთიერთობის დროს, ხოლო ჩეკი—მეწარმესა და ბანკს შორის ურთიერთობის დროს, როგორც წესი, ერთი მხარე აუცილებლად ბანკი უნდა იყოს; ჩეკს მოკლე ვადა (არა უმეტეს 10 დღისა) აქვს, ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩეკი ძალას კარგავს. თამასუქის ვადა შეიძლება მთელი წლითაც გაგრძელდეს.

ჩეკი ბანკნოტისაგანაც განსხვავდება. მაგალითად, ჩეკის მიმოქცევის სფერო შედარებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ბანკნოტისა, ბანკნოტის მფლობელს შეუძლია ბანკისაგან მოითხოვოს გადახდის უსიტყვოდ შესრულება, ხოლო ჩეკის მფლობელს, მიმდინარე ანგარიშზე თანხების უქონლობის შემთხვევაში, ამის უფლება არა აქვს, ბანკნოტას საემისიო ბანკი უშვებს, ხოლო ჩეკს—ყველა კომერციული ბანკი, ბანკნოტას უვადო ხასიათი აქვს, ჩეკი ვალიანია, ბანკნოტების ემისია და მისი მიმოქცევა რეგულირებულია.

ჩეკისა არა.

კომერციული ბანკების აქტიურ ოპერაციებს მიეკუთვნება: საკრედიტო ოპერაციები; საკასო და საკომისიო-საშუამავლო ოპერაციები. საკრედიტო ოპერაციებზე ბანკის საერთო ოპერაციების 80% გორდის. საკრედიტო ოპერაციები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით იყოფა. მაგალითად: სესხის ოდენობის, მსესხებელთა კატეგორიების, უზრუნველყოფის, დაკრედიტების, ობიექტების, ვადებისა და დაფარვის მიხედვით.

სესხი არის უვადო, მოკლევადიანი (ერთ წლამდე), საშუალოვადიანი (1-5 წლამდე) და გრძელვადიანი (5 წელზე მეტი). სესხის ერთი ნაწილი უზრუნველყოფილია, ნაწილი კი არა. სესხი შეიძლება დაიფაროს თანდათანობით, ერთდროულად და განვადების წესით.

კომერციული კრედიტები გაიცემა სხვადასხვა ობიექტებზე, კერძოდ, იგი გაიცემა საბრუნავი ფონდების დროებით უკმარისობის დროს, ძირითადი ფონდების დაბანდებაზე, წარმოების გაფართოებისათვის, საბირჟო ოპერაციებისათვის, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო მიზნებისათვის.

კრედიტების გაცემა ხდება შემდეგნაირად: პირველ რიგში მსესხებელი ბანკს წარუდგენს განაცხადს, მასში მოცემული უნდა იყოს ცნობები დაკრედიტების ობიექტის, კრედიტის დანიშნულების, კრედიტის ოდენობის, დაფარვის ვადების, კრედიტის უზრუნველყოფისა და საწარმოს (ორგანიზაციის) სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შესახებ, გარდა ამისა, მსესხებელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს გარანტია სესხის გადახდასთან დაკავშირებით./განაცხადი ჭერ შედის სააღრიცხვო-სასესხო ოპერაციების სამმართველოში, საიდანაც შემდეგ საკრედიტო განყოფილებაში გადადის მსესხებლის კრედიტუნარიანობის საფუძვლიანად შემოწმებისა და შეფასების მიზნით, ამის შემდეგ განაცხადს განიხილავს სააღრიცხვო-სასესხო კომიტეტი, ამ უკანასკნელის რეკომენდაციები პერიოდულად მოხსენდება ბანკის დირექტორთა საბჭოს, რომელიც ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას სესხის გაცემის შესახებ./

ბევრ ქვეყანაში სესხის დიდი ნაწილის გაცემა ლიმიტის ფარგლებში ხდება. ლიმიტი წესდება განსაზღვრული ვადებით. ამ ვა-

დებში სესხის მიღება შეიძლება ყოველთვის, მაგრამ არ ატარებს მექანიკურ ხასიათს. ბანკს უფლება აქვს ჯარი უთხრას ლიმიტით დაწესებულ ვადებშიც, თუ ცხადია, საწარმოს სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება.

მსესხებელი, როგორც წესი, ვალდებულია თავის გომდინარე ანგარიშზე ხელუხლებლად ინახავდეს მინიმალურ საკომპენსაციო ნაშთს მიღებული სესხების 20%-ის ოდენობით. ამით ბანკი უზრუნველყოფს მსესხებლის დამაგრებას, რომ იგი როგორც შენაბრე და მსესხებელი მისი მუდმივი კლიენტი იყოს./

სესხის უზრუნველყოფის საშუალებად ითვლება კლიენტის საგირავნო ვალდებულება. უზრუნველყოფაში მიიღება ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე ფასიანი ქაღალდები.

სარგებლის განაკვეთები დიფერენცირებულია მსესხებელთა კატეგორიების მიხედვით.

ბანკის საკრედიტო ოპერაციებს მიეკუთვნება სათამაშუქო, სასაქონლო, საფონდო ოპერაციები.

სათამაშუქო ოპერაციები თავის მხრივ იყოფა თამასუქების განაღდებად და თამასუქებისათვის სესხებად. თამასუქების განაღდება ნიშნავს ბანკის მიერ თამასუქების ყიდვას მისი ვადის გასვლამდე, ე.ი. ბანკი ფულს უხდის თამასუქის მფლობელს და იგი ამ თამასუქის მესაკუთრე ხდება. მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა უბრალო ყიდვა-გაყიდვასთან, არამედ საკრედიტო ოპერაციასთან, ვინაიდან ბანკი ფულის ავანსირებას ახდენს, რისთვისაც მსესხებელს პროცენტს ახდევინებს. /სარგებლის ოდენობა დამოკიდებულია თამასუქის ვალუტასა და ვადაზე, ხოლო თამასუქის ფასი-მის ვალუტასა და პროცენტზე./ მაგალითად, თამასუქი გაცემულია 10,0 ათას დოლარზე, მისი ვადის გასვლამდე დარჩენილია სამი თვე, ხოლო განაღდებას თანხა შეადგენს 4%-ს წლიურად. ასეთ შემთხვევაში ბანკი კლიენტს ახდევინებს: 4X 100:3:4 (სამი თვე წლის 1/4 შეადგენს), ე.ი. 100 დოლარს. მაშასადამე, ბანკი მოცემულ შემთხვევაში თამასუქის მფლობელს გადაუხდის არა 10,0 ათ. დოლარს, არამედ 9900 დოლარს.

თამასუქის განაღდებას ეკონომიკური მნიშვნელობა ის არის, რომ მისი მეშვეობით თამასუქში მოცემული კაპიტალის ნაწილი

ნაღდი ფულის ფორმას ლებულობს, და ამდენად შეიძლება მისი - მიმოქცევაში გამოშვება. თამასუქის განაღდების მოშენტიდან იგი, როგორც ზემოთ ითქვა, ბანკის საკუთარებაა ვადის გასვლამდე.

თამასუქის განაღდების შემდეგ ბანკს არასდროს არ აქვს მისი გადახდის სრული გარანტია. საქმე ისაა, რომ საქონელი, რომელიც თამასუქშია გამოხატული, შეიძლება არ გასაღდეს. გარდა ამისა, ყოველთვის ბანკიც ვერ ადგენს რომელია სასაქონლო (ნამდვილი) თამასუქი და რომელი არასასაქონლო, ვინაიდან არასასაქონლო თამასუქთან ერთად არსებობს ე.წ. ფინანსური თამასუქიც, რომელიც წმინდა ოპერაციებიდან წარმოიშობა. ასეთ თამასუქებს ბრინჯაოს თამასუქებს უწოდებენ.

თამასუქების უზრუნველყოფით სესხის გაცემისას ბანკი თამასუქებს კი არ იძენს, არამედ სესხს გასცემს, თამასუქის ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელი მოვალეა გამოისყიდოს იგი. ბანკი სესხის გაცემის დროს მსესხებელს სრულად უხდის არა თამასუქის ვალუტას, არამედ მის 60-80%, დანაკარგებისაგან თავის დაზღვევის მიზნით. სასაქონლო სესხები გაიცემა სასაქონლო უზრუნველყოფით, აგრეთვე სასაქონლო საბუთების უზრუნველყოფით, სესხი გაიცემა არა სრულად, ე.ი. დაკრედიტების ობიექტის უზრუნველყოფის ღირებულებით, არამედ მისი 50-70% ფარგლებში. ამით ბანკი თავს იზღვევს სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ ისეთ დანაკარგებისაგან, როგორცაა, მაგალითად, საქონელზე ფასების დაცემა, საქონლის გაუსაღებლობა და სხვა. ამ სახის სესხის ეკონომიკური ბუნება ის არის, რომ სასაქონლო ფორმაში მყოფი კაპიტალი ფულად კაპიტლად გარდაიქმნება.

საფონდო ოპერაციების დროს დაკრედიტების ობიექტია ფასიანი ქაღალდები. აქ სესხის გაცემა, როგორც ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით, ისე ფასიანი ქაღალდების შეძენით ხდება. პირველ შემთხვევაში, სესხი გაიცემა დაგირავებული ფასიანი ქაღალდების არა მთელი (ნომინალური) ღირებულების, არამედ მათი საკუთარი ღირებულების მიხედვით. ბანკის მიერ გაცემული სესხი სავალდებულო წესით უნდა გამოისყიდოს მსესხებელმა.

სამშუამავლო ოპერაციებს მიეკუთვნება: საინკასო, სააკრედიტივო, გზავნილებითი და სავაჭრო-საკომისიო ოპერაციები.

საინკასო ოპერაციის დროს ბანკი კლიენტის დავალებით ღებულობს თანხას ფულადი და სასაქონლო-საანგარიშსწორებო საბუთების მიხედვით. საინკასოდ მიიღება ჩეკები, თამასუქები, ფასიანი ქაღალდები, უცხოური ვალუტა და სხვა. ყოველი საინკასო ოპერაციის ჩატარებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს, რომლის ოდენობაც ოპერაციის სახელზეა დამოკიდებული. არსებობს ინტანსირებული ჩეკები, რომელთაც უმთავრესად ცენტრალური საემისიო ბანკები, საანგარიშსწორებო პალატები და ბანკები კორესპოდენტები სარგებლობენ. ინკასირებული ჩეკების გამოყენებისას სავალდებულო არ არის გარიგების დამატებით საბუთებით გაფორმება. მაგალითად, კლიენტს ბანკში ჩეკის ჩაბარების დღესვე ჩაურიცხავენ სათანადო თანხას, მაგრამ, როცა კი საქმე სათამასუქო გარიგებასთან გვაქვს, მაშინ ინკასირებული ჩეკით ფული კლიენტს მხოლოდ გადამხდელის გადახდის შემდეგ, ე.ი. ინკასოზე საბუთების ჩაბარებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩაურიცხება. ასეთ შემთხვევაში ოპერაცია ფორმდება სპეციალური განცხადებით, რომელშიც აღინიშნება ფულის ან ფასეულობის მიღების პირობები და ვადები.

ჩეკების გარდა ინკასირებულ საბუთებს მიეკუთვნება ტრატა, აქცეპტი, აქცია, ობლიგაცია და გირაუნობის ფურცლები.

აქცეპტი—არის ისეთი ფორმა, როცა ბანკი უფლებას აძლევს კლიენტს გამოწეროს თამასუქი, რომელსაც ბანკი უკეთებს აქცეპტს, ე.ი. ბანკი თავისთავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მესამე პირს.

საინკასო ოპერაციებს იყენებენ აგრეთვე მსხვილი ბანკები მოწინავე სამრეწველო კორპორაციების მიერ ფულთან დაკავშირებული კომპლექსური პროგრამის განხორციელების დროს. ასეთი ღონისძიებების მიზანია ფულის ინკასაციის მაქსიმალური დაჩქარება, მათი ერთიან ანგარიშზე თავმოყრა და სახსრების დაუყოვნებლივ ინვესტიცირება. საგადამხდლო საბუთების ინკასაციას რაც შეეხება, იგი გამწვანებულია იმის გამო, რომ მსხვილ კომპანიებსა და კორპორაციებს უამრავი ფილიალები აქვთ როგორც მოცემული ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

აკრედიტივდ—ეს არის დავალება რომელიმე პირისადმი ან კომ-

პანიისადმი სააკრედიტივო წერილში მითითებული პირობების შესრულებისას გარკვეული თანხის გადახდის შესახებ.

აკრედიტივთან დაკავშირებულ ოპერაციებში მონაწილეობენ: თვითონ კლიენტი, რომელიც იძლევა დავალებებს აკრედიტივის გახსნაზე; ბანკი, რომელიც იღებს დავალებას აკრედიტივის გახსნაზე, და პირი, რომლის სახელზედაც არის გახსნილი აკრედიტივი ბანკში.

აკრედიტივი ორი სახისაა—ფულადი და სასაქონლო. ფულადს დროს აკრედიტივის მფლობელს უფლება აქვს შეტანილი თანხა მიიღოს როგორც მოცემული ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში თანხა შეიძლება მიღებული იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ კლიენტის ნებასურვილის მიხედვით.

სასაქონლო აკრედიტივი ისეთი საბუთია, რომელიც საბითუმო ბრუნვაში მყიდველსა და გამყიდველს შორის ანგარიშსწორების დროს გამოიყენება. მყიდველი, როგორც წესი, თავის მომსახურე ბანკის მეშვეობით ფულს უგზავნის გამყიდველს. ამავე დროს იგი მის მომსახურე ბანკს ავალებს, რომ მან ეს ფული მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაურიცხოს გამყიდველს თავის ანგარიშზე, თუ საქონლის გაგზავნის ყველა დამადასტურებელი საბუთი იქნება წარმოდგენილი ბანკში.

აკრედიტივი შეიძლება ორი სახისა იყოს—გამოთხოვითი და არა-გამოთხოვითი. პირველი შეიძლება საჭიროების შემთხვევაში გაუქმდეს, ხოლო მეორე შეიძლება იყოს—დამოწმებული (ბანკის გარანტიით), დაუმოწმებელი, რეველვირებული (პერიოდულად განახლებითი) ან გადაგზავნითი.

ნდობითი ოპერაციები—ეს არის ქონების მართვა კლიენტების ან მათი დავალებით, ნდობით აღჭურვილი პირების ინტერესებისათვის. იგი შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ოპერაციად: კერძო პირებისა და ფირმების ნდობის ოპერაციად. პირველს მიეკუთვნება: იმ პირთა ქონების დროებითი მართვა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ ამ ფუნქციის განხორციელების უფლება (მაგალითად, ქვრივები, არასრულწლოვანი პირები, გარდაცვლილი პირების ქონების მართვა მემკვიდრეთა ინტერესების დასაცავად კაპიტალის მართვა მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღების მიზნით; ფასეულობათა

შენახვა სეიფებში და სხვა). ფირმებისათვის ნდობის ოპერაციებია: ბანკის გამოსვლა საობლიგაციო სესხების გარანტიად; ბაზარზე გამოშვებული აქციების რეგისტრაციის აგენტად; ფირმების, კომპანიებისა და კორპორაციების საპენსიო ფონდის სახსრების მართვლად. ამ ოპერაციებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ასრულებდნენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ბანკებში. მათ განსაკუთრებით ფართო გავრცელება მიიღეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

სამრეწველო კომპანიებს შორის ამ ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა ე.წ. ლიზინგი, ე.ი. ძვირადღირებული მანქანებისა და მოწყობილობების შეძენა და მათი იჯარით ჩაბარება. თანამედროვე ეტაპზე, როცა მკვეთრად დაჩქარდა მანქანა-მოწყობილობების მორალური ცვეთა, მთელი რიგი ფირმებისათვის უფრო ხელსაყრელი გახდა ძვირადღირებული მანქანების უშუალოდ შეძენის ნაცვლად მათი იჯარის წესით გამოყენება. მაგალითად, ბანკი ან მასზე დაქვემდებარებული ლიზინგებული კომპანია. რომელიც მანქანა-მოწყობილობებს სრული ღირებულებით შეიძენს, მათ გამოსაყენებლად გადასცემენ შეიჯარეს, რომელიც პერიოდულად—თვეში ან კვარტალში ერთხელ იხდის შენატანებს, რომლითაც იფარება ამ მანქანა-მოწყობილობების ღირებულება.

ბანკები ეწევიან აგრეთვე სავაჭრო ოპერაციებსაც. ამ დროს ბანკი საკუთარი სახსრებით ყიდულობს და შემდეგ ყიდის სხვადასხვა ფასეულობას მოგების მიზნის მიზნით. ასეთი ოპერაცია ორი სახისაა—სავალუტო და სასაქონლო. /

3. სპეციალური სპრედიტო-საფინანსო დაწესებულებები

სპეციალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები ანხორციელებენ საბალბო მეურნეობის ერთი რომელიმე დარგის, მაგალითად, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საგარეო ვაჭრობის, კორპორაციის და ა.შ. გრძელვადიან დაკრედიტებასა და დაფინანსებას. იმის გამო, რომ ამ დაწესებულებათა საქმიანობა მხოლოდ ერთი დარგის მომსახურებაზეა მიმართული, ამდენად აქ

მოქმედების სფერო ვიწროა და მათ კლიენტურაც თავისებური ჰყავთ.

სპეციალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებს შორის აღსანიშნავია: საპიპოთეკო ბანკები, საინვესტიციო ბანკები; შემნახველი დაწესებულებები (ურთიერთ-შემნახველი ბანკები, სასესხო-შემნახველი ასოციაციები, საკრედიტო კავშირები), სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები; საინვესტიციო კომპანიები; ფინანსური კომპანიები.

1. საპიპოთეკო ბანკები. ეს ბანკები სესხებს გასცემენ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი, შენობა ნაგებობა და სხვა) გირაოთი. მსესხებლები უმთავრესად არიან ფერმერები და წვრილი გლეხობა. საპიპოთეკო კრედიტის საფუძველია მიწაზე კერძო საკუთრება. საპიპოთეკო კრედიტი განსაკუთრებულია იმით, რომ მას მწარმოებლური ხასიათი არა აქვს. კომერციული კრედიტისაგან განსხვავებით, საპიპოთეკო კრედიტი გრძელვადიანია.

არსებობს საპიპოთეკო ბანკების ორი სახე: საადგილმამულო ბანკები და ქალაქის კომუნალური მეურნეობის ბანკები. ეს ბანკები პერიოდულად ატარებენ ტირაჟებს გირავნობის ფურცლების დასაფარავად.

საპიპოთეკო ბანკები საკრედიტო რესურსებზე თავს უყრიან არა ანაბრების მიღებით, არამედ ფასიანი ქალაქის-გირავნობის ფურცლების გამოშვებით. მათი უზრუნველყოფა ეს არის ბანკში დაგირავებული მიწის ნაკვეთები./

ბანკები საგირავნო ფურცლების საფუძველზე მათ მფლობელებს სარგებელს უზღიან, ამის სანაცვლოდ ისინი შედარებით უფრო გადიდებულ სარგებელს ახდებიან მსესხებლებს. სწორედ გაცემულ სესხებზე მიღებულ სარგებელსა და საგირავნო ფურცლების მფლობელებისათვის გადახდილი სარგებელს შორის არსებული განსხვავება შეადგენს საპიპოთეკო ბანკების მოგებას.

საპიპოთეკო ბანკების გვერდით არსებობენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბანკებიც. ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.

საქმე ისაა, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკების სესხები მსესხებლებს ეძლევათ არა მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის გამო,

არამედ უშუალოდ სოფლის მეურნეობის წარმოების გაფართოების მიზნით, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად, მელიორაციული სამუშაოების ჩასატარებლად, პირუტყვის შეძენისა და მისი ჭიშობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის და ა.შ.

2. საინვესტიციო ბანკები ეს იგივე სააქციო საზოგადოებანია, ისინი კაპიტალების მოზიდვას ახდენენ არა დეპოზიტების (ანგარიშების) მიღების, არამედ მრეწველობის დარგის ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები) ბაზარზე რეალიზაციის გზით, აგრეთვე კომერციული ბანკებს კრედიტების ხარჯზე. /ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და რეალიზაციის ოპერაციები ხშირად განსაკუთრებული ვარანტიის ("ანდერრაიტინგის") პირობით ტარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საინვესტიციო ბანკები ყოველთვის გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის რეალიზაცია არ მომხდარა სხვა ზელსჭერთა შორის. /

აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის ოპერაციების ჩატარება მუდმივად მოითხოვს მჭიდრო კონტაქტებს საინვესტიციო ბანკებსა და სამრეწველო კომპანიებს შორის. ასეთი ურთიერთობა კი პირადი უნარის ძალას ემყარება. საინვესტიციო ბანკები მთელი თავიანთი საქმიანობით საბანკო მონოპოლიის ბატონობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

3. შემნახველი დაწესებულებები, ისინი, როგორც კერძო დაწესებულებანი საკმაოდ დიდ ოდენობით ახდენენ წვრილი დანახოვებისა და შემოსავლების მოზიდვას. ამ დაწესებულებების როლი მეტად დიდია მთელ საკრედიტო სისტემაში. ისინი ხელს უწყობენ მოზიდული სახსრების, როგორც კაპიტალის ფართოდ გამოყენებას კვლავწარმოების პროცესში მოგების მიღების მიზნით.

არსებობს შემნახველი დაწესებულებების სამი ძირითადი სახე,

ა) ურთიერთშემნახველი ბანკები. ეს ბანკები ძირითადად ღებულობენ წვრილვადიან ანაბრებს. ანაბრის ვადა ფორმალურად არანაკლებ 30 დღისა, ფაქტიურად კი ბევრი ბანკი ფულის გაცემას ახდენს არა დაწესებული ვადის მიხედვით, არამედ კლიენტის მოთხოვნისთანავე. მოზიდული და დაბანდებული სახსრები დაუყვენებლივ წარიმართება სხვადასხვა ვალდებულებებსა და ფასიან

ქალაქებში, განსაკუთრებით კი საპიპოთეკო ბანკების გირავნობის ფურცლებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ობლიგაციებში მოსათავსებლად.

ბ) სასესხო შემნახველი ასოციაციები ყალიბდებიან საპაიო საწყისებზე; მათი კაპიტალი იქმნება განსაკუთრებული სახის სერტიფიკატების კლიენტებზე მიყიდვის გზით. ეს სერტიფიკატები გამოისყიდება მათ მფლობელთა პირველივე მოთხოვნისთანავე ნორმალური ღირებულების მიხედვით. ისინი საგრძნობ შემოსავალს იძლევიან სარგებლის სახით. სერტიფიკატები ვადიანი ანაბრების ანალოგიურია. ასოციაციათა კაპიტალები უმთავრესად საცხოვრებელი შენობების გირაოთი უზრუნველყოფაშია დაბანდებული.

გ) საკრედიტო კავშირები—ეს იგივე კოოპერატივებია, რომლებსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული (მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურეები) ანდა რელიგიური პრინციპების მიხედვით, მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შექმნის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის (მაგალითად, ავტომობილის შესაძენად, სახლის რემონტის ჩასატარებლად და ა.შ.) შეტანილი პაისათვის შეპაიებებს სარგებელს უზღვიან. საკრედიტო კავშირები ამჟამად გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, კანადასა და რიგ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

4. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და სახელმწიფო ფასიან ქალაქებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ საწარმოებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.

დაზღვევის ობიექტების მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ასიკოცხლის დაზღვევა (მოქალაქეთა ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში); ბ.ქონების დაზღვევა (ხანძრის, დატაცების, სტიქიური უბედურების და ა.შ. შემთხვევაში).

დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, როგორც წესი ბევრად

აღმატება პოლისების მფლობელთათვის განკუთვნილ გადასდებს. ამიტომ არის, რომ დაზღვევის კომპანიებს საკმაოდ დიდი შესაძლებლობანი გააჩნიათ, რათა ყოველწლიურად გაზარდონ თავიანთი დაბანდებანი მაღალშემოსავლიან გრძელვადიან აქციებსა და ობლიგაციებში, აგრეთვე უძრავი ქონების გირავნობის ფურცლებში.

5. საპენსიო ფონდებს ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით.

კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშაობისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო შენატანებს მუშები და მოსამსახურეები ნაწილ-ნაწილ იხდიან ხელფასიდან, ხოლო მეწარმეები-მოგებიდან, ანარიცხების სახით.

საპენსიო ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ორგანიზაციის, მართვისა და აქტივების სტრუქტურის მიხედვით, მაგალითად, არსებობს დაზღვეული და დაუზღვეველი საპენსიო ფონდები, ფონდირებული და არაფონდირებული საპენსიო ფონდები და ა.შ.

საპენსიო ფონდების აქტივების დაბანდება უმთავრესად საწარმოებში ხორციელდება.

6. საინვესტიციო კომპანიები, თავიანთ აქციებს როგორც წესი მცირე შემოსავლიანი მოსახლეობის ფართო ფენებში ათავსებენ და აქედან მიღებულ სახსრებს მეურნეობის სხვადასხვა დარგში ფასიანი ქაღალდების შესაძენად იყენებენ. მოსახლეობის ეს ნაწილი ხალისით ყიდულობს საინვესტიციო კომპანიების ვალდებულებებს (აქციებს), რადგან ამ კომპანიების მიერ სახსრების სხვადასხვა საწარმოებში დაბანდება მოსალოდნელი დანაკარგების გამო რისკის გაწყევას არ მოითხოვს, იგი პირიქით, შემოსავლის ერთგვარ სტაბილურად მიღების გარანტიას აძლევს.

ცნობილია საინვესტიციო კომპანიების ორი ძირითადი სახე-
"ლია ტიპისა" და "დახურული ტიპის" კომპანიები. პირველები ვალდებულებას კისრულობენ თავიანთი აქციები მოთხოვნილებისამებრ გამოაუშვან, ხოლო მეორენი-ასეთ უფლებას არ კისრულობენ.

7. ფინანსურ კომპანიებს-მიეკუთვნება სხვადასხვაგვარი ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის

გაყოფას აკრედიტებენ, ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიასა და იაპონიაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით არის გავრცელებული ხანგრძლივი ხმარების საქონლის განვადებით გაყიდვის დაკრედიტება. ფინანსური კომპანიები ვაჭრებს კრედიტს აძლევენ მათ მიერ განვადებით გაყიდული საქონლის უზრუნველყოფისა და კლიენტების ვალდებულებათა შექენის საფუძველზე, საქონლის ღირებულების დაფარვისათვის საჭირო თანხები ეძლევათ არა უშუალოდ ვაჭრებს, არამედ ფინანსურ კომპანიებს, ან არსებობს სხვა სახის ფინანსური კომპანიებიც რომლებიც სესხებს იმ სამრეწველო ფირმებს აძლევენ, რომლებმაც თავიანთი საქონელი განვადებით გაყიდეს. ზოგი ფინანსური კომპანია სესხს აძლევს მოსახლეობას სხვადასხვა საპროცენტისათვის იქნება ეს ბინის რემონტის, ავტომობილის შექენა თუ სხვა.

პასიური და აქტიური ოპერაციების კავშირი, ბანკის ლიკვიდობა. საბანკო მოგება. პასიურ და აქტიურ ოპერაციებს 'შორი' არსებობს არა ცალმხრივი, არამედ მკვიდრო ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება. პასიური ოპერაცია აქტიური ოპერაციის განვითარების საფუძველია, ბანკმა რომ კრედიტი გასცეს, მას პირველ რიგში განსაზღვრული რაოდენობის საკუთარი და მოზიდული ფულადი რესურსები უნდა გააჩნდეს. ამ თვალსაზრისით პასიური ოპერაციები აქტიურთან შედარებით პირველადია, აქტიურის ოდენობა პასიურის ოდენობაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ საკრედიტო ოპერაციის განვითარების პროცესში ისეთი რესურსებიც იქმნება, რომლებსაც პასიური ოპერაცია არ უსწრებს წინ. ასეთ შემთხვევაში აქტიური ოპერაცია პირველადია, ხოლო პასიური—მეორადი. ბანკის აქტიური ოპერაცია შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე ამის შესაძლებლობას საკუთარი და მოზიდული სახსრები იძლევა. ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები მთლიანად წარმოებისა და მიმოქცევის პროცესით არის განპირობებული¹. ცნობილია, რომ საბანკო კრედიტს თავისი ორმხრივი

¹ ნ.ჭიავეა, კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ნაწ. I, თბ., 1956, გვ. 126-128.

ობიექტური საზღვარი გააჩნია. იმის გამო, რომ კრედიტების გაცემა ბანკში თავმოყრილი რესურსების ხარჯზე ხდება, ამდენად იგი რაოდენობრივად შეზღუდულია და საკრედიტო დაწესებულებათა ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული. ასევე შეზღუდულია იმ საკრედიტო იარაღების მიმოქცევა, რომლებიც მეურნეობის მოთხოვნილებათა და კვლავწარმოების ობიექტური მოვლენებით არის განსაზღვრული.

პასიურ და აქტიურ ოპერაციებს შორის ურთიერთშესაბამისობასთან უშუალო კავშირშია საბანკო ლიკვიდობა. ლიკვიდობაში იგულისხმება ბანკის მიერ ყველა ვალდებულებათა თავის დროზე დაფარვის უნარი. საბანკო ლიკვიდობის პირობაა ბანკის პასიურ და აქტიურ ოპერაციებს შორის შეწონასწორებული თანაფარდობისათვის ხელშეწყობა, რათა ბანკს საშუალება ჰქონდეს ყოველგვარი შეფერხებების გარეშე უზრუნველყოს შეანაბრეთა მოთხოვნები, მას მუდმივად უნდა გააჩნდეს სათანადო ოდენობის ნაღდი ფულის რეზერვები და ადვილად სარეალიზაციო აქტივები. მაგრამ ასეთი პირობების მიღწევა არც თუ ისე ადვილია ბანკებისათვის, რომლებიც დღენიადაგ მალალი მოგების მიღებას ესწრაფვიან. ვადების მიხედვით პასივებისა და აქტივების შეფარდება საშუალებას იძლევა გამოავლინოთ ბანკების შეფარდებითი სტაბილურობა. უმრავლესი ქვეყნის ბანკებისათვის დამახასიათებელია მოკლევადიანი სესხების რესურსების გრძელვადიან დაბანდებაზე გამოყენება.)

4. ბანკში საბანკო მომთმობაზე ბანკის მუშაობის პერიოდში

1. საბანკო ურთიერთობის თანამედროვე დონე როგორც საბანკო სისტემის განვითარების დონის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი. იმისათვის, რომ ავსნათ ამ საკითხის შინაარსი, უწინააღმდეგარად უნდა შევხვთ ცნებების—საბანკო ეკონომიკა და საბანკო-ფულადი ურთიერთობები თანაფარდობას. მართლწომიერია თუ არა მათი გაიგივება ანდა გარკვეულ პირობებში ისინი შეუთავსებელია?

საქმე ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკა (ზოგჯერ იხმარება ცნება "განვითარებული საბაზრო ეკონომიკა", "თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა"), რომელსაც საფუძვლად უდევს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობათა გამოყენება, ყველა პირობას ქმნის ამ უკანასკნელთა განვითარებისათვის. ამიტომ ამ შემთხვევაში ეს ცნებები იდენტურია. შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: /საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების უმაღლეს ეტაპს. მაგრამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი წარმოიშვა საბაზრო ეკონომიკის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური წყობილების წარმოშობის გარიყრაჟზე, რის შედეგაც გაიარა ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი გზა.)

ეს გზა გეოგრაფიულად შეიძლება გამოვსახოთ ხაზით, რომელიც თანმიმდევრულად მიიწევს მალლა, რაც გამოხატავს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებას, მაგრამ ერთ-ერთ ეტაპზე გრაფიკი გვიჩვენებს სწრაფ დაქვეითებას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ნაწილობრივ შეკვეცის შედეგად, საბაზრო ეკონომიკისაგან უკუსვლას და ეკონომიკის მართვის ტოტალიტარული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დამყარებას. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ხაზმა, რომელიც გამოხატავს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების დონეს, კვლავ დაიწყო მალლა აწევა. თუმცა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულ განვითარებამდე ჯერ კიდევ შორს არის.

ამიტომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის გარეშეც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი იძენენ პრიმიტიულ, ხშირად კი მახინჯ ფორმებსაც.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ყველა ამ თავისებურებას შეიძლება თვალი გავადევნოთ საბანკო სისტემის განვითარების მაგალითზე, ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ წინათ განხილული მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი: სასაქონლო წარმოება-ფული-კრედიტი-ბანკები, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ბანკების თვისებრივი განსაზღვრულობა (ე.ი. მათი ორგანიზაციის კონკრეტული დონე) განპირობებულია ეკონომიკის განვითარების

შესაბამის ეტაპზე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სპეციფიკით.

ა) საბანკო სისტემა რევოლუციამდელ პერიოდში და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეკის) დროს¹. კომერციული ბანკების სისტემის ორგანიზაცია და ჩამოყალიბება თავისი განვითარების თავდაპირველ ეტაპზე მიმდინარეობდა ძალიან რთულად, მისდამი საერთო უნდობლობის ვითარებაში. პეტერბურგში პირველი კომერციული ბანკის შექმნა ჯერჯერობით გაბედულ, სარისკო ნაბიჯად მიაჩნდა. შემთხვევითი როდია, რომ უნდობლობის ატმოსფეროში პირველი ბანკები ძალიან ნელა იქმნებოდა. 1868 წლისათვის იყო მხოლოდ 6 სააქციო კომერციული ბანკი, ე.ი. ერთ ბანკზე ნაკლები წელიწადში, მაგრამ მომდევნო ოთხ წელიწადში (1869-1874 წწ.) უკვე 33 ასეთი ბანკი იყო. 1875 წლისათვის საკრედიტო სისტემა მიუახლოვდა თავისი განვითარების პირველი ეტაპის უმაღლეს წერტილს, რომელსაც განვითარების ექსტენსიურ ეტაპს უწოდებენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობის გამოცდილების უქონლობა, საქმის სიახლე და მოსახლეობის უნდობლობა სერიოზულად უშლიდა ხელს კომერციულ ბანკებს ფართოდ დაეწყოთ თავიანთი საქმიანი ოპერაციები. თვითონ ბანკებიც ყოველთვის დასაბუთებულად როდი სწევდნენ თავიანთი რეკლამების რასკს. ამ პირველი ეტაპის პირობებში განსაკუთრებული ზიანი მიაყენა მოსკოვის კომერციული სასესხო ბანკის გაკოტრებამ. ბანკი ლიკვიდირებული იქნა. მარტო ერთი ბანკის მიერ გადასახდელების შეწყვე-

¹ ამ მაქალის განხილვისას პირველი რეაქცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგი კითხვით: რა საჭიროა სიღრმეში ჩახედვა? ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ორი ძალზე მნიშვნელოვანი დებულება. ჯერ ერთი, სალზის სიბრძნე მოწმობს, რომ ყოველივე ახალი არის კარგად დაეიწყებული ძეგლი. აქედან უნდა დაეასკვნათ, რომ ჩვენს ისტორიაში არის, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული რაციონალური ღარცვლები. ბუორე, ამავე დროს ისტორიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს უკუვაგდოთ ყოველივე ის, რაც პრაქტიკაში არ გაშართლდა. საბანკო სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა პერიოდი რუსეთის იმპერიაში სახბანკის (1860 წ.) და პირველი კომერციული ბანკის (1961, წარმოშობის მომენტიდან).

ტამ უაღესად დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსეთში, მაშინ როდესაც ასეთი შემთხვევა ქვეყანაში. სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობდა კომერციული ბანკები, უმნიშვნელო ამბავია. ერთი ბანკის გაკოტრებამ გავლენა იქონია კომერციული ბანკებისადმი უნდობლობაზე. წარმოიშვა ბანკებიდან ანაბრების მკვეთრი უკუდენა. ამ ბანკის ლიკვიდაციამ გავლენა იქონია ახალი კომერციული ბანკების დაფუძნებაში ინიციატივის შემცირებაზე. მოსკოვის კომერციული სასესხო ბანკის ლიკვიდაციას მოჰყვა ზოგიერთი სხვა ბანკის დახურვა. მრავალმა ბანკმა თავისი ინიციატივით შეკვეცა თავისი ოპერაციები და შეამცირა სააქციო კაპიტალი.

იმ პერიოდის ბანკების ლიკვიდაციისა და კრაზის დამახასიათებელ მიზეზებს უნდა მივაკუთვნოთ დაკრედიტების დროს ბანკების ორიენტაცია ერთ-ორ კლიენტზე. ეს ძირს უთხრიდა ბანკების ლიკვიდურობას ასეთ კლიენტებთან ოპერაციებში რამდენადმე დიდი ზარალის შემთხვევაში.

კომერციული ბანკების ქსელის გარდა ქვეყანაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო ბანკი, რომელიც შეიქმნა 1860 წელს, ბატონოვობის გაუქმების წინ. წლითიწლობით იზრდებოდა მისი როლი და XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს მას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მეურნეობის დაკრედიტებაში ოპერაციების ოდენობით და ფილიალების ქსელით. სახბანკის საქმიანობაში უფრო მნიშვნელოვანი როლი ეკავა ფულადი სასსრების მოზიდვას, ე.ი. ტიპის მიხედვით იგი დეპოზიტის ბანკი იყო.

მას ჰქონდა ფილიალების ფართო ქსელი კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით და იზიდავდა მნიშვნელოვნად მეტ ანაბრებს, ვიდრე ერთად აღებული ყველა კომერციული ბანკი. საკრედიტო ოპერაციები თავაც აღემატებოდა იგი კომერციული ბანკების ყველა საკრედიტო ოპერაციას. მაგრამ ამასთანავე მისი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებებს. როგორც იმ პერიოდის ეკონომისტები აღნიშნავდნენ, რუსული სახელმწიფო ბანკი, რომელიც მოქმედებდა ფორმალურად კომერციულ საწყისებზე, არსებითად ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტი იყო. ძნელი არ არის იმის მიხედვრა, რომ

მეურნეობისათვის მიცემული კრედიტების მნიშვნელოვანი თანხების მიუხედავად სახბანკს შეეძლო გაცილებით მეტი მოცულობით დაეკრედიტებინა მეურნეობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისი პოლიტიკით სახბანკი აძლიერებდა რესურსების განრიღებას მეურნეობის უშუალო დაკრედიტებისაგან.

მიუხედავად ამისა, სეროიზულ სიტუაციებში სახბანკი დღენიადაგ დიდად ეხმარებოდა კომერციულ ბანკებს. უკლებლივ ყველა დიდ ბანკს თავისი საქმიანობის დასაცავად უხდებოდა სათადარიგო კაპიტალების გამოყენება, რომლებიც იმ წლების ბანკებს საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰქონდათ—საწყაედებო ფონდის 30% პროცენტამდე. სახბანკი, რომელიც თავიდან აცილებდა გაკოტრებას ზოგიერთ ბანკს, მნიშვნელოვნად აფართოებდა სადისკონტო—სასესხო ოპერაციებს 2-3 ჯერ. სამრეწველო აღმავლობათა წლებში კი სახბანკის როლი და მისი გავლენა კომერციულ ბანკებზე ჩვეულებრივ უმნიშვნელო იყო. კომერციული ბანკებისათვის კრედიტები ამ პერიოდში შეკრუბდა სახბანკის ყველა სადისკონტო—სასესხო ოპერაციის 8 პროცენტიდან 15 პროცენტამდე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სახბანკის პოლიტიკამ 1909-1913 წლების სამრეწველო აღმავლობის პერიოდში. სწორედ ამ წლებში საბოლოოდ განისაზღვრა სახბანკის როგორც "ბანკთა ბანკის", ე.ი. ცენტრალური ბანკის ადგილი. სახელმწიფო ბანკში დაიწყო იმ ბანკების, საწარმოების, ორგანიზაციების საკასო რეზერვების კონცენტრირება. რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ბანკის მიერ მათი საანგარიშსწორებო ოპერაციების მომსახურებით, ინახებოდა ბანკების სარეზერვო და სადაზღვევო კაპიტალები. შევეთრად განისაზღვრა ტენდენცია სახბანკის პროცენტული განაკვეთების დონის შემცირებისათვის. ისინი ბევრად ნაკლები გახდა, ვიდრე კომერციულ ბანკებში.

რუსეთში კომერციული ბანკების სისტემის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1909-1913 წლების სამრეწველო აღმავლობის პერიოდს, რომელიც მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. აღმავლობა გამოიხატა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დიდი ზრდით, განსაკუთრებით იმ დარგების მიერ, რომელიც აწარმოებენ წარ-

მოების საშუალებებსა და სამომხმარებლო საქონელს. გაიზარდა ძირითადი ფონდები მშენებლობის გაფართოების წყალობით.

ფულადი ბაზრის შემდგომი გაფართოება გამოიხატა საკრედიტო რესურსების, უპირველეს ყოვლისა, ანაბრებისა და მიმდინარე ანგარიშების ზრდით, რომლებიც იზრდება ტემპით, რომელსაც არა აქვს პრეცედენტი დასავლეთის არც ერთ ქვეყანაში. ამას მოჰყვა საბანკო ოპერაციების მნიშვნელოვანი ზრდა, ბანკების შემდგომი კონცენტრაცია. თუმცა ბანკების კონცენტრაცია საკმაოდ მაღალი იყო. კომერციული ბანკები, რომლებიც პროვინციაში დიდი ბანკების ფილიალებია, საკმაოდ დამოუკიდებელი იყო. პროვინციაში ბანკების ქსელი პირველი მსოფლიო ომის წინა უკანასკნელ ხუთწლედში მნიშვნელოვნად ფართოვდება; რადგან სახელმწიფო პრაქტიკულად აღარ აკავებდა კომერციული ბანკების დაფუძნებას.

მაშ ასე, რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა საბანკო სისტემის ორი ძალზე მნიშვნელოვანი რგოლი—სახელმწიფო ბანკი და კომერციული ბანკები.

მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკა მოითხოვდა საკრედიტო ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც მოემსახურებოდნენ სოფლის მეურნეობას და ხელოსნებს. ასეთი საკრედიტო ინსტიტუტები იყო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი და გლეხთა საადგილმამულო ბანკი, რომლებიც შეიქმნა XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში, საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის დამლევს, და ურთიერთკრედიტის საზოგადოებანი, რომლებიც თანდათანობით იქმნებოდა პატარა-პატარა საბაზრო ქალაქებში.

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნით მთავრობა ესწრაფვოდა ფინანსური დახმარება გაეწია მემამულეებისათვის, რომლებიც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ბანკი გასცემდა დახმარებას თავადაზნაურთა მამულების, მათ შორის მიწის გირაოდ.

გლეხთა საადგილმამულო ბანკი კრედიტით ეხმარებოდა გლეხებს შეეძინათ მიწა და უძრავი ქონება.

საკრედიტო კოოპერაცია სტიქიურად წარმოიშვა სოფლად და

ეხმარებოდა გლეხებს, უმთავრესად, მოკლევადიანი კრედიტით ინვენტარის, პირუტყვის შექმნისა და სხვა საწარმოო ხარჯებისათვის. საკრედიტო კოოპერაციამ შეიძინა სასესხო-შემნახველი ამხანაგობებისა და საკრედიტო კოოპერაციების ფორმა. საკრედიტო კოოპერაციის ინტენსიური განვითარების შედეგად 1912 წელს შეიქმნა ბანკი, რომელსაც ეწოდა მოსკოვის კოოპერაციული (სახალხო) ბანკი. სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში საკრედიტო კოოპერაციის სისტემას.

თუ რუსეთის საბანკო სისტემას თვისებრივი მხრივ დავხასიათებთ, 1914 წლის დამდეგს მასში შედიოდა:

- 1) საბანკო, რომელსაც ჰქონდა 10 კანტორა და 124 განყოფილება;
- 2) 47 სააქციო კომერციული ბანკი საერთო რიცხვით 800-ზე მეტი კანტორით, განყოფილებითა და სააგენტოთი;
- 3) 1108 ურთიერთკრედიტის საზოგადოება;
- 4) 300-მდე წვრილი კომუნალური ბანკი;
- 5) იპოთეკური კრედიტის სისტემა:
 - ა) სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი,
 - ბ) სახელმწიფო გლეხთა საადგილმამულო ბანკი,
 - გ) სააქციო საადგილმამულო ბანკი;
- 6) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის სისტემა. მოსკოვის (კოოპერაციული) ბანკის მეთაურობით.

ამრიგად, შედარებით მცირე ისტორიულ ვადაში რუსეთში შეიქმნა საბანკო სისტემა, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოების ყველა ფენას და უნარი შესწევდა უზრუნველყო ქვეყნის სამეურნეო ბრუნვა, დაპირისპირებოდა უცხოურ კაპიტალს. რუსეთის იმპერია ევროპის ერთ-ერთი უმძლავრესი ფინანსური სახელმწიფო გახდა. /

მოკლედ შევხვით საბანკო სისტემის შექმნა-განვითარებას საქართველოშიც.

/ კაპიტალიზმის განვითარებისა და ფულად-საკრედიტო ურთიერთობის გაფართოების შედეგად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო საბანკო სისტემის თანდათანობითი ჩამოყალიბება.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა არც კერძო და არც სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებანი.

სასესხო ოპერაციებს (როგორც კრედიტორი) უშუალოდ ასრულებდნენ მევახშეები. პირველი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც შეიქმნა საქართველოში, იყო ე.წ. საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი. ეს ბანკი მიღებულ შემოსავალს იყენებდა სამადლო და სამზრუნველო დაწესებულებებისათვის. 1809 წლიდან შეიქმნა ამიერკავკასიის საზოგადოებრივი უზრუნველობის პრიკაზი, მაგრამ 1860 წლიდან ორივე ეს პრიკაზი გაუქმებულ იქნა.

1867 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება, რომელსაც შემდეგ (1872 წელს) მოჰყვა კიდევ ორი კერძო ბანკის შექმნა—კომერციული ბანკისა და ურთიერთკრედიტის თბილისის საზოგადოების სახით. 1874 წელს დაარსდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი და 1875 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი.

1917 წელს ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში კიდევ რამდენიმე ახალი საკრედიტო დაწესებულება ჩამოყალიბდა. მაგალითად, ქუთაისის სასესხო—საკრედიტო დაწესებულება ჩამოყალიბდა 1880 წელს, თბილისის საქალაქო—საკრედიტო საზოგადოება 1881 წელს, სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის კავკასიის განყოფილება 1890 წელს, თბილისის სასესხო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოება 1895 წელს. ბათუმის სასესხო—საკრედიტო საზოგადოება 1895 წელს, ფოთის სასესხო—საკრედიტო საზოგადოება 1896 წელს და ა.შ. გარდა ამისა, მოქმედებდა წვრილი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები და საკრედიტო სახლებიც.

შემოთ ალნიშნული საკრედიტო დაწესებულებები საკმაოდ დიდ თანხებს ფლობდნენ, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ახმარებდნენ ეროვნულ და კულტურულ—საგანმანათლებლო საქმიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების საქმიანობა, რასაც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის იმდროინდელი მეტად რთული პირობები განსაზღვრავდა.

ამრიგად, მე-19 საუკუნეშივე მტკიცე საფუძველი შეექმნა საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის შემდგომ განვითარებას საქართველოში. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით გა-

მოვლინდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, რასაც საქართველოში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ შეუწყო ხელი. აქ მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველომ კვლავ აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა და დემოკრატიული სტრუქტურების შენებას შეუდგა. ცხადია, ეს მოვლენა მკიდროდ დაუკავშირდა ახლად შექმნილი დემოკრატიული სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელი იყო კარგად ორგანიზებული საბანკო სისტემის გარეშე.

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში ეუნქციონირებდა შემდეგი ბანკები: სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა; კავკასიის ბანკი; სავაჭრო-სამრეწველო ბანკი (ცენტრობანკი); ამიერკავკასიის კომერციული ბანკი; საგლებო ბანკი. გარდა ამისა არსებობდა ურთიერთდროშის საზოგადოებები, რომლებიც ბანკის ფუნქციებს ასრულებდნენ.

საკრედიტო დაწესებულებების (ბანკების) საქმიანობა 1918-1921 წლების საქართველოში არაერთგვაროვანი იყო თავიანთი ფუნქციებითა და საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებით იმდროინდელი საქართველოს მეტად რთული ეკონომიკური პირობების გამო./

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც სოციალისტური რევოლუცია, საბანკო სისტემამ არსებითი ცვლილებანი განიცადა. მაგრამ სანამ შევუდგებოდეთ ქრონოლოგიურად იმ მოვლენების დახასიათებას, რომლებმაც გამოიწვიეს ახალი საბანკო სტრუქტურების გაერთიანება, ლიკვიდაცია თუ შექმნა, უნდა შევხვით ზოგიერთ იდეოლოგიურ კონცეფციას, ცვლილებების შინაარსი და მიმართულება რომ განსაზღვრეს.

სოციალისტური საზოგადოების აშენების თეორიის თანახმად, ყველა ბანკი უნდა იყოს ნაციონალიზებული, ე.ი. გადავიდეს პროლეტარული სახელმწიფოს საკუთრებაში, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში საჭირო შემოქმედება მოახდინოს წარმოებაზე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სფეროსადმი კონტროლის გზით.

სოციალიზმის დროს კი, მარქსის, ენგელსის, აგრეთვე ლენინის აზრით (თუ გამოვირიცხავთ სიცოცხლის რამდენიმე უკანასკნელი წლის პერიოდს), სასაქონლო-ფუჟიადი ურთიერთობანი გაქრება, მაგრამ პრინციპი "თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით" შენარჩუნებული იქნება, რისთვისაც გარდამავალ პერიოდში უნდა მოწესრიგდეს უმკაცრესი აღრიცხვა და კონტროლი შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი. ასეთი აღრიცხვის იარაღი ლენინის აზრით, უნდა გახდეს სახბანკი.

უფრო დეტალურად შევხვით ამ აზრს და უშუალოდ მივმართოდ ტექსტს, რომელიც დაწერა ოქტომბრის გადატრიალების წინ.

ლენინი წერდა: "მსხვილი ბანკები არის ის "სახელმწიფო აპარატი", რომელიც ჩვენ გვესაჭიროება სოციალიზმის განსახორციელებლად და რომელსაც ჩვენ უზამზარეულად ვიღებთ კაპიტალიზმისაგან, ამასთანავე ჩვენი ამოცანა აქ ის არის მხოლოდ, რომ მოვეკეთოთ ის, რაც კაპიტალისტურად ამახინჯებს ამ საუცხოო აპარატს, გავხადოთ იგი კიდევ უფრო მსხვილი, უფრო დემოკრატიული და უფრო ყოვლის მომცველი, რაოდენობა თვისებად იქცა. ერთიანი უმსხვილესი უმსხვილესთა შორის სახელმწიფო ბანკი, რომელსაც განყოფილებები ექნება ყოველ ვოლოსტში, ყოველ ფაბრიკასთან—ეს უკვე ცხრა მეთეღია სოციალისტური აპარატისა. ეს—საერთო—სახელმწიფო ანგარიშსწორებაა, საერთო—სახელმწიფო აღრიცხვაა პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისა. ეს, ასე ვთქვათ, სოციალისტური საზოგადოების რაღაც ჩონჩხის მსგავსი რამაა" (ვი. ლენინი, თხზ. ტ. 26, გვ. 109-110).

ესოდენ დამლული ციტატა დაგვჭირდა, რათა ჩაეწვდეთ ლენინის, და მაშასადამე, საბჭოთა სახელმწიფოს, აზრს მარქსიზმის ფუჭმდებელთა მიერ მოგონილ სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ბანკის ბედისა და მისი როლის შესახებ.

ოქტომბრის გადატრიალების წინ ლენინს სწამდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის, და მაშასადამე სოციალიზმის მრმაველი სწრაფი გამარჯვება, რომლის დროსაც დამკვიდრდება უფულო ურთიერთობანი, რომლებიც მოითხოვენ უმკაცრეს აღრიცხვასა და ბანკის წარმოებისა და განაწილებისადმი კონტროლს,

ამიტომ თავდაპირველად უნდა შექმნილიყო ერთიანი ბანკი, ხოლო შემდეგ მომხდარიყო აღრიცხვისა და შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის აპარატში მისი დაუყოვნებლივი ტრანსფორმირება და ამგვარად მისი შეგუება უფულო ურთიერთობაო პირობებთან.

ერთიანი ბანკის ამ იდეის ხორცშესხმა ბოლშევიკებმა დაიწყეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველივე დღეებიდან, თავდაპირველად ისინი დაეუფლნენ სახბანკს, შემდეგ მოახდინეს კერძო კომერციული ბანკების ნაციონალიზაცია და შექმნეს რუსეთის სფს რესპუბლიკის ერთიანი სახალხო ბანკი, ხოლო რაც შეეხება იპოთეკურ ბანკებს (სათავადაზნაურო საადგილმამულო და გლეხთა საადგილმამულო ბანკებს), საქალაქო ბანკებს, ურთიერთკრედიტის საზოგადოებებს, ისინი ლიკვიდირებული იყო.

ეგრეთ წოდებული "სამხედრო კომუნიზმის" პერიოდში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შეკვეცას, საშინელ ინფლაციას, რომელმაც ფული ცარიელ ქაღალდად აქცია, მოჰყვა ის, რომ კრედიტზე მოთხოვნილება შემცირდა და სახალხო ბანკი ლიკვიდირებულ იქნა 1920 წლის დამდეგს. საგულისხმოა, რომ მრავალს ეს მიიჩნია უფულო ურთიერთობებზე გადასვლის დაწყებად.

მაგრამ ცხოვრებამ სასტიკად დასცინა ასეთ პროგნოზებს, "სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკით ხალხის (განსაკუთრებით სურსათის განაწილებით გლეხობის) უკმაყოფილებამ აიძულა ბოლშევიკები 1921 წლის დამდეგს გამოეცხადებინათ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა. ეს ნიშნავდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების აღდგენასა და განმტკიცებას, ბაზრის შექმნას, მანეთის განმტკიცებას და საბანკო სისტემის აღდგენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავდა, რომ უნდა შეექმნათ სახბანკი, შემდეგ კი კომერციული ბანკები, ე.ი. განეხორციელებინათ ღონისძიებანი, რომლებიც სრულიად არ შეესაბამებოდა პროგრამას. ლენინმა რომ ჩამოაყალიბა ზემოთ მოყვანილ ციტატაში.

„აი რატომ იყო, რომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ ლენინი მუდმივად აღედგებდა თვალს იმას, თუ 1921 წლის დამდეგს სახბანკის შექმნის შემდეგ როგორ იქმნებოდა

სპეციალიზებული ბანკები, რომლებიც, არსებითად წარმოადგენდნენ კომერციულ ბანკებს, თანაც არავენ, მათ შორის ლენინიც, კრინტს არ ძრავდა იმაზე, რომ საჭიროა ერთიანი ბანკი, მით უმეტეს, რომ სპეცბანკებთან ერთად იქმნებოდა კომუნალური ბანკები, წარმოიშვა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა, რომელიც შედგებოდა საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და სასოფლო-სამეურნეო ბანკებისაგან.

მაგრამ როცა 20-იანი წლების დამლევს ხელი აიღეს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ენერგიულად დაიწყეს ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შექმნა, მაშინვე გაახსენდათ ლენინის აზრი ერთიანი ბანკის შესახებ და მთელი ძალისხმევა ხმარდებოდა ამ წინასწარ დასახულობათა რეალიზაციას.

ბ) საბანკო სისტემა ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პირობებში, საბანკო სისტემის განვითარების ამ ეტაპზე ლენინის იდეას ერთიანი ბანკის შესახებ სხვა მიზნით იყენებდნენ: უფულო მეურნეობაზე გადასვლის წანამძღვრების შექმნისათვის კი არა, არამედ იმისათვის, რომ ხელი შეეწყუთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციისათვის.

საბანკო სისტემის განვითარების შემობრუნების ეტაპი გახდა 1930-1932 წლების საკრედიტო რეფორმა, რომელმაც შექმნა მკაცრი ცენტრალიზებული საბანკო სისტემა, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ინსტრუმენტს რომ წარმოადგენდა.

საკრედიტო რეფორმის არსი ის იყო, რომ ჯერ ერთი, აიკრძალა კომერციული კრედიტი. ამან საბანკო კრედიტის სფერო არსებითად გაათავართო და უპირატესად არაპირდაპირიდან იგი გადაიქცა პირდაპირად. მეორე, სახალხო მეურნეობის მოკლევადიანი მომსახურების სპეციალური ბანკების ყველა ოპერაცია გადაეცა საბანკს, რომელიც ამის წყალობით გახდა მოკლევადიანი დაკრედიტების ცენტრი, საანგარიშსწორებო და საემისო ცენტრი. საბანკო მკაცრად ცენტრალიზებული სტრუქტურა გახდა. მას სა-

თავეში ედგა გამგეობა, რომელსაც ექვემდებარებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კანტორები, რომლებიც თავის მხრივ, საოლქო სამხარეო კანტორებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანტორების საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ. ამ პირამიდის სულ ქვემოთ (საფუძველში) იყო სახბანკის განყოფილებანი (ფილიალები), რომლებიც უშუალოდ ასრულებდნენ კლიენტების მომსახურების მთელ მუშაობას.

სახბანკის გარდა, 1932 წელს შეიქმნა კაპიტალურ დაბანდებათა სპეციალური ბანკები, თავდაპირველად იყო 4 ასეთი ბანკი, შემდგომში სპეცბანკების რიცხვი გამსხვილების შედეგად ერთამდე შემცირდა. 1959 წელს ამის შედეგად თითოეულ სამეურნეო ანგარიშიან საწარმოს საქმე ჰქონდა ორ ბანკთან—სახბანკთან მიმდინარე, საწარმოო საქმიანობის ხაზით და მშენბანკთან კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების ხაზით.

ბანკებს შორის მოვალეობათა ასეთი გამიჯვნა შემთხვევითი როდი აღმოჩნდა, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ—აღმინისტრაციული სისტემის პირობებში ბანკებს მიიჩნევდნენ სახელმწიფო აპარატის ნაწილად. ეს ნიშნავს, რომ წმინდა საბანკო ფუნქციები მათ უნდა შეესრულებინათ ერთიანი ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე, რომლებიც ცენტრალიზებული წესით მიიღებოდა. ბანკებს დაეკისრათ საწარმოთა საქმიანობის კონტროლის განხორციელება, თანაც ასეთი კონტროლი ხდებოდა მათი საქმიანობის ყველა ეტაპზე, ნედლეულის შექმნის მომენტით დაწყებული მზა პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული, რის გამოც იგი გადაიქცა წვრილმან მეურვეობად, რაც მნიშვნელოვანწილად აბრკოლებდა დასაკრედიტებელი საწარმოების მხრივ სამეურნეო ინიციატივის გამოვლენას.

ბანკები (სახბანკო და მშენბანკი), რომლებიც ცდილობდნენ საწარმოებში გაეკონტროლებინათ მთელი წარმოებრივი პროცესი, ე.ი მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს ნედლეულის ხარჯვასა და დაგროვებას, შრომის ანაზღაურებასა და საკუთარი საბრუნავი სახსრების მდგომარეობას, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებისათვის სახსრების ფორმირებასა და გამოყენებას და ა.შ., ერთმანეთს შორის მოვალეობებს ინაწილებდნენ შემდეგნაირად: სახბანკი ემსახუ-

რებოდა და აკონტროლებდა მიმდინარე საქმიანობას, ხოლო მშენ-
ბანკი (1959 წლამდე სპეცბანკები)—კაპიტალურ დაბანდებათა სფე-
როს. ერთი შეხედვით, ასეთ სპეციალიზაციას ხელი უნდა შეეწყო
საწარმოთა უფრო კვალიფიციური მომსახურეობისათვის, მაგრამ
სინამდვილეში პირიქით მოხდა.

თითოეული ბანკი დაინტერესებული იყო მხოლოდ იმ სფერო-
თი, რომელსაც იგი ემსახურებოდა. მას პრაქტიკულად არ აინტე-
რესებდა, რა ხდებოდა მეზობელ სფეროში და როგორია მისი
ეკონომიკური შედეგები. ამიტომ ყალიბდებოდა კლიენტების მომ-
სახურების წმინდა ბიუროკრატიული წესი მოქმედი ინსტრუქ-
ციებისა და ცირკულარების ზუსტი შესაბამისობით, რომლებშიც
იყო ცდა გაეთვალისწინებინათ კლიენტებთან ურთიერთობის ყველა
შესაძლო შემთხვევა.

ამასთანავე, დაკრედიტების ერთიანი პროცესის ასეთი ხელოვნ-
ური დანაწევრების დროს მომსახურების ერთ-ერთი სფერო კა-
პიტალურ დაბანდებათა სფერო—უარეს მდგომარეობაში აღმოჩნ-
დებოდა ხოლმე. საქმე ის არის, რომ სახბანკს ჰქონდა ძირეული
დაწესებულებების ფართო განშტოებული ქსელი, რომლებიც
ფუნქციონირებდნენ პრაქტიკულად თითოეულ ადმინისტრაციულ
რაიონში. ხოლო რაც შეეხება მშენბანკს (მანამდე კი სხვა ბანკებს),
მას ჰქონდა დამოუკიდებელი განყოფილებანი იმ რაიონებში, სადაც
მათი შენახვა ეკონომიკურად მიზანშეწონილი იყო. სხვა შემთხვე-
ვაში ან სახბანკის განყოფილებასთან იხსნებოდა მშენბანკის რწმუ-
ნებულის პუნქტი, ან ყველა ოპერაციას მშენბანკის ხაზით და
მშენბანკის სახსრების ხარჯზე ახორციელებდა სახბანკის სპეცია-
ლურად დანიშნული მუშაკი, რომელიც ნაკლებად იცნობდა მშენ-
ბანკის ოპერაციებს. რაც შეეხება ოპერაციებს საგარეო—პოლი-
ტიკურ ურთიერთობათა, მათ შორის საგარეო ვაჭრობის ხაზით,
მათ ასრულებდნენ ამისათვის სპეციალურად შექმნილი საგარეო
ეკონომიკური ბანკი, რომლის მეშვეობით მიმდინარეობდა ქვეყნის
ყველა სავალუტო—საკრედიტო ოპერაცია საზღვარგარეთის ქვეყ-
ნებთან. ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ—ადმინისტრაციული
სისტემის პირობებში საწარმოებსა და გაერთიანებებს უფლება არ
ჰქონდათ გასულიყვნენ საგარეო ბაზარზე. საგარეო ეკონომიკური

ბანკის გვერდის ავლით, ქვეყანაში ხორციელდებოდა სავალუტო მონოპოლია.

ამრიგად, თავისი ოპერაციების ხასიათით ქვეყნის საბანკო სისტემა ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში პრინციპულად განსხვავდებოდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბანკო სისტემისაგან. იგი იყო უკიდურესად ცენტრალიზებული, იმართებოდა ერთიანი ცენტრიდან, ქვემდგომი რგოლები პრინციპულად მოკლებული იყვნენ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებათა მიღების დროს. ყოველივე ამას ასრულებდნენ ერთიანი ბანკის ლენინური ადვის ხორცშესხმის აუცილებლობით.

მაგრამ რეალური ცხოვრება მოითხოვდა სხვა ეკონომიკურ ურთიერთობებს საზოგადოებაში და შესაბამისად, საბანკო სისტემის სხვანაირად აგებას.

გ) საბანკო სისტემის გარდაქმნის წარუმატებელი ცდები 80-იანი წლების დამლევს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ლოზუნგით. როგორც ცნობილია, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ხანგრძლივმა ბატონობამ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან ქვეყნის ეკონომიკის სულ უფრო მეტი ჩამორჩენა გამოიწვია. მკაფიოდ ისახებოდა ტოტალიტარული რეჟიმის მქონე მეორეხარისხოვანი და, ასე განსაჯეთ, მესამეხარისხოვანი სახელმწიფოდ სსრ კავშირის გადაქცევის არასანუგეშო პერსპექტივა.

80-იანი წლების შუა ხანებში, უფრო ზუსტად კი 1985 წელს ეკონომიკის უფრო ინტენსიური განვითარების გზების ძიებას ვითარებაში იყო ცდები: გამოენახათ გამოსავალი შექმნილი საშიში ვითარებიდან.

1987 წელს ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ გადაწყდა ქვეყანაში გაბატონებულიყო ეკონომიკური რეფორმა, რომლის ღერძი გახდა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების იდეა. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ წინადადებებს საბაზრო ურთიერთობაზე ეკონომიკის გადაჯანს შესახებ გადაჭრით უარყოფდნენ ღირებულებითი ორგანოები იდეოლოგიური თვალსაზრისით. კომუნისტურ ორთოდოქსებს საბაზრო ეკო-

ნომიკაზე გადასვლის შესახებ წინადადებებს იდეოლოგიურ დივერ-
სიად მიიჩნევდნენ.

ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი რადიკალური ეკონომი-
კური რეფორმის გატარებამ—სრული სამეურნეო ანგარიშისა და
თვითღატანანსების შემოღებამ საბანკო სისტემის გარდაქმნა მოით-
ხოვა. ოფიციალურად აღიარეს, რომ საბანკო სისტემა უაღრესად
მოუქნელი აღმოჩნდა და საკმაოდ არ ითვალისწინებდა ეკონო-
მიკის დარგებისა და სფეროების სპეციფიკასა და თავისებურებებს.
სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ საკრედიტო-ფულადი ურთი-
ერთობების შემოქმედების მცირე ეფექტიანობა მნიშვნელოვან-
წილად გახდა საბანკოსა და მშენებანკის მუშაობაში დიდი ნაკლო-
ვანებებისა და ხარვეზების შედეგი.

საბანკო სისტემის გარდაქმნის იდეას მიიჩნევდნენ სამეურნეო
მექანიზმის ძირეული გარდაქმნის ღონისძიბათა შემადგენელ და
ძალზე მნიშვნელოვან ნაწილად. ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ რომ
ამ პერიოდში, ე.ი. 1987 წლის შუა ხანებში საბაზრო რეფორმის
იდეას ხელმძღვანელ სფეროებში არ აღიქვამდნენ, რასაც მნიშვნე-
ლოვანწილად ხელს უწყობს მრავალი წლის მანძილზე ჩამო-
ყალიბებული იდეოლოგიური სტერეოტიპები. ამის შედეგად კი ისე
მოხდა, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეძლეს მხოლოდ
ფრიალ უმნიშვნელოდ გაეფართოებინათ თავიანთი ეკონომიკური
დამოუკიდებლობა, მაშინ როცა ცენტრმა შექლო კვლავინდებუ-
რად შეენარჩუნებინა ხელმძღვანელი პოზიციები და უფლება-ეკარ-
ნახებინა თავისი ნება ქვემდგომი სტრუქტურებისათვის, არსებითად,
შეიქმნა სამეურნეო მექანიზმის ძირეული გარდაქმნის მოჩვე-
ნებითობა. სინამდვილეში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სის-
ტემის გადამწყობტი ბერკეტები ხელუხლებელი დარჩა.

ასეთივე დასკვნა სავსებით სამართლიანია საბანკო სისტემის
განხორციელებული რეორგანიზებული შედეგების მიმართაც. შე-
გახსენებთ, რომ ოფიციალური განცხადებებით, საბანკო სისტემა
ტარდებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაქარებაზე და
გაფართოებული კვლავწარმოების საბოლოო შედეგებთან საკრე-
დიტო მექანიზმის კავშირის განმტკიცებაზე ბანკების შემოქმედების
გაძლიერების მიზნით.

რა იყო ამ რეფორმის არსი და როგორია მისი შედეგები?

შეიქმნა ახალი სპეციალიზებული ბანკები—მრეწვემწებანკი, აგრომრეწვებანკი და ბინსოცბანკი. შემნახველი სალაროების სამმართველო გადაკეთდა შემნახველ ბანკად. სახბანკი შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ მოახდინეს მისი არსებითი რეორგანიზაცია მთელი მისი ძირეული ქსელი—განყოფილებანი (ფილიალები)—გადაეცა სპეციალიზებულ ბანკებს. სახბანკს დარჩა: ცენტრში—გამგეობა, მოკავშირე რესპუბლიკებში—რესპუბლიკური რგოლი—რესპუბლიკური სახბანკი, ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში—სახბანკის სამმართველოები. ხოლო რაც შეეხება სახბანკის განყოფილებებს, უკვე ითქვა, რომ ისინი გადასცეს სპეციალიზებულ ბანკებს, რომელთაგან თითოეულმა შექმნა ცენტრში გამგეობა, მოკავშირე რესპუბლიკებში—შესაბამისი რესპუბლიკური ბანკები, ხოლო ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ისევე როგორც სახბანკმა—სამმართველოები. სპეცბანკების თითოეულ სამმართველოს დაექვემდებარა სახბანკის მთელი რიგი ყოფილი განყოფილებანი, თანაც სპეციალიზებული ბანკის ამა თუ იმ სამმართველოზე. განყოფილებათა მიმგრება ხდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბანკის კლიენტურა ქარბობდა მოცემულ განყოფილებაში—აგრომრეწვებანკი, მრეწვემწებანკი და ბინსოცბანკისა. რა გამოვიდა სინამდვილეში.

მოპყვა თუ არა ასეთ რეორგანიზაციას რაიმე დადებითი? ალბათ, მხოლოდ ერთი რამ: ერთ ბანკში ახლა მხოლოდ თავს იყრიდა საწარმოს როგორც მიმდინარე, ისე საინვესტიციო საქმიანობის მომსახურება, რის წყალობითაც იქმნებოდა პირობები მთლიანად საწარმოს მუშაობის, და არა მარტო მისი საწარმოო თუ მარტო საინვესტიციო საქმიანობის ანაზღაურებისათვის, როგორც ეს წინათ იყო. მაგრამ ამით დადებითი მომენტები ამოიწურა.

საერთოდ კი სახბანკო სისტემის რეორგანიზაციამ, რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს ეს, მხოლოდ გააღრმავა ნაკლოვანებები ბანკების მუშაობაში. შორს მიმავალი ჩანაფიქრები შეუსრულებული დარჩა.

არსებითი ნაკლი ის იყო, რომ სახბანკის ყოფილი განყოფილება, რომელიც ერთ-ერთი შექმნილი სპეცბანკის, მაგალითად,

აგრომრეწვბანკის სისტემაში აღმოჩნდა, კვლავინდებურად ემსახურებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების-მრეწველობის, ვაჭრობის და სხვა საწარმოებსაც სხვა სპეცბანკებისა და ბინსოცბანკის ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ამის გამო ბანკის განყოფილება უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა. მის კარზე ეკიდა ფირნიში, რომელიც იწყებოდა, რომ ეს რომელიღაც სპეციალიზებული ბანკი, სინამდვილეში კი ეს განყოფილება კვლავ უნივერსალურ ბანკად რჩებოდა.

პარადოქსი ისიც იყო, რომ ამ განყოფილებებზე, ფორმით სპეციალიზებულზე, ხოლო არსით-უნივერსალურზე, წარმოიშვა ოთხი სამმართველო სტრუქტურა: სახბანკის, აგრომრეწვბანკის, მრეწველმშენბანკისა და ბინსოცბანკის საოლქო სამმართველოების სახით. ამ სამმართველოთაგან თითოეული, ხელმძღვანელობდა რა ცენტრიდან მიღებული მითითებებით, განყოფილებებში გზავნიდა შესაბამის მითითებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხებოდა სწორედ ამ ბანკის კლიენტურას, ხოლო სახბანკი, რომელსაც არ პქონდა კლიენტურა, გზავნიდა მითითებებს საკასო ოპერაციების წარმოებისა და უნაღლო ანგარიშსწორების შესახებ. ამიტომ საბანკო სისტემის ასეთი გარდაქმნის შედეგად მკვეთრად გაიზარდა სამმართველო რგოლი ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე. რადგან რეორგანიზაცია სახბანკისა და ყოფილი მშენბანკის არსებული საშტატო რაოდენობის ფარგლებში ხდებოდა, ხოლო საოლქო რგოლმა მოითხოვა მუშაკთა რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდა, არც თუ იშვიათად აზას უზრუნველყოფდნენ განყოფილებათა საშტატო რაოდენობის შემცირების გზით, რომლებიც ისედაც გადატვირთული იყვნენ კლიენტურასთან მუშაობით.

სპეციალიზებული ბანკები ოპერაციებს შეუდგნენ 1988 წლის 1 იანვრიდან. პირველ პერიოდში პრესაში, როგორც ეს ჩვენშია მიღებული. ქვეყნდება განხორციელებული რეორგანიზაციის მხოლოდ დადებითი შეფასებანი, მაგრამ თანდათანობით გაჩნდა კრიტიკული შენაშენებიც, რომელიც სამართლიანად იყო ხაზგასმული, რომ საბანკო სისტემის მართვის მექანიზმი რთულდება, სპეციალიზებული ბანკის გაზრდილი ადმინისტრაციული აპარატი

თავისი ყალბი აქტიურობით ცვლიდა ძირეულ რგოლს—განყოფილებებსა და წაართვა მათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ კლიენტურის საკრედიტო-საანგარიშსწორებო მუშაობების საკითხები. ამის შედეგად მივიღეთ საბანკო სისტემის გარდაქმნის "სააპარატო" ვარიანტი. როგორც მრავალრაცხიანი, ფართო ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, რეორგანიზაციამ, როგორც განხორციელდა საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში საბანკოსა და მშენბანკის მონოპოლიური მდგომარეობის ლიკვიდაციის მიზნით, მხოლოდ შეცვალა საბანკო სისტემის ორგანიზაციული ფორმა და არ შეეხება მის არსს—საბანკო საქმეში მონოპოლიურ მდგომარეობას. მაშასადამე, ყველა საფუძველი არსებობს დასკვნისათვის, რომ ერთი მონოპოლისტები შეცვალეს სხვებმა. აი რატომ არის, რომ ძალიან მალე ცხადი გახდა: სპეციალური ბანკების ქსელის შექმნით საბანკო სისტემის რეორგანიზაცია ჯერ არ დამთავრებულა. იმას, თუ რა დასკვნამდე მივიღნენ და ამ ამოცანის გადაწყვეტისადმი რა მიდგომები დაისაბა, განვიხილავთ ამ საკითხის შემდეგ ნაწილში.

დ) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საპირობების აღიარება და საბანკო სისტემის სრულყოფის დონისძიებანი. 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე საზოგადოებრივ აზრში ბოლოს და ბოლოს მკვიდრდებოდა აზრი, რომ საპირობა ეკონომიკაზე გადასვლა, თუმცა ღირექტიულ ორგანოებში სრული ერთსულოვნება ამ წინადადებებისადმი არ ყოფილა. შემთხვევითი როდია, რომ ამ ძალზე რთულ და საარსებოდ მნიშვნელოვანი პერსპექტივის ბედი თანდათანობით წყდებოდა სანახევრო გადაწყვეტილებათა მიღების გზით.

მაგალითად, თავდაპირველად ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპს "საგეგმო-საბაზრო ეკონომიკა" ეწოდა. შემდეგ, დაარწმუნდნენ რა ასეთი სიტყვათშეწყობის—საგეგმო—საბაზრო აბსურდულობაში, სადაც "საბაზრო", არსებითად, უპირისპირდება ცნებას, "საგეგმო" და ამიტომ აზრობრივად აღიქმება როგორც "არასაგეგმო", რის შედეგად შენაცულების შემდეგ მივიღეთ "საგეგმო-არასაგეგმოდ", —თუ ვილაპარაკებთ რეგულარულ საბაზრო ეკონომიკაზე. მაგრამ ამ ფორმულირიებაში მინიშნებული იყო, რომ ცენტრს უნარჩუნდება გარკვეული რეგულირებული ბერკეტები და

ეს მიუღებელი იყო.

როცა ამ ფორმულირების არასიცოცხლისუნარიანობაშიაც დარწმუნდნენ, ბოლოს დაიწყეს ლაპარაკი "საბაზრო ეკონომიკაზე" გადასვლის შესახებ. მართალია, ცალკეული ორთოდოქსები ამას პრინციპულად არ ეთანხმებიან.

გაათრებული იდეოლოგიური დისკუსიის ფონზე სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საჭიროების შესახებ აზრის მომწიფების კვალობაზე წარმოიშვა, არსებითად, სტიქიური მოძრაობა კომერციული ბანკების შექმნისათვის. სავსებით ცხადია, რომ სხვა პირობებში ამას არ დაუშვებდნენ, მაგრამ როცა სულ უფრო ხმაძალდა და დაეინებით გაისმა წინადადებანი ბაზარზე გადასვლის შესახებ, კომერციული ბანკების შექმნისათვის ამ მოძრაობას წინააღმდეგობას აღარ უწყევდნენ.

ამრიგად, წარმოიშვა საბანკო სისტემის რეორგანიზაციის პროცესის ახალი თვისებრივი მხარე. ეკონომიკურად და იდეოლოგიურად მომზადებული იყო ნიადაგი კომერციული ბანკების აღორძინებისათვის, რომელთა ბედი, თითქოსდა, საბოლოოდ განისაზღვრა მათი სრული ლიკვიდაციის მომენტში ეკონომიკის მართვის მბრძანებლური მეთოდების დანერგვისას.

2. კომერციული ბანკების ქსელის განვითარება, მათი ეკონომიკური ურთიერთობა ცენტრალურ ბანკთან.

კომერციული ბანკების შექმნა, ყოფილი სსრ კავშირის არსებობის ხოლო წლებში, არსებითად, სტიქიურად დაიწყო. ისინი ასრულებდნენ მოუქნელი სპეციალიზებული ბანკისადმი თავისებური დაპირისაირების როლს, რომლებმაც ფუნქციონირება დაიწყეს 1988 წლის 1 იანვრიდან. მაგრამ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ უკვე რეგისტრირებული იყო (1988 წლის აგვისტოში) პირველი კომერციულ ბანკის წესდება. ხოლო უკვე წლის დამლევს (1989 წლის 1 იანვრისათვის) დაახლოებით 40 ასეთი ბანკი იყო. შემდეგ კომერციული ბანკების დაფუძნების პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა. 1989 წლის მეორე ნახევარში 160-ზე მეტი, ხოლო 1990 წლის მეორე კვარტალში 250-ზე მეტი ასეთი ბანკი შეიქმნა. რამდენიმე თვის შემდეგ კომერციული ბანკების რიცხვმა 300-ს გადააჭარბა და ა.შ.

/ შემდგომში კომერციული ბანკების რაოდენობა კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა, რადგან კვლავ იქმნებოდა არა მარტო ახალი კომერციული ბანკები, არამედ, ბანკებიც, რომლებიც წარმოიშვა იმ სპეციალიზებული ბანკების რეორგანიზაციის შემდეგ, რომლებმაც ვერ გააძარტლეს და რომელთა ბაზაზე შეიქმნა დიდძალი სააქციო კომეციული ბანკები. ბანკების საერთო რიცხვი განუწყვეტილად იზრდება, რადგან მათი შექმნის პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. მათი საერთო რაოდენობა 1992 წლის ბოლოს შეადგენდა 2500, ამჟამად იგი მიუახლოვდა 5000-ს. ბევრია ეს თუ ცოტა? ერთი შეხედვით, ციფრი ძალზე შთამბეჭდავია, მაგრამ თუ შევადარებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში კომერციული ბანკების რაოდენობას, თურმე აქ თორმეტი ათასი ასეთი ბანკია. მაშასადამე, არის საფუძველი ვივარაუდოთ; რომ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე კომერციული ბანკების შექმნის პროცესი არ დამთავრებულა.

ახლა ძალზე მნიშვნელოვანია გარკვევა რა ნიშნით ხდება კომერციული ბანკების კლასიფიკაცია და ამასთან დაკავშირებით ამ ბანკების რა სახეობანი გამოიყოფა.

რესურსების ფორმირების ხერხით გამოყოფენ ბანკებს, რომლებიც ქმნიან საწესდებო ფონდს დამფუძნებელთა საპაიო შესატანების ხარჯზე (ე.წ. საპაიო ბანკები), და ბანკებს, რომლებიც ქმნიან საწესდებო ფონდს იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც მოზიდულია გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, უმთავრესად აქციების გაყიდვის წყალობით და რომლებსაც ამიტომ ეწოდა სააქციო ბანკებ. თავის მხრივ მხოლოდ კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ საპაიო ბანკებს ეწოდა კოოპერაციული ბანკები. ჩვეულებრივ ასეთი ბანკების დამფუძნებლები, როგორც წესი, არიან კოოპერატორთა კავშირები.

გარდა ამისა, მიღებულია კომერციული ბანკების დაყოფა განხორციელებულ ოპერაციათა ხასიათის მიხედვით—მოკლევადიანი დაკრედიტების ბანკებად და გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკებად. მოკლევადიანი კრედიტის ბანკები ემსახურებიან კლიენტების მიმდინარე საჭიროებას და იძლევიან სესხს ერთ წლამდე ვადით. გრძელვადიანი კრედიტის ბანკები სესხს გასცემენ ერთ წელზე

მეტი ხნის ვადით. ისინი ემსახურებიან საინვესტიციო საქმიანობას და ამიტომ ეწოდებათ საინფსტიციო ბანკები. მათ შორის გამოიყოფა საინოვაციო ბანკებიც, ე.ი. ბანკები, რომლებიც კრედიტს იძლევიან დოკუმენტაციის (პროექტის) შედგენიდან მშენებლობის დამთავრებამდე პერიოდისათვის, იღვის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების კომპლექსისათვის. უფრო მოგვიანებით გაჩნდა იპოთეკური ბანკებიც, რადგანაც აღიარებული იქნა მიწის კერძო საკუთრება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში, აგრეთვე კომუნალურ მეურნეობაში სხვა ობიექტებისათვის მისი გირაოდ მიცემის ან მიყიდვის უფლებით. მაგრამ პრაქტიკულად კომერციული ბანკების საქმიანობა ვითარდებოდა უმთავრესად მოკლევადიანი ოპერაციების პრიორიტეტის მიმართულებით, თანაც არა ერთ წლამდე ვადით, არამედ 2-3 თვის ვადით. ეს გამოიწვია ეკონომიკურმა ვითარებამ, ხოლო უფრო ზუსტად—ინფლაციამ. ფულის მკვეთრი გაუფასურება არახელსაყრელს ხდის კრედიტის მიცემას ხანგრძლივი ვადით, მაშინაც კი, თუ გაზრდილ პროცენტებს იღებენ.)

უკვე აღინიშნა, რომ კომერციული ბანკები, არსებითად, სტიქიურად წარმოიშვა. ეს ფორმულირება ახსნას მოითხოვს. ცენტრების "სტიქიურად" გამოყენება მართლზომიერია იმ თვალსაზრისით, რომ ბანკები იქმნება დამფუძნებლების—სხვადასხვა საწარმოს, ორგანიზაციის, კოოპერატორთა კავშირების და ფიზიკური პიოების ინიციატივით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი წარმოიშობა "ქვემოდან" ინიციატივით, მაგრამ ამით კომერციული ბანკების პროცესის სტიქიურობა მთავრდება.

(საქმე ის გახლავთ, რომ საკმარისი არ არის შემოვიფარგლოთ ბანკის შექმნის ინიციატივის გამოვლენით და გამოვავლინოთ პოტენციური დამფუძნებლები. საჭიროა ნებართვის მიღება ცენტრალური ბანკისაგან, რომელსაც ეკუთვნის სწორედ უკანასკნელი სიტყვა—შეიქმნას მოცემული კომერციული ბანკი თუ არა. რადგანაც შესაქმნელი ბანკის ყველა ორგანიზაციული თავისებურება აისახება მის წესდებაში, საქმე ეხება კომერციული ბანკის წედების რეგისტრაციას, რაც პრაქტიკულად ნიშნავს ნება მიეცეს კომერციულ ბანკს დაიწყოს თავისი საქმიანობა.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ბანკების ფინანსური მდგომარეობის სიმყარე, ბალანსის ლიკვიდური სტრუქტურა, აგრეთვე დავიცვათ შენაბრეთა ინტერესები, წესდება, კომერციული ეკონომიკური ნორმატივები, რომელთა სიდიდე შექმნილი პირობების გავლენით შეიძლება შეიცვალოს. /

3. ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ადგილი საბანკო სისტემაში.

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონირებს ორრგოლიანი (ორიარუსიანი) საბანკო სისტემა. ერთი რგოლია—კომერციული ბანკები, ხოლო მეორე, სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი.

ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ამ ბოლო დრომდე ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ასრულებდა სსრ კავშირის საბანკო, რომელიც ამავე დროს ჩვეულებრივ კომერციულ ბანკს წარმოადგენდა. სუვერენული სახელმწიფოების შექმნის შემდეგ თითოეულ მათგანში ეროვნული ბანკების ფუნქციების შესრულება დაიწყო (საჭირო რეორგანიზაციის შემდეგ) სსრ კავშირის რესპუბლიკურმა კანტორებმა. ასე იყო რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაშიც, ბელორუსიაშიც, საქართველოშიც და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში.

მაგრამ მარტო ფირნიშების შეცვლა როდი მოხდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსრ კავშირის საბანკო თანდათანობით განიცდიდა არსებით ცვლილებებს. თავდაპირველად (1988 წლიდან) მისი დაქვემდებარებიდან გამოიყვანეს განყოფილებები (ფილიალები), რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან კლიენტურას. განყოფილებანი სპეციალური ბანკისადმი დაქვემდებარებულნი აღმოჩნდნენ. ამით საბანკო უფრო მეტად მიუთაბლოვდა მუშაობის შინაარსით "ბანკთა ბანკის" ცნებას, რადგან ახლა მან ყურადღება გადაიტანა ფულად-საკრედიტო სისტემისადმი საერთო ხელმძღვანელობაზე.

სპეციალიზებული ბანკების რეორგანიზაციისა და კომერციული ბანკების შექმნის შემდეგ საბანკოს, როგორც, "ბანკთა ბანკის", როლი განუზომელად გაიზარდა. მაგრამ სსრ კავშირის დაშლისა და ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე სუვერენული სახელმწიფოების წარმოების შედეგად "ბანკთა ბანკის" როლში

სახბანკო არცთუ დიდხანს გამოდიოდა. 1992 წლის დამდეგიდან იგი გაუქმდა, ხოლო თითოეულმა სუვერენულმა სახელმწიფომ შექმნა საკუთარი ეროვნული ბანკი, რომელიც "ბანკთა ბანკს" წარმოადგენს და ასრულებს ოპერაციებს მხოლოდ ბანკებთან.

დღეისათვის გაურკვეველი რჩება საკითხი, შენარჩუნებული იქნება თუ არა ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ერთიანი სივრცე. შენარჩუნებული იქნება თუ არა ერთი ვალუტის ზონა, ე.ი. ერთი ახალი საერთო ვალუტის ფუნქციონირება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებაში შემავალი ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუ ეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთიან სისტემაში შესრულდება, მაშინ საჭირო გახდება კოლექტიური ორგანოს—სახბანკო კავშირის დაფუძნება ეროვნული ბანკების საქმიანობის კოორდინაციისათვის.

/ ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანებს განეკუთვნებიან: ფულადი მიმოქცევის რეგულირება და ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფა, საბანკო სისტემის ყველა რგოლის მიერ ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უზრუნველყოფა, ანგარიშსწორებისა და საკასო მომსახურების ორგანიზაცია, ბანკების მენაბრეთა ინტერესების დაცვა; ჯონერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისადმი ზედამხედველობა; საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში ოპერაციების განხორციელება.

ახლა უფრო დაწვრილებით შევხვით თითოეულ ჩამოთვლილ პოზიციას. ფულადი მიმოქცევის რეგულირება და ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფა მიიღწევა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების მიმოქცევაში გამოშვებისა და ამოღების კანონით დაწესებული წესის ზუსტი დაცვის გზით, აგრეთვე უნაღდო ფულადი ემისიის მეშვეობით დეპოზიტურ-სასესხო ოპერაციების განხორციელების გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნული (ცენტრალური) ბანკი არეგულირებს ნაღდი და უნაღდო ემისიის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ნებისმიერა ადმინისტრაციული ღონისძიებანი არსებითად მიუღებელია. ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკის შესახებ დებულებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ემისიის გამოყენება უშუალოდ სახელმწიფო

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის აკრძალულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მიღწევა ყოველთვის არ შეიძლება, და მაშინ დამატებითი ემისია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს (პარლამენტის, უზენაესი საბჭოს და ა.შ.) ნებართვით.

ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების მიზნით საბანკო სისტემის ყველა რგოლის მიერ ერთიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უზრუნველყოფა მიიღწევა სავალდებულო რეზერვების, კრედიტების საღისკონტო განაკვეთების ნორმირების განსაზღვრის, ბანკებისათვის ეკონომიკური ნორმატივების დაწესების (რაზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ), ფასიან ქალაქობთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულების გზით. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბანკის მიერ შემუშავებული ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი მიმართულებანი დასამტყიცებლად წარუდგინება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

ანგარიშსწორების ორგანიზაცია და ცენტრალური ბანკის სხვა ოპერაციები: ცენტრალური ბანკი აწარმოებს ბანკ-კორესპოდენტების ანგარიშებს და ახორციელებს ბანკების საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებას საკომისიო გადასახდელების გადახდევინებით. აძლევს კრედიტებს ბანკებს მსესხებელთა შეთანხმებით; ყიდულობს, ყიდის და ინახავს სახელმწიფო ფასიან ქალაქობებს, აგრეთვე ჩეკებს, თამასუქებს, ძვირფას ლითონებს; არეგულირებს ბანკებისათვის მიცემული კრედიტების პროცენტის განაკვეთების დონეს, ცენტრალურ ბანკს აქვს უფლება მისცეს კრედიტი ფინანსთა სამინისტროს საერთო პირობებით ბიუჯეტში მიმდინარე შემოსავალსა და გასავალს შორის წლიური გარღვევების დასაფარავად.

ცენტრალური ბანკი არეგულირებს კომერციული ბანკების საქმიანობას ეკონომიკური ნორმატივების დაწესების გზით, პროცენტული პოლიტიკის გზით, ამასთან არ ერევა ბანკების საოპერაციო საქმიანობაში.

ეროვნული ბანკის მხრივ კომერციული ბანკების საქმისადმი ზედამხედველობა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ბანკების მიერ ეკონომიკური ნორმატივების დაცვის შემოწმებას. ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს დანიშნოს და განახორციელოს ბანკების ოპე-

რაციების შემოწმება, დაავალოს ასეთი შემოწმების განხორციელება აუდიტორიულ ორგანიზაციებს, ადგენს საბუღალტრო აღრიცხვის, სტატისტიკური ანგარიშგების და საბანკო ოპერაციების შესრულების ერთიან წესებს.

თუ გამოვლინდა ნორმატივების დარღვევები, რომლებმაც ზარალი მიაყენა ბანკებსა და კლიენტებს, არ წარუდგინა ანგარიშგება ან წარედგინა არაუტყუარი ან შეცდომაში შემჯავნი ანგარიშგება, შეჯამდა წლის შედეგები ზარალით და ამასთან დაკავშირებით საფრთხე შეექმნა მენაბრეებისა და ბანკის კრედიტორების ინტერესებს, თუ გამოვლინდა სხვა სისტემატური დარღვევები, ცენტრალური ბანკი ბანკების დამფუძნებლებს (მონაწილეებს) წარუდგენს საჭირო მოთხოვნებს:

—ბანკის ფინანსური გაჯანსაღების, მათ შორის მისი კაპიტალის გაზრდის ღონისძიებათა განხორციელების, ბანკის რეორგანიზაციის, ბანკის ხელმძღვანელთა შეცვლის ან ბანკის ლიკვიდაციის შესახებ.

კომერციული ბანკების მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოვლენასთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკს უფლება აქვს გადაახდევინოს ჯარიმა, გაზარდოს იმ ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმები, რომლებიც არღვევენ ეკონომიკურ ნორმატივებს და გამოიყენოს შემოკმედების სხვა ღონისძიებები.

ცენტრალური ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

თუ ქვეყანაში ფუნქციონირებს საკუთარი ეროვნული ვალუტა, ეროვნული (ცენტრალური) ბანკი აწესებს მის კურსს უცხოური ვალუტების მიმართ იმ პერიოდამდე, სანამ ეროვნული ვალუტა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტის სტატუსს შეიძენდეს. ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს განახორციელოს კანონით ნებადართული ოპერაციები უცხოური ვალუტით თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში, იგი აგრეთვე წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესებს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებსა და საერთაშორისო ბანკებში.)

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ცენტრალური ბანკის როლი ეკონომიკის წარმატებული განვითარების ინტერესებისათვის და საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში უაღრესად დიდი და მრავალმხრივია, მაგრამ პრაქტიკულად ამ როლის რეალიზაცია მხოლოდ ეკონომიკური ღონისძიებებით მიიღწევა.

საბაზრო მეურნეობის ლაქრედიტივება და
ანბანროშსწორება

**1. საბაზრო მეურნეობის ლაქრედიტივის
წესი**

საბაზრო ურთიერთობების პირობებში კრედიტის ძირითად სახეს წარმოადგენს საბანკო კრედიტი, ე.ი. კრედიტი, რომელიც გაიცემა სხვადასხვა სახის კომერციული ბანკების მიერ.

საბანკო კრედიტის დარგში საკრედიტო ურთიერთობათა სუბიექტებია: საწარმოები (ორგანიზაციები), სახელმწიფო და თვით ბანკები. საკრედიტო გარიგებებში ასეთი სუბიექტები, როგორც წესი, ყოველთვის კრედიტორები და მსესხებლები არიან. კრედიტორია-პირი, (იურიდიული და ფიზიკური), რომელიც თავის დროებით თავისუფალ სახსრებს გადასცემს მსესხებელს განსაზღვრული ვადით. მსესხებელია-პირი (იურიდიული და ფიზიკური), რომელიც ლეზულობს ფულად სახსრებს კრედიტის სახით და ვალდებულია დადგენილ ვადაში დააბრუნოს იგი.

საბანკო კრედიტის დროს საკრედიტო გარიგების სუბიექტად აუცილებლად ორი პირი გამოდის-კრედიტორი და მსესხებელი. მსესხებლის როლში ბანკის არსებობას განაპირობებს მის მიერ მოზიდულ სახსრებზე მუშაობა. იმის გამო, რომ მოზიდული სახსრების მფლობელები არიან საწარმოები, სახელმწიფო და მოსახლეობა, ამდენად ბანკი მათ მიმართ მსესხებელის როლში გამოდის.

საბანკო კრედიტის სფეროში მოსახლეობა უმთავრესად კრედიტორის როლშია.

საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალ პერიოდს, რომელიც 1990 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო, თან ახლავს საკრედიტო ურთიერთობათა სუბიექტების უმეტესობის სტატუსის ცვლილებები, რაც აიხსნება საკუთრების ურთიერთობათა ღრმა ცვლილებებით, რომლის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა მეურნეობის ძველი ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის რეფორმაცია.

საბანკო კრედიტები, რომელიც გაიცემა კომერციული ბან-

კების მიერ, შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს შემდეგი ძირითადი მსესხებლების მიხედვით: კრედიტები საწარმოებს (ორგანიზაციებს), სახელმწიფოს, მოსახლეობას.

კრედიტების დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ: სამრეწველოს, საეკროს, სასოფლო-სამეურნეოს, საინვესტიციოს, სამომხმარებლოს, საბიუჯეტოს.

ფუნქციონირების სფეროების მიხედვით კრედიტები შეიძლება დაიყოს ორ სახედ—კრედიტები საბრუნავ ფონდებში და კრედიტები ძირითად ფონდებში (პირველში კრედიტი მოკლევადიანია, მეორეში—გრძელვადიანი, საშუალოვადიანი)./

კრედიტების გამოყენების ვადების მიხედვით შეიძლება კრედიტი იყოს: მოთხოვნამდე, ვადიანი. მაგალითად, მოკლევადიანი კრედიტი 1 წლამდე, საშუალოვადიანი—1-5 წლამდე, გრძელვადიანი—5 წელზე ზევით.

კრედიტის ოდენობის მიხედვით ანსხვავებენ მსხვილ, საშუალო და წვრილ კრედიტებს.

უზრუნველყოფის მიხედვით საბანკო კრედიტები იყოფა უზრუნველყოფილ კრედიტად და არაუზრუნველყოფილ კრედიტად. თავის მხრივ უზრუნველყოფილი კრედიტი უყოფა გირაოთი, გარანტირებულ და დაზღვეულ უზრუნველყოფად.

კრედიტების გაცემის ხერხების მიხედვით კრედიტი შეიძლება დაიყოს კომპენსაციურ და საგადამხდლო კრედიტებად. პირველ შემთხვევაში კრედიტი წარიმართება მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე საკუთარი სახსრების შესავსებად, ხოლო მეორე შემთხვევაში—კრედიტი უშუალოდ წარიმართება საანგარიშსწარებო—ფულადი საბუთების გასანაღდებად./

კრედიტების დაფარვის მეთოდების მიხედვით ანსხვავებენ—განვადებით დაფარვას (როცა ნაწილ ნაწილ იფარება კრედიტი) და ერთდროულ დაფარვას (როცა კრედიტი იფარება ერთი რომელიმე თარიღისათვის).

დაკრედიტების პრინციპები: დაბრუნების ვადიანობა, დიფერენცირებულობა, უზრუნველყოფა, გადამხდლობა.

დაბრუნება კრედიტისათვის ისეთი დამახასიათებელი ნიშანია, რომლის გარეშე იგი ვერც იარსებებდა. კრედიტის დაბრუნება,

როგორც წესი, წარმოებს განსაზღვრულ ვადაში, დაბრუნებადობის ვადიანობის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს საბრუნავი და ძირითადი ფონდების პრუნვა. ყოველი წრებრუნვის ბოლოს გამოთავისუფლდება ავანსირებული ფულადი სახსრები, რომლის ნაწილი მოდის კრედიტის დასაფარავად. კრედიტის ვადიანობა აკონკრეტებს მის დაბრუნებას დროში. საკანონმდებლო აქტების მიხედვით დადგენილია დაკრედიტების ზღვრული ვადები. დაბრუნების ვადიანობის პრინციპი ნიშნავს, რომ კრედიტი არა მხოლოდ დაბრუნდეს, არამედ დაბრუნდეს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში. მაგრამ არის რიგი გამონაკლისებიც, მაგალითად, მსესხებლის დავალებით შეიძლება სესხის ვადამდე დაფარვა, ხოლო რიგ შემთხვევებში ადრე დადგენილი ვადები—გაგრძელდეს, ე.ი. მოხდეს მისი პროლონგირება.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ამ პრინციპს განსაკუთრებული როლი ენიჭება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობს კვლავწარმოების პროცესის უწყვეტილობას, კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას, და ამის მეშვეობით საწარმოების (ორგანიზაციების), სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაცრედიტებას.

დაკრედიტების დიფერენცირებულობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა უნდა განასხვავოს თავისი კლიენტები გადახდისუნარიანობის მიხედვით, ე.ი. სესხი უნდა მისცეს ისეთ საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებსაც აქვთ უნარი კრედიტი დროულად დააბრუნონ და არა მარტო უბრალოდ დააბრუნონ, არამედ ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის საწარმოს (ორგანიზაციას) უნდა წარმოადგენდეს. ამით ბანკი დაზღვეული იქნება კრედიტის დროულად დაუბრუნებლობის რისკისაგან. ამიტომ აუცილებელია საწარმოების (ორგანიზაციების) ბალანსის ლიკვიდობა, საკუთარი წყაროებით უზრუნველყოფა, რენტაბელობის სათანადო დონის არსებობა როგორც დღეს, ისე პერსპექტივაში. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს საწარმოების (ორგანიზაციების) დღევანდელი საქმიანობის შედეგებისა და განვითარების გათვალისწინება, მომავალში მათი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირება, რომლის საფუძ-

ველზედაც უნდა შეფასდეს და გადაწყვიტოს ბანკმა კრედიტის დიფერენცირებულად გაცემის პერსპექტივები, ე.ი. საწარმოების (ორგანიზაციების) მომავალში დაკრედიტების შესაძლებლობაც.

დაკრედიტების უზრუნველყოფა—ეს არის არა მარტო რომელიმე კონკრეტული სასაქონლო—მატერიალური ფასეულობით უზრუნველყოფა, არამედ რაც მთავარია, საგირაუნო ვალდებულებით, ხელშეკრულება—გარანტიით, სადაზღვევო პასუხისმგებლობით და იურიდიული და ფიზიკური პირის თავდებად დადგომის ხელშეკრულებით უზრუნველყოფა, რომელთა გარეშე დღეს შეუძლებელია გაცემული კრედიტების დროულად დაბრუნება. მასთანავე, კრედიტის დაბრუნების გარანტირების ცნების შინაარსი გაცილებით ფართოა, ვიდრე სასაქონლო—მატერიალური ფასეულობით უზრუნველყოფის პრინციპი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ურთიერთობის შედეგად კრედიტის გამოყენების საზღვრების მნიშვნელოვანი გაფართოების პირობებში, კრედიტის უზრუნველყოფის ცნების შინაარსი კარგა ხანია გასცდა უზრუნველყოფის ადრინდელი პრინციპის შინაარსს.

გადამხდელობის პრინციპის საფუძველია კრედიტორსა (კრედიტზე გადასახდელის მიმღები) და მსესხებელს (საპროცენტო თანხის გადამხდელი) შორის საკრედიტო ურთიერთობა.

ამ პრინციპის რეალიზაცია ხორციელდება საბანკო პროცენტის გამოყენებით, რაც კრედიტის თავისებური ფასია. კრედიტის გადამხდელობის პრინციპი მასტიმულირებელ ზემოქმედებას ახდენს საწარმოებზე (ორგანიზაციებზე), აიძულებს მათ მომჭირნეობით ხარჯონ მოზიდული სახსრები, გაადიდონ საკუთარი სახსრები და მიიღონ მოგება, რაც რეალური გარანტიაა იმისა, რომ საწარმომ (ორგანიზაციამ) არა მარტო დაფაროს დანახარჯები და გადაიხადოს კრედიტზე პროცენტი, არამედ მნიშვნელოვნად გააფართოვოს კიდევ წარმოების მასშტაბები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციულ ბანკებსა და საწარმოებს (ორგანიზაციებს) შორის საკრედიტო ურთიერთობამ გადამხდელობის პრინციპის მოქმედება რამდენადმე გააფართოვა იმით, რომ სადევოზიტო ოპერაციებში, საწარმოებსა (ორგანიზაციებში) და სხვა ბანკების მიმართ, თვით ბანკებიც არიან

მსესხებლები. საბაზრო ურთიერთობის პირობებში თანაბარმა მეურნეობრივმა საქმიანობამ ბანკები აიძულა უარი ეთქვათ მსესხებელთა ღარგობრივი ნიშნის მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დიფერენცირებაზე. ამრიგად, დღეს კომერციული ბანკები კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების დაწესებისას ემყარებიან: ბანკთაშორისო კრედიტებზე არსებულ საშუალო საპროცენტო განაკვეთებს; თავიანთი კლიენტებისადმი ბანკების მიერ გადახდილ საშუალო საპროცენტო განაკვეთებს; ბანკის საკრედიტო რესურსების ოდენობას; კრედიტებზე მოთხოვნებს; კრედიტის ვადებს, სახეებსა და უზრუნველყოფის დონეს; ქვეყანაში ფულის მიმოქცევის სიმტკიცეს./

იმისათვის, რომ საწარმომ ბანკიდან მიიღოს სესხი, მან ბანკში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება—შუამდგომლობა სესხის მიღების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სესხის ოდენობა, მიზანი და დაბრუნების ვადა; 2. მისაღები სესხის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (სესხის გამოყენების შედეგად მიღებული ეფექტიანობის დანახარჯების გამოსყიდვისა და სესხის დაბრუნების შესახებ);

3. კონტრაქტის ასლი ანდა ისეთი საბუთები, რომელშიც მოცემული იქნება სესხის მიზანი ტექნიკურ-ეკონომიკური დაბრუნებისა და მისი დაფარვის შესაძლებლობის შესაბამისად;

4. წლიური და საანგარიშო ბალანსები, რომლებიც განსაზღვრავენ მსესხებლის გადახდისუნარიანობასა და კრედიტუნარიანობას;

5. საკრედიტო ხელშეკრულების პროექტი;

6. გირაოს ხელშეკრულება ან გარანტიის ხელშეკრულება ანდა მსესხებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში;

7. სესხის დაფარვაზე ვადიანი ვალდებულება—დავალება დადგენილი ვადების შესაბამისად;

8. ცნობა სხვა ბანკებიდან სესხების მიღების შესახებ, სადაც მითითებული უნდა იყოს ბანკი-კრედიტორი, მიღებული სესხის ოდენობა, მისი უზრუნველყოფის ფორმა და დაფარვის ვადები./

ზემოთ აღნიშნულ ყველა საბუთს ბანკი დაბეჭდვით სწავლობს და ანალიზებს. ანალიზის დროს ბანკი აფასებს სტატუსს,

მის ფინანსურ მდგომარეობას, კრედიტუნარიანობას, დაკრედიტების ობიექტს, დაკრედიტებიდან მიღებული ეკონომიკურ ეფექტს, საწარმოს (ორგანიზაციის) გადახდისუნარიანობას, ვადაში სესხის დაფარვასა და სესხებზე პროცენტის გადახდას. ამის შემდეგ ბანკის სპეციალისტი წერს დასკვნას სესხის გაცემის შესახებ. სესხი გაციემა მართვ სესხსხო ანგარიშიდან და იგი ჩაირიცხება მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე ან პირდაპირ წარიმართება მიღებულ საანგარიშსწორებო—ფულადი საბუთების გასანაღდებლად. შემდეგში თუ აღმოჩნდა, რომ გამოყოფილი კრედიტი არ შეესაბამება საწარმო—კლიენტის მოთხოვნებსა და მის კრედიტუნარიანობას, მაშინ შეიძლება მას გაეხსნას დამატებითი კრედიტი იმავე წესით, როგორც ეს თავდაპირველად იყო, მაგრამ თუ გაუარესდა მსესხებელი საწარმოს სამეურნეო—საფინანსო მდგომარეობა, ბანკი გადასინჯავს სესხის ოდენობას და მას შეამცირებს ან სულ დახურავს მას, რაც ნიშნავს მიღებული სესხის თანხის ვადამდე გადახდევინებას. სესხი იფარება მსესხებელი საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშიდან ვადიანი ვალდებულება—დავალების საფუძველზე.

ამჟამად საწარმო (ორგანიზაცია) სესხებს ლებულობს არა მარტო ამ ბანკიდან, სადაც მისი ანგარიშსწორების ანგარიშია გახსნილი, არამედ სხვა ბანკებიდანაც, მაგრამ ამ შემთხვევაში საწარმო—მსესხებელი ამ სხვა ბანკში აღგენს შემდეგი შინაარსის წერილობით საკრედიტო განაცხადს:

საწარმოს (ორგანიზაციის) სრული დასახელება, კაპიტალის შექმნის უნარი, სტრუქტურული ქვედანაყოფები და ფილიალები;

საწარმოს (ორგანიზაციის) მისამართი;

ბანკის დასახელება, სადაც გახსნილია ანგარიშსწორების ანგარიში;

საწარმოს (ორგანიზაციის) დამფუძნებელთა დასახელება;

საქმიანობის ძირითადი სახეობები;

ბიზნეს—გეგმა;

საწესდებო ფონდის კაპიტალი, მათ შორის გადახდილის ოდენობა;

საწარმოს განკარგულებაში არსებული ქონების საბალანსო

ლირებულება, მათ შორის, ძირითადი და საბრუნავი ფონდები;

მოთხოვნილი კრედიტების გამოყენების მიზანი და თანხა;

მისაღები კრედიტების სასურველი პირობები—ვალა, საპროცენტო განაკვეთები, დაფარვის წესი (ერთჯერადი თუ ეტაპობრივი), უზრუნველყოფის სავარაუდო სახეები და სხვა.

საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის გვარი, რომელსაც საბანკო საბუთებზე ხელმოწერის უფლება აქვს.

ზემოთ აღნიშნული საკრედიტო განაცხადთან ერთად, მსესხებელმა საწარმომ (ორგანიზაციამ) ბანკში უნდა წარადგინოს თავისი წესდება და ბალანსი, ნოტარიალური დამოწმება, აგრეთვე სხვა სტატისტიკური ანგარიშსწორებანი, დაფუძნების ხელშეკრულების ასლი და მოწმობა რეგისტრაციის შესახებ.

მსესხებელი საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ ბანკში წარდგენილი საბუთების დადებითი შეფასებისა და თანაც ანგარიშსწორების ანგარიშზე თავისუფალი ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში საწარმოს (ორგანიზაციას) ნებართვა ეძლევა გააფორმოს საკრედიტო ხელშეკრულება სესხის მიღებაზე. სესხი გაცივმა მარტივი სასესხო ანგარიშიდან და საგადამხდლო დავალებით სესხის თანხა გადაირიცხება მსესხებლის იმ ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც სხვა ბანკშია გახსნილი. თუ კი დადგენილ ვადაში ფული არ შედის ბანკში სესხის დასაფარავად, მაშინ ბანკი სესხის თანხას გადაიტანს ვადაგადაცილებული სესხის ანგარიშზე გადასახდელი პროცენტის ვადიდებით./

კომერციული ბანკების მუშაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სადებოზიტო ოპერაციებზე.

სადებოზიტო ოპერაციებს მიეკუთვნება ბანკის კლიენტებთან ვალიან და უვადო ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციები. დებოზიტებზე მოთავსებული სახსრების წყაროებს შეადგენს მუშა—მოსამსახურეთა ხელფასი, სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშებზე არსებული სახსრები.

დებოზიტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. ანგარიშები მოთხოვნამდე და 2. ვალიანი ანგარიშები.

მოთხოვნამდე ანგარიშები გულისხმობს მიმდინარე, კონტო-კორენტულ ანგარიშებზე არსებულ სახსრებს, რომელთა მოთხოვნა

შეიძლება ნებისმიერ დროს. ასეთ ანგარიშებზე პროცენტი დაბალია (0.5%). მისი გახსნის დროს კლიენტი ავალებს ბანკს განახორციელოს საგადამხდელო ოპერაციები. ასეთი ოპერაციების ყოველდღიურად ჩატარება მოითხოვს დიდ ხარჯებს. იმის გამო, რომ მოთხოვნამდე ანგარიშების მფლობელები რეგულარულად არ იყენებენ სახსრებს, მათ ანგარიშებზე სტაბილურ ნაშთებს იყენებს ბანკი თავისი კომერციული საქმიანობისათვის.

მოთხოვნამდე ანაბრები შეიძლება მოთავსდეს დეპოზიტური ან კონტოკორენტულ ანგარიშებზე. ამ ორ ანგარიშს შორის არსებული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დეპოზიტური ანგარიშის დროს კლიენტს შეუძლია ანგარიშიდან მოხსნას ფაქტიური ნაშთის თანხა და გამოიყენოს საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო/კონტოკორენტული ანგარიშის დროს კლიენტს არ შეუძლია არა მარტო საკუთარი ანაბარის, არამედ არც ბანკიდან მიღებული კრედიტის გამოყენება./

თუ კი მანამდე მოთხოვნამდე დეპოზიტური ანგარიშებს იყენებდა მხოლოდ მეწარმეები და შედარებით მალალი შემოსავლის მქონე პირები, ამ უკანასკნელ წლებში მას იყენებს მუშა-მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი, რაც შედეგია იმისა, რომ ჯერ ერთი, ხელფასების უნაღლო წესით გაცემა აწყობს მეწარმეებს და მეორე, თვით ბანკების მიერ შეთავსებული მომსახურება კლიენტებს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს საგადამხდელო ოპერაციების რეგულარულად ჩატარებას.

რაც შეეხება დაპოზიტების მეორე ჯგუფს—ვადიან ანაბრებს, აქ კომერციული ბანკები, როგორც წესი, ლებულობენ ორი სახის ვადიან ანაბრებს: /ერთია—თვით ვადიანი ანაბარი და მეორე—ანაბარი, რომელთა გატანა მოითხოვს წინასწარ შეტყობინებას./ ასეთი დეპოზიტები, მიმდინარე ანაბრებთან შედარებით, გაცილებით ხანგრძლივი ვადით შეიტანება (არანაკლებ ერთი თვისა). ვადიან ანაბრებს ბანკი ძირითადად იყენებს არა გადახდებისათვის, არამედ საკუთარი კომერციული საქმიანობისათვის. ვადიანი ანაბრები მის მცლობელებს უბრუნდება წინასწარ დადგენილ ვადებში, მანამდე იგი ბლოკირებულია და შეიძლება ბანკი იყენებდეს თავისი ოპერაციებისათვის. წინასწარი ვადიანი ანაბრების დროს კლიენტი

ბანკში ადგენს სპეციალურ განაცხადს ანაბარზე არსებული თანხის გატანის თაობაზე. შეტყობინების ვადის დათქმა წინასწარ ხდება და ამის მიხედვით დაერიცხებათ პროცენტის ოდენობა. ვადიანი ანაბრები კომერციული ბანკის ბალანსის მნიშვნელოვანი ნაწილია და მათ ამიტომ უფრო პრაქტიკული გამოყენებაც აქვთ.

არსებობს საშემნახველო დეპოზიტებიც (ანუ შემნახველი ანაბრები), რომელთა განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ მფლობელებზე გაიცემა მოწმობა ბანკში ანაბრების არსებობის შესახებ.

დეპოზიტებთან დაკავშირებით არჩევენ აგრეთვე სხვა ბანკებიდან კრედიტების მიღებისა და საკრედიტო გარიგებებს.

/საბანკო დაწესებულებებში მოზიდულ სახსრებს ანაბრებისაგან ანსხვავებენ შემდეგი ნიშნის მიხედვით: 1. ფულადი სახსრების მიღების დროს თუ ბანკის მხრივ გარანტირების მიცემა ხდება მის შემნახვაზე, მაშინ ეს მოზიდული სახსრებია და არა ანაბარი, 2. მოზიდულ სახსრებზე პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ანაბრებზე; 3. ფულის მოზიდვის დროს, თუ ინიციატივა ცალსახად ბანკიდან მოდის, მაშინ ეს მოზიდული სახსრებია და არა ანაბარი. /

ნდობითი (ანუ საბლანკო) კრედიტი. კრედიტის ამ სახეს არა-ნაირი კონკრეტული უზრუნველყოფა არ გააჩნია, მის საერთო ხასიათის უზრუნველყოფას წარმოადგენს საწარმოს (ორგანიზაციის) გადახდისუნარიანობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბანკს ასეთ საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) მუდმივი კავშირურთიერთობა უნდა ჰქონდეს, თანაც ისეთი, რომ მათთან სესხების დაბრუნებაც ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა ხდებოდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკი მათ ნდობას უცხადებს სესხის გაცემის, გამოყენებისა და დაბრუნების მთელ პერიოდში. სესხები გაიცემა წარმოების პროცესში დროებით წარმოშობილი ფინანსური სიძნელეების აღმოსაფხვრელად. იმის გამო, რომ სესხების გაცემა ხდება ნდობის საფუძველზე, ამდენად საპროცენტო განაკვეთები რამდენადმე მაღალია იმასთან შედარებით, ვიდრე ეს სხვა კლიენტებისათვის და დაკრედიტების სხვა სახეებზე არის დაწესებული.

სესხების მისაღებად კლიენტი-საწარმო (ორგანიზაცია) ბანკში

წარადგენს განცხადება—შუამდგომლობას, სადაც მითითებულია მისაღები კრედიტის მიზანი, ოდენობა და ვადა, აგრეთვე ბალანსები კრედიტუნარიანობის განსაზღვრისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბანკი თავის ნდობის დასადასტურებლად, მსესხებლის დროით ფინანსური სიმწვლეების წარმოშობის მიზეზებს, არც სესხის გაცემამდე და არც შემდგომში სესხის მიზნობრივად გამოყენების დროსაც, არ აკონტროლებს. ამ საბუთების შემოწმების შემდეგ გასაცემი კრედიტის თანხას ბანკი წარმართავს სესხების ანგარიშსწორების ანგარიშზე ან პირდაპირ—მიღებული საანგარიშსწორებო ფულადი საბუთების გასანაღდებლად. სესხი ფორმდება ვალიანი ვალდებულებებით (დაფარვის კონკრეტული ვადის ჩვენებით) და მისი ბანკში შესვლისთანავე მოხდება განაღდება მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან. სესხის დაფარვის პროცესში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პროცენტთან ერთად ბანკი კლიენტს ახდევინებს საურავს იმ ოდენობით, რაც საკრედიტო ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. ცხადია, ასეთი დარღვევა თავისთავად გარკვეულწილად ნიშნავს ბანკისადმი კლიენტის ნდობის დაკარგვას.

გარანტიით გაცემული კრედიტი—ეს ისეთი კრედიტია, როდესაც გარანტი გადახდის უნარიანი იურიდიული პირია. მისი გადახდისუნარიანობა დამოწმებული უნდა იყოს მსესხებელი საწარმოს (ორგანიზაციის) მომსახურე ბანკის მიერ. გარანტი საწარმო (ორგანიზაცია) ვიდრე საგარანტიო წერილს მსესხებელ საწარმოზე (ორგანიზაციაზე) გასცემდეს მას წარუდგენს თავის მომსახურე ბანკს, მაგრამ გარანტიის გამცემი საწარმოს (ორგანიზაციის) მომსახურე პანკმა შესაბამისი წარწერა რომ გააკეთოს აღნიშნულ საგარანტიო წერილზე და დაადასტუროს ბანკის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი, მას ექვი არ უნდა ეპარებოდეს მის გადახდისუნარიანობაზე. საგარანტიო წერილის პირველი ეგზემპლარი მოდის გარანტ—ბანკთან, ხოლო მეორე და მესამე ეგზემპლარები მსესხებელ—საწარმოსთან და მის მომსახურე ბანკთან, სადაც იგი სესხს ითხოვს.

სესხების მიღების ასეთი წესი, რომელიც გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, ავალდებულებს გარანტ—ბანკს წინასწარ

განალიზოს პერსპექტივაში მისი ფიზიკური მდგომარეობა, გარანტიის მიერ გადახდისუნარიანობის დადასტურების ოპერაცია ფასიანია და ახდენენ საკომისიო გასამჭელოს გარკვეული პროცენტით. ბანკი, რომელიც გარანტიით იძლევა კრედიტს, დაფარვის დადგომისას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს გარანტიის მოქმედების ვადას. ამავე დროს თუ მსესხებელს თავის ანგარიშზე სახსრები არ გააჩნია, მაშინ დაუფარავი თანხა გადაიტანება ვადაგადაცილებული სესხის ანგარიშზე, თანაც მსესხებლის მომსახურე ბანკი აცნობებს გარანტს კრედიტის დაუბრუნებლობის შესახებ, გარანტი კი, თავის მხრივ, ცნობის მიღებიდან სამი დღის გასვლის შემდეგ ვალდებულია სესხი დაფაროს თავისი საგადამხდელო დავალებით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტი ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის საურავს. სესხის მთლიანად დაფარვის შემდეგ გარანტიის მოქმედება წყდება და საგარანტიო ვალდებულება გარანტ-ბანკში ჩამოიწერება. იმ შემთხვევაში, თუ გარანტი უარს ამბობს ვალდებულების შესრულებაზე, მაშინ მსესხებლის მომსახურე ბანკმა უნდა მიმართოს არბიტრაჟს.

როგორც იურიდიულ პირს, ბანკსაც შეუძლია გამოვიდეს გარანტად სესხის მიღების დროს, გადახდის გარანტია ფასიანია და იგი წინასწარ, გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, სადაც მოცემულია გარანტიის გაცემის ვადა, თანხა, საკომისიო გასამჭელო, მისი გადარიცხვის წესი და ვადა, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ოდენობაც.

კრედიტი ხელფასის გაცემაზე. ამ სახის სესხებს უმთავრესად გასცემენ ის კომერციული ბანკები, რომლებიც ყოფილი სპეციალიზებული ბანკების ბაზაზეა ჩამოყალიბებული. სესხები მიეცემათ საწარმოებს (ორგანიზაციებს) თავიანთ ანგარიშებზე ფულადი სახსრების უქონლობის დროს. რაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით არის გამოწვეული.

საწარმომ (ორგანიზაციამ) სესხი რომ მიიღოს ხელფასის გასაცემად, ბანკში უნდა წარადგინოს არა მარტო შუამდგომლობა სესხის მიღების თაობაზე, არამედ იმ ღონისძიებთა ჩამონათვალიც, რომლის შესრულება უზრუნველყოფს სესხის დროულად დაბრუნებას ბანკში. ამიტომ ხელფასისათვის სესხის გაცემამდე

ბანკი ამოწმებს საწარმოს (ორგანიზაციის) ფინანსურ მდგომარეობას და დაადგენს მსესხებლის ანგარიშზე ფულადი სახსრების უქონლობის მიზეზებს და სესხის დაფარვის რეალურ პერსპექტივებს. სესხი გაიცემა საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე. ცალკე სასესხო ანგარიშიდან ხელფასისათვის გამოწერილი ფულადი ჩეკის გადახდის გზით. კრედიტი ეძლევა 10 დღემდე ვადით და იგი ფორმდება საწარმოს (ორგანიზაციის) ვადიანი ვალდებულება—დავალებით. ვადის დადგომის დროს კრედიტი დაფარული უნდა იქნეს მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან, რაც შესაძლებელია მსესხებლის საგადამხდელო დავალების საფუძველზე.

კრედიტი პრივატიზაციაზე. ეს სესხი გაიცემა თანმიმდევრულად და ეტაპობრივად, ვინაიდან პრივატიზაციის განხორციელება ხანგრძლივი და რთული პროცესია, სესხის გაცემის დროს გაითვალისწინება სახელმწიფო ქონების პრივატიზების სხვადასხვა ფორმები—აქციონირება, საწარმოს გაყიდვა კონკურსის საფუძველზე ან აქციონერის წესით და არენდირებული ქონების გამოსყიდვით. პრივატიზების დროს იქნენ რა საკუთრების უფლებას სახელმწიფო ქონებაზე, მოქალაქეები, მათი გაერთიანებები და არასახელმწიფო იურიდიული პირები თავისთავზე იღებენ ამ უფლებიდან გამომდინარე. ქონებრივ, საფინანსო და სხვა ვალდებულებებს. ამიტომ კომერციული ბანკების მიერ პრივატიზებაზე გაცემული სესხები ფორმდება მხოლოდ საკუთარი საკრედიტო რესურსებით და არა ცენტრალიზებული (სახელმწიფო) საკრედიტო რესურსების საფუძველზე.

/სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე კრედიტის მიღებისას, მსესხებელმა საერთო წესად მიღებულ საბუთებთან ერთად, კრედიტის დაფარვისათვის ბანკში უნდა წარადგინოს ქონების მართვის ხელმძღვანელი ორგანოს (სამინისტრო; კომიტეტი) ნებართვა პრივატიზებაზე, პრივატიზების გეგმა, პრივატიზებული ქონების შეფასების აქტი, ქონების ყიდვა—გაყიდვაზე სადამფუძნებლო ხელშეკრულება, ქონებაზე საკუთრების უკლების შესახებ მოწმობა, დანახარჯთა გამოსყიდვისა და კრედიტის დაფარვის გაანგარიშებანი./

აღნიშნულ საბუთებს პირველ რიგში ამოწმებს ბანკის იურისტი პრივატიზებასთან დაკავშირებული საბუთების სამართლებრივი

სისწორის დადგენის მიზნით, ხოლო შემდეგ ბანკის ეკონომისტი, რომელიც აფასებს საბუთებს მსესხებლის გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით, აგრეთვე ამოწმებს მსესხებლის ქონების შემადგენლობას (როგორც სესხის გირაოს) და კრედიტის გამოსყიდვისა და მისი დაფარვის ვადების გაანგარიშების რეალობას. ამის შემდეგ მსესხებელმა უნდა გააფორმოს საკრედიტო ხელშეკრულება. ქონების პრივატიზებაზე კრედიტის ოდენობა განისაზღვრება პრივატიზებული ქონების ფასის საფუძველზე მსესხებლის მიერ მოცემულ ობიექტზე განკუთვნილი საკუთარი სახსრების გათვალისწინებით.

სესხის გაცემა წარმოებს მარტივი სასესხო ანგარიშიდან 3-წლამდე ვადით და მაშინვე ფორმდება ვადიანი ვალდებულება სესხის დაფარვის კონკრეტული ვადის მითითებით. სესხის თანხა წარიმართება მსესხებლის საგადამხდლო დავალების გადასახდელად სახელმწიფო ქონების მართვის ხელმძღვანელ ორგანოს სახელზე გადასარიცხავად, ხოლო საბოლოო ჯამში იგი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება. ამ სახის კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი დგინდება მხარეთა შეთანხმებით ბაზრის კონიუნქტურიდან და ინფლაციის დონიდან გამომდინარე. ამ დროს დაიშვება სესხის დაფარვის განვადება, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ სესხი გადიდებული საპროცენტო განაკვეთით გადაიტანება ვადაგადაცილებაზე.

კრედიტის გამოყენების მთელ პროცესში მსესხებელს არ აქვს უფლება კრედიტით შეძენილი (ნებისმიერი წესით) ქონების გასხვისებისა. მსესხებლის მიერ ამ ვალდებულების შესრულებაზე ბანკის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკს ეძლევა უფლება მსესხებლისაგან მიიღოს შესანახად საბუთები, რომელიც მის მიერ შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლებას ადასტურებს.

ლიზინგი-ეს არის ხანგრძლივი სარგებლობის საგნების (შენობები, მანქანები, მოწყობილობები, ავტომობილები, კომპიუტერები, თვითმფრინავები და სხვა) არენდით გაცემა. ლიზინგი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს გრძელვადიანი არენდით გაცემას.

ხანგრძლივი სარგებლობის საგნების გრძელვადიანი არენდით გაცემა (არენდატორი) შეიძლება იყოს ისეთი სამრეწველო საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ლიზინგური კომპანიები

და სპეციალიზებული ლიზინგური ოპერაციები. ლიზინგი უზრუნველყოფს ასეთ კომპანიების შესაძლებლობას მიიღონ აუცილებელი მოწყობილობა უფრო შეღავათიანად, ვიდრე ჩვეულებრივი ყიდვისას.

/არსებობს ლიზინგის სამი სახე: ოპერატიული ლიზინგი; ფინანსური ლიზინგი; უძრავი ქონების ლიზინგი. /

1. ოპერატიული ლიზინგი ნიშნავს მსხვილი სამრეწველო საწარმოების დაინტერესებას არა საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაში, არამედ მისი არენდით გაცემაში. ამ შემთხვევაში არენდატორი მომსახურებას ეწევა, მაგალითად, იგი თავისთავზე იღებს მოწყობილობების გამართვას, რემონტს, მეთარენდეების სპეციალისტების მომზადებას და ა.შ. ამით არენდატორი უზრუნველყოფს საარენდო გამოყენების ოპტიმალურობას. არენდატორის ხარჯები შედის ლიზინგურ შეთანხმებებში. ოპერატიული ლიზინგის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ იგი არ ეფუძნება სრული ამორტიზაციის პრინციპებს, ე.ი. ლიზინგურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გადასახდელები ვერ ფარავს მოწყობილობათა მთლიან ღირებულებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებაში ხშირად წუთითებენ მეთარენდის უფლებებს არენდის ვადამდე შეწყვეტისა და მოწყობილობების უკან დაბრუნების შესახებ. ასეთი წესი არენდატორისათვის ხელსაყრელია იმიტომ, რომ ის დაზღვეულია ტექნიკის გათვალისწინებული მორალური მოძველებისაგან, ხელშეკრულება იდება 3-5 წლით.

2. ფინანსური ლიზინგი გულისხმობს სპეციალიზებული ლიზინგური კომპანიების მიერ ინვესტიციური საქონლის (ავტომობილები, კომპიუტერები, რთული მოწყობილობები, სპეცტანსაცმელი, თვითმფრინავები) არენდით გაცემას. არენდის ვადა 2-6 წელია. ხელშეკრულების გაუქმება არ შეიძლება ამ ვადის გასვლამდე. ფინანსური ლიზინგი არენდატორისაგან არ მოითხოვს ქონების არა-ნაირ მომსახურებას, კრძალავს არენდის ვადამდე შეწყვეტასა და მთლიანად ამორტიზაციულს წარმოადგენს. ეს საშუალებას იძლევა არენდატორმა იმედი იქონიოს არენდის გადასახდელის მიღებაზე. ფინანსური ლიზინგი სწრაფმოქმედი და მოქნილი ფორმაა, ამასთან არ მოითხოვს მრავალი დოკუმენტის გაფორმებას, წვრილი და

საშუალო ლიზინგური ოპერაციები ხორციელდება ტიპური (სტანდარტული) შეთანხმების საფუძველზე, ხოლო მსხვილი გარიგებების დროს—იღება ინდივიდუალური კონტაქტები. საბანკო კრედიტებისაგან განსხვავებით, ფინანსური ლიზინგი მთლიანი ხარჯების დაფინანსების საშუალებას იძლევა. იგი ხელს უწყობს საკუთარი და ლიკვიდური სახსრების ეკონომიას და ზრდის საწარმოს გადახდისუნარიანობას.

3. უძრავი ქონების ლიზინგი—ეს არის ბანკებთან თანამშრომლობაში განსაზღვრული ფორმების მიერ ისეთი მსხვილი მიზნობრივი ობიექტების შექმნა, როგორცაა ქარხნის საამქროები, მმართველობითი, აპარატის შენობები, დიდი მალაზიები და სხვა. არენდის ვადა 15-20 წელია. ვადის დამთავრების შემდეგ ობიექტები შეიძლება მიეყიდოს მყარანდეს.

ლიზინგურ ოპერაციებს პირველად საფუძველი ჩაეყარა 50-იან წლებში, აშშ-ს ტერიტორიაში და შემდეგ განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში.

ლიზინგი არა თუ გამორიცხავს დაფინანსების ტრადიციულად არსებული ფორმების გამოყენებას, არამედ პირიქით მათ მნიშვნელოვან დამატებად ითვლება. იგი ავსებს და ამდიდრებს საბანკო სტრუქტურებს და საქმიან წრეებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობის ფორმებსა და მეთოდებს წარმოების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ლიზინგის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეარენდეს აძლევს ლიკვიდობის შენარჩუნების, საკუთარი კაპიტალის დაგროვებისა და შეარენდისადმი ფართო მომსახურების გაწევის საშუალებას.

/ ფაქტორინგი (ანუ ფაქტორი) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს შუამავალს. იგი აშშ-ს ტერიტორიაში წარმოიშვა 1930 წელს. ფაქტორინგი წარმოადგენს სავაჭრო-საეკონომიკო ოპერაციების სახესხვაობას, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან. იგი მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირების, საკრედიტო და სავალუტო რისკისაგან დაზღვევის გარანტიას. ფაქტორინგულ ოპერაციებს საფუძველად უძევს ე.წ. "ფაქტორის დისკონტირება", ე.ი. ფაქტორინგული კომპანიის მიერ კლიენტის მოთხოვნების შექმნას, მიწოდებული საქონლის ღირე-

ბულების დაახლოებით 80%-ის დაუყონებლივი გადახდის პირობით და დანარჩენი ნაწილის (გარდა კრედიტზე პროცენტისა) დანიშნულ ვადებში გადახდას, დამოუკიდებლად იმისა, დებიტორებიდან ამონაგები შემოსულია თუ არა.

ფაქტორინგულ ოპერაციებში სამი მონაწილეა: 1. ფაქტორინგული კომპანია; 2. ფაქტორინგული კომპანიის კლიენტები (ანუ თავდაპირველი კრედიტები) და 3. მევალე, რომელიც საქონელს ღებულობს კლიენტისაგან გადახდის გადავადებით (ჩვეულებრივ 120 დღემდე ვადით). ფაქტორინგული კომპანიის კლიენტები, როგორც წესი, არიან სავაჭრო-სამრეწველო კომპანიები, სავაჭრო აგენტები, დილერები და ა.შ.

თავდაპირველად წარმოიშვა კონვენციონური ფაქტორინგი, რომელიც თანამედროვე პირობებში წარმოადგენს კლიენტის ფინანსური მომსახურების უნივერსალურ სისტემას. იგი მოიცავს ბუღალტრულ, ინფორმაციულ, სარეკლამო, გასაღების, სატრანსპორტო, სადაზღვევო; საკრედიტო და იურიდიულ მომსახურებას. კლიენტებს შესასრულებელი რჩებათ მხოლოდ წარმოებრივი ფუნქციები.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომსახურების მაღალმა დონემ და სრული დაქვემდებარების საშიშროების რეალობამ რომ არ დააფრთხოს კლიენტების გარკვეული ნაწილი, კონვენციურ ფაქტორინგთან ერთად პრაქტიკაში შემოღებულია კონფიდენციალური ფაქტორინგიც, რომელიც მხოლოდ ანგარიშფაქტურის აღრიცხვით შემოიფარგლება. კონფიდენციალური ფაქტორინგი გამოიყენება სახსრების მალულ წყაროდ გაყიდვის დაკრედიტებისათვის. ამ ფაქტორინგის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ კლიენტის კონტრაგენტებიდან არცერთისთვის არ არის წინასწარ ცნობილი ფაქტორინგული კომპანიების მიერ მისი გაყიდვის დაკრედიტების შესახებ. ამიტომ ფაქტორინგის კონფიდენციალური ოპერაციების ღირებულება კონვენციურზე მაღალია, ხოლო საბანკო კრედიტზე-კიდევ უფრო მაღალი. ამგვარი სახის ოპერაციებს, როგორც წესი, ანხორციელებს ფინანსური სახლებისა და კომპანიების ტიპის სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებები.

კონტოკორენტული კრედიტი—ეს საბანკო კრედიტის ერთ--ერთი სახეა, რომელიც ეძლევა ბანკის კლიენტებს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მოცულობით./კონტოკორენტი—ეს ერთიანი ანგარიშია, რომელზედაც აღირიცხება კლიენტებთან ბანკის ყველა ოპერაცია. კონტოკორენტულ ანგარიშზე აისახება, ერთი მხრივ, ბანკის სესხები და ყველა გადასახდელი კლიენტის ანგარიშიდან, ხოლო მეორე მხრივ, კლიენტისაგან ბანკში შემოსული ფულადი სახსრები ანაბრების, დაბრუნებული სესხებისა და სხვათა სახით./ბანკის კლიენტებს შორის საქონლის მიწოდება და მიღება იწვევს მათ ურთიერთ მიმდინარე ფულად ვალდებულებებსა და მოთხოვნებს, რომელსაც ბანკი კრედიტის გაცემითა და სახსრების ერთ ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა—გადარიცხვის გზით უფრო რაციონალურს ხდის საგადასახდლო ბრუნვას და ამით მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის აჩქარებს საქონელბრუნვასაც. მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია ისეთი მდგომარეობაც, როცა კლიენტის ვალდებულება დროებით აღემატებოდეს მის მოთხოვნებსა და ანგარიშზე არ ექნეს საჭირო სახსრები ამ განსხვავების დასაფარავად, მაშინ ბანკი უხსნის კლიენტს კონტოკორენტულ ანგარიშს.

არსებობს კონტოკორენტული კრედიტის გამოყენების რამდენიმე ვარიანტი. მაგალითად, კლიენტს შეუძლია მუდმივად გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის მთელი თანხა. კონტოკორენტული კრედიტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვინაიდან კლიენტებს მუდმივად არ აქვს განსხვავება დასაფარავი. კონტოკორენტული კრედიტის ვადა ძირითადად მოკლევადიანია, თუმცა მას ზოგჯერ საშუალო და გრძელვადიანი ხასიათიც აქვს, მისი არც თუ იშვიათად პროლონგირების გამო. მოკლევადიანი კონტოკორენტული კრედიტი გამოიყენება საბრუნავი საშუალების ან მიმდინარე საგადასახდლო ბრუნვის დასაფინანსებლად, მისი საშუალო და გრძელვადიანი კრედიტებად გამოყენება იწვევს საკრედიტო რესურსებით ხანგრძლივი დროით ინვესტიციებში გაყინვას.

კონტოკორენტული კრედიტი გაიცემა როგორც ნაღდი ფულის, ასევე უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით—მაგალითად,

გზაენილების, თამასუქების, ფასიანი ქალაქების ყიდვის ფორმით. კრედიტის გაცემის პირობები შეიძლება დაიყოს დებიტორული პროცენტებად და საკომისიო გადასახდელებად, რაც ნიშნავს პროცენტის თანხას სესხისა საკომისიო გადასახდელების მიხედვით. დებიტორული პროცენტების დარიცხვა ხდება ფაქტიურად გამოყენებული კრედიტიდან. მისი გაანგარიშების საფუძველია ქვეყნის ეროვნული ბანკის ყოველწლიური სადისკონტო-საალრიცხვო განაკვეთი, რომელსაც ემატება ბანკის წანამატი. საკომისიო გადასახდელები განიხილება როგორც სესხის პროცენტზე წანამატი, ხშირად ბანკებს კრედიტის ღირებულებაში ცდილობენ შეიტანონ საკომისიო გადასახდელი.

კონტოკორენტული კრედიტი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს უძრავი ქონების გირაოთი, გარანტიის მიცემით შესაძენ პირისადმი, მსესხებლის უპრეტენზიო გადახდისუნარიანობით. თუმცა უკანასკნელის დროს ბანკი კლიენტისაგან ითხოვს სპეციალური პირობების შესრულებას.

უძრავი ქონების გირავნობაზე გაცემულ კრედიტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბანკო კრედიტებს შორის.

გირაო—ეს არის ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახე. ამ სახის კრედიტები გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და მშენებლობის დასაკრედიტებლად.

უძრავი ქონებაზე გაცემული კრედიტები (დაბრუნების თვალსაზრისით) გარანტირებულ კრედიტად ითვლება, რადგან იგი საიმედოდაა უზრუნველყოფილი დაგირავებული ქონების ღირებულებით და როგორც წესი გრძელვადიანი კრედიტის სახეს ატარებს.

არსებობს საგირავნო სესხის რამდენიმე ფორმა: 1. გირაო, მტკიცე საპროცენტო განაკვეთით; 2. გირაო კორექტირებადი საპროცენტო განაკვეთებით; 3. გირაო ინფლაციაზე კორექტირებადი შენატანებით.

გირაო მტკიცე საპროცენტო განაკვეთის დროს მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიური შენატანების გზით დაფაროს მიღებული სესხი მასზე დარიცხული პროცენტით. მსესხებელს პირველ რიგში აინტერესებს, თუ როგორია ვალის დაფარვისათვის დათქ-

მული პირველი შენატანის მოცულობა და გადასახდელი პროცენტის დონე. ამჟამად პირველი შენატანის ოდენობა შეადგენს მიღებული სესხის 20%-ს. გარდა ამისა, მსესხებელი იხდის გირაოზე გაცემული სესხის ხარჯებსაც, რაც ბანკში სესხის გაფორმებასა და სხვა სახის საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

გირაო კორექტირებადი საპროცენტო განაკვეთით—ეს სესხის ისეთი ფორმაა, როდესაც ჯერ ერთი, გაცემული სესხი უზრუნველყოფილია ქონებით და, მეორე, ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა შესაბამისად ყოველწლიურად პროცენტის დაზუსტება ხდება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის გარიგების გაფორმების დღეს. დაზუსტება მერყობს 2-6%-ის ფარგლებში.

გირაო ინფლაციასზე კორექტირებადი შენატანებით—ეს ისეთი გირაოა, როცა შენატანების დაზუსტება შესაბამისობაში უნდა იყოს ინფლაციის დონის ცვლილებებთან.

გლებური (ფერმერული) მეურნეობის დაკრედიტება. კრედიტის ადგილი და როლი განსაკუთრებულია სოფლის მეურნეობაში. კრედიტის (მოკლევადიანი, გრძელვადიანი კრედიტების) როლი განისაზღვრება რიგი ურთიერთდამაკავშირებელი და ურთიერთგანმაპირობებელი მომენტებით (საკრედიტო რესურსების გამოყენების სპეციფიკურობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან კრედიტის კავშირის თავისებურებანი), რომლებიც გამოხატავენ სოფლად ეკონომიკურ თავისებურებებსა და განვითარების კანონზომიერებებს.

1990 წლიდან სოფლად მოქმედ კოლმეურნეობებთან, მეურნეობებთან და აგროგარიგებებთან ერთად იქმნება მეურნეობის ახალი ფორმები—სასოფლო-სამეურნეო ინდივიდუალური და ჯგუფური იჯარა, კოოპერატივები, გლებური (ფერმერული) მეურნეობები, აგრეთვე შესაბამისი ასოციაციები. მაგალითად, 1995 წლის 1 იანვრის უკანასკნელი 2 წლის მონაცემებით გლებური (ფერმერული) მეურნეობების რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება. მაგრამ, ამასთან ერთად, ფერმერებზე მოწყობის განაწილებასთან, მათ მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არსებული რთული პრობლემები უარყოფით გავლენას ახდენს ახალი, საბაზრო ურთიერთობის შესაბამისი

სტრუქტურების განვითარებაზე.

საბაზრო ურთიერთობის რელსებზე ეკონომიკის გადასვლის პირობებში, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის შექმნისა და განვითარების ხელშეწყობის საქმეში, განსაკუთრებული როლი განეკუთვნება საბანკო სისტემას ამასთან, სესხები გაიცემა როგორც ცენტრალიზებული საკრედიტო რესურსებით, ისე ადგილობრივი სახსრებით. ცენტრალიზებული რესურსები გაიცემა აგრობანკიდან, რომელიც დღეს დამოუკიდებელი კომერციული ბანკია, რომელიც თავს უყრის ადგილებზე საწარმოების, ორგანიზაციების საკრედიტო რესურსებს დაკრედიტების მიზნით.

კითხვა ისმის, როგორია კომერციული ბანკების ურთიერთ-დამოკიდებულება გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებთან?

გლეხური (ფერმერული) მეურნეობისათვის დამახასიათებელია მოქალაქეთა ოჯახური შრომითი გაერთიანება, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამოუკიდებელ მწარმოებლად გვევლინება საკუთრებაში მიღებული მიწის მუდმივ მემკვიდრეობით მფლობელობისა და იჯარის საფუძველზე.

სხვა საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) ანგარიშსწორებისა და ფულადი სახსრების შენახვისათვის გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობას კომერციულ ბანკში ეხსნება ანგარიშსწორების ანგარიში. ამისათვის მან ბანკს უნდა წარუდგინოს: განცხადება ანგარიშის გახსნაზე; მიწის სარგებლობაზე უფლების შესახებ საბუთი; ბარათი ხელმოწერის ნიმუშით, რომლის უტყუერობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსით.

ანგარიშის მფლობელს შეუძლია გასცეს უფლება ანგარიშის განკარგვაზე. გლეხური მეურნეობის ნებისმიერ წევრზე დამოწმებული ნოტარიალური მინდობილობის საფუძველზე. ამასთან, ბანკი გასცემს დროებით ბარათს ამ პირის ხელმოწერის ნიმუშით. ანგარიშის მფლობელის ხელმოწერით, სადაც მითითებულია თარიღი, რეესტრის მინდობილობის ნომერი და მისი მოქმედების ვადა.

მიწის სარგებლობაზე უფლების საბუთის პირველ ეგზემპლარს ბანკის მთავარი ბუღალტერი უკეთებს თავის აღნიშვნას ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის თაობაზე, რომლის შემდეგ იგი

უბრუნდება გლეხურ ფერმერულ მეურნეობას. ამ საბუთის ასლი კი რჩება ბანკს.

გლეხური მეურნეობის საანგარიშსწორებო-საკრედიტო მომსახურეობა ხორციელდება აგრობანკისა და მისი ფილიალების მიერ, აგრეთვე სხვა დამოუკიდებელი კომერციული ბანკების მიერაც, რომლებიც შექმნილია ადგილებზე სააქციო (საპაიო) საფუძველზე. ამ ბანკებს უფლება აქვთ განახორციელონ გლეხური (ფერმერული) მეურნეობების დაკრედიტება ძირითადად საკუთარი და ადგილებზე მობილიზებული რესურსებით. ამავე დროს გაითვალისწინება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის დაბალი დონე მთლიანად ქვეყანაში, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის აღდგენის საწყის პერიოდში, როცა მნიშვნელოვანი ნაქსეხები თანხებია საჭირო კაპიტალური დანახარჯებისათვის, მაგრამ ცალკეული ბანკების ტერიტორიული განლაგება, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას სახსრების მობილიზაციაში, საკრედიტო რესურსებიც არასაკმარისია. ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა, კომერციული ბანკების მიერ გამოიყოფა ცენტრალიზებული საკრედიტო რესურსები. ამ რესურსების ხარჯზე კომერციული ბანკებს შეუძლიათ გასცენ სესხი გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებზე შეღავათიანი პირობებით, როცა სესხებზე დგინდება გაცილებით დაბალი საპროცენტო განაკვეთები, ვიდრე ეს არის საერთო საკრედიტო ბაზარზე.

იმის გამო, რომ ასეთ პირობებში კომერციული ბანკების მთელი ხარჯები გლეხური (ფერმერული) მეურნეობების დაკრედიტებაზე ვერ იფარება შემოსავლებით, ხდება თანხების განსასწავრა შემდგომი კომპენსირებისათვის, ბიუჯეტიდან კომერციულ ბანკებზე გადასაცემად, რათა დაფარულ იქნეს განსხვავება გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებზე ცენტრალიზებული კრედიტის საპროცენტო განაკვეთსა და მიცემულ შეღავათებს შორის.

ამჟამად გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობების შექმნის პროცესი არსებითად ახალი დაწყებულია და, როგორც წესი, გლეხურ-მწარმოებელს უწევს ფერმის, დაზნარე ნაგებობების მშენებლობა, სოფტექნიკის, საკვების, თესლისა და სხვათა შექმნა. ინფლაციის დროს ეკონომიკაში ყველა ამ დანახარჯთა ელემენტებზე

ჩამოყალიბდა მეტად მაღალი ფასები, რომელსაც მუდმივი ზრდის ტენდენცია გააჩნია. ამავე დროს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს დიდი სურვილი აქვთ შექმნან სასაქონლო მეურნეობა, მაგრამ ასეთი დანახარჯებისათვის საკუთარი კაპიტალი საკმარისი რაოდენობით არ გააჩნიათ. ამიტომ ძირითადი და საბრუნავი ფონდების ფორმირებისათვის მეურნეობებს შეუძლიათ მიმართონ კომერციულ ბანკებს.

საკრედიტო ურთიერთობისას ყოველი კომერციული ბანკი მთელ თავის პოლიტიკას გლეხური (ფერმერული) მეურნეობის მიმართ აგებს იმაზე, რომ ეს მეურნეობები დააკრედიტონ სესხის ლიფერენცირებულობის უზრუნველყოფის, დაბრუნებისა და გადახდის პრინციპების დაცვით. ასეთი მეურნეობების დაკრედიტებისას ბანკის ძირითად პრობლემას შეადგენს გაცემული კრედიტის უკან დაბრუნება და მათზე პროცენტის გადახდა. მასთან, გაითვალისწინება სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები (მათ შორის მოგებაც), რომელიც კრედიტების გამოყენების შედეგად სათანადო კაპიტალური ხასიათის ღონისძიებების გატარებიდან არის მიღებული.

მით უფრო, თუ მსესხებელ-მეურნეობას საკუთარი სახსრების დიდი უკმარისობა აქვს მიმდინარე და კაპიტალური დაბანდების დანახარჯების დაფინანსებისათვის, მაშინ ცხადია თავისი საკრედიტო პოლიტიკა უნდა წარმართოს ისე, რომ დააკრედიტოს არა მარტო გლეხური (ფერმერული) მეურნეობის შექმნის პროცესის ცალკეული სტადია და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, არამედ სამუშაოთა მთელი კომპლექსი, და ამით ხელი შეუწყოს მათ ფულადი ხასხრების მთელ წრებრუნვას. ამიტომ, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობის მიმართ სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით დაკრედიტება გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე ცალკეული სტადიებისა და ელემენტების მიხედვით დაკრედიტება.

მოკლევადიანი სესხები გაიცემა საბრუნავი ფონდების ისეთი ობიექტებზე, როგორცაა—თესლი, საკვები, სასუქი, ნავთობპროდუქტები, სათადარიდო ნაწილები, მოზარდი პირუტყვი, აგრეთვე დანახარჯები, რომელიც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში და სხვა. გრძელვადიანი სესხები გაიცემა

ძირითად ფონდების ისეთ ობიექტებზე, როგორცაა—შენობა-ნაგებობების მშენებლობა, სასოფლო-ამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი ძირითადი ჯოგის ფორმირებისათვის, მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, აგრეთვე დანახარჯები, რომელიც კაპიტალური დაბანდების პროცესში ხორციელდება.

წლის განმავლობაში მისაღები მოკლევადიანი სესხები, მათი თანხა და დაფარვის ვადები განისაზღვრება შემოსავალ-გასავლის ნუსხის საფუძველზე, რომელიც დგება ერთი წლით კვარტლების დანაყოფებად. გრძელვადიანი სესხების გაცემის დროს ბანკი გლუხურ (ფერმერულ) მეურნეობიდან ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, სადაც მოცემულ უნდა იყოს დაკრედიტებით განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანშეწონილობა, სავარაუდო, მოგება, გამოსყიდვის გაანგარიშება, მისაღები კრედიტის ოდენობა. ეს მონაცემები ბანკის ერთგვარი გარანტიაა გაცემული კრედიტების თავისდროულად დაბრუნებაზე.

კრედიტის გაცემის დროს, როგორც წესი, ბანკი მსესხებელიდან ითხოვს კრედიტის უზრუნველყოფის ყველაზე იმედიან ფორმას. ამ მხრივ აღსანიშნავია გლუხური (ფერმერული) მეურნეობის ქონება. აქ საკრედიტო ხელშეკრულება იდება ქონების გირაოზე ბანკსა და მეურნეობას შორის. ასეთი ქონება შეიძლება იყოს მოწყობილობები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალება და სხვა. იმის გამო, რომ გლუხური (ფერმერული) მეურნეობები მხოლოდ ეხლა იწყებენ შექმნასა და მუშაობას, ასეთი პირობებისათვის კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს ასოციაციის, საწარმოს, ორგანიზაციის გარანტია. კრედიტის უზრუნველყოფად შეიძლება გამოვიდეს აგრეთვე დაუფარავი კრედიტის დაზღვევის რისკის ხელშეკრულება, ვინაიდან საკრედიტო რისკის დაზღვევა აძვირებს კრედიტს და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებასაც. ასეთი წესი აიძულებს მსესხებელს დაუფარავი დავალიანება მცირე იყოს.

კრედიტის გაცემა, როგორც წესი, ხდება სრულად. მთელი თანხის ოდენობით (ერთჯერადი წესით) და ნაწილ-ნაწილ, დანა-

ხარჯთა ცალკეული ელემენტების მიხედვით. კრედიტის გაცემა ფორმდება ვაღიანი ვალდებულებით. მსესხებელი წარადგენს ვაღიან ვალდებულებას 12 თვემდე ვადაში დაფარვით და დავალიანებით დარჩენილ თანხაზე ნაერთ ვაღიან ვალდებულებას. დაკრედიტების პროცესში მსესხებელი ბანკში წარადგენს ბუღალტრულ ბალანსს და შესაბამის გაანგარიშებას ფინანსური შედეგების მიღებისა და მათი გამოყენების შესახებ. თუ კი გლახური (ფერმერულ-) მეურნეობა სესხს მიიღებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გირაოთი, მაშინ იგი ბანკში წარადგენს ცნობასაც—ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთის შესახებ, რომლის საფუძველზედაც ბანკი ამოწმებს კრედიტის უზრუნველყოფას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთის შემცირების შემთხვევაში უზრუნველყოფის უკმარისობა იფარება მსესხებლის მიერ.

2. უნაღლო ანგარიშსწორების ორგანიზაცია

ფულადი ბრუნვა რომელიც წარმოადგენს ფულად გადახდათა ერთობლიობას, მოიცავს ნაღდ ფულად ბრუნვას და უნაღლო ფულად ბრუნვას. ორივე ბრუნვა ერთმანეთთან ორგანულად ურთიერთკავშირშია და ურთიერთს განაპირობებენ. ცნობილია, რომ სასაქონლო მიმოქცევა ატარებს პირველად, ხოლო ფულადი მიმოქცევა—მეორად ხასიათს. ფულის ბრუნვას გააჩნია ერთიანი ეკონომიკური ბაზა, —წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის სახით. ფულადი ბრუნვის ორივე სფეროს ურთიერთკავშირი და ერთიანობა გამოხატავს ნაღდი ფულის გარდაქმნას უნაღლო ანგარიშსწორებად და პირიქით.

ნაღდი ფულადი ბრუნვა რომელიც მიმოქცევის სფეროშია, ასრულებს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას და გადახდის საშუალების ფუნქციას და გამოიყენება არა მარტო საქონლის წრებრუნვისათვის, არამედ იმ ანგარიშსწორებისათვის, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია მოსახლეობასთან და არა უშუალოდ სასაქონლო რეალიზაციის პროცესთან, მაგალითად, ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების გაცემასთან, გადასახადების გადახდასთან, სადაზღვევო პოლისების დაფარვასთან და ა.შ.

უნაღლო ფულადი ბრუნვა რომელიც გამოხატავს უნაღლო ანგარიშსწორებას, წარმოადგენს ფულადი გადასახდელბის

ანგარიშსწორებებს ბანკში—თანხების გადარიცხვით გადამხდელის ანგარიშიდან მიღების ანგარიშზე, ანდა ურთიერთმოთხოვნების ჩათვლების გზით, ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე.

ფულადი ანგარიშსწორების ძირითად სახეს წარმოადგენს უნაღლო ანგარიშსწორება, რომელიც გამოიყენება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროშიც. ყოველგვარი სახის უნაღლო ანგარიშსწორება ტარდება საბანკო სისტემის მიერ, ან მისი უშუალო კონტროლით.

დიდია უნაღლო ანგარიშსწორების მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო ბრუნვაში. უნაღლო ანგარიშსწორება ხელს უწყობს:

საწარმოებს (ორგანიზაციებს) შორის ურთიერთობებს რეალიზებული პროდუქციის, შესრულებული და გაწეული მომსახურეობის გადახდასთან დაკავშირებით;

საფინანსო სისტემაში—ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადაანწილებას;

საკრედიტო სისტემაში—საბანკო კრედიტების გაცემა-დაბრუნებასა და სასესხო პროცენტის გადახდას;

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების გადახდებსა და გამოყენებას.

უნაღლო ანგარიშსწორებას ადგილი აქვს აგრეთვე საფინანსო და საბანკო ორგანოებს შორის ურთიერთობების დროს.

უნაღლო ანგარიშსწორების განვითარება მნიშვნელოვნად ამცირებს მიმოქცევისათვის საჭირო ნაღდი ფულის რაოდენობას, აჩქარებს ფულადი სახსრების ბრუნვას და ამცირებს მიმოქცევის ხარჯებს. რაც უფრო ფართოდ გამოიყენება ანგარიშსწორება, მით უფრო ნაკლებია მოთხოვნა ნაღდ. ფულზე და უფრო ადვილია ფულის მიმოქცევის სწორი ორგანიზაცია.

უნაღლო ანგარიშსწორების სისტემამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ხელი შეუწყოს საქონლის რეალიზაციას და რეალიზებული საქონლიდან და გაწეული მომსახურეობიდან ფულის დროულად მიღებას;

არ დაუშვას გადახდა პროდუქციის შექენამდე და მომსახურეობის გაწევამდე;

უზრუნველყოს ფულადი სახსრების დროულად გადარიცხვა საფინანსო, საკრედიტო, სადაზღვეო და სხვა ვალდებულებებით;

შექმნას პირობები საქონლის მიწოდებასა და მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების, შეთანხმებისა და საგადაამხდლო დისციპლინის შექმნის კონტროლისათვის.

უნაღლო ანგარიშსწორება, რომელიც განსაზღვრული ორგანიზაციული სისტემით არის ჩამოყალიბებული, გულისხმობს ანგარიშსწორების პრინციპებს გადახდების წესებს, მათ წყაროებსა და რიგისობას, ანგარიშსწორების ფორმებსა და სახეებს, რომლებთანაც დაკავშირებულია სხვადასხვა საგადაამხდლო საბუთები, აგრეთვე მეურნეობის განსაზღვრული კონტროლი, პირობები და მათ მიმართ ორგანიზაციული მოთხოვნები.

მეურნეობის საბაზრო ურთიერთობების პირობებში უნაღლო ანგარიშსწორებას ახასიათებს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. უნაღლო ანგარიშსწორება ხორციელდება საბანკო სისტემით, რომელიც საწარმოებს (ორგანიზაციებს) უხსნიან ანგარიშებს ფულადი სახსრების შენახვისა და გადარიცხვისათვის.

ამ პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემით განხორციელებული უნაღლო ანგარიშსწორება განპირობებული უნდა იყოს საწარმოების (ორგანიზაციების) საქმიანობის ეკონომიკური მიზანშეწონილობით, ეკონომიკური დამოუკიდებლობითა და დაინტერესებულობით. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ პრინციპს კავშირი აქვს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებთან.

2. ანგარიშსწორებიდან გადახდები ხორციელდება ბანკების მიერ მათი მფლობელების (საწარმოები და ორგანიზაციები) თანხმობით, მათთვის დაწესებული გადახდების რიგისობით და ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებით, ამ პრინციპის დროს ანგარიშებზე გადახდათა რიგისობას თვით საწარმოები (ორგანიზაციები) განსაზღვრავენ, ხოლო კომერციული ბანკები კი ამ საწარმოებიდან ითხოვენ უნაღლო ანგარიშსწორება განხორციელდეს მათ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ფარგლებში.

3. საწარმოებს (ორგანიზაციებს) უფლება აქვთ თვითონ აირ-

ჩიონ უნაღლო ანგარიშსწორების ესა თუ ის ფორმა, ეს პრინციპი აგებულია საწარმოების (ორგანიზაციების) ეკონომიკური დამოუკიდებლობის ინტერესების დაცვაზე ისე, რომ ბანკი არ ერეოდეს მათ სამეურნეო საქმიანობაში, იგი მხოლოდ შუამავლის როლში უნდა გამოდიოდეს.

4. უნაღლო ანგარიშსწორება ხორციელდება წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ ვადებში, აქ იგულისხმება ის ვადები, რომელიც გამომდინარეობს სამეურნეო, საკრედიტო, სადაზღვევო, საიჭარო ხელშეკრულებებიდან, აგრეთვე შრომით შეთანხმებებიდან. ამ პრინციპის ეკონომიკური შინაარსი განპირობებულია არა იმდენად ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვით, რამდენიც ხელშეკრულებით დადგენილი ვადების მკაცრად დაცვაზე.

გადახდას ღიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი დამთავრებული სტადიაა უნაღლო ანგარიშსწორებაში. გადახდას თავისი პრინციპები გააჩნია, მაგალითად:

ა) გადახდა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო ოპერაციების დაწყებამდე;

ბ) გადახდა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო ოპერაციების დამთავრების შემდეგ;

გ) გადახდა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო ოპერაციების შემდეგ გარკვეულ ვადაში (სავალო ვალდებულების გაფორმების გარეშე ანდა თამასუქების გამოყენებით);

დ) გადახდები, რომელიც არსებობს ვადამდე, განვადებული და ვადაგადაცილებული.

5. გადახდების უზრუნველყოფა, ეს პრინციპი მჭიდრო კავშირშია გადახდის ვადიანობის პრინციპთან. ანსხვავებენ ოპერატიულ და პერსპექტიულ უზრუნველყოფას. პირველს განაპირობებს გადახდის საემარისი ფულადი სახსრები, აგრეთვე ამ სახსრების ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც ვალდებულების თავისდროული დაფარვის გარანტიას იძლევა. მეორე (პერსპექტიული) უზრუნველყოფა მოითხოვს გადახდის უნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შეფასებას სამეურნეო კავშირების დროს. გადახდის უზრუნველყოფის პრინციპი ქმნის გადახდის გარანტიას, ხელს

უწყობს საგადაშხდლო დისციპლინის განმტკიცებას, კრედიტუნარიანობასა და გადახდისუნარიანობას.

ანგარიშსწორების ყველა პრინციპი ურთიერთ-მჭიდრო კავშირში არიან და ურთიერთს განაპირობებენ. ერთის შეუსრულებლობა იწვევს მეორის შეუსრულებლობას.

უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციები თავის გამოსახულებას პოულობს ანგარიშსწორების ანგარიშზე, მიმდინარე ანგარიშზე და სხვა ანგარიშზე. საწარმოს (ორგანიზაციას) ეხსნება მხოლოდ ერთი ანგარიში—ანგარიშსწორების ანგარიში ან მიმდინარე ანგარიში.

ანგარიშსწორების ანგარიში—ეს არის ისეთი ანგარიში, რომელიც ეხსნება ბანკის მიერ კომერციული ანგარიშსწორების პრინციპებზე მომუშავე და იურიდიული სტატუსის მქონე საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ამ ანგარიშის მფლობელი, რომელიც დამოუკიდებელი ბალანსის მქონე იურიდიული პირია, მასზე არსებული ფულადი სახსრების ჭანკარგვის უფლებით სარგებლობს, დამოუკიდებლად იხდის გადასახადს ბიუჯეტში, დამოუკიდებელია ბანკთან საკრედიტო ურთიერთობაში და საერთოდ გააჩნია ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობა.

მიმდინარე ანგარიში—ეხსნება საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც არ ეწევიან კომერციულ საქმიანობას და არც იურიდიული პირის სტატუსი აქვთ. ასეთებს მიეკუთვნებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ფინანსდებიან რესპუბლიკური სახელმწიფო ბიუჯეტითა და ადგილობრივი ბიუჯეტებით.

/ იმისათვის რომ საწარმომ (ორგანიზაციამ) გახსნას ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის შესახებ; საბუთი სახელმწიფოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის შესახებ; საწარმოს შექმნის შესახებ სადამფუძნებლო ხელშეკრულების ასლი;

წესდების ასლი;

საბუთი საწარმოს (ორგანიზაციის) დირექტორის უფლებამოსილების დამტკიცების შესახებ;

საბუთი საწარმოს (ორგანიზაციის) მთავარი ბუღალტრის უფლებამოსილების დამტკიცების შესახებ;

ბარათი (ორი ცალი) საწარმოს (ორგანიზაციის) პირველი თანამდებობის პირის ხელმოწერის ნიმუშით;

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საწარმოს (ორგანიზაციის) აღრიცხვაზე აჯანის შესახებ;

ცნობა საპენსიო ფონდში საწარმოს (ორგანიზაციის) აღრიცხვაზე აჯანის შესახებ;

სტატისტიკური ორგანიზაციების სარეგისტრაციო ბარათი. /

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთი ბარდება ან მთავარ იურისკონსულტს ანდა ბანკის მთავარ ბუღალტერს. საბუთების შემოწმების შემდეგ ბანკი საწარმოს (ორგანიზაციას) უხსნის ანგარიშსწორებას ანგარიშს. ამას თან ერთვის საწარმოსა (ორგანიზაციის) და ბანკს შორის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ბანკი ღებულობს ვალდებულებას თავისდროულ საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებაზე. მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რაც დაკავშირებულია ანგარიშსწორების გატარებასთან, ფულადი და საანგარიშსწორებო საჩეკო წიგნაკის გაცემასთან, საფოსტო-სატელეგრაფო მომსახურებასთან, საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშსწორების ანგარიშზე შემოსული ფულადი სახსრების იმედიან შენახვასა და საწარმოს (ორგანიზაციის) მოთხოვნისამებრ მის გაცემასთან, საწარმოს (ორგანიზაციის) კომერციული საიდუმლოების შენახვასთან და ა.შ. საწარმო (ორგანიზაცია) თავის მხრივ ვალდებულებას ღებულობს: დაიცვას მოქმედ საკანონმდებლო აქტებში მოცემული მოთხოვნები; დაიცვას საანგარიშსწორებო-საკასო ოპერაციების წესები; საკუთარი ფულადი სახსრები შეინახოს მხოლოდ ანგარიშებზე; დადგენილ ვადებში წარუდგინოს ბანკს ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგებანი და სხვა.

საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების ხელშეკრულებაში გაითვალისწინება ორივე მხარის პასუხისმგებლობა აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. მაგალითად, ბანკი თავისთავზე ღებულობს პასუხისმგებლობას რომ თავის დროზე და სწორად

იქნება ჩამოწერილი თანხები. საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშიდან და ასევე თავის დროზე და სწორად იქნება იგი ჩარიცხული დანიშნულებისამებრ. საწარმო (ორგანიზაცია) თავის მხრივ ღუბულობს ვალდებულია: ყველა საბუთი, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშის გახსნასთან, შედგენილ იქნეს სწორად და თავის დროზე იქნეს წარდგენილი ბანკში; დროულად წარადგინოს მონაცემები საკასო პროგნოზირების შესახებ; მასზე გაწეული მომსახურების გადახდის ვადები არ დაირღვევა და ა.შ.

ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია ორივე მხარის ჯარიმების ოდენობა, აგრეთვე გათვალისწინებულია სადაო საკითხების გადაჭრის, ხელშეკრულების ვადისა და განსაკუთრებული (ანდა დამატებითი) პირობების წესები.

რიგ შემთხვევებში ბანკს შეუძლია გააბდეს მოცემული საწარმოს (ორგანიზაციის) აქციონერი ან მეპაიე და წინააღმდეგა მისცეს მას თავისუფალი სახსრების ბანკში მოთავსებაზე.

ა) ბანკთაშორისო ანგარიშსწორება

დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები, რომელიც კომერციულ ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს გააჩნიათ, წარმოებს მათი მოზიდვა და მოთავსება ბანკებს შორის ბანკთაშორისო სადებოზიტო ანგარიშებზე მოკლე ვადით. დებოზიტების ყველაზე უფრო გავრცელებული ვადებია—13 და 6 თვე, ხოლო ზღვრული ვადებია—1 დან 2 წლამდე, ზოგჯერ 5 წლამდეც კი.

ბანკები ბანკთაშორისო სახსრებს იყენებენ არა მარტო მოკლევადიანი, არამედ საშუალო და გრძელვადიანი აქტიური ოპერაციებისათვის, ბალანსების რეგულირებისათვის, სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნების შესრულებისათვის საპროცენტო განაკვეთების ოდენობის დადგენისას გაითვალისწინება ბანკის ხარჯები, მიწოდება-მოთხოვნას შორის შესაბამისობა და სხვა ფაქტორები.

ბანკთაშორისო ანგარიშსწორება დიდ როლს ასრულებს დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრების ფუნქციონირებისა და ფულად-საკრედიტო და სავალუტო სფეროს მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ცალკეული ქვეყნების ბანკთაშორისო ოპერაციებზე კონტროლს ანხორციელებს შესაბამისი სავალუტო და ფულად-საკრედიტო რეგულირების შესაბამისი ორგანოები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელიც კომერციული ბანკების ქსელის განვითარებით ხასიათდება, შემოღებული იქნა ბანკთაშორისო ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. მანამდე ასეთი ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ბანკთაშორისო ფილიალების ბრუნვის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფდა ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს შორის გატარებულ ანგარიშსწორებას. ამ ანგარიშსწორებაში ჩართული იყო აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი, სსრ კავშირის მშენებლობის ბანკი და სსრ კავშირის სახელმწიფო შემნახველი სალარო.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში ამჟამად არსებობს ბანკთაშორისო ანგარიშსწორების ორი ფორმა:

1. დეცენტრალიზებული ბანკთაშორისო ანგარიშსწორება, რომელიც ემყარება კომერციულ ბანკებს შორის საკორესპოდენტო ანგარიშებზე ურთიერთობას, და მეორე, — ცენტრალიზებული ბანკთაშორისო ანგარიშსწორება, რომელიც ემყარება ცენტრალური კომერციული ბანკის მიერ გახსნილ საკორესპოდენტო ანგარიშზე ბანკებს შორის ურთიერთობას.

საკორესპოდენტო ანგარიშების მეშვეობით კომერციული ბანკები ატარებენ მრავალ სხვადასხვა ოპერაციას, რომელიც დაკავშირებულია საწარმოების (ორგანიზაციების) მომსახურებასთან. საკორესპოდენტო ანგარიში, რომელიც ეხსნება ბანკებს, წარმოადგენს თავისებურ ანგარიშსწორების ანგარიშს და მასზე ინახება არა მარტო კომერციული ბანკების საკუთარი ფულადი სახსრები, არამედ სხვა საკრედიტო დაწესებულებებისა და საწარმოების (ორგანიზაციების) დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებიც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახსრების გამოყენება ხდება საკორესპოდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრების ნაშთის ფარგლებში. ასეთი წესი განაპირობებს კომერციული ბანკების პასუხისმგებლობის დონის ამალღებას ფულადი სახსრების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

ბ) უნაღლო ანგარიშსწორებას ფორმები

უნაღლო ანგარიშსწორება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით,

აქედან ყოველ ფორმას თავისი სპეციფიკური თავისებურება გააჩნია საანგარიშსწორებო საბუთბრუნვის ხასიათისა და მოძრაობიდან გამომდინარე. ანგარიშსწორების ფორმის სწორი შერჩევა ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენების საწინდარია.

უნაღლო ანგარიშსწორება შეიძლება იყოს საწარმოების სფეროში (სასაქონლო ოპერაციები), ე.ი. გადაგზავნილ საქონელზე, შესრულებულ სამუშაოზე, გაწეულ მომსახურებაზე წარმოებული გადახდები და არასაწარმოო სფეროში (არასასაქონლო ოპერაციები), ე.ი. საწარმოების (ორგანიზაციების) ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის, საკრედიტო დაწესებულებების, ჯანმრთელობის, სასამართლოს, არბიტრაჟის და ა.შ. ორგანიზაციებთან.

ანგარიშსწორება შეიძლება იყოს ერთჯალაქური და სხვაჯალაქური. უნაღლო ანგარიშსწორება ერთჯალაქურია, როდესაც საწარმოები (ორგანიზაციები) და მათი მომსახურე ბანკები იმყოფებიან ერთ ქალაქში, ხოლო ანგარიშსწორება სხვაჯალაქურია, როდესაც საწარმოები (ორგანიზაციები) და მათი მომსახურე ბანკები სხვადასხვა ქალაქში იმყოფებიან.

თანამედროვე პირობებში გამოიყენება უნაღლო ანგარიშსწორების შემდეგი ფორმები: საგადამხდელო დავალება; საგადამხდელო მოთხოვნა-დავალება, ჩეკები; აკრედიტივი.

საგადამხდელო დავალებით ანგარიშსწორება

უნაღლო ანგარიშსწორების ამ ფორმის დროს გადამხდელი იძლევა წერილობით განკარგულებას მისი ანგარიშიდან (საანგარიშსწორებო, მიმდინარე, საბიუჯეტო სასესხო) ფულადი სახსრების მიმღების-საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშზე განსაზღვრული თანხის გადარიცხვის შესახებ.

საგადამხდელო დავალებებით ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც სასაქონლო (მომსახურეობის), ისე არასასაქონლო ოპერაციების სახით.

საგადამხდელო დავალების გამოწერას ახდენს გადამხდელი.

საქონლისა და მომსახურეობაზე ანგარიშსწორებაში საგადამხდელო დავალება გამოიყენება:

საქონლის მიღებაზე (გაწეულ მომსახურეობაზე),—თუ დავა-

ლებაში მითითებულია საქონლის ტრანსპორტირების საბუთის ნომერი და თარიღი, რომელიც ადასტურებს საქონლის (მომსახურეობის) მიღებას;

წინასწარი წესით გადახდის დროს,—თუ დავალებაში მითითებულია ხელშეკრულების, შეთანხმების ან კონტრაქტის ნომერი, სადაც გათვალისწინებულია წინასწარი გადახდა;

სასაქონლო ოპერაციებზე კრედიტორული დავალიანების დაფარვისათვის;

სასამართლოსა და არბიტრაჟის გადაწყვეტილებით საქონელსა და მომსახურეობაზე ანგარიშსწორების დროს;

შენობის არენდის გადახდის დროს;

სატრანსპორტო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო საწარმოების საექსპლუატაციო მომსახურეობის გადახდებისათვის.

არასასაქონლო ოპერაციებზე უნაღრო ანგარიშსწორების დროს საგადამხდელო დავალება გამოიყენება;

ბიუჯეტში გადასახდელად;

საბანკო სესხებისა და პროცენტების დასაფარავად;

სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ორგანოებზე თანხების გადასარიცხავად;

საწესდებო ფონდში სახსრების შენატანებისათვის;

აქციების, ობლიგაციების, სადეპოზიტო სერთიფიკატების, საბანკო თამასუქების შექენისათვის;

საურავის, ჯარიმების გადასახდელად.

✓ საგადამხდელო დავალიანება როგორც წესი, გადამხდელის მიერ 4 ეგზემპლარად გამოიწერება. აქედან პირველ ეგზემპლიარს გადამხდელის მომსახურე ბანკი იყენებს გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერისათვის. მე-2 და მე-3 ეგზემპლიარები— გადაიგზავნება მიმღების ბანკში, სადაც მე-2 ეგზემპლიარი გამოიყენება მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის დასადასტურებლად, ხოლო მე-3 ეგზემპლიარს თანდაერთვება მიმღების ანგარიშიდან ამონაწერი და იგი ითვლება საბანკო ოპერაციის გატარების დამადასტურებელ მოწმობად. მე-4 ეგზემპლიარი, როგორც წესი, ბანკის ბეჭედის დასმით უბრუნდება გადამხდელს საგადამხდელო დავალების შესრულების დასამოწმებლად.

საგადამხდლო დავალება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე სათანადო სახსრები არსებობს. გადახდა შეიძლება ბანკის სესხებითაც. მაგრამ საწარმოს (ორგანიზაციას) ამის უფლება უნდა გააჩნდეს, საგადამხდლო დავალების ვადა 10 დღეა. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელსა და თანხის მიმღებს შორის საქონლის მიწოდებას ან მომსახურეობის გაწევას მუდმივი და თანაბარი ხასიათი აქვს მაშინ საგადამხდლო დავალებით ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს გეგმური გადახდების წესით. ამ დროს უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება არა ყოველი ცალკეული საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე ან მომსახურეობის გაწევაზე, არამედ მყიდველის ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე სახსრების პერიოდული ჩარიცხვით. ეს იგივე გეგმური ანგარიშსწორებაა, ვინაიდან საქონლის მოწოდებასა და მომსახურეობაზე კრედიტის ვადებს, აგრეთვე გადასახდელ თანხას, წინასწარ გეგმის საფუძველზე ითვალისწინებენ მომავალი დამდეგი თვისა და კვარტლის მიხედვით. გეგმური ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს სავაჭრო და მათ მიმწოდებელ ორგანიზაციებს შორის. ასეთი გადახდები ანგარიშსწორების საუკეთესო ფორმაა, ვინაიდან ჯერ ერთი, ამას საფუძვლად უდევს საქონლის მიწოდებისა და მომსახურეობის გაწევის ანაზღაურების ურთიერთმემხედრი მოძრაობა, მეორე, იგი აჩქარებს ანგარიშსწორებას, მესამე, მნიშვნელოვნად ამცირებს ურთიერთდებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, მეოთხე, ამარტივებს ანგარიშსწორების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს და საშუალებას იძლევა საწარმოებმა (ორგანიზაციებმა) წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი შესაძლებლობები ურთიერთგადახდების დროს. -

გეგმურ გადახდებს ადგილი აქვს როგორც ერთქალაქური, ისე სხვაქალაქური ანგარიშსწორების დროს. ყოველი გეგმური გადახდა და მისი ვადები მხარეების მიერ, წინასწარ არის განსაზღვრული თვისა და კვარტლის მანძილზე ხელშეკრულებიდან გადახრების აღმოფხვრისათვის. მხარეები მოვალენი არიან თვეში ერთხელ გადაამოწმონ ფაქტიური ურთიერთგაანგარიშება და აქედან გამომდინარე მათ ცალკე წარუდგინონ ბანკს საგადამხდლო დავალება, რომლის საფუძველზედაც შესაბამისად ჩამოეწერებათ განსაზღ-

ერული თანხა განსხვავების დასაფარავად. თუ კი გადამხდელს არ აღმოაჩნდება თანხა ანგარიშზე, მაშინ ამისათვის შეიძლება მას მიეცეს სესხი.

ანგარიშსწორება მოთხოვნა — დავალებით

ანგარიშსწორების ეს ფორმა არის მიმწოდებლის მოთხოვნა გადამხდელისადმი გადაუხადოს მას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის, შესრულებულ სამუშაოსა და გაწეული მომსახურების საფასური შესაბამისი სასაქონლო საბუთების საფუძველზე. მოთხოვნა-დავალება, რომელიც მიმწოდებლის საანგარიშსწორებო საბუთითა გამოიწერება მის მიერ 3-ეგზემპლიარად და ეგზავნება მყიდველის მომსახურე ბანკს მისი განაღდებას მიზნით, შესაძლებელია მოთხოვნა-დავალება მიიღოს ინკასოზე მიმწოდებლის მომსახურე ბანკმაც.

ინკასო—ეს არის ბანკის მიერ საანგარიშსწორებო საბუთების საფუძველზე, კლიენტის დავალებით, მასზე რიცხული ფულადი სახსრების მიღება სხვა საწარმოებიდან (ორგანიზაციებიდან) მათთვის გაგზავნილი საქონლისა და გაწეული მომსახურებისათვის. სახსრების ჩარიცხვა ბანკში მიმწოდებლის ანგარიშზე ხდება საინკასო ოპერაციებითა გადამხდელის ანგარიშიდან მისი ჩამოწერის შემდეგ.

საანგარიშსწორებო საბუთების განაღდება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მყიდველის თანხმობით (აქცეპტით). აქცეპტი—ეს არის თანხმობა საანგარიშსწორებო საბუთების განაღდებაზე. ანგარიშსწორების ამ ფორმის დროს მიმწოდებელი (ან სამუშაოს შემსრულებელი) მყიდველისადმი გამოწერილ საგადამხდელო მოთხოვნას წარუდგენს ბანკს, რათა ჩარიცხოს მის ანგარიშზე კუთვნილი ფულადი სახსრები. ფულის მიღებამდე ბანკი აკრედიტებს შემსრულებელს, მიმწოდებელს.

აქცეპტი არის დადებითი და უარყოფითი, წინასწარი და შემდგომი, სრული და ნაწილობრივი.

დადებითი აქცეპტი ითვალისწინებს მყიდველის წერილობით თანხმობას მიმწოდებლის თითოეულ საგადამხდელო მოთხოვნის გადახდაზე. უარყოფითი აქცეპტის დროს საგადამხდელო მოთხოვნა ითვლება აქცეპტორულად თუ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში

მყიდველი უარს არ იტყვის გადახდაზე.

წინასწარი აქცეპტი—ეს არის მიმწოდებლის მოთხოვნაზე გადამხდელის თანხმობა მისი ანგარიშიდან ფულის ჩამოწერამდე. აქვე გაითვალისწინება აქცეპტის ვადაც, მაგალითად, თუ გადამხდელმა უარი არ თქვა გადახდაზე სამი სამუშაო დღის მანძილზე/ (ამ ვადაში არ შედის საანგარიშსწორებო საბუთების შემოსავლის დღე ბანკში, აგრეთვე არა სამუშაო დღეები), საბუთების ანაზღაურება უნდა მოხდეს მეორე დღეს აქცეპტის ვადის გასვლამდე. შემდგომი აქცეპტი ითვალისწინებს საანგარიშსწორებო საბუთების ბანკში მიღებისთანავე განაღდებას,—ბანკის საოპერაციო წლის დამთავრებამდე. თუ კი 80-იან წლებამდე პრაქტიკაში უმთავრესად გამოიყენებოდა შემდგომი ხასიათის უარყოფითი აქცეპტი, 1991-1992 წლებიდან კერძო საწარმოებისა და კომერციული ბანკების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში, აქცეპტის ძირითად ფორმად გვევლინება წინასწარი ხასიათის უარყოფითი აქცეპტი.

არსებობს აქცეპტზე უარის თქმის სხვადასხვა მოტივი, მათ შორის აღსანიშნავია: ისეთი საქონლის (მომსახურების) მიღება, რომელიც არ იყო შეკვეთილი; უსაქონლო საანგარიშსწორებო საბუთების მიღება; უკვე განაღდებულ საქონელზე (მომსახურებაზე) საანგარიშსწორებო საბუთების მიღება; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასების დამახინჯება, აგრეთვე სხვა ხასიათის მოტივები, რომელიც დაკავშირებულია მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შეუსრულებლობასა და დარღვევებთან. ცხადია, უარის თქმის მოტივირება დასაბუთებული უნდა იყოს. საგადამხდელო მოთხოვნა—დავალების აქცეპტისათვის გამოყოფილია 3—სამუშაო დღე. ამ ვადის გასვლამდე თანხმობის შემთხვევაში საგადამხდელო დავალებზე, რომელიც 3—ეგზემპლიარად გამოიწერება, ფორმდება ხელმოწერა ბეჭედის დასმით და იგი ჩაბარდება მათ მომსახურე ბანკებს, აქედან პირველი ეგზემპლიარი ემსახურება საგადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერას, მეორე ეგზემპლიარი გადაეგზავნება მიმწოდებლის მომსახურე ბანკს, სადაც იგი უნდა ჩაირიცხოს, ხოლო მესამე ეგზემპლიარი უბრუნდება საგადამხდელს, როგორც მოწმობა იმისა, რომ მან ნამდვილად გადაიხდა შესა-

ბამისი თანხა მომწოდებლის ანგარიშზე.

საგადამხდლო მოთხოვნა-დავლების გადახდაზე სრული ან ნაწილობრივი უარის შემთხვევაში, გადამხდელი აფორმებს თანმხლებ წერილს აქცეპტზე უარის თქმის მოტივირების შესახებ. აქცეპტზე ნაწილობრივი უარის შემთხვევაში, საგადამხდლო მოთხოვნა-დავალიანებასთან ერთად თანმხლები წერილი გადაეცემა მიმწოდებლის მომსახურე ბანკს, ხოლო სრული უარის შემთხვევაში—ზემოთ აღნიშნული საბუთები უბრუნდება უშუალოდ მიმწოდებელს მისი მომსახურე ბანკის გვერდის ავლით.

საგადამხდლო მოთხოვნა-დავლებით ანგარიშსწორებას დროს დაცულია როგორც მიმწოდებლის, ისე გადამხდელის (მყიდველის) სამეურნეო-საფინანსო ინტერესები და ხელს უწყობს მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას.

ჩეკებით ანგარიშსწორება

ჩეკი—ეს არის ბანკის ანგარიშზე ფულის მფლობელის წერილობითი განკარგულება ბანკისადმი. მისი ანგარიშიდან განსაზღვრული ფულადი თანხის გაცემის ან გადარიცხვის შესახებ.

ჩეკი ორი სახისაა: ფულადი ჩეკი და საანგარიშსწორებო ჩეკი.

ჩეკი, რომელიც გამოიყენება ბანკიდან ნაღდი ფულის გასაცემად, ეწოდება ფულადი ჩეკი, ხოლო ჩეკი, რომელიც გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორებისათვის, ეწოდება საანგარიშსწორებო ჩეკი.

საანგარიშსწორებო ჩეკი ფორმდება გადამხდელის მიერ. ჩეკის განაღდების გარანტირებას უზრუნველყოფს ბანკი. ამით ბანკი თავისი სახსრებით უზრუნველყოფს იმ ჩეკის გამცემს, რომელსაც დროებით არ გააჩნია ფულადი სახსრები თავის ანგარიშზე.

საანგარიშსწორებო ჩეკის მისაღებად კლიენტი მიმართავს თავის მომსახურე კომერციულ ბანკს განცხადებით, სადაც საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის ან მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით და ბეჭედის დასმით მითითებულია ჩეკის რაოდენობა და ჩეკებით ანგარიშსწორებისათვის. საჭირო თანხა, ამის საფუძველზე განისაზღვრება ერთი ჩეკის ლიმიტი. განცხადებასთან ერთად კლიენტი ბანკში წარადგენს განცხადებული თანხის გადარიცხვაზე საგადამხდლო დავლებას. მხოლოდ ამ თანხების დეპონირების

შემდეგ შეუძლია კლიენტს ჩეკების მიღება. კომერციული ბანკი ვიდრე კლიენტზე გასცემდეს ჩეკს, ახდენს მის გაფორმებას სათანადო მონაცემების მიხედვით, მაგალითად, ყურადღებას აქცევს ბანკი გადახდელისა და ჩეკის გამცემის დასახელებას, მათ ნომრებს, ადგილსამყოფელს, ჩეკის გაცემის პირად ანგარიშს, აგრეთვე ზღვრულ თანხას, რომლის მიხედვითაც უნდა გაიცეს ჩეკი.

ჩეკთან ერთად ბანკი კლიენტს აძლევს საჩეკო ბარათს. ჩეკის რეკვიზიტებია: ბანკი-გადახდელის დასახელება, საჩეკო ბარათის სახელი და მისი ნომერი, ჩეკის გამცემის დასახელება, მისი ხელმოწერის ნიმუში და პირადი ანგარიშის ნომერი. ამასთან, ჩეკში აღნიშნულია, რომ ჩეკის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ლიმიტის თანხას, ჩეკის გამცემის ხელმოწერა ჩეკზე და საჩეკო ბარათზე ერთნაირი უნდა იყოს, ჩეკისა და ბარათის ნომრებიც ასევე ერთიდაიგივე უნდა იყოს, ჩეკი წარდგენილ უნდა იქნეს ბანკში მისი გამოწერიდან 10 დღის ვადაში.

ჩეკი განაღდება უნდა იქნეს სრული თანხით, რომელზედაც იგი გამოწერილია. თუ ჩეკი გამოწერილია სრულად, საჩეკო ბარათი დაბრუნებულიც უნდა იქნეს ბანკში მისი განადგურების მიზნით.

საანგარიშსწორებო ჩეკის გამოყენების შინაარსი შემდეგია:

ჩეკის მფლობელი საქონლის შეძენის, შესრულებული სამუშაოსა და მომსახურეობის გაწევის დროს გამოწერს საანგარიშსწორებო ჩეკს შემდეგი მონაცემებით: თანხა, თანხის მიმღების დასახელება, ჩეკის გამოწერის ადგილი და გადახდის თარიღი, ჩამოწერილი ჩეკი მოწმდება ჩეკის გამცემის ხელმოწერით. საწარმო (ორგანიზაცია), რომელიც გასანაღდებად ლეზულობს საანგარიშსწორებო ჩეკს, უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ჩეკის თანხა არ აღემატება ლიმიტს, ჩეკის გაცემის ნომერი შეესაბამება თუ არა საჩეკო ბარათზე აღნიშნულს, ჩეკზე ხელმოწერა იგივეა თუ არა, რაც საჩეკო ბარათზეა და ა.შ. ბანკში ჩეკის წარდგენის ვადა 10 კალენდარული დღეა. ჩეკის გამცემი ჩეკს აბარებს ბანკს. სახსრების ჩარიცხვა ხდება ჩეკის ხელშეკრის ანგარიშზე მისი მომსახურე ბანკის მიერ მხოლოდ გამცემიდან სახსრების გადარიცხვის შემდეგ.

ამჟამად პრაქტიკაში გამოიყენება ანგარიშსწორება ლიმიტირე-

ბული საჩეკო წიგნიდან, რომელშიც აკინძულია ჩეკები 10, 20, 25 ან 50 ცალის რაოდენობით და შეიძლება გამოწერილ იქნეს საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ საერთო თანხით, არა უმეტეს საჩეკო წიგნაკის თანხისა. საჩეკო წიგნაკის თანხა წინასწარ დეპონირებულია ცალკე ანგარიშზე მის მომსახურე ბანკში.

აკრედიტივებით ანგარიშსწორება

აკრედიტივი არის საწარმოებს (ორგანიზაციებს) შორის უნაღლო ანგარიშსწორების ფორმა, როდესაც მყიდველის მომსახურე ბანკი ავალებს მიმწოდებლის მომსახურე ბანკს გადაუხადოს მიმწოდებელს სპეციალურად დაჯავშნული სახსრებიდან საქონლის მიწოდების, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურეობისათვის.

აკრედიტივებით ანგარიშსწორებას იყენებენ მხოლოდ სხვაქალაქურ ანგარიშსწორებაში, თანაც ერთ მიმწოდებელთან. აკრედიტივის კონკრეტული ვადა არ აქვს, მაგრამ ვადასთან დაკავშირებით ხდება შეთანხმება მყიდველსა და გამყიდველს შორის. ვადასდა წარმოებს მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით და, ამდენად, აკრედიტივის თანხის ანაზღაურება გარანტირებულია ან მყიდველის ანდა ბანკის სახსრებით.

აკრედიტივი არის ორი სახის: დახურული (დაპონირებული) და ღია (ვარანტირებული).

დახურული აკრედიტივის დროს მყიდველი წინასწარ დაჯავშნის სახსრებს მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის. ამ დროს მყიდველის მომსახურე ბანკი (ანუ ბანკი-ემიტენტი) ჩამოწერს თანხებს მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიშიდან და გადააგზავნის მიმწოდებლის მომსახურე ბანკში ცალკე ანგარიშზე — "აკრედიტივი". ამ სახსრების დაპონირება, ე.ი. წინასწარ დაჯავშნა მიმწოდებლის მიერ სახსრების უქონლობის დროს მის მომსახურე ბანკიდან სესხის მიღების ხარჯზე. /სხვათაშორის საბანკო პრაქტიკაში არ გამოიყენება აკრედიტივის წაყენება ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით და ნაწილობრივი ბანკის კრედიტით, აუცილებლად უნდა იყოს გადახდის მხოლოდ ერთი წყარო. /

ღია აკრედიტივის დროს მყიდველი მიმართავს თხოვნით თავის მომსახურე ბანკს გაუხსნას მას ღია აკრედიტივი (ანუ ვარანტირებული აკრედიტივი). ბანკი თხოვნას დააკმაყოფილებს იმ

შემთხვევაში, თუ მოცემული საწარმო (ორგანიზაცია) გადამხდელ-უნარიანია. გარანტირებული აკრედიტივის გახსნის შემთხვევაში მისი მომსახურე ბანკი უფლებას იძლევა ჩამოწეროს აკრედიტივიდან თანხა მიმწოდებლის სასარგებლოდ.

აკრედიტივით ანგარიშწორების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიმწოდებელსა და გადამხდელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში აკრედიტივის მოქმედების ვადა, აკრედიტივის სახე და მისი შესრულების ორგანიზაციული მხარე, მიმწოდებლისა და გადამხდელის მომსახურე ბანკების დასახელება, გამოსაყენებელი საბუთების დასახელება და სხვა.

/ აკრედიტივის გახსნისათვის მიმწოდებელი თავის მომსახურე ბანკში წარადგენს განაცხადს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: შეთანხმების ნომერი, რომლის საფუძველზედაც იხსნება აკრედიტივი; აკრედიტივის მოქმედების ვადა; გადამხდელისა და მიმწოდებლის მომსახურე ბანკების დასახელება და მათი ანგარიშის ნომერი; აკრედიტივის დროს გამოსაყენებელი საბუთების სრული დასახელება; მიმწოდებლის სასაქონლო სატრანსპორტო საბუთების ანაზღაურების წესი; აკრედიტივის სახე; აკრედიტივის თანხა და სხვა მონაცემები. საქონლის გადაგზავნის შემდეგ აკრედიტივზე სახსრების მიღებისათვის, მიმწოდებელი თავის მომსახურე ბანკში წარადგენს სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთებს და ანგარიშ-ფაქტურის რეესტრს გადაგზავნილ საქონელზე. ამის საფუძველზე ბანკი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ აკრედიტივის პირობების შესრულებას, საბუთების გაფორმების სისწორეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდენს აკრედიტივიდან გადახდას. /

მიმწოდებლის მომსახურე ბანკში აკრედიტივი იხურება: აკრედიტივის ვადის გასვლის შემდეგ; აკრედიტივის გამოყენებაზე მომწოდებლის უარის თქმის შემთხვევაში; მყიდველის მიერ აკრედიტივის სრული ან ნაწილობრივი გამოთხოვის დროს.

აკრედიტივის გამოუყენებელი თანხა, როგორც წესი, უბრუნდება გადამხდელის მომსახურე ბანკს იმ ანგარიშზე ჩასარიცხავად, საიდანაც მისი დეპონირება მოხდა.

ანგარიშსწორება თამასუქებით

კომერციული კრედიტი—ეს ისეთი კრედიტია, როდესაც გამყიდველი საქონელს გასცემს მყიდველზე ნისიად, შესყიდული საქონლის გადახდის განვადებით, რომელიც თამასუქით ფორმდება. მაშასადამე, კომერციული კრედიტის დროს საწარმოები (ორგანიზაციები) გაასესხებენ სხვა საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) სხვადასხვა მატერიალურ ღირებულებებს—შენობებს, ნაგებობებს, მოწყობილობა-დანადგარებს, აგრეთვე ფულად სახსრებს და სხვა. კომერციული კრედიტი, ერთის მხრივ, აფართოებს შრომითი გაერთიანებების შესაძლებლობებს, იძლევა წარმოების გაფართოების პერსპექტივებს, ხოლო მეორეს მხრივ, საწარმოებს (ორგანიზაციებს) უქმნის საშუალებას გამოიყენონ კუთვნილი დროებითი თავისუფალი სახსრები სესხების გაცემის მიზნით.

თამასუქი, რომელიც კომერციული კრედიტის ატრიბუტია წარმოადგენს წერილობით, კანონით დადგენილი ფორმის უპირობო ფულად ვალდებულებას, რომელსაც აძლევს სესხის მიმღები (თამასუქის გამცემი) კრედიტორს (თამასუქის მფლობელს), რომელსაც ენიჭება უფლება მოსთხოვოს თამასუქის გამცემს მასში აღნიშნული ფულადი თანხის გადახდა დათქმულ დროსა და ადგილზე.

განასხვავებენ თამასუქის რამდენიმე სახეს: მარტივი თამასუქი (სოლო თამასუქი), გადასაგზავნი თამასუქი (ტრატა).

მარტივი თამასუქი— ეს არის ვალდებულება გაცემულ სესხის მიმღების მიერ მევალისადმი. ამ თამასუქს გამოწერს თვით გადამხდელი და არსებითად იგი წარმოადგენს სავალო ხელწერილს.

გადასაგზავნი თამასუქი—არის ერთი პირის (მევალის ანუ ტრასანტის) წერილობითი ბრძანება მეორეს (სესხის მიმღების ანუ ტრასანტის) მიმართ, რათა მან გადაუხადოს თამასუქში აღნიშნული თანხა მესამე პირს (თამასუქის წარმდგენს ანუ რეპიტენტს). გადასაგზავნი თამასუქი შეიძლება გადაეცეს სხვადასხვა მფლობელს მასზე გადასაგზავნი წარწერის (ინდოსამენტის) მეშვეობით.

მარტივი თამასუქის დროს მონაწილეობს ორი პირი, ხოლო გადასაგზავნი თამასუქის დროს—სამი პირი.

გადასაგზავნი თამასუქი მოითხოვს გადამხდელის სავალდებუ-

ლო აქცენტს (ე.ი. თანხმობას) და მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს იგი აღმასრულებელი საბუთის ძალას. აქცენტი, რომელიც აღინიშნება წარწერით თამასუქის წინა მხარეს, გამოიხატება სიტყვით—"აქცენტებულია" და მას ხელს აწერს გადამხდელი./

როგორც მარტივი თამასუქი, ისე გადასაგზავნი თამასუქი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გადამხდელის მიერ აქცენტორული თამასუქი შეიძლება დამატებით იყოს გარანტირებული ე.წ. ავალით, რაც ნიშნავს ბანკის გარანტიას და გამოიხატება თამასუქის წინა მხარეს ან მასზე მიმაგრებულ ფურცელზე ხელმოწერით. გარანტი (ანუ ავალისტი) იღებს პასუხისმგებლობას მევალის (თამასუქის გამცემის) მოვალეობების შესრულებისათვის.

/სათამასუქო კანონმდებლობით დაშვებულია თამასუქის ხელიდან ხელში გადასვლა, გადასაცემი წარწერით—"ინდოსამენტი". სიტყვა ინდოსამენტი წარმოშობილია გერმანული ენიდან და ნიშნავს ზურგს, ე.ი. თამასუქის უკანა მხარეზე (ზურგზე) წარწერას, რომელიც ამოწმებს ამ საბუთის მიხედვით უფლების გადაცემას სხვა პირზე. პირი, რომელიც გადასცემს თამასუქს ინდოსამენტით, ეწოდება ინდოსანტდ, ხოლო პირი, რომელიც ინდოსამენტის წარწერით ღებულობს თამასუქს, ეწოდება ინდოსატი./

თამასუქზე აღნიშნული წარწერები (აქცენტი, ავალი) ფორმდება გადახდის დადგენილი ვადების ფარგლებში. თამასუქის გადახდის ვადა—ეს ისეთი სავალდებულო რეკვიზიტია, რომლის გარეშე თამასუქი უმოქმედოა.

არსებობს თამასუქის გადახდის ვადების დაფარვის 4 წესი:

ვადა განსაზღვრული დღით, რომელიც გამოიხატება წარწერით: ვთქვათ, "ვღებულობ ვალდებულებას გადავიხადო 1996 წლის 1 ოქტომბერს";

ვადა წარდგინებით, ე.ი. წარდგენილ ვადებში გადახდა;

თამასუქის შედგენიდან ამა თუ იმ დროს. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე ვარიანტი, მაგალითად, რამდენიმე დღით, რამდენიმე თვით, თვის დასაწყისს, თვის შუა რიცხვებში, თვის ბოლოს და ა.შ;

თამასუქის წარდგენით ამა თუ იმ დროში.

/ანგარიშსწორება თამასუქებით მოითხოვს მის სავალდებულო

მონაწილეობას ბანკის დაწესებულებებში, რაც თავის მხრივ იწვევს ბანკების შიერ თამასუქების ინკასირებას, ე.ი. თამასუქის მფლობელებისაგან მიღებული დავალება გადახდილი უნდა იქნეს თამასუქში მითითებულ ვადებში. ბანკი ახდენს რა თამასუქის ინკასირებას, თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას გამამხდელისათვის თამასუქის ვადაში წარდგენაზე და მასზე რიცხულ გადახდას. ინკასოზე თამასუქის მიღებისთანავე ბანკი მაშინვე გადააგზავნის იმ ბანკში, სადაც მისი გადახდა უნდა მოხდეს და ამავე დროს აცნობებს გამამხდელს ინკასოზე შემოსული საბუთების შესახებ. თამასუქის ინკასირებისათვის ბანკი ახდევინებს კლიენტს საკომისიო გასამჯელოს. გარდა ამისა, ბანკი კლიენტს ახდევინებს იმ ხარჯებსაც, რაც დასჭირდა საბუთების გაგზავნა-გადმოგზავნას. /

**ფასიანი ქაღალდები, აქციონერული
საზოგადოება და ბირჟები**

**1. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა
ბანკოთმართვა და ფასიანი ქაღალდების ბანკი**

სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე ვითარდება არა მარტო კრედიტის (კომერციულია და ბანკის) ფორმები და მათი შესაბამისი საკრედიტო ინსტიტუტები (ბანკები), რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ქმნიან საბანკო სისტემას, არამედ წარმოიშობა აგრეთვე კრედიტის კიდევ ერთი ფორმა—ფასიანი ქაღალდები.

ამთავითვე ისმება კითხვა: რა არის ფასიანი ქაღალდები? რა ეკონომიკურ ურთიერთობებს გამოხატავენ ისინი?

(ფასიანი ქაღალდები გულისხმობს დოკუმენტს, რომლებიც ადასტურებენ მისი მფლობელის ქონების ან ფულადი თანხების უფლებას./ ფასიანი ქაღალდების თავისებურება ის გახლავთ, რომ ისინი არიან ცალკეულ სუბიექტებს (იურიდიული და ფიზიკური პირები) შორის წარმოშობილი თავისებური საკრედიტო ურთიერთობის მატარებლები. სამეურნეო სუბიექტი (ემიტენტი) უშვებს ფასიან ქაღალდებს, რომელთა მყიდველი (ინვესტორი) იძენს უფლებას მიიღოს შემოსავალი დაბანდებული სახსრებიდან და გადასცეს უთლება ინვესტორებს ბაზარზე თავისი კუთვნილი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით. როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა საკრედიტო ურთიერთობანი, სადაც ემიტენტი გვევლინება მევალის როლში (მან გაყიდა ფასიანი ქაღალდები და მიიღო ფული თავისი საჭიროებისათვის), ხოლო ინვესტორი—კრედიტორის როლში, რადგან თავის ფულს ფლობს ფასიან ქაღალდებში და ამით აძლევს კრედიტს ემიტენტს.

ფასიანი ქაღალდები საბაზრო ეკონომიკის ატრიბუტია, მაგრამ ისინი წარმოიშვა გაცილებით უფრო ადრე (თანაც, რა თქმა უნდა, არა ყველა სახეობა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი), როცა

სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობებმა სიმწიფის გარკვეულ დონეს მიაღწია და გროვდებოდა საბაზრო ეკონომიკის წანამძღვრები (ან ელემენტები).

კაპიტალიზმამდელი ფორმაციების პირობებში, წარმოშობილი ასეთი სახეობის ფასიან ქალაქებს განეკუთვნება, უწინარესად, თამასუქი.

საბაზრო ეკონომიკა არის საფუძველი იმისა, რომ თამასუქი განვიხილოთ როგორც ფასიანი ქალაქების ნაირსახეობა, თანაც ყველაზე მარტივი გაფორმებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. თამასუქის გამოყენებაში სიმარტივე იმით აიხსნება, რომ მისი ემიტირებისათვის საკმარისია ორი პირის (იურიდიული და ფიზიკური) შეთანხმებული მოქმედება: მყიდველისა, რომელსაც საქონლის შექენის მომენტში არა აქვს ასანაზღაურებელი ფული, და გამყიდველისა, რომელსაც აქვს სახსრების გარკვეული რეზერვი, რაც აძლევს მას ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

როცა კომერციული ბანკები გაჩნდნენ, კომერციული კრედიტების, ე.ი. თამასუქით გადახდის ვადის გაგრძელებით გაყიდვა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმის წყალობით, რომ მოულოდნელად წარმოშობილი სიძნელეების პირობებში გამყიდველს შეეძლო გაენაღდებინა თამასუქი ბანკში. ეს ნიშნავს; რომ გამყიდველი (თამასუქის მფლობელი) თითქოსდა მიჰყიდის თამასუქს ბანკს, ე.ი. გადასცემს ბანკს გარკვეული საფასურისათვის მიიღოს მყიდველისაგან (თამასუქის მიმცემისაგან) თამასუქში აღნიშნული თანხა.

თამასუქი მოსახერხებელია იმიტომაც, რომ მისი გამოყენება შეიძლება სავაჭრო გარიგებებში, რომლებშიც თამასუქის მფლობელი გვეკონება მყიდველად, თუ რა თქმა უნდა, მისი მიმწოდებელი წინააღმდეგი არ არის მიიღოს მესამე მხარის მიერ გამოწერილი თამასუქი. ამით წარმოიშობა თამასუქების ბრუნვა, რომელმაც დასაბამი მისცა ბანკნოტების ემისიას საბანკო სისტემის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ბანკნოტა კი თავის მხრივ ბანკირის თამასუქია. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე, რომ სხვადასხვა სამეურნეო სიტუაციაში თამასუქების გამოყენებისათვის საჭირო არ არის რაღაც ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც დასპეციალიზებული არიან თამასუქების გამოშვებით და ერთი ხელიდან მეორე ხელში

მათი გადაცემის გაფორმებით.

ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, წინასწარ განსაზღვრა თამასუქის გამოყენების წარმატება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შეიქმნა საბაზრო ეკონომიკა.

უნდა შევხვით კიდევ სხვა სახეობის ფასიან ქალაქებს—სახელმწიფოს სესხების ობლიგაციებს, რომლებსაც თამასუქების მსგავსად შეუძლიათ ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის გარეშე, მაგრამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების საკმარისი განვითარების პირობებში. ასეთი სახეობის ფასიანი ქალაქების გამოშვების ყველაზე მკაფიო მაგალითია ახლახან ყოფილი საბჭოთა კავშირის პრაქტიკა, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უშვებდნენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს, ან ხელმოწერით (50-იანი წლების შუა ხანებამდე), ან თავისუფლად ყიდულობდნენ და ყიდდნენ მოსახლეობაში შემნახველი სალაროების (ამჟამად შემნახველი ბანკების) მეშვეობით.

ყოველი ზემოთ დასახელებული ხერხით სესხის მოთავსება მოსახლეობაში გამოხატავდა საკრედიტო ურთიერთობებს, როცა მოსახლეობა გვევლინებოდა კრედიტორად, სახელმწიფო კი—მევალედ. მაშასადამე, საქმე ეხება კრედიტის თავისებურ ფორმას—სახელმწიფო კრედიტს. ამ ფორმის კრედიტის ფუნქციონირების მექანიზმი შემდეგია:

ხელზე გაცემული ობლიგაცია, რომლისთვისაც გადახდილი იყო ფულადი თანხა ნომინალით, წარმოადგენდა ფასიან ქალაქს. იგი იძლეოდა შემოსავლის მიღების უფლებას, თუ მორიგ ტირაჟში მოგება ხვდებოდა სწორედ მოცემული ობლიგაციის ნომერსა და სერიას. მოგებასთან ერთად მფლობელს უბრუნდებოდა ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაც. სესხის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო გამოსყიდის მოუგებელ ობლიგაციებს ნომინალით და უშვებს ახალ სესხს. ამით, სახელმწიფო ფარავს რა თავის ვალს მოსახლეობის წინაშე, როგორც წესი, უშვებს ახალ ობლიგაციებს მორიგი ვადისათვის, რის წყალობითაც მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა გაყიდოს ძველი სესხის ობლიგაციები და იყიდოს ახლად გამოშვებული სესხის ობლიგაციები.

როგორც ვხედავთ, ამ სახეობის ფასიანი ქალაქების—ობლი-

გაციების (ისევე როგორც ზემოთ განხილული თამასუქების) თავისებურება ის არის, რომ მათი გამოშვება და ბრუნვა არ მოითხოვს სპეციალურ დაწესებულებათა შექმნას, რომელიც დასპეციალიზებულია მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე, მოთავსებასა და ხელიდან ხელში გადასვლის ხელშეწყობაზე.

მაგრამ ყოველივე ზემოთ განხილული ამა თუ იმ სახეობათა ფასიანი ქაღალდების გამოშვების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. თავისი დანიშნულებით სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების ინტენსიური გამოშვება დამატებითელია საბაზრო ეკონომიკისათვის, რომლის დროსაც გაბატონებულია კერძო საკუთრება და თავისუფალი ფასები, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნისა და მოწოდების გავლენით.¹

კერძო საკუთრების ორგანიზაციული თავისებურება იმით ვლინდება, რომ წარმოების განვითარებისა და ინტენსიფიკაციის კვალობაზე საწარმოები და ორგანიზაციები თანდათანობით აღარ არიან ერთი პირის საკუთრება. ხდება მათი "აქციონირება". ეს ნიშნავს, რომ საწარმოს (ფირმის, კომპანიის) საწესდებო კაპიტალის საჭირო ზრდა საკონკურენციო ბრძოლაში გადარჩენის მიზნით ბაზარზე მიიღწევა ან ცალკეული პირების, ან ფირმებისა და კომპანიების, ანდა როგორც ერთის, ისე მეორის კაპიტალების დამატებითი მიზიდვის გზით. როგორ ხდება ეს?

გამოდის კონკრეტული სახეობის ფასიანი ქაღალდები—აქციები რომლებიც მიეყრდება ყველა მსურველს (ანდა შეზღუდული წრის პირებს); ამით აქციის მყიდველი თავის ფულს აბანდებს მის მიერ არჩეული სააქციო საზოგადოების ქონებაში. ამის წყალობით ინდივიდუალური კაპიტალი კონცენტრირდება და იქცევა კოლექტიურად, რომლის საფუძველში შენარჩუნებულია კერძო საკუთრება.

აქციონერული საზოგადოება წარმოადგენს ემიტენტს, ხოლო აქციების მყიდველი—ინვესტორს. რა მოტივებით ხელმძღვანელობს თითოეული დასახელებული მხარე? ემიტენტი ცდილობს დაინტერესოს ინვესტორი აქციების გამოყენების პირობებით, რომელსაც, როგორც ცნობილია, რეგულარული შემოსავალი მოაქვს. ინვესტორს უფლება აქვს გაყიდოს თავისი კუთვნილი აქცია (ან აქცი-

ები) და ამით დაიბრუნოს დაბანდებული ფული. ბუნებრივია, ინვესტორი ცდილობს გამონახოს ისეთი აქციონირებული საზოგადოების აქციები, რომლებსაც ყველაზე დიდი შემოსავალი მოაქვს და ამავე დროს გარანტირებულია გაუფასურებისაგან ემიტენტის ფინანსური სიძნელეების გამო. მაშასადამე, წარმოიშობა ემიტენტსა და ინვესტორს შორის საკრედიტო ურთიერთობათა თავისებური ფორმა, რომლის დროსაც ემიტენტი მევალის როლში გვევლინება, რომელიც რეგულარულად უხდის ინვესტორს თავისი მოგების ნაწილს მისი ფულით სარგებლობის უფლებისათვის. თავის მხრივ, ინვესტორი გვევლინება კრედიტორის როლში, მას აქვს უფლება ნებისმიერ მომენტში დაიბრუნოს თავისი ფული სხვა პირისათვის—იურიდიული თუ ფიზიკური პირისათვის თავისი აქციების მიყიდვის გზით.

მაშასადამე, აქციონერული საზოგადოებების გაჩენა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების დამაასიათებელი ნიშანია, ხოლო აქცია ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი უპირატესი სახეობა ხდება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანდდება სხვა სახეობათა ფასიანი ქაღალდებიც. ყოველივე ეს გვავალებს უფრო დაწვრილებით შევხვით აქციონერულ საზოგადოებას და ფასიანი ქაღალდების სახეობათა დახასიათებას.

2. შახინანი ქალაქების სახეობანი და მათი გამოწვევის მუხანსში

ეკონომიკის მართვის ბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში საკუთრების სახელმწიფო ფორმის ბატონობისას საკითხი შემდეგნაირად წყდება: თუ შემდგომო ორგანიზაცია იყო სწარმოსთან კაპიტალური დანახარჯების შემოთავაზებულ მოცულობაზე, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის დაფინანსების საკუთარი წყაროებით, დაკლებული თანხისათვის გამოიყოფა და ბიუჯეტური ასიგნებანი, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება და კაპიტალური დანახარჯებისათვის ბანკის კრედიტის გამოყენება. მაგრამ, როგორც შემოთ აღინიშნა, იგი ფართოდ ვერ განვითარდა მსესხებელთა სწარმოების მცირე რენტაბელობის გამო, კრედიტის

სარგებლობის ვადის დამთავრების შემდეგ საწარმოებს არ უგროვდებათ საქმარისი სახსრები სესხების დასაფარავად. ამიტომ კაპიტალურ დაბანდებათა წყაროდ შენარჩუნებული იყო ბიუჯეტური დაფინანსება. ასეთი სისტემის დროს, როგორც წესი, არ ესწრაფვოდნენ წარმოების სრულყოფას, რადგან მთელ მის შესაძლო დანაკარგებს გადაფარავდა სხვადასხვა სახის დოტაციები, ფასნამეტები და პირდაპირი დაფინანსება.

პრივატიზაციისა და აქციონერების პირობებში კი საწარმოებს შეუძლიათ იქონიონ უპირველესად საკუთარი დაგროვების იმედი. ბიუჯეტური დაფინანსება კი გასაგები მიზეზების გამო მოხსნილია, ხოლო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი მკვეთრად იზღუდება.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, განსაზღვრავს აქციონერული საზოგადოების მოქმედებას. დამატებითი სახსრების მოზიდვის საჭიროების შემთხვევაში, ისე, რომ არ დაელოდონ საჭირო რდენობამდე მოგების დაგროვებას, მათ შეუძლიათ გამოუშვან დამატებითი აქციები, გაზრდიან რა ამით საწესდებო კაპიტალის რდენობას და მიიღებენ საჭირო სახსრებს დასახული ინვესტიციებისათვის.

მაშასადამე, საზოგადოებაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამუდმებით იქმნება აქციონერული საზოგადოებანი ან თავიანთ საწესდებო კაპიტალს აფართოებენ მოქმედი აქციონერული საზოგადოებანი, რის შედეგადაც ბაზარზე პრაქტიკულად გამუდმებით გამოაქვთ აქციები.

მაგრამ ახლა ისმება კიდევ ერთი კითხვა: იპოვის თუ არა აქციების ეს მძლავრი ნაკადი მყადველებს (ინვესტორებს)? ხომ არ მოხდება ისე, რომ ემიტენტები ბაზარზე გამოიტანენ აქციებს, ხოლო ინვესტორები აქ არ აღმოჩნდებიან?

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შიში ფუქია, და აი რატომ. სიტუაცია ბაზარზე ისეთია, რომ აქ პრაქტიკულად ყოველთვის შეიძლება იპოვო ინვესტორი. საჭიროა განვასხვაოთ ინვესტორთა ორი ჯგუფი: ა) საწარმოები (ფირმები, კომპანიები), თანაც მათ შორის შეიძლება იყოს აქციონერული საწარმოები და ცალკეული მოქალაქეები.

საწარმოები, რომლებიც გვევლინებიან აქციონერული საზო-

გადოების დამფუძნებლად, ისიან აქციონერული საზოგადოების წესდებაში განსაზღვრულ აქციათა წილს და მათი მესაკუთრეები ხდებიან. ამასთან ერთად აქციები შეუძლიათ შეიძინონ საწარმოებმა, რომლებიც არ არიან აქციონერული საზოგადოების დამფუძნებლები, საწარმო, რომელიც იძენს აქციებს ან ხდება აქციონერული საზოგადოების დამფუძნებელი, იღებს შესაძლებლობას დაამყაროს მჭიდრო ეკონომიკური კავშირთიერთობა მოცემულ აქციონერულ საზოგადოებასთან. სწორედ, ამით აიხსნება, უწინარესად, აქციების შეძენით საწარმოთა ეკონომიკური დაინტერესება.

ცალკეული მოქალაქეები აქციებს იძენენ იმ ეკონომიკურად ხელსაყრელ საწარმოებში თავიანთი დანაზოგების მოთავსების მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფენ დიდ შემოსავალს. ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში ეს სტიმული უაღრესად დიდია.

მაშასადამე, სსრ კავშირში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებით წინააღმდეგობა დამოუკიდებელ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით იქმნება საჭირო წინამძღვრები ფასიანი ქაღალდების ფართოდ გამოშვებისათვის. რადგან ბაზარზე გარდამავალი პერიოდი განსხვავდება საბაზრო სტრუქტურების შექმნის ტემპით, ფასიანი ქაღალდების გამოშვებაც ყოფილი სსრ კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში უფრო ინტენსიურად ხდება, სხვებში—უფრო ნელია, მაგრამ საერთოდ უკლებლივ ყველას ახასიათებს საერთო წინსვლა ბაზრისაკენ. შესაბამისად ყოფილი სსრ კავშირის ყველა ქვეყანაში ხდება ფასიანი ქაღალდების ასე თუ ისე ინტენსიური გამოშვება. ახლა შევაჯამოთ მასალა ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახეობის შესახებ და შევხვდეთ ფასიანი ქაღალდების ჩამოყალიბებულ საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას.

ფასიანი ქაღალდებს განეკუთვნება: 1) თამასუქები, 2) სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, 3) საბაზრო ვალდებულებანი, 4) აქციები.

თამასუქები. კომერციული კრედიტის იარაღია თამასუქები, რომლებიც ხანგრძლივი აკრძალვის შემდეგ კვლავ იძენს მოქალაქეობის უფლებას გამოყენებულ იქნენ სასაქონლო გარიგებისას გადახდის ვადის გაგრძელებით. თამასუქების გამოშვებისა და გამოყენების წესს არეგულირებს სპეციალური დებულება თამასუ-

ქების შესახებ. გათვალისწინებულია თამასუქების განაღდება ბანკებში და თამასუქების გადაცემა მესამე პირისათვის თამასუქების მფლობელის მიერ მატერიალურ ღირებულებათა ასანაზღაურებლად.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, ჩვენში ისინი ხვედრითი წილით ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი მთავარი სახეობაა. გამოშვების პირობებით ობლიგაციებს მფლობელებისათვის მოაქვს შემოსავალი ან მოგების სახით, ანდა ფიქსირებული შემოსავლის სახით, რომელიც ყოველწლიურად გადაიხდება სპეციალური ტალონის წარდგენისას. უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვს ყაჩაღური სესხები, რომლებიც ხელმოწერით, ფაქტობრივად იძულებითი წესით ვრცელდებოდა სსრ კავშირის მოსახლეობაში 30-იან--50-იან წლებში. ახლა სახელმწიფო სესხის ობლიგაციები ვრცელდება მკაცრად ნებაყოფლობითი წესით. ფართოდ არის ცნობილი 1982 წლის მომგებიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რომლებსაც თავისუფლად ყიდიან და ყიდულობენ შემნახველი ბანკის დაწესებულებანი. ეს ობლიგაციები ემსახურება მხოლოდ მოსახლეობას. რადგან დაწესებულია ყოველწლიურ მოგებათა უმნიშვნელო თანხა, მოსახლეობის ინტერესი ამ სესხის ობლიგაციებისადმი მკვეთრად შემცირდა.

იჩქათვის, რომ დაფარონ წლითიწლობით მზარდი ბიუჯეტური დეფიციტი, 1990 წელს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ საწარმოებისათვის გამოუშვა სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რომლის გავრცელება წარმატებით არ დაგვირგვინებულა საწარმოთა რეალური მოთხოვნისადმი ობლიგაციების ემისიის პირობების შეუსაბამობის გამო, ყოველწლიურად ამ ობლიგაციების შემოსავალი არ უნაზღაურებდა საწარმოებს ინფლაციის სწრაფი ტემპის შედეგად მათ დანაკარგებს.

საკირთა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში წინათ შემავალმა სახელმწიფოებმა გამოაცხადეს კიდევ სესხის გამოშვება ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციის ან, ყოველ შემთხვევაში შემცირების მიზნით. ამ სესხის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რა თანაფარდობაში აღმოჩნდება ობლიგაციებით მიღებული შემოსავალი ბანკის მიერ მოსახლეობისათვის ანაბრების მიხედვით

გადახდილ შემოსავალთან, ხოლო საწარმოებისა-კომერციულ ბანკებში მოთავსებულ დეპოზიტებში. ცნობილია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ გაიზარდა შემნახველი ბანკის პროცენტული განაკვეთები მოსახლეობის მოთხოვნამდე ანაზღაურებისა და განსაკუთრებით ვაღიანი ანაბრების მიხედვით. ამით სახელმწიფოებს, რომლებიც უშვებენ სესხის ობლიგაციებს, შეუძლიათ იქონიონ წარმატების იმედი, თუ შექმნილი ობლიგაციებისაგან შემოსავალი აღმოჩნდება, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები საბანკო ხისტემაში ანაბრის ხანგრძლივი შენახვის დროს მიღებულ შემოსავალზე.

სახაზინო ვალდებულებანი. ფასიანი ქაღალდების ეს სახეობა სსრ კავშირის და მის ტერიტორიაზე შექმნილ ქვეყნებში შედარებით ახალია. პირველად სახაზინო ვალდებულებანი (სერთიფიკატები) გამოუშვეს 1990 წელს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, მაგრამ წარმატება არ ჰქონია მცირე ფიქსირებული შემოსავლის გამო, ფიქსირებული შემოსავლის გაზრდის ცდას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ვაუჩერი (ანუ საპრივატიზაციო ბარათი)-არის ფასიანი ქაღალდი და მას ყველა ის თვისება აქვს, რაც სხვა ნებისმიერ ფასიან ქაღალდს. მასში განვითარებულია სახელმწიფო ქონების ის ნაწილი, რომელიც უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს მოსახლეობას. ვაუჩერი არის თავისებური მექანიზმი სახელმწიფო ქონების განკერძოებისა. ქონება, რომელიც პრივატიზებულ უნდა იქნეს, განსაზღვრულია ყველა აქციონერულ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 35%-ის სახით. იგი შეიძლება გავაჩუქოთ, გავუილოთ, გავცვალოთ, გადაეცეს რომელიმე საინვესტიციო ფონდს. მიმოქცევაში იგი თავისუფალი ფასიანი ქაღალდია და მისი მიმოქცევის შეზღუდვა არ შეიძლება.

ვაუჩერის მოქმედებას თავისი ვადა აქვს, მისი მიღება შეუძლია ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მისი ასაკის, სქესის, სოციალური მდგომარეობის თუ ეროვნებისა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ სახელმწიფოში. საპრივატიზაციო ბარათის ღირებულება წინასწარ დადგენილია და იგი საჯაროდ ქვეყნდება.

აქციები. ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ბატონობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, საბაზრო

გეომოციკაზე გადასვლის პირობებში, აღორძინდა აქციები — ფასიანი ქაღალდების სახეობა, რომელთა გამოშვება იზრდება ბაზრისაყენ საზოგადოების წინსვლის კვალობაზე.

აქციებს უშვებენ აქციონერული საზოგადოებანი, რომელთა შორის შეიძლება იყვნენ საწარმოები, ფირმები, კომპანიები და ა.შ. აქციონერები შეიძლება იყვნენ ბანკებიც. აქციებს უშვებენ საწესდებო კაპიტალის თანხით. თითოეული სააქციო საზოგადოება წყეტს რამდენად საჭიროა აქციების გამოშვება და როგორია თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქციების შექმნის მოტივია მოგების (დივიდენდის) მიღების პერსპექტივა. დივიდენდი სააქციო კომპანიის წმინდა მოგების ნაწილია, რომელიც ნაწილდება იმ აქციების რიცხვის პროპორციულად, რომლებსაც აქციონერი ფლობს. გადაწყვეტილებას დივიდენდების გადახდის, აგრეთვე მათი ოდენობის შესახებ იღებენ აქციონერთა საერთო კრებაზე საფინანსო წლის შედეგების მიხედვით. მაგრამ არსებობს პრივილეგიური აქციები, რომელთა მიხედვით დივიდენდების ოდენობა წესდება წინასწარ ჭერ კიდევ მათი გამოშვებისას. ეს არის ეგრეთწოდებულ დივიდენდი.

რა არის ეს? დივიდენდი ნიშნავს დივიდენდის გარკვეული ოდენობის დაწესებას (ფიქსაციას), მაგრამ სრულიადაც არა მისი გადახდის გარანტიას. ამიტომ საზღვარგარეთის კომპანიებში განასხვავებენ პრივილეგიურ აქციებსა და კუმულატორ და არაკუმულატორ დივიდენდებს. კუმულატური დივიდენდები აკუმულირდება (გროვდება) სპეციალურ ანგარიშებზე და აუცილებლად გადაუხდის აქციონერს, თუ არა მიმდინარე, მაშინ მომდევნო წელს და ა.შ. აკუმულატური პრივილეგიური აქციები ასეთ უფლებას არ იძლევიან.

გარდა დივიდენდისა, რომელსაც ინვესტორს უხდის აქციონერული კომპანია, აქციებისაგან შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნას ბაზარზე მისი გაყიდვისას, იმის გამო, რომ ბაზარზე ქლიბდება ობლიგაციების საბაზრო ღირებულება, რომელიც შეიძლება ნომინალურზე მეტი იყოს, ინვესტორი, აქციას რომ ყიდის, იღებს განსხვავებას აქციების საბაზრო და ნომინალურ ღირებულებას

შორის. რაც უფრო უკეთ მიუდის საქმე აქციონერულ კომპანიას (საზოგადოებას), მით უფრო მაღალია აქციების ღირებულება და შესაბამისად, უფრო მაღალია აქციის ღირებულება, და მაშასადამე, მეტია მოგებაც, რომელსაც ინვესტორი იღებს აქციების გაყიდვისას. ამრიგად, როგორც გამოსაშვები, ისე უკვე გამოშვებული აქციები მოდის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

რისთვის არის საჭირო ამგვარი კომპანიები და კონკრეტულად რა საქმიანობას ეწევიან ისინი? რატომ მიმართავენ ემიტენტები მათ დახმარებისათვის? ასეთი საშუაშაველო ფირმები, რომლებიც ეწევიან ფასიანი ქაღალდების პირველად გავრცელებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მუდმივი მონაწილენი არიან. მათ შეუძლიათ მისცენ კვალიფიციური კონსულტაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობის შესახებ, რა მოცულობით და რა პირობებით შეუძლია ემიტენტს გაავრცელოს ფასიანი ქაღალდები. საშუაშაველო ფირმას ემიტენტთან შეთანხმებით შეუძლია ხელი მოჰკიდოს აქციების გამოშვების რეკლამას, შეუძლია შეიძინოს მართვის აქციების ბლანკები და გაავრცელოს აქციები ინვესტორთა შორის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რადგან საშუაშაველო კომპანია მონაწილეობს ფასიანი ქაღალდების გავრცელების პროექტის შემუშავებაში და ხელს ჰკიდებს მის შესრულებას, მან უნდა იცის-როს ვალდებულება ფასიანი ქაღალდების გავრცელების წარუმატებლობის შემთხვევაში შეიძინოს მთელი დანარჩენი აქციები თავის ხარჯზე. ჩვენს პირობებში ამგვარ ფირმებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოთა პრივატიზაციის განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს საბაზრო სტრუქტურების შექმნას.

არსებობს ორი სახის აქცია: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ჩვეულებრივი აქცია ეწოდება ისეთ აქციას, რომლის წილიც დამოკიდებულია აქციონერული საზოგადოების წლიური მოგების ოდენობაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია ეწოდება ისეთ აქციას, რომელზედაც წინასწარ დაწესებულია მტკიცე შემოსავალი¹.

¹ მანამდე ცნობილი იყო სახელობითი აქცია, რომელზედაც აღინიშნებოდა მისი მფლობელის გვარი, აქციის ერთი ხელიდან მეორეზე

ჩვეულებრივ აქციას ყოველი აქციონერული საზოგადოება უშვებს. მისმა მფლობელმა წინასწარ არ იცის, თუ რამდენ შემოსავალს მისცემს იგი მას. დივიდენდების ოდენობა მმართველი ორგანოების მიერ მიღებული მოგებით დგინდება. მაგალითად, 100 დოლარის ღირებულების აქციაზე დივიდენდი შეიძლება ერთ წელს იყოს 20, ხოლო მეორე წელს — 10 დოლარი. თუ აქციონერული საზოგადოების საქმე ცუდად მიდის, მაშინ ჩვეულებრივი აქციის მფლობელმა შეიძლება საერთოდ შემოსავალი ვერ მიიღოს.

პრივილეგირებული აქციის მფლობელები, როგორც ზემოთ აღინიშნა უზრუნველყოფილი არიან წინასწარ დაწესებული დივიდენდების მიღებით, მაგალითად, აქციის ნომინალის 8%-ით ყოველწლიურად. სააქციო საზოგადოებამ თავისი წმინდა მოგება, უპატრონოს ყოვლისა უნდა გამოიყენოს პრივილეგირებული აქციების დასაცემად, ხოლო ნაშთი შეიძლება მოხმარდეს ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გაცემას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრივილეგირებული აქციის უპირატესობა ერთგვარად შეზღუდულია აქციასთან შედარებით და აიტომ:

მართალია, ჩვეულებრივი აქციის მფლობელმა წინასწარ არ იცის თავისი შემოსავლის ოდენობა, მაგრამ სააქციო საზოგადოების მიერ დიდი მოგების მიღების შემთხვევაში იგი გაცილებით უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს, ვიდრე პრივილეგირებული აქციის მფლობელი. მაგალითად, დაეუშვათ, რომ აქციონერული საზოგადოების კაპიტალის ოდენობა 100 მილიონი დოლარია. ამ კაპიტალში ჩვეულებრივი აქციის მფლობელების მიერ შემოტანილია 50 მილიონი დოლარი, ხოლო პრივილეგირებული აქციის მფლობელების მიერ ასევე 50 მილიონი დოლარი.

პრივილეგირებული აქციის მფლობელთა ყოველწლიური შე-

გადასვლის გამწვანების მიზნით ასეთი აქციის გადაცემა შეიძლებოდა მხოლოდ აქციონერული საზოგადოების გამგეობის ნებართვით; კიდევ იყო უსახელო აქცია. ეს ისეთი აქციაა, რომელზედაც მისი მფლობელის გვარი აღნიშნული არ არის. აქციების დაყოფას სახელობითი და უსახელო აქციებად ანუ ანუ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მოსავალი დივიდენდების სახით შეადგენს 8%-ს, ხოლო, ყოველი აქციის ნომინალი 50 დოლარია. თუ აქციონერული საზოგადოების წმინდა მოგება რეზერვების შევსების შემდეგ 10 მილიონ დოლარს შეადგენს, მაშინ იგი შემდეგნაირად განაწილდება:

1. მთელი მოგება 10 მილიონი დოლარი;
2. პრივილეგირებული აქციის დივიდენდი 8%-იანი ნომინალი (80 მილიონი დოლარი).....4 მილიონი დოლარი;
3. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებზე გასანაწილებელი ნაშთი6 მილიონი დოლარი.

მაშასადამე, ყოველ მილიონ ჩვეულებრივ აქციაზე დივიდენდი იქნება 6 დოლარი ანუ წმინდანის 12%. თუ კი მომავალ წელს სააქციო საზოგადოება მიიღებს არა 10 მილიონ დოლარ წმინდა მოგებას, არამედ 15 მილიონ დოლარს, მაშინ თანხა ასე განაწილდება:

1. მთელი მოგება 15 მილიონი დოლარი;
2. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდი4 მილიონი დოლარი;
3. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდი.....11 მილიონი დოლარი.

ამრიგად, ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები მიაღწევს 11 მილიონ დოლარს ანუ მინიმალის 22%-ს, მაშინ როცა პრივილეგირებული აქციების დივიდენდები უცვლელი დარჩება¹.

არჩევნ აქციების კიდევ ორ სახეს: ხშიან აქციას და უხმო აქციას. პირველი სახის აქცია მის მფლობელს უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს აქციონერთა კრებაზე, ხოლო მეორე სახის აქციის მფლობელს ასეთი უფლება არა აქვს.

ბირეაზე მოხვედრილ აქციას აუცილებლად ედება განსაზღვრული ფასი, ვინაიდან იგი როგორც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, იგივე ფასიანი ქალაქია. ფასს, რომლის მიხედვითაც იყიდება აქცია ბირეაზე, აქციის კურსი ეწოდება. აქციის კურსი უნდა გან-

¹ მართალია, გამორიცხული არ არის რომ ზოგჯერ შეიძლება პრივილეგირებულ აქციებზე გადიდდეს. შემოსავალი აქციონერული საზოგადოების მოგების გადიდების კვალობაზე, მაგრამ ეს ტიპური მოვლენა არ არის.

ვასხვათ აქციის იმ ნომინალური ფულადი თანხიდან, რომელიც აქციას აწერია (მაგალითად, 100 დოლარი, 100 მარკა, 100 გირვანქა სტერლინგი და ა.შ.) აქციის კურსი შეიძლება იყოს მის ნომინალურ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი. ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით კურსის ამოღებას აეიო (ლაჟემი) ეწოდება, ხოლო კურსის შემცირებას - დეზაჟიო. ბირჟებზე ყოველდღიურად ქვეყნდება ბიულეტენები, რომლებიც აქციის კურსის შესახებ იტყობინებიან. აქციების კურსი დღის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს.

ახლა ვნახოთ, თუ რით განისაზღვრება აქციის კურსი. აქციის კურსი (ანუ ფასი) - ეს არის არა მისი ღირებულების ფასი, არამედ იმ მოგების სიდიდე, რომელსაც მისი მფლობელი ითვისებს. აქციის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მის შემძენ პირს მასზე მფლობელობამ მოგების ნაწილის მიღების საშუალება მისცეს დივიდენდების სახით.

ამიტომ არის, რომ აქციის კურსი პირდაპირ არის დამოკიდებული მიღებული დივიდენდების ოდენობაზე. რაც უფრო მეტ დივიდენდს ოდენვეა აქცია, მით უფრო მაღალია მისი კურსი.

აქციის კურსის მეორე განმსაზღვრელი ფაქტორია სესხებზე სარგებლის დონე. ეს იმით აიხსნება, რომ რიგითი აქციონერისათვის აქციის ყიდვა გარკვეული აზრით საბანკო სესხებში კაპიტალის დაბანდების ანალოგიურია. ფულად კაპიტალისტს შეუძლია თავისი კაპიტალი გასცეს სესხად, ე.ი. მოათავსოს ბანკში ანაბრის სახით უნდა ამ ფულით აქცია იყიდოს. ამიტომაც, რომ ჩვეულებრივი აქციონერი დივიდენდს ყოველთვის უღარებს ბანკის სესხებზე სარგებელს, რათა განსაზღვროს, თუ რომელი ბერხი მისცემს მას უფრო მეტ მოგებას. რაც უფრო მცირეა სარგებლის ნორმა, მით უფრო მეტი ფულადი კაპიტალი გაიცემა სესხად გარკვეული შემოსავლის მიღების მიზნით./

ამიტომ არის, რომ აქციის კურსი, როგორც წესი, საშუალოდ უდრის სესხად გაცემულ ფულად თანხას, იგი მის მფლობელს იმდენივე შემოსავალს მისცემს, რამდენსაც დივიდენდი აქციაზე. თუ, მაგალითად, 100 დოლარი ნომინალური ღირებულების შქონე აქცია 6 დოლარ დივიდენდს იძლევა წლიურად, ხოლო სარგებლის

ნორმა 3-ს უდრის, მაშინ აქციის კურსი საშუალოდ 200 დოლარი ან სესხად გაცემული ასეთივე თანხა (200 დოლარი) იქნებოდა. რომელიც წლიურად 6 დოლარ შემოსავალს მისცემდა მის მფლობელს. ისეთი აქციის უფრო ძვირად ყიდვა, რომელიც 6 დოლარ დივიდენდს იძლევა (მაგალითად 300 დოლარად) არ იქნებოდა ხელსაყრელი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ფულადი კაპიტალის მფლობელს შეეძლო მიეღო უფრო მეტი შემოსავალი, თუ ამ ფულს სესხად გასცემდა. მაგალითად, 3% 300 დოლარზე; მას მისცემდა არა 6, არამედ 9 დოლარს წლიურად, მეორე მხრივ, არც ასეთი აქციის უფრო ნაკლებ ფასად (მაგალითად, 100 დოლარად) გაყიდვა იქნებოდა ხელსაყრელი მისი გამყიდველისათვის, ვინაიდან იგი ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებს მიიღებდა, ვიდრე დივიდენდის შემთხვევაში.

ამრიგად, აქციის კურსი სარგებლის ნორმის უკუპროპორციულია: რაც უფრო დაბალია სარგებელი, მით უფრო მაღალია აქციის კურსი და პირიქით, თუ კი 6 დოლარის დროს სარგებელი უდრის არა 3, არამედ 2%-ს, მაშინ აქციის ყიდვას აზრი აქვს უკვე არა 200, არამედ 300 დოლარის ოდენობით, ვინაიდან სწორედ 300 დოლარი, რომელიც 2%-ის ანგარიშით გაიყა სესხად, მოიტანს 6 დოლარს წლიურად.

იგი შეიძლება გამოისახოს ფორმულით

$$\text{აქციის კურსი} = \frac{\text{დივიდენდი} \times 100}{\text{სარგებელი}}$$

გასაგებია, რომ აქ მხედველობაშია მიღებული აქციის საშუალო კურსი, რომლის ფაქტიური საბაზრო კურსიც შეიძლება გადაიხაროს ზევით ან ქვევით აქციაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეფარდებიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ ახლო მომავალში მოსალოდნელია დივიდენდების გადაცემის შესაძლებლობა, მაშინ მასზე მოთხოვნა იზრდება და კურსიც მანამ აიწევს მაღლა, ვიდრე ფაქტიურად ასეთი შესაძლებლობა იარსებებს.

აქციის კურსის ჩამოყალიბებასთან მკიდრო კავშირშია იმ სადამფუძნებლო მოგების წარმოშობა, რომელსაც აქციონერული საზოგადოების ხელმძღვანელები იღებენ. /სადამფუძნებლო მოგება ეწოდება სხვაობას აქციის ფასსა და კაპიტალის იმ თანხას შორის,

რომელიც აქციონერულ საზოგადოებაშია დაბანდებული./საწესდებო მოგება იგივე კაპიტალიზებული შემოსავალია./მესარეწის შემოსავალი საწარმოს მთელი შემოსავლისა და სარგებელს შორის არსებული სხვაობის ტოლია./თუ აქციის კურსის დადგენისას აქციონერთა შემოსავლის ოდენობა სარგებლამდე დაიყვანება, მაშინ მოგებასა და სარგებელს შორის განსხვავება (ე.ი. მესარეწის მთელი შემოსავალი) დამფუძნებელ აქციონერებს მიეცემათ. აქციის კურსის არსებობა და მისი ჩამოყალიბების წესი გვიჩვენებს, რომ აქციონერული საზოგადოების დამფუძნებლები განსაკუთრებულ პრივილეგურ მდგომარეობაში იმყოფებიან. დამფუძნებლებს დიდი შემოსავლის სხვა გზებიც აქვთ და ერთ-ერთი გზა ასეთია: აქციები თავიდანვე იყუთა ორ ნაწილად—პრივილეგირებულად და ჩვეულებრივად. ჩვეულებრივ აქციებს თავისთვის იტოვებენ, ხოლო პრივილეგირებულ აქციებს ბაზარზე ასაღებენ. პრივილეგირებულ აქციის მფლობელი კმაყოფილდება სარგებლით თავის კაპიტალზე. მესარეწის შემოსავლის უდიდეს ნაწილს კი ხელმძღვანელი ჯგუფი ითვისებს./

/ ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეა ობლიგაცია. ობლიგაცია არის მოწმობა იმის შესახებ, რომ მისმა მფლობელმა გაასესხა განსაზღვრული თანხა გარკვეული ვადით სარგებლის მიღების მიზნით.

ობლიგაციები ორი ძირითადი სახისაა 1 საწარმოს ობლიგაციები და 2 სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. აქციონერული საწარმო (მაგალითად, სამრეწველო საწარმო, რკინიგზის საზოგადოება, ბანკები და ა.შ.) კაპიტალის მობილიზაციას ახდენენ არა მარტო აქციების, არამედ ობლიგაციების გზითაც./ობლიგაცია ჩვეულებრივი აქციისაგან ჯერ ერთი, იმით განსხვავდება, რომ იგი არ აძლევს მის მფლობელს ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, მეორეც მას მოაქვს ფიქსირებული შემოსავალი (სარგებელი) და არა დივიდენდი, და მესამე, აქვს განსაზღვრული ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც იგი გამოსყიდვას ექვემდებარება. ობლიგაციის გამოშვება სააქციო საზოგადოებას საშუალებას აძლევს მობილიზაცია გაუკეთოს დამატებით კაპიტალს, რომელზედაც ისინი მხოლოდ სარგებელს იბდიან. მოგებასა და

სარგებელს შორის არსებული ყველა სხვაობა აქციონერული საზოგადოების სასარგებლოდ მიდის და დივიდენდების გადიდების წყაროდ გამოიყენება.

აქციის მსგავსად ობლიგაციაც მიმოიქცევა ბირჟებზე და მასაც აქვს თავისი კურსი (ფასი). რომელიც ასევე კაპიტალიზებული შემოსავალია: მაგრამ რამდენადაც სარგებელი ობლიგაციაზე წინასწარ არის დაწესებული და იგი მით განსხვავდება ჩვეულებრივი აქციის დივიდენდისაგან, ამდენად ობლიგაციის საშუალო კურსი შეიძლება მერყობდეს მხოლოდ ერთი გარემოების—სარგებლის ნორმის გამო. მაგალითად, თუ საობლიგაციო სესხი 10 წლის ვადით და წლიურად 3%-ის ანგარიშით არის გამოშვებული, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მისი სარგებელი 2%-მდე შემცირდება, მაშინ 100 დოლარი ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაცია, რომელსაც წლიურად 3 დოლარი შემოსავალი მოაქვს, ბირჟაზე გატარდება მის ნომინალურ ღირებულებაზე ზევით, კერძოდ, 150 დოლარის ოდენობით. ($\frac{3 \text{ დოლარი} \times 100}{2} = 150 \text{ დოლარი}$)

და პირიქით, თუ სარგებლის ნორმა გადიდდება, მაშინ ობლიგაციის კურსი მისი ნომინალური ღირებულების ქვემოთ დაეცემა.

ობლიგაციის ერთ-ერთი სახეა სახელმწიფო სესხის ობლიგაცია, საობლიგაციო სესხი, როგორც წესი, გრძელვადიანია. ობლიგაცია უსახელოა. მისი განაღდება ხდება ბანკების მეშვეობით. ობლიგაციას აქვს ნომინალური, საემისიო და საბაზრო ღირებულება (ანუ კურსი). ნომინალურია ის ღირებულება, რაც ობლიგაციას აწერია, საემისიოა—ის, რითაც ხდება მისი რეალიზაცია, ხოლო საბაზროა ის, რაც მისი ბაზარზე რეალიზაციისას მყარდება.

ფასიანი ქაღალდების მესამე სახეა გირავნობის ფურცელი, რომელსაც სესხის გასაცემად იძლევიან მიწის ან სხვა უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე. გირავნობის ფურცელი განსხვავდება როგორც აქციისაგან, ისე ობლიგაციისაგან, გირავნობის ფურცელი არ მიმოიქცევა ბირჟებზე. არსებობს გირავნობის სხვა ფურცლებიც, რომლებსაც საჰიპოთეკო ბანკები უშვებენ, მათი უზრუნველყოფა ხდება არა ამა თუ იმ მიწის ნაკვეთით, არამედ ბანკში დაგირავებული მთელი მიწის მასით, გირავნობის ფურცლით, სარგებლის მიღება ხდება ამ ფურცლების თანმხლები საბ-

როცენტო კუპონების მიხედვით. გირავნობის ფურცლების დაფარვას აწარმოებენ ბანკები მათი შესყიდვის ან პერიოდული ტირაჟების გზით. გირავნობის ფურცლები აქციებისა და ობლიგაციების მსგავსად მიმოიქცევიან საფონდო ბირჟებზე. მათი კურსი გირავნობის ფურცლების სარგებლით და სესხის სარგებლის ნორმით განისაზღვრება.

/ ფასიანი ქაღალდების მიწოდება დამოკიდებულია არა მარტო ახალი ემისიის რაოდენობაზე, არამედ იმაზეც თუ რა რაოდენობით და რა თანხით მოითხოვენ ადრე გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს ბირჟაზე. მაგალითად, თუ სააქციო საზოგადოების საქმე ცუდად მიდის და ამის გამო მოსალოდნელია დივიდენდების წაყვანა ბირჟაზე, მაშინ მკვეთრად ეცემა მათი კურსი. ასევე უარესდება სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა და ეცემა ობლიგაციების კურსიც.

• მოთხოვნა ფასიან ქაღალდებზე, როგორც წესი, დამოკიდებულია როგორც ფულადი ბაზრის საერთო მდგომარეობასა და სასესხო კაპიტალის სიჭარბე-სიმცირეზე, ისე ამ ქაღალდების მოსალოდნელ შემოსავალზეც.

ამრიგად, სააქციო საზოგადოება მობილიზაციას უკეთებს იმ დამატებით კაპიტალებს, რაც მისთვის აუცილებელი ხანგრძლივი დაბანდებისათვის არის საჭირო. სახელმწიფო, როგორც წესი, მობილიზაციას უკეთებს ყველა იმ ფულად სახსრებს თავისი ხარჯების დასაფარავად, რაც სხვა საშემოსავლო წყაროებით ვერ იფარება, ე.ი. საფონდო ბირჟა არა მარტო ის აპარატია, რომლითაც ხორციელდება ფულადი კაპიტალების ხანგრძლივი ინვესტიციონება, არამედ იგი ამასთანავე მჭიდრო კავშირშია მოკლევადიანი კრედიტების გამოყენებასთან. საქმე ისაა, რომ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შესაძლებლობა ბირჟას იმ ობიექტად აქცევს, რომელიც სასესხო კაპიტალის მოკლევადიანი კრედიტისათვის არის საჭირო. მართლაც, ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ყოველთვის შეუძლიათ მოკლე ვადით იყიდონ და გაყიდონ თავიანთი კაპიტალები. /

3. აქციონერული საზოგადოებები

წარმოების გაფართოება, ახალი საწარმოების შექმნა, როგორც წესი, უზარმაზარ ხარჯებსა და დიდ ოდენობით ფულადი სახსრების დაბანდებას მოითხოვს, ხოლო ცალკეულ პირს ამის შესაძლებლობა არა აქვს. ყოველ პირს შეუძლია საკუთარი წარმოება გააფართოოს მხოლოდ მოგების ნაწილის თანაფარდობით და გრძელვადიანი საბანკო კრედიტების გამოყენების საფუძველზე. კაპიტალის იმ ოდენობით დაგროვება, რომელიც ახალი საწარმოს შექმნისათვის იქნება საკმარისი, ბევრ დროს მოითხოვს, გრძელვადიანი კრედიტის მიღება კი მთელი რიგი პირობებით არის შეზღუდული.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა შექმნილიყო ცალკეულ პირთა ერთ შეკავშირებულ საზოგადოებად გაერთიანების ახალი ფორმა, რომელსაც აქციონერული საზოგადოება ეწოდება. აქციონერული საზოგადოება ისეთი საწარმოა, რომლის კაპიტალიც აქციების გაყიდვის საფუძველზე იქმნება. საზოგადოების შექმნაში მონაწილეობს მუპაიეთა ჯგუფი. აქციონერული საზოგადოება ხასიათდება კაპიტალის გიგანტური ცენტრალიზაციით.

აქციონერული საზოგადოებანი აღმოცენდნენ XVII საუკუნეში მსხვილი სავაჭრო კომპანიების სახით. ასეთი კომპანია პირველად ინგლისში შეიქმნა 1600 წელს, შემდეგ—პოლანდიაში 1602 წელს, ლონდონში—1602 წელს. ლონდონში—1694 წელს დაარსდა პირველი აქციონერული ბანკი—ინგლისის ბანკის სახელწოდებით. რუსეთის პირველი აქციონერული (სავაჭრო) საზოგადოება აღმოცენდა 1757 წელს ქკონსტანტინეპოლში. იმ პერიოდისათვის სააქციო საზოგადოება იშვიათ მოვლენად ითვლებოდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება აუქციონერული საზოგადოებების ფართოდ განვითარება, რაც განაპირობა მანქანური ინდუსტრიის, რკინიგზისა და არხების მშენებლობის საკრედიტო სისტემისა და სხვა განვითარებამ.

თანამედროვე მრეწველურად განვითარებულ სახელმწიფოებში გაყიდვებისა და მოგების უდიდესი ნაწილი სწორედ მსხვილ აქციონერულ საზოგადოებებზე მოდის, მაგალითად, 1990 წელს ამერიკის

შეერთებულ შტატებში არსებულ სამ მილიონამდე სააქციო საზოგადოებიდან 500 მსხვილი სამრეწველო კორპორაციის წილად მოდიოდა 1860 მილიარდი დოლარი, ხოლო მოგებაზე 91,8 მილიარდი დოლარი.

აქციონერულ საზოგადოებებს ფართოდ იყენებს სახელმწიფო თავისი ბატონობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, რაც ხორციელდება სხვისი კაპიტალების უზარმაზარი მასის მომცველი აქციების საკონტროლო პაკეტის დაუფლების გზით.

თეორიულად აქციების საკონტროლო პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ხნების უმრავლესობას აქციონერული საქმეების გადაწყვეტის დროს, უნდა შეადგენდეს გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობის ღირებულების 51%. მაგრამ პრაქტიკაში აქციონერულ საზოგადოებაში ბატონობის მისაღწევად საკმარისია აქციების ღირებულების 5-10%, ზოგჯერ უფრო ნაკლებიც კი. ვინაიდან წვრილი აქციონერები, როგორც წესი, აქციონერთა საერთო კრებაზე არ მონაწილეობენ. ამის მიღწევა უპირველეს ყოვლისა შესაძლებელი გახდა მყიდველთა ფართო ხელმისაწვდომი წვრილი აქციების გამოშვებით.

აღსანიშნავია, ის გარემოება რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში აქციონერული საზოგადოებათა საფუძველზე წარმოიშვნენ ე.წ. კოლექტიური აქციონერები, რომლებიც თავიანთ კაპიტალებს უფრო პერსპექტიულ აქციონერულ საზოგადოებათა აქციებში აბანდებენ. ასეთი საზოგადოებას "პოლდინგი" (მფლობელთა კომპანია) ეწოდება. მათ გვერდით ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან აგრეთვე მსხვილი ბანკები, საკრედიტო ფინანსური კორპორაციები. სადაზღვეო და საპენსიო ფონდები.

აქციონერული საზოგადოების წარმოშობა¹ შემდეგნაირად ხდება: პირთა განსაზღვრული ჯგუფი აგროვებს გარკვეული რაოდენობით კაპიტალს და ღებულობს უფლებას გამოუშვას აქციები. ამ გზით ეს ჯგუფი მობილიზაციას უკეთებს იმ ფულად კაპიტალს, რომელიც შეიძლება გამოიყნონ როგორც საწარმოს აგებისათვის,

¹ ნ. ჭოიავა, კაპიტალისტური კლასების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ნაწ. I, თბ., 1956, გვ. 72-80.

ისე მოწყობილობების, ინვენტარის, მასალების, ნედლეულისა და ა.შ. შეძენისათვის. აქციონერული საზოგადოების სათავეში დგას გამგეობა, რომელსაც ირჩევს აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრული ვადით. ზოგჯერ ირჩევენ საბჭოსაც. აქციონერულ საზოგადოების საქმიანობაზე კონტროლს ანხორციელებს სარევიზიო კომისია. იმ აქციების რაოდენობას, რომელიც საკმარისია საზოგადოებაში ბატონობისათვის ეწოდება აქციების საკონტროლო პაკეტი. ასეთი ბატონობისათვის საკმარისია აქციონერებს გააჩნდეს მთელი აქციების დაახლოებით 30-40%. სააქციო პაკეტის შეძენა უფლებას იძლევა ერთი სააქციო საზოგადოება მონაწილეობდეს მეორეში, მეორე, თავის მხრივ ასევე შეიძლება მონაწილეობდეს მესამეში და ა.შ. სწორედ ამ გზით წარმოიშობა ე.წ. საზოგადოება-შვილიშვილი.

აქციონერული საზოგადოების წმინდა მოგება აქციონერთა შორის-აქციონერის მიხედვით ნაწილდება. აქციებზე მიღებულ შემოსავალს დივიდენდი ეწოდება აღსანიშნავია, რომ მოგება მთლიანად ნაწილდება დივიდენდის სახით მისი გარკვეული ნაწილი გადაირიცხება როგორც წარმოების გაფართოებისა და სარეზერვო კაპიტალის შექმნისათვის, ისე ტანტიემის ანუ მმართველი აპარატის (მაგალითად, გამგეობის წევრების, დირექტორისა და ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის) გასამრჯელოს ასანაზღაურებლად.

აქციონერული საზოგადოების დაშლის შემთხვევაში მისი კაპიტალები პირველ რიგში გამოიჯანება დამფინანსებელი ორგანოებისა და პირების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად (თუ ასეთი პრეტენზიები არსებობს), ხოლო დანარჩენი კაპიტალი (თუ ასეთი დარჩა) ნაწილდება თვით აქციონერთა შორის. მართალია, საზოგადოების დაშლამდე აქციონერს უფლება არა აქვს მის მიერ დაბანდებული კაპიტალი მოითხოვოს, მაგრამ მას შეუძლია მისი გაყდვა სხვა პირზე აქციების სახით.

სააქციო საზოგადოების საკუთარი კაპიტალი შედგება ძირითადი კაპიტალისა და სარეზერვო კაპიტალისაგან, რომელიც მოგებიდან ანაზღაურების ხარჯზე იქმნება. სარეზერვო კაპიტალი გამიზნულია, ერთი მხრივ, ძირითადი კაპიტალის შევსებისათვის (რაც გამოწვეულია ზარალით), და მეორე მხრივ, დივიდენდების ვადასახ-

დელად, როდესაც იგი საკმარისი არ არის მოგების მიუღებლობის შემთხვევაში.

/ცნობილია ორი სახის აქციონერული საზოგადოება: დახურული და ღია. დახურული: სააქციო საზოგადოების აქციები არ ექვემდებარება ყიდვა-გაყიდვას, ხოლო მეორე—ყიდვა-გაყიდვის ობიექტია./აქციების გამოშვებით საზოგადოება თავს უყრის კაპიტალის ძირითად მასას, მეპაიე შეტანილი თანხის ნაცვლად ლეზულობს აქციას. აქციის მფლობელს აქციონერი ეწოდება.

4. ბირჟები, მათი ჩამოყალიბება და ბანკშიზრება

საიდან წარმოიშვა სიტყვა "ბირჟა"? უცხო სიტყვათა ლექსიკონი გვიხსნის რომ იგი სათავეს იღებს გერმანული "Borse"-დან, რაც ნიშნავს "ქიხას". მაგრამ არსებობს ამ სიტყვის წარმოშობის კიდევ ერთი ახსნა. ბელგიის ქალაქ ბრიუგეში მცხოვრებ პოლანდიელ ვაჭარს ვან დერ ბურსკს თავის გერბზე გამოსახული ჰქონდა სამი ქიხა. ადგილი, სადაც მისი სახლი მდებარეობდა, მოსახერხებელი მოედანი იყო ვაჭართა, უმეტესწილად ფულიან ზარაფთა თავშესაფრად. მდიდარმა ვაჭარმა ხელიდან არ გაუშვა შანსი და მისცა მათ თავისი სახლი (როგორც ახლა ვიტყოდით—იჯარით), რომელიც გახდა სწორედ პირველი საბირჟო შენობა.

ჩვენ დროში ბირჟა გულისხმობს კომერციული შუამავლობის გაერთიანებას, საჯარო ვაჭრობის გამართვის ადგილს და ფართო გაგებით საბითუმო ბაზარს.

ისტორიულად საბითუმო ვაჭრობის პირველი ფორმა იყო საქარავნო, რომელიც შემდეგ შეიცვალა საბაზროდ, რომელიც თავის მხრივ, შეიცვალა თუმცა მთლიანად არა, საბირჟოდ. ამ სამი ნაირსახეობის მთავარი განსხვავებაა მათი მოწყობის რეგულარობა. მაგალითად, საქარავნო ვაჭრობა შეიძლება იყოს მხოლოდ ეპიზოდური. თვით სიტყვა "ბაზრობა" (სიტყვა-სიტყვით გერმანულ ენაშია "ყოველწლიური ბაზარი") მოწმობს გარკვეულ პერიოდულობას. მათგან განსხვავებით ბირჟა სტაციონალური სავაჭრო ადგილია მუშაობის ფიქსირებული საათებითა და დღეებით.

ბირეები, რომლებიც საბითუმო ვაჭრობის ფორმებისა და საჯარო ვაჭრობების წარმოების ხერხების ევოლუციის შედეგია. წარმოიშვა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში. ბირეა იდეალური გაგებით—ეს არის ბაზარი, სადაც მყიდველი და გამყიდველი არ რჩებიან უგარიგებებოდ. ერთ საქონელს რომ იძენ, შეიძლება იქვე გაყდო მეორე, და ასე დაუსრულებლივ. თუ არ ჩავთვლით ფულიან ზარათთა კანტორების საწყის გაერთიანებებს, პირველი ბირეები იყო სასაქონლო, რომლებიც ყველაზე ადრე ისინი გაჩნდნენ ევროპის ქალაქებში—ანტივერპენში, ლიონში, ტულუზაში, ლანდონში. რუსეთის სახელმწიფომ, როგორც ყოველთვის აქაც დაიგვიანა. რუსეთში საბაზრო ვაჭრობა, ესოდენ დიდად რომ ყვალდა ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე, მაინც არ გაზრდილა თავისთავად საბირეო ვაჭრობა. გავლენა იქონია სასაქონლო—ფულად ურთიერთობათა არასაკმარისმა განვითარებამ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ბირეა იშუა როგორც თვითორგანიზირებული ვაჭრობის თავისუფალი ინიციატივის შედეგად, რუსეთში იგი დაარსდა პეტრე I-ის უზენაესი ბრძანებით 1703 წელს. ახალგაზრდა მეფე, რომელიც პოლანდიაში მოგზაურობდა ვითომ ხელოსანი, ეწვია ამსტერდამის ბირეას და გადაწყვიტა "ზღვისმთიერი საკვირველება" შემოეღო თავის სახელმწიფოში "ნიდერლანდიური სტანდარტის" ნიმუშით და მსგავსად შეიქმნა სანქტ-პეტერბურგის სავაჭრო ბირეა. მაგრამ იმ პერიოდში საბირეო საქმის განვითარების რეალური ეკონომიკურ წანამძღვრები არ არსებობდა. იმ ხანად ყვალდა წვრილსაბითუმო ბაზრობები. ამის შედეგად სანქტ-პეტერბურგში პეტრეს უბადრუკი ბირეა რეორგანიზებულ იქნა ნიკოლოზ I-ის მეფობაში. კერძოდ კაპიტალის ინტერესებმა და მის მეპაიეთა შემადგენლობაში ჩართვამ გამოაცოცხლა, შემდეგ კი დააჩქარა რუსეთის საბირეო სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი. უკვე 1842 წელს გაჩნდა რიბინსკაიას პურის და ნიჟნი-ნოვგოროდის საბაზრო ბირეები. 60-70-იან წლებში ასეთი ბირეები წარმოიშვა რიგაში, კიევში, სამარასა და სხვა ქალაქებში. მაგრამ განსაკუთრებით მოსავლიანი იყო პერიოდი 1903 წლიდან 1908 წლამდე, როცა 114 სავაჭრო ბირეის საერთო რიცხვიდან, რომლებიც იყო პირველი მსოფლიო ომის

დაწყების შემდეგვე მათი დახურვის წინ, წარმოიშვა 50. საბირჟო მოძრაობის ზრდისათვის ასევე ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ნების პერიოდში. 1920 წლისათვის თავისი საქმიანობა არა მარტო განაახლა რავოლუციამდელმა სასაქონლო ბირჟებმა, არამედ წარმოიქმნა რამდენიმე ათეული ახალი ბირჟა.

ევროპასთან შედარებით ბირჟების ესოდენ უჩვეულოდ დიდი რაოდენობა ვერ აიხსნება მხოლოდ ქვეყნის გიგანტური ტერიტორიით, თუმცა ეს ფაქტორიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. გაელენა იქონია ბაზრის დაქუცმაცებამაც, რეგიონთაშორისი კავშირურთიერთობების უქონლობამ, სოფლის მეურნეობის დაბალმა საქონლიანობამ. 1861 წლის რეფორმის ნაყოფმა თავი იჩინა მხოლოდ საუკუნის დამლევს, რომ გლეხთა მეურნეობებმა დაიწყეს სასაქონლო პურის რეგულარულად მოცემა. ქვეყანაში მის განაწილებასა და საზღვარგარეთ მის გატანაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სპეციალიზირებულმა ბირჟებმა, რომლებმაც, თავის მხრივ ხელი შეუწყვეს ქალაქსა და სოფელში სამეურნეო კავშირურთიერთობათა სპეციალიზაციას და ამით საეთო-ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას. ესოდენ რთული ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო გახდა არაერთი ათეული საბითუმო ვაჭრობის რეგიონალური და სრულიად რუსეთის ცენტრი.

ასეთია მოკლე ცნობები საბირჟო-სასაქონლო ბირჟების ერთ-ერთი სახეობის წარმოშობის შესახებ. თუმცა მათ არ ჰქონიათ უშუალო დამოკიდებულება ფასიანი ქაღალდების ბაზართან, ისინი მაინც მაგალითი იყო საფონდო ბირჟების შექმნისათვის, რომლებსაც საქმე ჰქონდა ფასიან ქაღალდებთან და რომლებიც გადაიღეს, მაგრამ ახლა უკვე არა საქონლის (როგორც სავაჭრო ბირჟებზე), არამედ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პრინციპი.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების გარიჟრაჟზე სააქციო საზოგადოებების გაჩენის შემდეგ, განსაკუთრებით დიდი გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით, წარმოიშვა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცესის მოწესრიგების საჭიროება. თავდაპირველად ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარიგებანი ხდებოდა ქუჩაში ან კაფეში. აქედან მიეცათ დასაბამი გამოთქმას "ქუჩის ბაზარს", მხოლოდ სამრეწველო გადატრიალების დაწყების

და მსხვილი დამამუშავებელი საწარმოების შექმნის შემდეგ პოვა ფართო გავრცელება აქციების ვაჭრობამ. 1773 წელს ლონდონელ-მა ბროკერებმა იჭარით აიღეს სამეფო ზარაფის ნაწილი. ასე გაჩნდა მსოფლიოში პირველი ლონდონის საფონდო ბირჟა, და "ქუჩის" ბაზრის გვერდით სასწრაფოდ იწყო განვითარება "ორგანიზებულმა" ბაზარმა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებას.

პირველი ამერიკული საფირმო ბირჟა წარმოიშვა 1791 წელს ფილადელფიაში, ხოლო 1792 წელს გაჩნდა ამჟამად ცნობილი ნიუ-ორკის საფინანსო ბირჟის წინაპარი.

თავდაპირველად ბირჟები ვაჭრობდნენ არა იმდენად აქციებით, რამენადაც ობლიგაციებით, რომლებსაც ხალისით უშვებდნენ მთავრობები და რკინიგზის კომპანიები. გასული საუკუნის დამლევიდან სააქციო საკუთრების ძლევა მოსილ სვლას მოჰყვა ბირჟის სპეციალიზაცია აქციების ვაჭრობაზე, ხოლო ობლიგაციებთან. დაკავშირებულმა მუშაობამ თავი მოიყარა "ქუჩის" ბაზარზე.

რევოლუციამდელ რუსეთში უდიდესი ბირჟა იყო მოსკოვში ილინკაზე კრემლიდან ნახევარ კოლომეტრზე. ოდესღაც სვეტებიანი და ფასადზე ნაძერწებიანი, ამ შენობის თაღებქვეშ სცემდა რუსეთის ეკონომიკის პულსი. ვრცელ დარბაზში გაისმოდა ბროკერებისა და მაკლერების წამოძახილები, რომლებიც ასრულებდნენ აქციების ყიდვისა და გაყიდვის შეკვეთებს, განუწყვეტილად ისმოდა ტელეფონის ზარი, აივანზე კი თავი მოეყარათ "ბირჟევიე ნოვოსტის" ეჟურნალისტებს.

რევოლუციამდელ რუსეთში ბირჟების ორგანიზაციის ერთ-ერთი თავისებურებანი ის იყო, რომ მრავალ დიდ სასაქონლო ბირჟას ჰქონდა ე.წ. საფონდო განყოფილებანი, სადაც ხორციელდებოდა ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

საბაზრო ურთიერთობათა წყალობით ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ წარმოიშვა ბირჟების ინსტიტუტის აღდგენის ეკონომიკური აუცილებლობა. აქვე დაეძინა, რომ რუსეთში ბირჟების საქმიანობა აიკრძალა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, ე.ი. 1914 წელს.

პირველი სასაქონლო ბირჟა გაიხსნა 1921 წლის დეკემბერის

დამლევს. სახკომსაბჭოს 1922 წლის 20 ოქტომბერის დადაგენილებით ფასიანი ქალაღდებთან დაკავშირებული ოპერაციებისათვის შეიქმნა საფონდო ბირჟები, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენდნენ ზოგიერთ სასაქონლო ბირჟებთან არსებულ საფონდო განყოფილებებს (მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, კიევში, თბილისში და სხვა ქალაქებში) საფონდო განყოფილებებს უნდა მოეხდინათ არა მარტო ფასიანი ქალაღდებთან (აქციებთან და ობლიგაციებთან) დაკავშირებული ოპერაციები, არამედ ხელი შეეწყოთ ფულის მიმოქცევის გაჯანსაღებისათვის, ოქროს კურსის განმტკიცებისათვის. ამით საფონდო განყოფილებებში, თავის მხრივ, ჩანდა სავალუტო ბირჟის ჩანასახები. ამას იმ წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ოქროს ფული ის-ის იყო მიმოქცევაში გამოუშვეს და მას უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი სხვა ვალუტაში თავისუფლად კონვერტირებადი მყარი ვალუტაა.

მაშასადამე, ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელმაც ქვეყანას დაუბრუნა საბაზრო ეკონომიკა, მოახდინა ბირჟების რეანიმაცია და ახალი სიცოცხლე შთაბერა მათ. ქვეყანაში ბირჟების საერთო რაოდენობამ 100-ს მიაღწია. მაგრამ შემდგომ, როცა ხელი აიღეს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და შეიკვეცა საბაზრო ურთიერთობანი 1929-1930 წლებში, ბირჟები მოისპო.

გავიდა ნახევარი საუკუნე. უბაზრო ეკონომიკას გრანდიოზული კრიზისი მოჰყვა. საბაზრო მეურნეობის იდეამ ღრმად გაიდგა ფესვები საზოგადოებაში. და აი, უკვე მიღებულია კანონები, რომლებიც იძლევა სააქციო კომპანიების დაარსების, ფასიანი ქალაღდების გამოშვების ნებას, ხოლო პროცენტსა და დივიდენდს მოეხსნა უშრომელი შემოსავლის დაღმა. თვითონ მთავრობამ გამოუშვა ეუპონიანი ობლიგაციები, რომელთა "გაყრევა" სულ ცოტა ხნის წინათ კლასობრივად უცხო საქმედ ითვლებოდა, გაჩნდა პირველი ბირჟები და ბროკერული ფირმები, ხოლო ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა გახსნა ბროკერული განყოფილებანი. ქვეყანა დაადგა პრივატიზაციის გზას, რომელიც ვერ განხორციელდება ფასიანი ქალაღდების გარეშე, მაგრამ ბაზრის აღორძინება ძალზე ძნელად მიმდინარეობს. გავლენას ახდებს არა მარტო კონსერვატორთა წინააღმდეგობა, ინერციის ძალა, არამედ ჩვენი ეკონომიკური "გა-

ველურებაც¹. ტოტალიტარებმა გადაგვაჩვია საბაზრო კატეგორიებით აზროვნებას. განსაკუთრებით დიდია ეს "გაველურება" საბაზრო ურთიერთობათა ისეთ დარგში, როგორც არის ფასიან ქალაქდებდთან დაკავშირებული ოპერაციები. ბირჟა წარმოუდგებოდათ კაპიტალისტური ჯოჯოხეთის მოციქულად, ფინანსური მაქინაციების ცენტრად.

ვერაფერს იტყვი, ფასიანი ქალაქდების ბაზრები უპატიოსნო გზით გამდიდრების საშუალებას იძლევა და ამიტომ ყალიბდება ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებისა და გამომჟღავნების ლონისძიებათა სისტემა. მაგრამ ვინ გაბედავს ახლა თქვას, რომ უბაზრო ეკონომიკა არ შობს მაქინატორებს, რომლებიც იტაცებენ ეროვნულ სიმდიდრეს. ჩვენი პრესა სავსეა ეგრეთ წოდებული "გეგმიანი ეკონომიკის" ცენტრალიზებულ სტრუქტურებში გაიძვერობის, ქურდობისა და შეჭრათამეობის მაგალითებით.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი რამ: ყოველივე ახალი, რაც მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში, ყოველთვის და ყველაფერში როდია საიმედოდ დაცული სამართლებრივი თვალსაზრისით. როგორც წესი, კანონების მიღება იგვიანებს, თანაც ისინი ყოველთვის საკმარისად დამუშავებული (მომზადებული) არ არის. სწორედ ამით სარგებლობენ უპატიოსნო ადამიანები.

ახლა, ისტორიაში ესოდენ ხანგრძლივი ექსკურსის შემდეგ, უშუალოდ შევხვით თანამედროვე ბირჟებს. ამასთან მხედველობაში ვიჭონიოთ მათი საქმიანობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასებანი.

ორი წელიც არ გასულა იმ მომენტიდან, როცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ რუსეთში პირველად გაჩნდა საბირჟო მოძრაობის პირველი მოსკოვის-სასაქონლო ბირჟა, რომელიც 1990 წლის 19 მაისს დაარსდა. იმავე წლის ოქტომბერში ოფიციალურად დაარსდა რუსეთის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა, თანაც ამ ბირჟის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1990 წლის აპრილში იშვა. საგულისხმოა, რომ სწორედ რუსეთის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა უნდა გახდეს ლიდერი ბირჟებს შორის.

იმ პერიოდში, ესე იგი 1990 წელს, ვერაფერს ვერ იწინასწარმეტყველებდა, რომ დღეს საბირჟო სტრუქტურების რაოდენობით,

ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირი გაუსწრებდა მთელ დანარჩენ მსოფლიოს, რომ ბირჟები დაიკავებენ სამეწარმეო აქტიურობის ლიდერთა ადგილს. 1990 წელს ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მათმა რიცხვმა 500-ს გადააქარბა, მაგრამ ახალ-ახალი ბირჟების შექმნის პროცესი არ დამთავრებულა. პრესიდან ვლებულობდით ინფორმაციებს, რომ ხან ერთ, ხან მეორე რეგიონში სულ ახალ-ახალი ბირჟები იქმნება. ესოდენ უჩვეულო შედეგები, რომლებიც გამოიხატა. საბირჟო სტრუქტურების სწრაფი ზრდით, მოწმობს, რომ არსებობს არსებითი თავისებურებანი ბირჟების საქმიანობის ხასიათში.

შევხოთ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ბირჟების შექმნის ზოგიერთ თავისებურებას. უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის, რომ დასავლეთში ბირჟებს ქმნიდნენ თვითონ ბროკერები, ე.ი. პირნი, რომლებიც იყვნენ შუამავლები მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ერთადერთი მიზნით: შეიქმნას ყელაზე ხელშემწყობი პირობები ვაჭრობისათვის. ბროკერები გამყიდველთა დავალებით ეძებდნენ მყიდველებს, ხოლო მყიდველების დავალებით პოულობდნენ გამყიდველებს. სწორედ ბროკერები იყვნენ ბირჟების დამფუძნებლები.

სულ სხვანაირად იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ბირჟების შექმნის საქმე. თავდაპირველად ერთმანეთს პოულობდნენ დამფუძნებლები, ორგანიზაციას უწევდნენ მას და შექონდათ წვლილი ბირჟის კაპიტალში, შემდეგ ეძებდნენ ბირჟებისათვის ხელსაყრელ წევრებს, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ბოლოს და ბოლოს საუბარი ბროკერთა შერჩევის შესახებ.

ბირჟების შექმნის ასეთი გადაბრუნებული (თავდაპირველად-ბირჟა, შემდეგ-ბროკერები) პრინციპი შეიცავს უამრავ პოტენციურ წინააღმდეგობებს საბირჟო ვაჭრობის მომავალ სუბიექტებს შორის, რომლებიც გაუგებარია დასავლეთ ბირჟებისათვის. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ბირჟებზე არც თუ იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე, რომ არ არის თანხმობა ბირჟის დამფუძნებლებსა და ბირჟის წევრებს შორის. ორგანიზაციული სტრუქტურის არასრულყოფილების გამო არ არის სფეროების ზუსტი გაყოფა საკანონმდებლო (საბირჟო საბჭოს) და აღმასრულებელ ხე-

ლისუფლებებს (ბირჟის პრეზიდენტი და მათი აპარატი) შორის. არც თუ იშვიათად წარმოიშობა ხოლმე კონფლიქტები ბროკერებსა და ბირჟის ადმინისტრაციას შორის.

არსებობს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ბირჟების კიდევ ერთი არსებითი განსხვავება. საქმე ეხება საბირჟო საქონლის სპეციფიკას. თუ დასავლეთის სასაქონლო ბირჟებზე საბირჟო საქონელი შეზღუდულია მარცვლეულით, ზეთოვანი მცენარეებით, დახერხილი მასალებით, მეცხოველეობის პროდუქციით, ყავით, კაკაოთი, ბამბით, ენერგომატარებლებით, ფერადი და ძვირფასი ლითონებით და ფინანსური ინსტრუმენტებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ბირჟები ვაჭრობენ ყველაფრით, რაც გნებავთ. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება დასავლეთში საბირჟო საქონლისადმი წაყენებული ისეთი მოთხოვნები, როგორც არის ამ საქონლის არა მონოპოლიზებული ბაზარი. დიდძალი სასაქონლო პოზიციები, რომლებითაც მიმდინარეობს საჯარო ვაჭრობა (ქვეყნის უდიდეს ბირჟებზე ზშირად გადის 1500-ზე მეტი საქონელი), უალრესად აძნელებს ვაჭრობას, იწვევს საბირჟო მექანიზმის ძალზე მცირე ეფექტიანობას. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკას, აქ სასაქონლო და საფონდო ბირჟების საქმიანობის სათანადო შესწავლა და მათ მაგალითზე ანალოგიური ორგანიზაციების საქართველოში დაფუძნება და განმტკიცებაა აუცილებელი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა საქართველოში "კავკასიის ბირჟის" სახით. ამჟამად საქართველოში 25-ზე მეტი სასაქონლო ბირჟა ფუნქციონირებს, მაგრამ სამწუხაროდ, რეგულარული ვაჭრობა მხოლოდ "კავკასიის ბირჟაზე" იმართება. გასულ 1995 წელს შეიქმნა საფონდო ბირჟა, მაგრამ მისი სრული ფუნქციონირება აქამდე არ დაწყებულა.

სპეციალიზებული ბირჟების შექმნის გარდა დაისახა ბირჟების შემადგენლობიდან სავაჭრო სახლების გამოყოფის პროცესი. მრავალ ამჟამად წვრილ-წვრილ ბირჟას პერსპექტივაში აქვს სავაჭრო სახლებად ტრანსფორმირების შესაძლებლობა, რის წყალობითაც უნდა მოველოდოთ ბირჟების ესოდენ დიდი რიცხვის შემცირებას რა არის სავაჭრო სახლი? არსებითად ეს არის ბირჟა, მაგრამ მისი დანიშნულებაა მოემსახუროს მცირე ბიზნესს, საშუალო და

წვილ მეწარმეებს, რომლებსაც ძალა არ შესწევდათ შეისყიდონ საქონლის დიდი პარტია ჩვეულებრივ ბირჟაზე. გარდა ამისა, სავაჭრო სახლებში თავს იყრის ეგრეთ წოდებული არასაბირჟო (დასავლეთის საზომებით) საქონლის, ე.ი. იმ საქონლის ბრუნვა, რომელიც არ გაივლის დასავლეთში დიდ ბირჟებს.

სასაქონლო ბირჟების შესახებ ზემოთქმულის შეჯამებისას, ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე წარმოიშვა უაღრესად დიდი რაოდენობის ბირჟები, თანაც მათი საქმიანობა ჯერ კიდევ სავსებით მოწესრიგებული არ არის. პერსპექტივაში უნდა მოველოდეთ სასაქონლო ბირჟების რიცხვის შემცირებას მათი გამსხვილებისა და სავაჭრო სახლებად წვრილი ბირჟების ნაწილის ტრანსფორმაციის წყალობით.

სასაქონლო ბირჟების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ზოგიერთი დიდი ბირჟის შემადგენლობაში დაიწყო საფონდო განყოფილებების, ე.ი. ისეთი განყოფილებების შექმნა, რომლებიც მუშაობენ ფასიანი ქაღალდების მეორეული გავრცელების ოპერაციებზე. მთელ რიგ შემთხვევაში საფონდო განყოფილებანი გამოიყო სასაქონლო ბირჟების სტრუქტურიდან. ამის შედეგად წარმოიშვა დამოუკიდებელი საფონდო ბირჟები. საფონდო-სასაქონლო ბირჟებთან არსებული საფონდო ბირჟებისა და საფონდო განყოფილებების საქმიანობის შესახებ ჯერ კიდევ ცოტა მასალა დაგროვილი, რადგან ფასიანი ქაღალდების ბაზარი ის-ის იყო ყალიბდებოდა, ჯერ კიდევ მიმდინარეობს ინვესტორთა შორის აქციების პირველადი გავრცელების პროცესი, თანაც მრავალი აქცია სააქციო საზოგადოებათა პირობებით არ ექვემდებარება მეორეულ მიმოქცევას. მაგრამ მიუხედავად ამისა ფასიანი ქაღალდების ბაზარი ივსება და ეს არის მასაზრდოებელი გარემო საფონდო ბირჟებისა და განყოფილებების ოპერაციებისათვის.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების, აგრეთვე საფონდო ბირჟებისა და განყოფილებების საქმიანობის მოწესრიგების მიზნით რუსეთის ფედერაციაში მიღებულია დებულება ფასიანი ქაღალდებისა და მიმოქცევაში გაშვებისა და საფონდო ბირჟების შესახებ. ფორმალურად იგი ძალაში შევიდა 1992 წლის 1 იანვრი-

დან, ფაქტობრივად კი ამოქმედდა 1992 წლის იანვრიდან. ჩვენ არ შევხვებით მთლიანად დებულების შინაარსს და ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ერთ პუნქტს—პ.14-ს, რომლის შინაარსსა წინასწარი განხილვის დროს არაერთგვაროვანი შეფასება და ცხარე კამათი გამოიწვია: დაუშვან თუ არა ბანკები ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციებისათვის.

საქმე ის არის, რომ დასავლეთში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ჩამოყალიბდა წესი არ დაუშვან კომერციული ბანკები ბირჟების სავაჭრო დარბაზებში, უარს ეუბნება კომერციულ ბანკებს წვერობაზე. არის ბირჟები, რომლებიც დახურულია ბანკის მომსახურებისთვისაც კი. ამის სერიოზული მიზეზია სახელდობრ ის, რომ კომერციული ბანკების პატარა ჯგუფის ეკონომიკური ყოვლისშემძლეობის საფრთხე, როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა გადამწყვეტი არგუმენტი ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციებისათვის ბანკების დაშვების საკითხის გადაჭრაში. დებულების მე-14 პუნქტში ჩაწერილია: "ფასიანი ქალაქების ბაზარზე საინვესტიციო ინსტიტუტები ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის შესაბამისად შეიძლება იყვნენ ბანკები". საინვესტიციო ინსტიტუტი არის ურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ნებისმიერ, კანონით დაშვებულ საორგანიზაციო-სამართლებრივ ფორმაში. დებულების მე-15 პუნქტში დაზუსტებულია, რომ საინვესტიციო ინსტიტუტს შეუძლია თავის საქმიანობა განახორციელოს ფასიანი ქალაქების ბაზარზე. მაშასადამე, კანონი ხელს არ უშლის კომერციულ ბანკებს აწარმოონ ოპერაციები ფასიან ქალაქებთან დაკავშირებით. ანალოგიური ხასიათის დებულებები იქნა მიღებული ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში.

თანამედროვე პირობებში შეიძლება ასეთი დებულების დაშვება, მაგრამ, როგორც ჩანს, კომერციული ბანკების ჩამოყალიბების არახანგრძლივი პერიოდისათვის, სხვაგვარად, ჩვენი აზრით, უწყებრივ მონოპოლიზმთან ბრძოლაში გამოგვეპარება ტენდენცია საბანკო მონოპოლიზმისადმი.

კიდევ ერთი სახეობის ბირჟებზე—სავალუტო ბირჟაზე. ამ სახეობის ბირჟების გაჩენა გამოიწვია სახელმწიფოს სავალუტო მო-

ნობლის დანერგვამ და სახელმწიფოს უარმა ოფიციალური სავალუტო კურსის ფიქსირებაზე, რომლის კურსის დასაბუთებაც, როგორც მრავალი ეკონომისტი ამტკიცებს, შეუძლებელია შესაბამისი ანგარიშსწორებით. ოფიციალური სავალუტო კურსი წარმოადგენდა ცენტრალიზებული, არასაბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტს, მაგრამ ვერ იქნებოდა შენარჩუნებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს გარკვეულ ღონისძიებებს ვალუტის კონვერტირებადობის მისაღწევად. მანეთის ოფიციალური კურსის გაუქმების შემდეგ წარმოიშვა სპეციალური ინსტიტუტების შექმნის საკითხი, სადაც შეიძლება გამოვლინდეს ღირებულებითი თანათარღობა ვალუტებს შორის, ან მათი კურსი.

აღნიშნავთ, რომ რუბლის საშინაო კონვერტირებადობის მზადებისას პირველ ეტაპზე წარმოიშვა სავალუტო აუქციონები, სადაც პერიოდულად ხდებოდა გარიგებანი რუბლებად ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. საერთოდ კი ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო ბირჟები ყველაზე ახალგაზრდაა სხვა ტიპების ბირჟებს შორის, და ამიტომ მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ არის როგორც წმინდა ტექნიკური, ისე ეკონომიკური მრავალი გადაუჭრელი პრობლემა.

სავალუტო ბირჟების აუცილებლობა ჩვენში წარმოიქმნა ორი ფაქტორის გამო. ჯერ ერთი, ცალკეული საწარმოების საგარეო ბაზარზე უშუალოდ გასვლისა და მეორეც იმის გამო, რომ აღნიშნულ საწარმოებს უფლება მიეცათ გაეყიდათ უცხოური ვალუტა საბაზრო კურსით, აგრეთვე შეესყიდათ უცხოური ვალუტა იმპორტის ასანაზღაურებლად.

სავალუტო ბირჟების წინამორბედები გახდნენ სავალუტო აუქციონები. კერძოდ, საგარეო ეკონომიკურ ბანკთან პერიოდულად ტარდებოდა სავალუტო აუქციონები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ვალუტის გამყიდველები და მყიდველები. მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით ყალიბდებოდა გასაყიდ ვალუტაზე კურსი.

უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნებისა და მიწოდების გაფართო-

ების ფონზე, სავალუტო აუქციონების ჩატარების ეპიზოდურობამ განაპირობა სავალუტო ბირჟების წარმოქმნა. ჯერ გაიხსნა ყოფილი სსრკ სახბანკოს სავალუტო ბირჟა. პირველი ვაჭრობა ჩატარდა 1991 წლის 9 აპრილს. მასზე სულ ორი გარიგება შესდგა. შემდეგში გარიგებების რაოდენობა გაიზარდა.

საწყის ეტაპზე გაჩნდა კონკურენცია ყოფილ სსრკ სახბანკოს სავალუტო ბირჟასა და საგარეო ეკონომიკურ ბანკთან არსებულ სავალუტო აუქციონს შორის. საქმე იმაშია, რომ სავალუტო აუქციონში მონაწილეობის მიღების პირობები ნაკლებად მკაცრი იყო. საწარმოებს უფლება ჰქონდათ უშუალოდ აუქციონზე გასულიყვნენ და შეესყიდათ ვალუტა ყოველგვარი ახსნა-განმარტებებისა და შეზღუდვების გარეშე.

სსრკ სახბანკოს საქმიანობის შეწყვეტასთან ერთად დაიხურა სავალუტო ბირჟაც. მის ნაცვლად 1992 წლის იანვარში შეიქმნა მოსკოვის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა (მბსბ). რით განსხვავდება იგი სსრკ სახბანკოს სავალუტო ბირჟისაგან?

უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი არ წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანიზაციას. ეს არის სააქციო საზოგადოება თითქმის მეთოთხედი მილიარდი მანეთი საწესდებო ფონდით. მბსბ-ს დამფუძნებელი გახდა 34-ფინანსური ორგანიზაცია, უპირატესად ბანკები, მათ შორის რუსეთის ცენტრალური ბანკიც, რაც მას სავალუტო ბაზარზე აქტიური პოლიტიკის გატარებისა და მანეთის კურსზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს. მბსბ-ს დამფუძნებლებს შორის არიან არა მარტო მოსკოვის კომერციული ბანკები, არამედ ის ბანკებიც, რომლებიც წარმოადგენდნენ რუსეთის, უკრაინისა და უზბეკეთის მსხვილი საწარმოო რაიონების უმრავლესობას. სწორედ ამიტომ არის ბირჟის დასახელებაში სიტყვა ბანკთაშორისი.

აღსანიშნავია, რომ სავალუტო ბირჟა უფრო სავალუტო აუქციონს გვაგონებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, თვით სავალუტო ბირჟის შექმნის ფაქტი გვიმტკიცებს რწმენას, რომ დროთა განმავლობაში, გამოცდილების დაგროვების შედეგად, ბირჟა უფრო სრულყოფს თავის საქმიანობას და გადაიქცევა იმ შექანიზმად, რომელიც თავის წვლილს შეიტანს ვალუტის კონვერტირების ამო-

ცანის გადაწყვეტის საქმეში.

საფონდო ბირჟა—ეს არის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ფულადი ბაზრის მთელი მექანიზმის არსებითი ნაწილი, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, მიწოდება-მოთხოვნის თავმოყრა დამატებითი ფულადი კაპიტალების მოზიდვის მიზნით.

საფონდო ბირჟა წარმოიშვა ჯერ კიდევ კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ეპოქაში, მისი შემდგომი განვითარება მოხდა XIX საუკუნეში, საბირჟო ბრუნვის რთული მექანიზმის ფორმირების პროცესში.

საფონდო ბირჟის წინამორბედი როგორც ზემოთ აღინიშნა, იყო სასაქონლო (სათამასუქო) ბირჟა. XVI საუკუნეში საფონდო ბირჟები აღმოცენდნენ: ანტვერპენში—1531 წელს; ტულუზასა და ლიონში—1549 წელს; ჰამბურგში—1558 წელს; ლონდონში 1556—წელს; ამსტერდამში—1586 წელს; ბრემენში—1613 წელს.

XVII საუკუნეში საბირჟო ოპერაციები გასაყუთრებით განვითარდა ამსტერდამში, სადაც შეიქმნა პირველი სააქციო საზოგადოება, მას თან ახლდა მკაცრთა საქმიანობის განვითარება. აქვე, ამსტერდამში აქციებთან ერთად ფართო ხასიათი მიიღო აგრეთვე სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებმაც, რის გამოც ტერმინ ბირჟას სიტყვა საფონდოც დაემატა.

XVIII საუკუნეში საერთაშორისო საფონდო ბირჟის ცენტრი უკვე ლონდონი გახდა, მისი შემდგომი განვითარება მოხდა XIX საუკუნეში, მან თავის აპოგეას XX საუკუნეში მიაღწია, როდესაც საბირჟო ბრუნვის ცენტრი ნიუ-იორკი გახდა. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 მსხვილი საფონდო ბირჟა ფუნქციონირებს. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია ნიუ-იორკის ბირჟას. დიდ ბრიტანეთში 22 საფონდო ბირჟა მოქმედებს, აქედან ლონდონის ბირჟა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და წამყვანია არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მსოფლიოშიც. ამ ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების თითქმის ნახევარი უცხოური წარმოშობისაა. საფრანგეთში 8 საფონდო ბირჟა ფუნქციონირებს, მათ შორის უმსხვილესია პარიზის ბირჟა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 7 საფონდო ბირჟაა, უმსხვილესია მაინის-ფრანკფურტის ბირჟა. იაპონიაში 9 საფონდო ბირჟაა. ტოკიოს კაპიტალების ბრუნვის მი-

ხედვით მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია. კანადაში 5 საფონდო ბირჟაა: მონრეალისა და ტორონტოს ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ბრუნვის 90%-მდე მოდის.

ბირჟები გვევლინებიან როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ კერძო აქციონერული საზოგადოების სახით (აშშ, ინგლისი), ისე საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტის (სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ორგანიზაცია) სახით (გფრ, საფრანგეთი).

ოფიციალური ბირჟის გვერდით, ჩვეულებრივ, არსებობს არაოფიციალური ბირჟაც (პარკეტი და კულისი, როგორც მას საფრანგეთში უწოდებენ). ოფიციალურ ბირჟაზე შეიძლება მიმოიქცეოდეს მხოლოდ სათანადო წესით ნებადართული ფასიანი ქაღალდები, ხოლო არა ოფიციალურ ბირჟაზე—ყოველგვარი ფასიანი ქაღალდები, ბირჟის მუშაკთა პერსონალი ბირჟის წევრია. იქ, სადაც ბირჟა სააქციო საზოგადოებაა, ბირჟის წევრებად თვითონ აქციონერები ითვლებიან. ბირჟის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ბირჟის საქმიანობაში.

საბირჟო ოპერაციებზე დაშვება და მასში მონაწილეობა ყველა ბირჟაზე ერთნაირი როდია, ზოგან იგი თავისუფალია, ზოგან კიდევ საამისოდ გარკვეული ფორმალური მხარეების დაცვაა საჭირო, ხოლო ზოგ ბირჟაში მონაწილეობა მეტად გართულებულია.

ბირჟის მონაწილეს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს ბირჟის ბილეთი (ანუ სპეციალური ტიტონი). ბილეთის მისაღებად საჭიროა დაინტერესებული პირის განცხადება ბირჟის ხელმძღვანელი ორგანოს სახელზე, თანაც განცხადება ბირჟაზე დასაშვებად რამდენიმე პირის (უმთავრესად ბირჟის ძველი წევრების) რეკომენდაცია თან უნდა ახლდეს. ბირჟის ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია განცხადების ასლი და რეკომენდაცია გააცნოს ბირჟის ყველა მონაწილეს.

თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს წესი, რომლის თანახმადაც ბირჟებზე არ დაიშვებიან პირები; რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მოქალაქეობრივი უფლებები ანდა ადრე გარიცხული იყვნენ ბირჟიდან, ისინიც რომლებიც გადახდის უუნარონიც არიან,

აგრეთვე განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული ან გაკოტრებული პირები და სხვა.

ბირჟის საზოგადოების წევრების არჩევა ხდება ბირჟის კომიტეტის საერთო კრებაზე. სწორედ ეს კომიტეტი ადგენს ბირჟის შინაგანაწესს და აქვეყნებს საბირჟო ბიულეტენებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების კოტირჟების ამბავს იტყობინებიან¹.

ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების მიღება შეზღუდულია, ამიტომ ოფიციალური ბირჟების გვერდით არსებობენ აგრეთვე არაოფიციალური, ე.წ. შავი ბირჟები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით ფასიანი ქაღალდების 2/3 ოფიციალური ბირჟის გარეშე მიმოიქცევა ბრუნვაში. ანსხვაებენ ფასიანი ქაღალდების პირველად და მეორად ბაზრებს, პირველად ბაზარზე, როგორც წესი, რეალიზდება ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდები. აქ კარბობს ბირჟის გარეშე ბრუნვა, ფასიან ქაღალდებს იძენენ უშუალოდ მყიდველები—ჩვეულებრივ მსხვილი ოფიციალური საკრედიტო ინსტიტუტები (სადაზღვევო კომპანია, საინვესტიციო ბანკები და კომპანიები, საპენსიო ფონდი და სხვა.).

მეორად ბაზარზე მიმოიქცევა როგორც ადრე გამოშვებული, ისე დამატებითი გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, აქ მთავარ როლს ოფიციალური საფონდო ბირჟები თამაშობენ.

ორივე ბაზარი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთთან ისინი თავიანთი საქმიანობით სახელმწიფოს სამსახურში ღვანან.

ბირჟის ოპერაციების ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია შუამავლების (ბირჟის მაკლერების) ინსტიტუტის არსებობა.

ღიღია მაკლერების როლი ბირჟებზე. ჩვეულებრივ მაკლერები სარგებლობენ საშუამავლო ოპერაციებზე მონოპოლიური უფლებებით. მათ ეკრძალებათ ამ ოპერაციების საკუთარი ზახსრებით განხორციელება, ვინაიდან ეს გამოიწვევდა მათ დაინტერესებას, ოპერაციები თავიანთ სასარგებლოდ ჩაეტარებინათ. ხშირად ბირჟის მაკლერის წოდების მისაღებად საჭიროა განსაზღვრული რაოდენობის

¹ Т. Мусатов. Международная миграция фиктивного капитала М., 1983, стр. 51-59; 61-72. Ю. Филипов. Биржа. Ее история, современная организация и функции, СПб, 1912, стр. 5-19.

დენობის ფულადი გირაო ამ პროფესიისადმი მეტისმეტი მისწრაფების შეზღუდვის მიზნით. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა აუცილებელია დიდი თანხების დაგირავება. ზოგიერთ ქვეყანაში ბირჟის მაკლერები ითვლებოდნენ თანამდებობის პირებად, რომლებსაც სახელმწიფო ნიშნავდა.

ოფიციალური მაკლერების გვერდით ცნობილია აგრეთვე არაოფიციალური, კულისებს მიღმა მყოფი მაკლერები, ე.წ. "ბირჟის კურდღლები", რომლებსაც მაკლერის წოდება არ აქვთ და მაკლერობას ეწევიან.

მაკლერების წრიდან თანდათანობით გამოიყო საკურსო მაკლერების განსაკუთრებული ჯგუფი, რომლებიც სავალუტო ფასეულობათა ოპერაციებით არიან დასაქმებულნი, სავალუტო ოპერაციების ზრდამ, რაც აუცილებლობით მოითხოვს მაკლერის მალაღონეზე მომსახურებას, რათა სწრაფად, გონივრულად და ხელსაყრელად იქნეს გაფორმებული გარიგებები, გამოიწვია ე.წ. სამაკლერო ბანკების წარმოშობა. ასეთ ბანკებს, რომლებიც სააქციო საზოგადოების ფორმით იქმნებიან, ჰყავთ მალაღკვალიფიციური მაკლერების შტატი. მაკლერები არა მარტო თავიანთ უშუალო ფუნქციებს ასრულებენ, არამედ საბირჟო ადმინისტრაციის საქმიანობაშიც მონაწილეობენ.

ბირჟის მაკლერებად ითვლებიან: თვით ბირჟის მაკლერები; კურტიები; ბროკერები, სტოკბროკერები და კომისიონერები.

მაკლერი არა ერთი, არამედ ორივე მხარის ინტერესების დამცველია, მისი საქმიანობა ხელს უწყობს გარიგებათა დადებას მყიდველსა და გამყიდველს შორის. გარიგებაში შუამავლის როლის შესრულებასთან ერთად, ოფიციალური მაკლერი როგორც საქმის კარგი სპეციალისტი, განსაზღვრავს ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსს. ე.ი. ფასს, რომლის მიზეზითაც ხდება მათი ყიდვა-გაყიდვა.

მაკლერები ვალდებული არიან მათი შუამავლობით დადებული ყოველი გარიგება რეგისტრაციაში გაატარონ. ეს ხდება სპეციალურ ეურნალში ჩანაწერების სახით, გარიგების დღეს მაკლერმა, როგორც შუამავალმა, თავის კლიენტს უნდა გადასცეს მის მიერ ხელმოწერილი სამაკლერო, საანგარიშსწორებო ჩანაწერები

(ბორდერო). ამ ჩანაწერებში აღინიშნება ნაყოფი ფასიანი ქალაქ-
დებისა და ვალუტის სახეობა, მათი რაოდენობა და ღირებულება.
მას ხელს აწერენ მხარეები. თუ ერთი რომელიმე მხარე უარს
იტყვის გარიგებაზე, მაშინ მას მხოლოდ მაკლერი აწერს ხელს და
ამის შესახებ სასწრაფოდ ატყობინებს მეორე მხარეს.

კურტიების, როგორც ბირჟის შუამავლების, უფლება-მოვალეობანიც თითქმის იგივეა, რაც ბირჟის ჩვეულებრივი მაკლერებისა.

რაც შეეხება ბროკერს, მას არა აქვს უფლება თავისი სახელით გამოვიდეს ბირჟაზე გარიგების დადების დროს. ბროკერს, რომელსაც ოპერაცია მიყავს ბირჟაზე, სტოკბროკერი ეწოდება. ეს ბროკერები საფონდო ბირჟის ოფიციალური წევრები არიან, რომლებიც გარიგებებს დებენ ბირჟის სხვა წევრებთან. მხარე, რომელიც სტოკბროკერის მომსახურებით სარგებლობს, ვალდებულია მტკიცედ დაიცვას მოცემულ ბირჟაზე დამკვიდრებული წესები.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც საბირჟო ოპერაციებში მონაწილეობის უფლება არა აქვს, შეუძლიათ თავიანთი ოპერაციები სტოკბროკერების მონაწილეობით განახორციელონ.

კომისიონერები როგორც არაოფიციალური შუამავლები, მხოლოდ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ანხორციელებენ და არა საფონდო ოპერაციებს. ისინი მოქმედებენ თავისი სახელით, მაგრამ სხვის ანგარიშზე. კომისიონერები, როგორც არაოფიციალური შუამავლები, საფონდო ბირჟის მუშაობაში არ მონაწილეობენ, ისინი ახდენენ ჩვეულებრივ ოპერაციებს, მხოლოდ სასაქონლო ბირჟებზე.

მთელ რიგ ქვეყანაში არსებობს მაკლერების ასოციაცია, რომლის ფუნქციონირებაში მათი წევრების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე მეთვალყურეობაც შედის. მაკლერების მუშაობას აკონტროლებენ არა მარტო ბირჟის ხელმძღვანელი ორგანოები, არამედ საამისოდ სპეციალურად შექმნილი ორგანიზაციებიც.

ყველი მაკლერის მიზანია ყავდეს თავისი მუდმივი კლიენტურა.

[პირს, რომელიც ოპერაციის ჩატარების სურვილს გამოთქვამს,

მაგრამ ბირჟაზე დასწრების უფლება არა აქვს, აუტსაიდერი ეწოდება; /ოფიციალურ ბირჟასთან არსებობს ე.წ. საარბიტრაჟო კომისია, რომელიც არსებითად იგივე სასამართლოა, რომელიც სადაო საკითხებს იხილავს. ბირჟასთან არსებობს აგრეთვე საექსპორტო კომისია, რომელიც იძლევა დასკვნას ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მაგრამ ამ დასკვნას სავალდებულო ძალა არა აქვს.

/ოფიციალურ ბირჟაზე არსებობს კიდევ საკოტიროვო კომისია, რომელიც ადგენს საკურსო ბიულეტენს ჩატარებულ გარიგებათა საფუძველზე. ამ ბიულეტენში ფიქსირდება საოპერაციო დღეს არსებული კურსი. სწრაფად ქვეყნდება ბიულეტენი და მაშინვე ხდება ცნობილი ყველა ქალაქის და სახელმწიფოსათვის. საკურსო ბიულეტენი დგება სხვადასხვა წესით. გამოსაქვეყნებლად მიიღება ან მთელი წლის მანძილზე ყველაზე უფრო გავრცელებული კურსი ან მინიმალური და მაქსიმალური კურსი. /

ბირჟის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა ეს არის სარეგისტრაციო ოპერაციების ფიქსირება. ამ დროს საბირჟო ბიულეტენებში აქვეყნებენ დღის მანძილზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მინიმალურ საშუალო კურსს და მაქსიმალურ კურსს. საბირჟო რეგისტრაციის მეორე ფორმაა—ერთიანი კურსის სისტემა. ამ დროს მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით ყოველი სახის ფასიან ქაღალდზე ფიქსირდება ის კურსი, რომლის მიხედვითაც მაკლერს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით შეუძლია რაც შეიძლება მეტი რაოდენობის დავალება შეასრულოს. /

ცნობილია საბირჟო ოპერაციების ორი ძირითადი სახე: საკასო გარიგება და ვადიანი გარიგება. საკასო გარიგების დროს ფასიანი ქაღალდები შეიძლება გადავიდეს გამყოფელიდან მყოფელზე როგორც გარიგების დადების დღეს ნაღდი ანგარიშით, ისე გარკვეული დროის (1-დან 7 დღემდე) გასვლის შემდეგაც. საკასო გარიგების როლი ბირჟაზე დიდი არ არის, რადგან იგი საგრძნობლად ზღუდავს საბირჟო სპეკულაციის შესაძლებლობას. საკასო გარიგების დროს ბირჟაზე ფასიანი ქაღალდები მცირე რაოდენობით ტრიალებს.

უფრო ფართოდ არის გავრცელებული ვადიანი გარიგება, ვინაიდან ასეთი გარიგება გარიგებასა და გადახდას შორის გარკვე-

ვეული დროის გასვლას მოითხოვს. ვინაიდან გარიგება, თავის მხრივ, ორი სახისაა: "permidio" და "peritumo", პირველის დროს ფასიანი ქაღალდების მიწოდება და გადახდა იდება თვის შუა რიცხვში, ხოლო მეორე შემთხვევაში—თვის ბოლო რიცხვებში. არსებობს კიდევ ე.წ. საშუალო გარიგება, იგი საბირჟო სპეკულაციის ტიპური ფორმაა. მისი მიზანია საბირჟო კურსებს შორის არსებული განსხვავებიდან მოგების მიღება. ეს შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ კურსი, რომლის მიხედვითაც ფასიანი ქაღალდები უნდა გადაიხადოს გადამხდელმა, დგება უფრო ადრე, ვიდრე ის ფაქტიური კურსი, რომელსაც ადგილი აქვს მიწოდება-გადახდის დღეს. ფაქტიური კურსი, როგორც წესი, წინასწარ ცნობილი არ არის. ამიტომ გარიგების ერთი მონაწილე ამ დროს აუცილებლად წაგებული გამოდის, მეორე—მოგებული.

/ვადიანი გარიგება იყოფა სამ ძირითად სახედ:

ა. მტკიცე გარიგებად; ბ. პირობით გარიგებად და გ. განვადებით გარიგებად./

ა) მტკიცე გარიგების შემთხვევაში ორივე მხარე თავის თავზე იღებს განსაზღვრულ ვალდებულებას ფასიანი ქაღალდების მიწოდება-მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქ დგინდება მტკიცე ვადა, რომლის შეცვლა შემდეგში არ შეიძლება. ბ) პირობითი გარიგების დროს ერთი მხარე ინარჩუნებს უფლებას, უარი თქვას თავის ვალდებულებაზე და ამისათვის მეორე მხარეს განსაზღვრული პრემია გადაუხადოს: ამ გარიგების მიზანია გარიგების მონაწილეებს მისცეს შესაძლებლობა კურსის მერყეობის პირობებში თავიდან აიცილონ ფასიანი ქაღალდების დიდი ოდენობით დანაკარგები.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს აქვს პირობის შეცვლის უფლება, ანსხვავებენ პირობითი გარიგების ოთხ სახეს: /წინასწარი პრემიით გარიგებას, უკუპრემიით გარიგებას, სტელაჟს და რეპორტულ გარიგებას./

/ წინასწარი პრემიით გარიგების დროს ფასიანი ქაღალდების მყიდველი ინარჩუნებს უფლებას უარი თქვას ქაღალდის მიღებაზე, მაგრამ ვალდებულია ამისათვის განსაზღვრული პრემია გადაუხადოს გამყიდველს. უკუპრემიით გარიგების დროს ერთ მხარეს, კერძოდ, გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას გარიგებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებაზე ანუ ფასიანი ქალაქების მიწოდებაზე და ამისათვის მყიდველს პრემია გადაუხადოს. სტელაჟის დროს საქმე გვაქვს ორ გარიგებასთან. ამ გარიგების თანახმად, მყიდველს ენიჭება არჩევის ორმაგი უფლება: მას გარიგების დახურვის დღეს შეუძლია იყიდოს ფასიანი ქალაქი. როგორც შეპირებული, ისე შემცირებული კურსით. რეპორტული გარიგების შემთხვევაში ფასიანი ქალაქების გაყიდვა ხდება იმ კურსით, რაც გარიგების დღეს არის დადგენილი, თანაც მათი უკუშესყიდვის ვალდებულებით./

თანამედროვე ბირჟებისათვის დამახასიათებელია ისეთი სპეციალური თამაში, როცა გარიგება იდება არა ფასიანი ქალაქების შეძენის, არამედ შემდგომში (გარკვეული დროის გასვლის შემდეგ) მათი კურსის შესაძლო ამაღლების მიზნით. მაგალითად, /დაეუშვათ, რომ 1 იანვრისათვის დაიდო გარიგება ფირმა "შოტორის" 1000 აქციის შეძენაზე (თითოეულის ღირებულება 500 დოლარია), იმ პირობით, რომ ეს აქციები მყიდველს გადაეცეს იმავე წლის 1 აგვისტოს, თუ ამ თარიღისათვის თითოეული აქციის ფასი 550 დოლარი გახდება გამყიდველმა მყიდველს ყოველ აქციაზე 50 დოლარი უნდა გადაუხადოს. ამრიგად, მყიდველი მოიგებს 50000 დოლარს. ამ თანხას იხდის გამყიდველი, აქციის კურსის ყოველ აქციაზე ღირებულების განსხვავებას გადაუხდის. ცხადია, ასეთი გარიგება დიდ რისკთანაა დაკავშირებული./

საბირჟო სპეკულაციის განსაკუთრებული სახეა—არბიტრაჟი ფასიანი ქალაქლებით, შესყიდვა ერთ ბირჟაზე მეორე ბირჟაზე მისი მაღალი კურსით გაყიდვის მიზნით. ფასიანი ქალაქების კურსის მერყეობას კი ყოველ წუთს, საათს, დღეს და ა. შ. აქვს ადგილი, რასაც მოხერხებულად იყენებენ სპეკულანტები. ისინი ამით უზარმაზარ მოგებას იღებენ.

მსოფლიოს უმსხვილესი საფონდო ბირჟებია: ნიუ-იორკის, ტოკიოს, ლონდონის, მაინის ფრანკფურტისა და ციურხის ბირჟები.

/ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა აწეამდ აშშ-ში 13 საფონდო ბირჟა ფუნქციონირებს. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია ნიუ-იორკის ბირჟას. უოლ-სტრიტზე (ნიუ-იორკის საქმიანი უბანი)

მდებარე ეს ბირჟა აქციონირებული საზოგადოების ტიპისაა. იგი თავის რიგებში 1500-ზე მეტ წევრს აერთიანებს. მათგან 1226, 500-ზე მეტი ფირმის წარმომადგენელია. აქედან 140 ბირჟა მხოლოდ თავისი სახელით მოქმედებს. თუ ბირჟის ერთ-ერთი წევრი გარდაიცვლება, მის ადგილს შემკვიდრეობით არ გადასცემენ, ეს ადგილი აუქციონის წესით იყიდება. ამ ბირჟის წევრობა დიდ თანხას (დაახლოებით 500-700 ათას დოლარს) მოითხოვს. საჭიროა აგრეთვე ბირჟის ძველი წევრების რამდენიმე რეკომენდაცია-შუამდგომლობა. ნიუ-იორკის ბირჟაზე ყოველდღიურად (სამრეწველო კორპორაციების, ბანკების, კერძო პირების) კუთვნილ 40-60 მილიონი დოლარის აქცია გადადის ხელიდან ხელში. ნიუ-იორკის ბირჟას მოხუც ბირჟას უწოდებენ, რადგან მას უკვე 200 წელი შეუსრულდა. იგი აღჭურვილია უახლესი ელექტრონული სისტემებით, კომპიუტერებით, ხელოვნური კოსმოსური თანამგზავრებით. საოცარია ის, რომ ბირჟა თავისი არსით ისევ ისეთივე სტიქიურ ბაზრად დარჩა, როგორც შორეულ 1792 წელს იყო, როცა პირველად უოლ-სტრიტზე 24 ვაჭარი შეიკრიბა და აქ ბირჟის შექმნა გადაწყვიტეს.

1992 წლის მონაცემებით ამ ბირჟაზე ტრიალირდა 60 ათასამდე სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდები. მარტო ბოლო 5 წლის მანძილზე აქციების საშუალო წლიურმა ბრუნვამ 800 მილიარდი, ხოლო ობლიგაციებისა—7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიო საფონდო ბირჟების საერთო ბრუნვის თითქმის 50 პროცენტია. საბირჟო ოპერაციებში ჩაბმულ აქციონერთა რიცხვი აშშ-სტატებში ამჟამად დაახლოებით 30 მილიონს აღემატება. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნის ყოველი მეოთხე მოზრდილი მცხოვრები აქციონერია. აშშ-სტატებში ბირჟაზე ძირითადად გამოიყენება სახელობითი აქციები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა ხდება საკასო და ვაღიანი გარიგებებით, აგრეთვე გამოიყენება ფასიანი ქაღალდების კრედიტის ყიდვა.

ბირჟის მოსამსახურეები ასრულებენ ბირჟის სპეციალისტის, შუამავლისა და მაკლერის საქმიანობას. მაგალითად, ბირჟის სპეციალისტი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას ეწევა, შუამავალი—თავისი ფირმის კლიენტების დავალებათა, ხოლო ბროკერი—

შუამავლების დავალებათა შემსრულებელია. ამ სამუშაოების შესრულებაში ისინი გარკვეულ გასამრჯელოს იღებენ. რაც შეეხება ბირჟის წევრებს შორის ოპერაციებს, როგორც წესი, სრულდება მაკლერებისა და შუამაკლერების გარეშე; ამიტომ ისინი ერთდროულად დილერებიცა და მაკლერებიც არიან.

ნიუ-იორკის ბირჟაზე გამყიდველები დილიდანვე ადგენენ ფასიანი ქაღალდების კურსს და მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე აფიქსირებენ კურსის კოტირებას. აქციას არ აქვს ნომინალური ღირებულება. მაგალითად, თუ 10 მილიარდი დოლარის სააქციო კაპიტალის დროს გამოშვებულია 1 მილიონი აქცია, მაშინ ყოველი დაბანდებული აქციის ღირებულება 10 დოლარს შეადგენს, ხოლო თუ გამოშვებულია მხოლოდ 500,0 ათასი აქცია, მაშინ ერთი აქციის ღირებულება 20 დოლარი იქნება. ნაწილების გაყიდვის შედეგად ყოველი აქციის ღირებულება შეიძლება შეიცვალოს. დივიდენდების ძირითადი მასა გაიცემა კვარტალში ერთხელ, ხოლო პროცენტი ექვს თვეში ერთხელ (ან როგორც გამონაკლისი წელიწადში ერთხელ).

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ინდექსი ყველაზე პრესტიჟულად ითვლება მსოფლიოს საფონდო ბირჟებს შორის, სწორედ ამის საფუძველზე აიგება ყველა სხვა ბირჟის ინდექსები. ინდექსების შედგენისას გამოიყენება სამრეწველო, სარკინიგზო და კომუნალური კომპანიების აქციების ინდექსები.

ტოკიოს საფონდო ბირჟა რომელიც დაარსდა 1828 წელს ერთ-ერთი უმსხვილესი ბირჟაა მსოფლიოში. ტოკიოს ბირჟას კაპიტალების ბრუნვის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია ნიუ-იორკის ბირჟის შემდეგ. ტოკიოს ბირჟაზე 1520 ფირმისა თუ კომპანიის აქციები კოტირდებიან.

იაპონიის საბირჟო ოპერაციებში აშკამად დომინირებს ორი უდიდესი ბირჟა-ტოკიოსა და ოსაკის საფონდო ბირჟები. 1992 წლის მონაცემებით იაპონიის საბირჟო ბრუნვაში ტოკიოს ბირჟაზე მოდიოდა 74,3%, ხოლო ოსაკას ბირჟაზე-21,8%. იაპონიაში ფუნქციონირებს 6 მსოფლიო საფონდო ბირჟა. 1987 წელს მარტო ტოკიოს ბირჟაზე წლიურმა საქონელბრუნვამ 240 ტრილიონი იენი შეადგინა.

ტოკიოს საფონდო ბირჟის მონაწილენი არიან არა მარტო მსოფლიო ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ინვესტიციური ფონდები, არამედ წერილი აქციონერებიც. ტოკიოს ბირჟაზე უმთავრესად საშინაო აქციების ყიდვა-გაყიდვა ხდება, უცხოური აქციების რიცხვი შედარებით მცირეა. საბირჟო ბრუნვაში ჰაბობს სახელობითი აქციები. ბირჟის წევრებია სპეციალური ფირმები, რომლებიც შუამავლებად და ბროკერებად გამოდიან და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაში მკაცრობას ეწევიან. ფიზიკურ პირებს, როგორც წესი, არ აქვთ უფლება ბირჟის წევრები იყვნენ. მასში მონაწილეობს მხოლოდ ფირმები. ამჟამად ტოკიოს ბირჟის წევრია 100-ზე მეტი სხვადასხვა ფირმა.

ფასიანი ქაღალდების კურსის კოტირების ფიქსაცია დილიდანვე იწყება, კურსების მერყობა მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობს მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. ფასიანი ქაღალდების შეძენის ოპერაციებში უპირატესობა შეკვეთებს ენიჭება, ხოლო გაყიდვისას — ლიმიტებს. ოპერაციის განხორციელებაზე დავალება შეიძლება იყოს ლიმიტირებული ან არალიმიტირებული. ლიმიტების გაცემა სხვადასხვა ვადით ხდება. საკურსო რყევის შეზღუდვის მიზნით შემოღებულია ლიმიტების შეცვლის გარკვეული საზღვრები. მაგალითად, 190 იენის კურსის ფასიანი ქაღალდის კურსი არ შეიძლება მეორე საბირჟო დღეს, შესაბამისად, იყოს 160-ზე ნაკლები და 220 იენზე მეტი.

იაპონიაში არსებობს 20 და 100 იენის ნომინალური ღირებულების აქციები: ფასიანი ქაღალდების კურსის დადგენა ხდება იენებში, თანაც აქციის ფასიანი კურსით, რომელიც არ აღემატება 1000 იენს. საბირჟო ოპერაციებში უმცირეს თანხად ერთი აქცია ითვლება. მართალია, საბირჟო ოპერაციების უმცირესი თანხა ერთი აქციაა, მაგრამ გარიგება მხარეებს შორის ხდება არა ნაკლებ 100 აქციის ღირებულების თანხაზე. ამ ბოლო პერიოდში, ტოკიოს საფონდო ბირჟის აქციების საერთო საკურსო ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, აქციების საკურსო ღირებულება 4047 მილიარდი იენიდან (1985 წელს), გაიზარდა 11690 მილიარდი იენამდე (1992 წელს). ტოკიოს ბირჟაზე გატარებულმა ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობამ მარტო 1992 წელს 3.114

შეადგინა. /

დიდ ბრიტანეთში 22 საფონდო ბირჟა მოქმედებს, აქედან ლონდონის ბირჟა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და წამყვანია არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მსოფლიოშიც.

ლონდონის ბირჟა შეიქმნა 1793 წელს. თავდაპირველად საფონდო ოპერაციების ჩანასახები კაფეებში ტარდებოდა, რომელთაგან გამოირჩეოდა კაფე "ჯონტანი". ამიტომ ინგლისში ბირჟის ოფიციალური მოსამსახურეები დღემდე ოფიციალტებადაც იწოდებიან.

ერთადერთი საფონდო ბირჟა მსოფლიოში, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ფუნქციონირებდა, იყო 1802 წელს დაარსებული ლონდონის საფონდო ბირჟა. ასეთი მდგომარეობა განაპირობა დიდი ბრიტანეთის იმდროინდელმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და კოლონიურმა მფლობელობამ. უფრო მოგვიანებით საბირჟო ოპერაციებში წამყვანი პოზიციები დაიკავა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟამ. ამის მიუხედავად ფასიანი ქაღალდების კოტირების საერთო რაოდენობით, ლონდონის საფონდო ბირჟა მაინც პირველ ადგილს ინარჩუნებდა მსოფლიო მასშტაბით. ეს გამოწვეული იყო ჯერ ერთი იმით, რომ დიდი ბრიტანეთი მსხვილი საერთაშორისო კრედიტორი ქვეყანა იყო, და მეორე, უფრო დიდი ოდენობითა და თანაც უფრო მყარი ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს ეწეოდა.

ფასიან ქაღალდებთან ერთად ლონდონის ბირჟაზე გარიგებები ხდებოდა საინვესტიციო სერთიფიკატებითაც. გარიგებები უმთავრესად ხორციელდებოდა საკასო და ოპციონური ოპერაციების ფორმით. გარიგების მთელ პასუხისმგებლობას თავისთავზე იღებს ბირჟის მონაწილე წევრი ქვეყნები.

ლონდონის საფონდო ბირჟაზე მოქმედებს ბროკერული და ჯობერული ფორმები, აგრეთვე რამდენიმე უცხოური ფირმებიც. კერძოდ, აშშ-ტაბებიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან და შვეიცარიიდან. ბროკერებს უფლება აქვთ გარიგება მოახდინონ უშუალოდ კერძო მენაბრეებთან. მათი მოვალეობაა დაიცვან კლიენტების ინტერესები და დახმარება გაუწიონ საბირჟო გარიგების ორგანიზაციაში. ბროკერების ფუნქციებში შედის აგრეთვე გამყოფელიდან მყოფელზე უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების

გაფორმება. ბროკერები ანალიზებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს და მის საფუძველზე ოპერატიულ მითითებებს აძლევენ მეანაბრე კლიენტებს. ბროკერებს ნება ეძლევათ ბირჟაზე შეიტანონ ფასიანი ქაღალდების ახალ-ახალი წყება. რაც შეეხება ჯობერებს, ისინი ბირჟის ისეთი წევრებია, რომელთაც უფლება აქვთ ოპერაციები გააფორმონ თავიანთი ანგარიშით და აწარმოონ გარიგებები ბროკერებთან და სხვა ჯობერებთან. ჯობერები სპეციალიზდებიან ფასიანი ქაღალდების განსაზღვრულ ჯგუფზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ჯგუფის ფასიან ქაღალდებზე მათ არ შეეძლოთ ოპერაციების გაფორმება და განხორციელება. თუმცა ამ დროს არაა გამორიცხული ისიც, რომ ბროკერებმა თავიანთი კლიენტების დავალებების შესრულებისათვის დაიჭირონ ისეთი ჯობერები რომლებიც ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის უფრო ხელსაყრელ პირობებს თავაზობენ. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის დროს კურსებს შორის არსებული სხვაობა წარმოადგენს ჯობერების მოგებას ან, შესაბამისად - ზარალს.

ლონდონის ბირჟაზე მოქმედებენ სახელმწიფო ბროკერებიც. მთავრობის დავალებით ისინი უმთავრესად ასრულებენ სახელმწიფო სესხის გამოშვებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ამ ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების თითქმის ნახევარი უცხოური წარმოშობისაა. ბირჟაზე კოტირებული ყველა აქცია (პრივილიგებული და ჩვეულებრივი) სახელობითია. ბირჟაზე კოტირდება ე.წ. "განვადებული აქციებიც", რომელთა მფლობელები აქციაზე დივიდენდს იღებენ. მაშინ, როდესაც ისინი განაწილებულია პრივილიგებული და ჩვეულებრივი აქციების მიხედვით. ამ აქციების ნომინალური ღირებულება 10 ან 15 პენსს შეადგენს, ზოგჯერ უფრო დაბალი ნომინალური ღირებულების აქციებიც გვხვდება. /

/ გერმანიაში 7 საფონდო ბირჟა ფუნქციონირებს, მათ შორის უმსხვილესია მაინის-ფრანკფურტის საფონდო ბირჟა, რომელიც დაარსდა 1585 წელს. თავდაპირველად ბირჟაზე ოპერაციები თამასუქებით ტარდებოდა, ხოლო მე 18 საუკუნის ბოლოდან დაიწყო სესხებისა და სავალო ვალდებულებების გარიგებები. მე-19 საუკუნის დასაწყისს, ფრანკფურტთან შედარებით, საბირჟო ბრუნვის მიხედვით, დომინირებს როტშილდის საბანკო სახლი, მაგრამ მე-19

საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს მაინის ფრანკ-ფურტში ფასიანი ქალაქების ყოფა-გაყიდვის ოპერაციების მნიშვნელოვნად გაფართოებასთან დაკავშირებით, მაინის-ფრანკ-ფურტის ბირჟა საბოლოოდ რჩება საერთაშორისო საფინანსო ცენტრად და მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან საფონდო ბირჟად.

მაინის-ფრანკფურტის ბირჟაზე ტრიალებს საკუთარი და უცხოური წარმოშობის დიდი რაოდენობის აქციები და ობლიგაციები, რომელთა შორის დიდი ხვედრითი წილი სახელმწიფო სესხებს უკავია. უცხოური ფასიანი ქალაქებიდან გამოირჩევა. (რაოდენობის მიხედვით) ამერიკული და იაპონური ფირმების აქციები. სხვა ბირჟებისაგან განსხვავებით მაინის-ფრანკფურტის ბირჟაზე აკრძალულია ინვესტიციური წილობითი მონაწილეობა. გარიგებებში უმთავრესად წარმომდგენის აქციებით ხდება. გარიგების ძირითად მასას საკასო ოპერაციები შეადგენს. ფასიანი ქალაქების კურსს ამ საქმით დაკავებული მაკლერები ადგენენ. ამ უკანასკნელთ აკრძალული აქვთ ოპერაციები აწარმოონ საკუთარი ანგარიშით. ფასიან ქალაქებზე პროცენტები და დივიდენდები გაიცემა წელიწადში ერთხელ./

ციურხის საფონდო ბირჟა შეიქმნა 1876 წელს. ამ ბირჟის ჩოლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ. ეს გამოიწვია იმან, რომ შვეიცარიაში ადგილი ჰქონდა ვალუტის თავისუფალ ყოფა-გაყიდვას, საერთაშორისო კაპიტალის კონცენტრაციასა და საბანკო კომერციული საიდუმლოების არსებობას.

ციურხის ბირჟაზე აქციებთან და ობლიგაციებთან ერთად ბრუნავს ინვესტიციური ქალაქებიც. ფასიანი ქალაქების ძირითადი ნაწილი სახელობითია. ოპერაციებიდან აღსანიშნავია საკასო ვაჭრობა, სასწრაფო გარიგებები და პრემიალური გარიგებები ბირჟის მონაწილენი არიან ბანკებიც, რომლებიც მოქმედებენ როგორც საკუთარი ხარჯებით, ისე თავიანთი კლიენტების დავალებებით. ბანკებს არ ჰყავთ საკუთარი ოფიციალური მაკლერები. საქმე ისაა, რომ ბანკები ერთდროულად თვითონ ახორციელებენ როგორც მაკლერის, ისე ვაჭრის ფუნქციებს. ბირჟის ფარგლებს გარეთ ფირმებს ნება აქვთ დროულად განახორციელონ ფასიანი ქა-

ლალდებით ვაჭრობა. ასეთ ფირმებს შორის მრავალი უცხოური ბანკი და ბროკერული ფირმაა.

ბირჟის მოსამსახურეები აცხადებენ ფასიანი ქაღალდების კურსებს და ახდენენ გარიგებების გაფორმებას. გარიგებათა პირობების დაცვაზე კონტროლს აწესებს სახელმწიფო საქარეო კომისარი. საკასო ოპერაციები სრულდება არა უგვიანეს მეხუთე დღისა ოპერაციის დასრულების შემდეგ. ბრუნვაში არსებული აქციების ნომინალური ღირებულება 100 ან 500 შვეიცარულ ფრანკს შეადგენს, თუმცა დასაშვებია გადახრები ღირებულებიდან ზევით ან ქვევით. ფასიან ქაღალდებზე პროცენტებისა და დივიდენდების გაცემა ხდება წელიწადში ერთხელ.

აღნიშნულ საფონდო ბირჟებთან ერთად მსოფლიოში მოქმედებს ისეთი უმსხვილესი ბირჟები, როგორცაა პარიზის, მონრეალის, ტორონტოს, მადრიდისა და სხვა ბირჟები. ზოგიერთ ქვეყანაში ადგილი აქვს ბირჟების თავმოყრასა და ერთიანი ეროვნული ბირჟების შექმნას, ხორციელება ბირჟების მუშაობის ტექნიკური გარდაქმნა ელექტრო გამომთვლელი მანქანების დანერგვის გზით. სახელმწიფოსთან შერწყმის პირობებში სულ უფრო ფართოდ მიმართავენ საფონდო ბირჟების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას, კერძოდ, შემოღებულია სახელმწიფო კონტროლი მათ მუშაობაზე.

ბირჟების საქმიანობაზე დაკვირვებისას ყველაზე თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ანდაზა—"დრო ფულია" ყველაზე სრულად ასახავს მასში მიმდინარე პროცესებს. ის, ვინც დროის შუალედში უფრო ადრე გაიგებს ფასიანი ქაღალდების მიწოდებამოთხოვნის შესახებ ახალ ინფორმაციებს, ანუ ვინც უფრო ადრე, წინასწარ განქვრეტს სამომავლო რეალურ სურათს, მით უფრო მეტ მოგებას მიიღებს. ამიტომ საფონდო ბირჟა არის ის ადგილი, სადაც საუკეთესო ფინანსისტები და ბანკირები მუშაობენ, რომლებმაც შეიძლება უფრო ადრე გაიგონ, რომ ამა იმ აქციებზე მოთხოვნა შეიძლება მომავალში გაიზარდოს, ამიტომ თავის ხელთ არსებულ ფულად სახსრებს გადაანაწილებს. ანუ გაყიდის იმ აქციებს, რომლებზეც იცის, რომ მოთხოვნილება კლებულობს და იძენს იმ აქციებს, რომლებზეც მოთხოვნილების ზრდაა მოსა-

ლოდნელი, რათა შემდეგ ისიც უფრო ძვირად გაიყიდოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბირჟაზე მაღალი კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ, ყოფილა მომენტები, როცა მათი პროგნოზები არ გამართლებულა. მაგალითად, /1987 წლის 20 ოქტომბერს უოლ-სტრიტზე (აშშ) აქციების კურსის მკვეთრობ დაცემის გამო აქციონერებმა 520 მლნ დოლარი დაკარგეს, ბევრი გაკოტრდა და მათგან რამოდენიმე მილიონერმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე./ამჟამად ასეთი საბირჟო კრახები დღეისათვის ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან მსხვილ ბირჟებს აქვთ შექმნილი დამცავი მაქანიზმები, რომლებიც აქციების კურსს მოსალოდნელი დამლუპველი ცვლილებებისაგან აზღვევენ. მიუხედავად ამისა რისკის გარკვეული პროცენტი არსებობს, ვინაიდან ფასიანი ქაღალდების კურსის ყოველგვარ გადახრას დიდი მოგება მოაქვს ერთისათვის მეორის საზიანოდ ამასთან, ადამიანთა დამოკიდებულება საბაზრო მერყობისათვის არსად არ ვლინდება ისეთი ძალით, როგორც საფონდო ბირჟებზე. აქ ერთ დღეს შეიძლება გაკოტრდე, ანდა, პირიქით—გამდიდრდე. ბირჟის შუამავლები (ბროკერები) რისკს ეწევიან, რის შედეგადაც ან მდიდრდებიან ანდა კოტრდებიან. ეს გამართლებულიცაა, რადგან ბირჟები ისეთი ბროკერებისა და რისკის გარეშე არც არსებობენ. ბირჟების მთავარი დამახასიათებელი მომენტი ის, რომ მიუხედავად მიმდინარეობს საქმიანი თამაში, კონკურენცია. ამ თამაშების დროს ბროკერები სიმბოლურად ორ ჯგუფად იყოფიან: "დათვებად" და "ზარებად". ბროკერთა ერთი ნაწილი იბრძვის რომ ფასიანი ქაღალდები შეიძინოს, ამიტომ ცდილობს მათი ფასები დააგდოს და მათ "დათვებს" უწოდებენ (დათვი შეტევისას ზემოდან ქვემოთ სცემს მოწინააღმდეგეს), ხოლო მეორე ნაწილი ყიდის ფასიან ქაღალდებს, ამდენად დაინტერესებულია მათი კურსის გაზრდით, ამ უკანასკნელებს "ზარებს" უწოდებენ (ზარი პირიქით, ქვემოდან ზემოთ უტევეს მოწინააღმდეგეს). დათვებსა და ზარებს შორის თამაშისას დგინდება ფასიანი ქაღალდების კურსი, რომელიც მით უფრო რეალურია, რაც უფრო სრულყოფილია ეს თამაში. კურსის შემცირების ან გადიდებისათვის სხვადასხვა ხერხებს იყენებენ, მათ შორის, ტელევიზიას, პრესას, რომელთა მეშვეობითაც ისეთ

ხმებს ავრცელებენ. რომლებიც ამა თუ იმ ფასიან ქალაქებზე ხელოვნურად ქმნიან მოთხოვნილებას ანდა მიწოდებას, ზოგჯერ ამ მიზნით დაჭირავენ პირებსაც იყენებენ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე საფონდო ბირჟები საბაზრო უჭიტიერთობის ყველაზე მობილური მექანიზმია, სადაც მსხვილი მასშტაბით ხდება ფულადი სახსრების გადანაწილება. მართალია, ბირჟას ორგანიზებულ ბაზარს უწოდებენ, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა ეს არის ადგილი, სადაც მიმდინარეობს მხოლოდ სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. ბირჟას შეიძლება ვუწოდოთ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების მიწოდება-მოთხოვნას შორის თანაფარდობის ინდიკატორი (ბირჟაზე, როგორც წესი, ხდება მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის კონცენტრირება). ცივილიზებულ სამყაროში ბირჟა არის საბაზრო ინფრასტრუქტურის ორგანიზაცია რომელიც ერთდროულად საინფორმაციო ცენტრსა და კოტირების ცენტრს წარმოადგენს. მეცნიერების აზრით საბირჟო ოპერაციების ეკონომიკური მექანიზმის მათემატიკური ანალიზი უფრო ძნელია, ვიდრე ურთულესი ტექნიკური სისტემის სტრუქტურის შესწავლა, ვინაიდან საფონდო ბირჟების საქმიანობა ოპერაციების მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., ფული და ფულადი სისტემები, თბ., 1991.
2. ბასარია რ., მესხია ი., გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბ., 1995.
3. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, ნაწ. I, II, თბ., 1993.
4. ზურაბიშვილი ვ., რუსულ-ქართული საფინანსო-საკრედიტო ლექსიკონი, თბ., 1993.
5. კაკულია რ., ხაბურზანია ლ., ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნაწ. I, თბ., 1993.
6. კაკულია რ., ხაბურზანია ლ., საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნაწ. II, თბ., 1993.
7. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.
8. მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.
9. ლობჯინიძე ვ., მაკროეკონომიკა, თბ., 1993.
10. პაპავა ვლ., ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი "შოკური თერაპიიდან" - "სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995.
11. პავლიაშვილი ვ., ეკონომიკური თეორია, ნაწ. I, თბ., 1995.
12. შევარდნაძე ე., დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოსათვის, თბ., 1995.
13. ჩანტლაძე ვ., კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები, თბ., 1970.
14. ქოიავა ნ., კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, თბ., 1956.
15. ქოიავა ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963.
16. ქისტაური შ., ეროვნული ვალუტა (წარსული, დღევანდელი, მომავალი), თბ., 1993.

17. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, თბ., 1993.
18. ხელაია გ. კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ნაწ. I, თბ., 1986.
19. ხელაია გ. კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ნაწ. II, თბ., 1988.
20. ხელაია გ. ინფლაცია, როგორ ვუმკურნალოთ? თბ., 1994.
21. Алексеев М. Ю. Рынок ценных бумаг, М., 1992.
22. Аникин А. Кредитная система современного капитализма, М., 1985.
23. Аникин А. В. Золото. Международный экономический аспект, М., "Международные отношения", 1984.
24. Банковское дело, М., "Финансы и статистика", 1995.
25. Валюты стран мира, М., 1976.
26. Долан Э. Дж., Кемпбелл К. Д., Кемпбелл Р. Дж., Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика, М., 1991.
27. Денежное обращение и кредит капиталистических стран, под. ред. А. Н. Красавиной, М., 1983.
28. Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег, пер. с англ., М., 1978.
29. Как сделать рубль конвертируемым? М., 1990.
30. Куршин Н. Международный валютный фонд, М., "Финансы и статистика", 1990.
31. Маккрнелл К. Г., Брю С. Л., Экономикс, т.1, т.2, М., 1992.
32. Мусатов В. Т. США: Биржа и экономика, М., 1985.
33. Павлов С. В. Фондовая биржа и ее роль в экономике современного капитализма, М., 1987.
34. Роде Э. Банки, биржи, валюты современного капитализма, М., 1986.
35. Смислов Д. В. Международный валютный фонд: современные тенденции и наши интересы. М., 1993.
36. Финансово-кредитный словарь, т. I, II, III, М., 1986.

გედევან ხელაია
გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი,
ეკონომიკურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი,
საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ფული, ბანკები და ბირჟები. 253 გვ.

რედაქტორი გ. მერლანი
ტექ. რედაქტორი ი. მესხია
კორექტორი გ. ლაბაძე

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით
ტირაჟი 1000 ცალი
ფასი სახელშეკრულებო